

# მნათობი

\*  
\* \* \*

მას აქეთ, რაჟი შენდამი ვცან მე სიყვარული,  
ჰოი, მამულო, გამიერთა მე ძილი და შუება!  
შენს ძარღვის ცემას მე ყურს ვუგდებ სულგანაბული,  
ლაშე თენდება ეგრედ ჩემი და ღლე ღამდება.

2007

დაჟინებითა ფიქრი ფიქრზედ მოდის, გროვდება,  
გრძნობა გრძნობაზედ შეუპოვრად იძვრის ჩემს გულში,  
და მე არ ვჩივი, – მიხარიათ, რომ ეგრედ ჰშვრება  
ჩემი ცხოვრება შენსა ფიქრში, შენს სიყვარულში.

მაგრამ, მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არი,  
ის არის მხოლოდ სავალალო და სამწუხარო,  
რომ შენს მინაზედ, ამდენ ხალხში ყავი არ არი,  
რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი განუზიარო!..

ლია ჭავჭავაძე

5

# მნათობი

წელიწადი 83-ე  
გამომცემის 1924 წლიდან

№5

2007 წელი

## მწერალთა ასოციაცია „მნათობის“ ლიტერატურული ჟურნალი

*ჟურნალი გამოდის საპატრიარქოსთან არსებული  
სულიერების, კულტურისა და მეცნიერების  
აღორძინების ფონდისა და შპს „ეზბევის“  
საქმელმოქმედო ფონდის მხარდაჭერით*

### შინაარსი

#### პროზა, პოეზია

|   |    |
|---|----|
| თავაზ ჭილაძე – ბრეიველის მთვარე, რომანი | 3  |
| ლია ბაღოშვილი – ლექსები                 | 76 |
| ქეთევან შინგელია – ლექსები              | 86 |

#### ახალი თარგმანი

|   |    |
|---|----|
| გორის პასტერნაკი – ლექსები. თარგმანა გათუ დანელია | 92 |
|---|----|

#### ესე, ლიტერატურული წერილი

|                                   |     |
|-----------------------------------|-----|
| გურამ ბენაშვილი – ვიტრაჟები       | 100 |
| ამთანდილ არაბული – ეპოქის შიკვეთა | 110 |



**შინაარსი**

(გაგრძელება)

**ხელოვნება**

საბა მებრეველი – პოეზიის დაბრუნება ----- 119

**მეცნიერება**

დავით მუსხელიშვილი – სიტყვა წარმოთქმული 2005 წლის 16 ოქტომბერს  
მეცნიერთა ყრილობაზე ფილარმონიის  
დიდ დარბაზში ----- 125

გურამ მაისურაძე – სომხეთის კავკასიური პოლიტიკა  
1918-1920-იან წლებში ----- 129

ზურაბ ეკალაძე – რეინკარნაცია და ქრისტიანობა ----- 152

**კულტურისტიკა**

უშანბ ტიჭინაძე – „ო, ენა ჩემო...“ ----- 157

უცხოეთის კულტურული სიასლევები. მასალა მოამზადა  
მანანა მიქელაძემ ----- 159

ბრეიგელის მთვარა

(ანბნითას პრეპროდუქციისი)

რომანი

1

ვაკის პარკიდან ებრუნდებოდი. ყოველ დღით ჩოგბურთს ვთამაშობ ხოლმე. ჩვენს ჭიშკართან ჩემი ცოლისძმის ბადრის ჯიპი დაეინახე. გამიკვირდა. იშვიათად მოდიოდა ჩვენთან. ფეხს ავუჩქარე.

ჭიშკარი შეველე თუ არა, ბადრიც გამოვიდა სახლიდან, ორი, აშკარად მძიმე ჩემოდანი მოჰქონდა. გზა დაუვთმე, მივესალმე, თავის დაჭნევით მიპასუხა. არ გამომლაპარაკებია.

ია სასტუმრო ოთახში, მაგიდასთან იჯდა. თამრიკო მის ფეხებთან თამაშობდა. იქვე რამდენიმე დიდი ჩანთა იდო.

- რა ხდება, სად მივდივართ? - ვკითხე იას.
- როგორც იქნა, მოხვედი, - მიპასუხა, - არ მინდოდა უშენოდ წასვლა.
- კი მაგრამ - სკამზე ჩამოვჯექი, - უჩემოდ მიდიხარ? - დავამატე ღიმილით.
- არ არის სასაცილო! - გვერდზე გაიხედა.
- რა ხდება, რა ამბავია ჩვენს თავს? - კარგი რომ არაფერი იყო, ამას, რასაკვირველია,

უკვე ვხედავოდი.

- თუ გახსოვს ადრეც გაგაფრთხილე!

ამ დროს ოთახში ბადრი შემოვიდა, ამიტომ იას არაფერი ვუპასუხე, ბადრის კი ვითომ შევეხუმრე:

- ბადრი, რა ხდება, სად მიგყავს ჩემი ცოლ-შვილი?
- შე რა ვიცი, - ჩაიბურტყუნა. დაავლო ხელი ჩანთებს და გაიტანა.
- გახსოვს, ამას წინათ ყავაში ჩიტი რომ ამომივიდა? - იამ ახლა შემომხედა პირველად, აქამდე თავჩალუნული იჯდა, - ჩიტი გაფრენას ნიშნავსო!
- შერე მკითხავის გვერა?
- აი, თუ არ მჯერა! - თავისი ხელჩანთა გახსნა და ბილეტები დამანახვა, - ასე აჯობებს, ჩემთვისაც და შენთვისაც, - ბილეტები ჩანთაში ჩააბრუნა, - ნამდვილად ასე აჯობებს.

|- კი მაგრამ? - როგორც ჩანს, უფრო სერიოზული ამბავი ხდებოდა, ვიდრე უცებ წარმოვიდგინე: შშობლების სახლში კი არა, სადღაც, შორს მიემგზავრებოდა. - როდის გადაწყვიტე? - ნერწყვი ძლივს ჩაველაპე.

- დიდიხანია.
- შერე, მკითხავს ელოდებოდი?
- გიკრძალავ! - ხელი შემართა.
- რას მიკრძალავ?
- ასეთ ლაპარაკს გიკრძალავ, - თქვა უკვე ჩუმად.
- შე რატომ დამიძალე?

საქართველოს  
პარლამენტის  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა



– ეშხარმა დარეკა რამდენიმე დღის წინ, გელოდებითო. იმის ზარს ვუცდიდი. დღიდანია ბილიეთები აღებული მაქვს. საბუთებიც გამზადებული. ბადრი მომეხმარა.

– ო, ბადრი მაგარია!

– ჩემი ძმები შენი დასაცინი არ არიან! არ უნდა დამხმარებოდა?

– ჩემთვის გეთქვა!

ცოტა ხანს ჩუმად მიყურა, მერე თავი მიიბრუნა და თქვა:

– ასე აჯობებს!

– კი მაგრამ, – ვგრძნობდი, როგორ მერეოდა სიბრაზე, – მე აღარ შეკითხვებით, აჯობებს თუ არა? შენ გეუბნები, მოიხედე აქეთ!

– ნუ ყვირი!

– მოიხედე-შეთქი!

პაერში ხელი მოატარა:

– აი, ამ უზარმაზარ ბინაში მარტო იქნები. მარტოდ მარტო. სულ... სულ... მოკლედ, აეროდრომზე ბადრი გამიყვანს, – უცებ აღელდა, ხელები მხრებზე შემოიჭლო, თითქოს აცახცახებულ სხეულს აკაეებსო, – ჩვენი ცოლ-ქმრობა გაუგებრობა იყო...

შეაწყვეტინე.

– დაცა, დაცა, შენ რა, მართლა სერიოზულად მიდიხარ?

– არ მეგონა, ამასაც თუ ვერ მიხვდებოდი. აბა, ამოდენა ბარჯი სად მიმაქვს, მამანქმის ხახლში კი არ გადავდივარ! ყველაფერი მომეზრდა, აქაც და იქაც, ერთნაირად. საერთოდ, აქაურობა! – ეს სიტყვა დამარცვლით წარმოსთქვა. ბავშვს თავზე გადაუსვა ხელი, თითქოს შეამოწმა, აქ იყო თუ არა, მერე გააგრძელა: სიმარტოვის შეგეშინდა, ოღონდ მე რას მერჩოდი, შიგ რომ ჩამითრიე, ჭაობში.

– ჭაობში? – გამიკვირდა და მეწყინა, – რომელ ჭაობზე ლაპარაკობ? რა სპექტაკლი დადგი ამ დილა-უთენია!

– იქიდან ხელს რომ გამოვიწვდიან, არ შეცდე. მაინც ვერავის გადაარჩენ, ვერავის უშველი, აი, შენ კი მასთან ერთად ჭაობში აღმოჩნდები.

ახლა გამახსენდა, ამ ბოლო დროს ხშირად ურეკავდა თავის ძმას, რომელიც ამერიკაში იყო წასული და იქ, როგორც ამბობდნენ, საკმაოდ წარმატებული ბიზნესი ჰქონდა. ძმაც ხშირად ურეკავდა, თანაც, ეტყობა, დროის სხვაობას ვერ ითვალისწინებდა. დიდხანს ლაპარაკობდნენ. ერთხელ ვკითხე: ამდენს ვის ელაპარაკები-შეთქი? ეშხარსო, – ეს იყო და ეს. უნდა ვაღიარო, იას გადაწყვეტილება ჩემთვის მოულოდნელი არ ყოფილა. კარგახანია ვგრძნობდი, ეს დღე უსათუოდ დადგებოდა. უფრო მეტიც – უკვე აუცილებელი იყო გავკერკეია ჩვენი ურთიერთობა, რომელიც აშკარად ძველებურად აღარ შეიძლებოდა გავრძელებულიყო. იმედი მქონდა, ყველაფერი ადვილად გადაწყდებოდა, არც პირველები ვიყავით და არც უკანასკნელნი, გაყრაც ისეთივე ჩვეულებრივი რამ არის ცხოვრებაში, როგორც შეხვედრა, თუნდაც, დაქორწინება.

ადგა, სამზარეულოში გავიდა:

– ამასობაში ჩაშრა ალბათ ჩაიდანი...

გავყვი.

– ... ჩაის დალევა მინდოდა. ხომ ვთქვი, ჩამშრალა!

ჩაიდანი ონკანს შეუშვირა:

– თუმცა, არა, აღარ მინდა!

– დამშვიდდი, – ვუთხარი, – რა მოხდა, რამ აგრია ასე, რა გინდა?

– მინდა ავიღო ეს ჩაიდანი და თავში გხეთქო! – თან იცინოდა, – არ გაინტერესებს, რატომ?

არ ეუპასუხე.

– აი, მაგიტომ, – აღარ იცინოდა, – შენი სიმშვიდის გამო, – შეჩერდა, ეტყობა, საჭირო სიტყვა ვერ მოძებნა, უცებ სახე შეეცვალა, – წადი, შენი, მართლაც, ინტელიგენტი დღედაც...



და სამზარეულოდან გაეარდა.

ისევ მაგიდასთან დაესხედით.

– არ შეგონა, ჩემი პროფესია ოჯახშიც თუ დამჭირდებოდა, – თითქოს გახუმრება ვცადე. იმან კი – ვერ ვიტან მშვიდ ადამიანებს!

– ერთი მღვღვარე ქუჩაში დგას, ჩვენი სახლის წინ! – არ ვაპირებდი ამის თქმას, ნამდვილად წამომცდა.

სახე არ შეცვლია:

– შეიძლება ითქვას, რამდენიმე თვე ბედნიერი ვიყავი.

– ოხო? ესე იგი, ვიცით, რას ნიშნავს ბედნიერება? საინტერესოა, – ზედმეტად მშვიდად, ირონიითაც კი, იმიტომ არ ულაპარაკობდი, რომ, როგორც ია იტყვოდა, ნერვები საერთოდ არ მქონდა, პირიქით, უკიდურესი ნერვიულობის და დაძაბულობის გამო დამუყუფლა სწორედ ასეთი, ჩემთვისაც კი საკვირველი და ჩემთვისაც კი აუტანელი სიმშვიდე, – რამდენიმე თვე ბედნიერება ცოტა არ არის! – ბედნიერებაა, როცა ბედნიერებაზე არ ფიქრობ, – მიპასუხა იამ, უცებ თითქოს სიტყვა პირზე შეამრავა, ბავშვს დასწვდა, – რა ჩაიდე პირში? – მხრებში ჩააფრინდა, შეანჯღრია, – რა ჩაიდე-მეთქი! გადმოაფურთხე ახლავე! – წამოხტა, ატირებულ ბავშვი აიტაცა, აიყვანა, – გაჩუმდი, გაჩუმდი, თორემ ფანჯრიდან გადაგაგდებ, – უყვირა, – გაჩუმდი! ყველანი გაჩუმდით! გაწყდა თქვენი ჯიშნი!

– ჩვენს ჯიშს რას ერჩი? – გამჟღავნა, – ნუ გადარჩე ბავშვი!

ახლა მე შემომაფრინდა:

– იცინი? იცინი? რა გაცინებს, რა? – სკამზე ჩამოვჯდა, ბავშვი მუხლებზე გადაიწვინა და რატომღაც რწვეა დაუწყო, – ააა, ააა, აააა... რა კუნა, – თქვა ჩუმად, თითქოს თავისთვის, – ერთი აქა დგას და ვერაფერს ვაკვებინებ, მეორე კი ქუჩაში მელოდება.

– ახლაც იქა დგას, – ვუთხარი, – იცის, რომ მიდიხარ?

– იცნობ? – რატომღაც დაიძაბა, წინ გადმოიხარა, გადმოყრილი თვალებით შემომამსტერდა.

– ერთმანეთს ვესალმებით კიდევ!

– აი, იმიტომ ვერ გიტან! – და ბავშვის რწვეა განაგრძო, – ააა, ააა, აააა.

– განა თბილისში რამე დამაღლება? – თან ვილიზობდი, უკვე შემქმლო, მართლაც, მშვიდად მელაპარაკა.

– ძალიან ჭკვიანი ხარ, ჭკვიანი და აუტანლად მშვიდი, და თუ რამე დაგლუპავს, იცოდე, ჭკუა დაგლუპავს და ეგ რობოტის სიმშვიდე.

– ვაი ჭკუისაგან!

– სწორედაც! ნუ გამომიყვან მოთმინებიდან! – იყვირა უცებ.

– ნუ ყვირი, – ვუთხარი მშვიდად, – ბავშვი არ შეამინო.

– ბავშვი ყველაფერს ხვდება, ყველაფერი იცის.

– მაინც რა? – მის პასუხს დაველოდე, ხმა რომ არ გამცა, გავაგრძელე, – მაინც რა იცის-მეთქი? ის რომ შენი საყვარელი ახლა ქუჩაში დგას ამ დილაუთენია და გელოდება?

– სამი თვეა, აღარ შეგხვედრივარ, – ჩაილაპარაკა ჩუმად.

– გაგივივებია კაცი!

უეცრად გამიძვდა, ია მე კი არა, საყვარელს გაურბის-მეთქი. რალაც მოხდა მათ შორის მოულოდნელად, თორემ ჩვენ კარგახანია აღარაფერი გვაკავშირებდა, კარგახანია სხვადასხვა ოთახში გვეძინა, დღედღეუბ ოფიციალურად უნდა გაეყრილიყავით. მას შემდეგ, რაც თვითონვე მითხრა, სხვას ვხვდებიო, ეს აუცილებელიც კი იყო.

– არ ვიცი, რას იტყვიან დები უილიამები, მაგრამ შენ ვერც ერთი ქალი ვერ დაგიწუნებს.

– მაღლობთ. დები უილიამები რამ გაგახსენა?

– შენმა „ადიდებსმა“!

– საინტერესო ასოციაციაა, – ვუთხარი, – ყოჩაღ!



– მაგრამ ერთი უბედურება გვირს და მარტო მე კი არა, ყველა ქალს გააუბედურებ, ვინც გადაგეყრება.

– მაინც რა მჭირს ასეთი?

– სიყვარული არ შეგიძლია!

სიტყვა ბანზე ავუგდე:

– როდის გადაწყვიტე წასვლა?

– გითხარი!

– არ გითქვამს.

– ღიღიხანია. ჩემს ძმას მივწერე, ყველაფერი მოუყევი.

– რა მოუყევი?

– მე და შენ აღარაფერი რომ აღარ გვაქვს მოსაყოლი. ჩამოდიო.

– მერე იმ სიმორზე რას გარბიხარ, მეორე ძმა აქვე არა გყავს? ბოლოს და ბოლოს, მე გადავალ სადმე, აქ იცხოვრე.

ბავშვი ისევ იატაკზე დასვა. იდაყვებით მაგიდას დაეყრდნო, წინ გადმოიხარა და მკითხა:

– შენ იცოდი, მე რომ გლალატობდი? სანამ გეტყოდი, იცოდი?

თვითონვე უპასუხა საკუთარ კითხვას:

– იცოდნო, ძალიანაც კარგად იცოდი, ხომ მართალია? თუ მარტო ეს ბოლო?

ძალიან მტკივნეული დარტყმა იყო, მაგრამ თავს მაინც ძალა დავატანე და ვუთხარი:

– კარგი ახლა, ნამეტანს ნუ იზამ. ნუ ივინებ რაღაცას!

– სხვები იმიტომ არ იცოდი, რომ შენთვის სულერთი იყო!

– რა იყო სულერთი?

– გლალატობდი თუ არა. იცოდი და არ მკლავდი, წარმოგიდგენია!

– რამდენჯერ უნდა მომეკალი? – უკვე მოვეგე გონს, შეტევაზეც კი გადავედი და როცა მითხრა, არ არის ეს სასაკილოო, უუპასუხე: სხვათაშორის, მე და შენი ბოლო საყვარელი, აი, ახლა ქუჩაში რომ დგას, ჩოგბურთს ვთამაშობდი ერთად. ჩემი მეწვეილე გახლდათ... მაშინაც!

– დამცინი? გინდა გამამწარო? იმას რატომ არ ამბობ, სინამდვილეში მე შენი ცოლი კი არა, პაციენტი ვიყავი. ცოლ-ქმარი კი არა, ექიმი და მისი პაციენტი გვერქვა. ამიტომ დროზე უნდა ვუშველო თავს, გაქცევის მეტი არაფერი დამარჩენია.

– მაგას ყოველთვის მოასწრებ, ჩემო კარგო.

– ვერ ვიტან მაგ სიტყვას!

ცოტახანს გაჩუმდა, მერე თქვა:

– ამ ბინაში ყველაფერი მძულს, უცხო იყო და უცხოდ დარჩა ბოლომდე. შენიანებით არის საესე.

– ჩემიანებით?

– აზრდილებით, მოჩვენებებით!

– ხოო, მეც არ ვთქვი!

– შენსავით მშვიდი მოჩვენებებით, მშვიდი ექიმებით.

– რას იზამ, ჩემი მშობლები ექიმები იყვნენ, მათი მშობლებიც, ოჯახური ტრადიციაა.

– აი, რასაც ვერ ვიტან და ტრადიციას. რამდენი დანაშაული ხდება ტრადიციის სახელით, – მაგიდის გარშემო სცემდა ბოლთას და მუშტს ხელისგულზე ირტყამდა. – რატომ არ მეუბნები, ბავშვი დამიტოვეო, რატომ არ მეჩხუბები, ბოლოს და ბოლოს, რატომ არ მცემ?

– გცემ? – გამეცინა, – კლინიკაში პაციენტებს არ სცემენ! გითხრა, ყველაზე მეტად რა მიკვირს?

გაჩერდა:

– შენ რამე გიკვირს?

– ისე მელაპარაკები, ისე იქცევი, თუნდაც ისე გარბიხარ, თითქოს შენ კი არა, მე

მელაღატოს!

მოვიდა, თავზე დამადგა:

- მოდი, რა ვქნათ იცი? რადგან ყველაფერი  
დამთავრდა, სიმაღლე მაინც ვუთხრათ ერთმანეთს. იმის ჯგერით მომკლავს, რატომ  
ყველაფერი არ ვუთხარი-მეთქი!

- მეტი რაღა უნდა მითხრა!

- მინდა იცოდე, რომ ყველაფერი შენი ბრალია!

- მაინც რა?

- ყველაფერი!

- ეს ბავშვი, შეშინებული რომ შემოგვცქერის, ჩემია?

- ო, რა საზიზღარი ხარ, ჯალათად გამოდგები!

- რატომ არ მპასუხობ?

- ამას რა მნიშვნელობა აქვს?

- როგორ არა აქვს მნიშვნელობა, - უყვირე, - დაჯექი, რას დამდგომიხარ თავზე!  
დაჯდა.

ახლა წყნარად ვუთხარი:

- თუ გინდა, ნუ მპასუხებ.

- იცი, სიამოვნებით მოგკლავდი, - ხელისზურგით მუხლიდან თითქოს რაღაც გადაიბ-  
ერტყა, წამოიტირა, - არასოდეს, არასოდეს არ გყვარებდივარ.

- ამაზე არ მიფიქრია, - ვუპასუხე - მგონი, მართალი ხარ, არ მყვარებდივარ არას-  
დროს.

წამოვარდა:

- აი, ხომ გითხარი! ხომ გითხარი!

- დაჯექი!

დამიჯერა.

- შენ რა, ეს არ იცოდი?

- როგორ არ ვიცოდი!

- აბა, რატომ ვიკვირს?

- მიკვირს? არა, გული მწყდება, ასე რომ ვიცხოვრე.

- თამრიკო, - ხელი გაუწყოლე ბავშვს, - მოდი ჩემთან, მამიკო, მოდი.

ბავშვი დედის კალთას აეკრა, პირში თითჩაღებული, გადიდებული თვალებით მიყურებ-  
და.

- რა უთხარი ბავშვს ჩემზე ასეთი, რატომ შეამინე?

- არ ჭირდება თქმა, უკვე ყველაფერს ხვდება, შენი მშობლებიც უბედურები იყვნენ, -  
მითხრა და წამოდგა.

- რატომ იყვნენ უბედურები?

არ მპასუხა. ხელჩანთა მხარიდელი გადაიკიდა. თამრიკო აიყვანა, ოთახს თვალი მოავლო:

- რამე ხომ არ მჩრება?

- თუ რამე დაგრჩება, ბადრის გაუუგზავნი.

- ნუ შეწუხდები. დაიტოვე სახსოვრად. ოღონდ, რის სახსოვრად? არაფრის? ასეთი

რამეც შეიძლება?

კარისკენ გაემართა. გავეცი. შეჩერდა, მომიბრუნდა:

- ჩემს ადვოკატთან ნოტარიუსით დამოწმებულ განცხადებას გიტოვებ, განქორწინებაზე.

- ქაღალდს რა მნიშვნელობა აქვს?

- რა იცი, იქნებ ცოლის შერთვა დააპირო.

- არა მგონია.

- კარგს იზამ, თუ სხვასაც ჩემსავით არ გააუბედურებ.

- ფული გაქვს?



- კი, ბადრიმ მომცა. ჩემი ადვოკატის ტელეფონი იცი. თუმცა, თვითონ დაგვერეკავს. ყველაფერს გააკეთებს, რაც საჭიროა. მეც არასოდეს მყვარებიხარ. მანქანამდე მივაცილე. ბადრი საჭესთან იჯდა, გვერდზე იხედებოდა.
- ბავშვს ვაკოცებ, თუ შეიძლება, - უუთხარი იას.
- თამარიკო ღელას მკერდში ჩაეკრა. თავი მიაბრუნა. მხარზე ვაკოცე. პალტოს ბუსუსებით ამეღვსო პირი. მანქანაში ჩასხდნენ. იამ ფანჯრის მინა ჩამოსწია და მითხრა:
- ყველაფერი შენს თავს დააბრალე. მშვიდობით...

2


წავიდა და წავიდა. დაიკარგა წყალში ნასროლ ქვასავით. სამი თვე თითქოს ბურანში, ძილ-ღვიძილში გავატარე. სიმართლე რომ ვთქვა, არ ველოდი, ასე თუ იმოქმედებდა ჩემზე ეს ამბავი. იმოქმედა კი არა, ჩვეულებრივი, ნორმალური ცხოვრებიდან საერთოდ გამოძიმა. მაშინვე არა, მაგრამ თანდათანობით ყველაფერმა თითქოს აზრი დაკარგა, გაუფერულდა. სამსახურშიც დავლიოდი, ტელეფონის ზარებსაც ვპასუხობდი, მაგრამ ეს აშკარად მექანიკურად ხდებოდა. შეიძლება ითქვას, ჩემი ქცევისა თუ ლაპარაკის მიხედვით, ალბათ ვერაფერს შემატყობდა იმ ცვლილებას, რასაც თვითონ აშკარად ვგრძნობდი. როგორც ჩანს, ვერც მატყობდნენ, რადგან სხვანაირად უსათუოდ მეტყობდნენ, მანიშნებდნენ. რასაკვირველია, ჩემი ოჯახური დრამის ამბავი ყველა ჩემმა ნაცნობ-მეგობარმა, მათ შორის, თანამშრომლებმაც კარგად იცოდნენ. ასეთი რამ ხალხს ძალიან აინტერესებს. თუმცა, ჩემთან ურიდებოდნენ ამაზე საუბარს და ესეც ვასაგები იყო. იგრძნობოდა კი, ყველას ერთი სული ჰქონდა პირველწყაროდან გავეო, რა მოხდა ერთ გარეგნულად მშვიდ, შეიძლება ითქვას, ნორმალურ თბილისურ ოჯახში.

ვატყობდი, ვერ იყო ჩემი საქმე კარგად, აშკარად ღებრესია მეწყებოდა და ვერავითარ წინააღმდეგობას ვერ ვუწვედი. ყველაფერზე შემაწუხებელი მაინც სიზმრები იყო, ხილვები თუ ჩვენებები, რომლებსაც ან ჩემი ღებრესია იწვევდა, ანდა პირიქით, ისინი ამბავებზე ჩემს ღებრესიას, სერიალის უცნაური სოუჟეტური თანმიმდევრობით. მარტოდ დარჩენილი, მუძინა თუ მეღვიძა, სულ სხვა თვალთ ეხედავდი ქვეყანას, სხვა ხმები მესმოდა. ყველაზე ცუდი, ყველაზე მტკივნეული ის იყო, საკუთარ თავს უმწეო მოხუცად რომ წარმოვიდგენდი ზოგჯერ. მიხლოდა ვინმესთვის მომეფოლა, თუ რას განიცდის მიტოვებული, თავისი სიმართლით გაებზრებული, საკუთარ თავთან მარტოდ დარჩენილი, გამწარებული - არ მიხლოდა მეთქვა, მაგრამ მაინც ვიტყვი - შემოილი ადამიანი. საიდუმლოსავით გამენდო ვინმესთვის, რასაც ალბათ სიამოვნებითაც კი მოისმენდა, მე კი მოვიშორებდი, გავთავისუფლდებოდი სიმარტოვისგან კი არა, რაც შეუძლებელია, სიმარტოვისგან აღძრული თუ გაჩენილი ხილვებისგან, რომელთა გამოც სხვა, სინამდვილეში არარსებული ქვეყნის ბინადარი ვხდებოდი.

მეონია, კარს გავაღებ თუ არა, ჩემს ბინაში უცხო, ბოროტი უსახო სტაქია შემოიჭრება, ნიღბიანი ჯარისკაცივით, რომელსაც ასე ხშირად აჩვენებენ ჩვენი ტელევიზორები, მომთხოვს ყველაზე ძვირფასს, რაც გამაწინა. სიამოვნებით გამოუჩენ, მიეცეპ, ოღონდ, არ ვიცი, რა გამაწინა ამქვეყნად ყველაზე უფრო ძვირფასი და რა არის, საერთოდ, ადამიანისათვის ყველაზე ძვირფასი? განა ვინმემ იცის?

კარზე კაკუნი ჩემს სიზმრებსა თუ ცხადს სამი თვის განმავლობაში, ანუ ჩემი ღებრესიის დროს, თან სდევდა გამუდმებით, აკომპანიმენტით.

მამ ასე: მე საკარბელში ვზივარ, ასი წლის მოხუცი. თვითონვე ვხვდები, რომ ნამდვილად ასე არ არის, მხოლოდ ხმამაღლა ვუთქვობ. ამ აღმოჩენამ შემაკრიო, რადგან ისიც ვიგრძენი, უფრო სწორად - იმასაც მივხვდი, რომ ცხოვრება კი არ მიდის, არამედ თავდება, ქრება, თანაც ისე უფერულად, ვერც კი იტყვი, ცხოვრებაა თუ არა. ოღონდ, თუკი ესეც არ არის ცხოვრება, მამ, რა ფოფილა საერთოდ წუთისოფელი? ეს სიტყვა ჩემი საყვარელი ქართველი პოეტების წყალობაა. უცნაური სიტყვაა, თითქოს სულივით ამოდის პირიდან.



ჩემი სავარძელი დიდ, ცარიელ ოთახში რადიატორთან ახლოს დგას. გარედან (დანამდ-  
ვილებით არ ვიცი, გარეთ ქუჩაა, ტრიალი მინდორი, თუ ტყე) რაღაც ხმა მესმის... მგონი  
ვიღაც მღერის. სავარძლიდან ოდნავ წამოწეული, სახელურებზე ხელბდაპჯენილი, დაძაბუ-  
ლი, მაგრამ რატომღაც გახარებული, ვიძიორებ: გესმის, მღერის ვიღაცა, ვიღაცა მღერის! ვის  
ვუძიორებ, ვის მივმართავ, არ ვიცი...

ცარიელი გულის კვლებზე, როგორც ტელეფონის ვიზურში, მისამართები და ტელეფონ-  
ნის ნომრები წერია, ოღონდ, ტელეფონის ვიზურისგან განსხვავებით, იმდენად ცოტა, რომ  
ყველა მახსოვს, ვიცი, ვისია, ეს მისამართები თუ ნომრები. რა უცხოე და შორეულად  
მეჩვენება ახლა ყველაფერი, რასაც ისინი მახსენებენ. მათ უკან უმთავრესად შემთხვევითი,  
წამიერი შეხვედრები ილანდება. იატაკზე დაყრილი ტანსაცმელი, წაქცეული ცარიელი  
ბოთლი, რა თქმა უნდა – შამპანურის, რომელსაც ვერ ვიტან. თვალდახუჭული, უაზრო  
ჩურჩული, ერთი და იგივე სიტყვა, ასევე და ათასჯერ გამძიორებული. მერე ბნელში  
კმაყოფილი, დამცხრალი, მოთინილი გარინდება, თუ ერთი წამით ჩათვლუმ და, რასაკვირვე-  
ლია, სასწრაფოდ, მაგიდაზე ხელის ფათურით მოძებნილი სივარტეტი და ასანთი...

თანდათან ვრწმუნდებოდი, სიხმრებში უფრო საინტერესოდ ვცხოვრობდი, ვიდრე სინამდ-  
ვილეში, მითუმეტეს, რომ ჩემი სიხმრები ძალიან ჰგავდა სინამდვილეს. ზოგიერთ მათგანს  
რამდენჯერმე ვნახულობდი. სიხმრების წყალობა იყო ის გამუშობული მოლოდინი, რომელსაც  
სახელი არ ჰქონდა, მაგრამ უცნაური კავშით მიძიორებდა გუნებას. ვის ველოდებოდი ან  
რას, ვინ უნდა გამოჩენილიყო ჩემს ცხოვრებაში, ან რა უნდა მომხდარიყო ისეთი, ჩემი  
ცხოვრება რომ შეეცვალა? ყველაზე ხშირად და მართლაც რომ საკვირველი სიცხადით,  
სიხმარში იას წასვლის სცენა მძიორდებოდა. ვერაფრით მოვიშორე, როგორც თამრიკოს  
პალტოს ბუსუსი. სივლილი მინდოდა და მისი ნახვა, მისი გახსენება – არა! მაგრამ როგორ  
უნდა დამეღწია მისგან თავი? ვანა სწორედ სიხმარი არ ცხადყოფს ჩვენს უძწიობას,  
თუნდაც, საკუთარი თავის მიმართ? ამ, ზედიზედ უცვლელად გამძიორებულმა სცენამ, როგორც  
ბრალდებულისთვის წარდგენილმა ვიდეომასალამ, თანდათანობით დამარწმუნა, რომ დამნა-  
შავე ვიყავი, ოღონდ არ ვიცი, რა დანაშაული მიმიძიოდა, რა უნდა დამებრალეინა  
საკუთარი თავისთვის. სასამართლოზე შემძიო მელიარეინა დანაშაული, მაგრამ თუ მკითხ-  
ავდნენ, მაინც რა ჩაიძინე ასეთიო, ვერაფერს ვუპასუხებდი. მოკლედ, დანაშაულის მძიელი  
სიმძიე ისე ავიძიდე, თავის მართლება ერთხელაც არ მიცვლია. და რადგან ავიძიდე, ბოლომ-  
დეც უნდა მეტარებინა, როგორც ტვირთი კი არა – ბუნებრივი ნაკლი, თუნდაც კუზი.  
უხმოღ უნდა გადამეყვალა, ანუ მომეძიანა ის შურაცყოფა, რის მოთმენასაც სხვა შემთხ-  
ვევაში ალბათ ვერ წარმოვიდგენდი. ვანა ყველა ასე არ არის, – ვუბნებოდი ჩემს თავს,  
ვანა ყველა არ ითმენს რაღაცას, უმთავრესად კი, რასაკვირველია, უმსგავსობას, რასაც  
თანდათანობით ისე ეჩვენება, რომ ცხოვრებისეულ აუცილებლობად აღიქვამს. ვანა საერთოდ  
დამიანის ცხოვრება იმასთან შეგუება არ არის, რასთან შეგუებაც სიმამწვილეში წარ-  
მოუდგენლად მიანდა?! ცხოვრება უმსგავსობის მოთმენა! ღმერთო ჩემო, როგორ ავიძილად  
იმსხერევა „ყმამწვილის ბრმა სარწმუნოება“! უცებ ვივრძენი, მძიელი ჩემი არსება აჩქარდა  
უეცრად, თითქოს საღდაც მაგვიანდებოდა, საღდაც მულოდებოდნენ და დაუჯერებელი რამ  
დავიჯერე, თითქოს ამ ქვეყნის, ამ სინამდვილის იქით, სულ რამდენიმე ნაბიჯზე მძიორე  
ქვეყანაა, მძიორე სინამდვილე, ოღონდ პატარა საღდურზე გაჩერებულ მატარებელით საცაა  
დაიძრება. უნდა მიეუსწრო, როგორმე უნდა მიეუსწრო, როგორმე უნდა შევიდე იმ მძიორე  
ქვეყანაში, რომელიც რატომღაც ექიმის კაბინეტს ჰგავს, საღდაც შირმის უკან თეთრმუშამ-  
ბაგადაკრული ტახტი მოჩანს. ამაზე შორს ჩემი ფანტაზია არ მიდიოდა და ყველაფერზე  
მეტად იმ ტახტზე გაწიოლა, გაჭიბვა, გაწვართვნა მინდოდა, რათა ყველა თანამდვეი ხილვა  
თუ ჩვენება ერთბაშად დამძიწებოდა, გამქრალიყო, წამლილიყო, წყვლიადმი ჩაკარგულიყო.  
ოღონდ მე – და ეს იყო მთავარი – ექიმი კი არა, პაციენტი ვიყავი და ამის გამო, თუ  
შეიძლება ითქვას, ბენდიერიც! ავად ვარ, – ვფიქრობდი, – ნამდვილად ავად ვარ. მგონი,  
ვეფლები, მე სხვებს როგორ უნდა ვუძიკუნანლო, როცა თავად სამკურნალო ვარ. ჩემი



შეშვითება გავანდე კიდევ ერთერთ კოლეგას, რომელთანაც ვმეგობრობდი. ამ ტერმინს ამ შემთხვევაში, დაზუსტება ჭირდება, რადგან ჩვენი მეგობრობა იმით ამოიწურებოდა, რომ ტელეფონით ვლაპარაკობდით ხოლმე, ანდა კლინიკის გადაღმა გადავიბრუნდით სახნიკლეში და ერთ-ორ ჭიქასაც გადავკრავდით. ერთხელ საკუთარი ლექსებიც წამიკითხა. შემზარავი. თქმით კი ვუთხარი, კარგია-მეთქი. ვიცეილ, — მიპასუხა. რა ვუყო, რა მოუხერხო ამ სიზმრებს, კომპარებს, ამ დეპრესიას, აპათიას. არაფერი აღარ მინდა, არ მაინტერესებს. გახუთსაც კი ვეღარ ვკითხულობ. მაინც ყოველდღე მოვიდვიარ და ჩემს ჩვეულ საქმიანობას ვაგრძელებ. ანუ პაციენტსაც ვატყუებ და საკუთარ თავსაც-მეთქი.

— შენ ჩემ-ჩემად, უჩემოდ ხომ არ სვამო? — თვალები ეშმაკურად მოჭუტა, — გამოტყელო.

- არა, არ ვსვამ-მეთქი.
- ძალიანაც ცუდიო.

იმ დამით შინ დამირეკა, შეეჩვევიო, მითხრა, — მე პირადად სამჯერ გამოვიცვალე ცოლიო. ესე იგი, ტყუილად შევიჩველე, ტყუილად გავანდე ჩემი წუხილი თუ შეშვითება. არავის არ ესმის მეორე ადამიანისა. არავის, თვით ყველაზე მახლობელსაც კი, შეიძლება უფრო მეტად სწორედ მას. კი შეწუხდება, რომ გტკივა, მაგრამ ვერაფრით წარმოიდგენს, როგორ გტკივა. დაუშვათ, მოხდა ისე, რომ შენი ტკივილი ბოლომდე, ძალიანად გაითავისა, მაინც ვერაფრით დაგეხმარება. ვინ ამოტყუმავს შენი არსებიდან შიგ კვამლივით ჩამდგარ დარღსა თუ კაეშანს. და აი, ერთხელ შუალამისას თვალი დავატყვიტე და დედა-მეთქი, ვიფერე. ისე მომინდა, ისე მომინდა მის კალთაში თავი ჩამერგო, თავზე აკანკალებული ხელი გადავიგება, ავტირებულობყავი, ბავშვივით წრფელი, მხურვალე ცრემლით დამითუტოდა სახე, წამოვყარდი, დერეფანი გავიბრინე, და ჩემი შშობლების საწოლი ოთახის კარი კი არ შევადე, შევევლიჯე, დედა-მეთქი, დედა! — ყვიროდი. მერე, სადაც ვიდექი, იქვე ჩავჯექი. გული ამოვარდნაზე მქონდა. როდის როდის მოვიტყეი ხული... ეკლესიაში სანთელი აუწითო, მითხრა მეორე დღეს ჩემმა თანამშრომელმა. მართლაც, წავედი და ვაკეში პატარა, ახალი ეკლესია რომ არის, იქ ღვთისშშობლის ხატის წინ სანთელი ავანთე; ღვთისშშობელი მარამ, იქნება მიაწვდინო დედაჩემს ხმა, რომ ძალიან, ძალიან მარტო ვარ... ძალიან მიჭირს, უიძისობა. ყოველთვის მეშინოდა სიმარტოეის, სიმარტოეის შიშით ბევრ რამეზე თვალს ვხუჭავდი, ანუ ახი იყო ჩემზე ყველაფერი, რაც დამემართა. ნუთუ მართლა გავაუბედურე ქალი, რომელიც... მივყარდა! ძლივს ამოვტყეი ეს სიტყვა, ყელი ამომკაწრა თითქოს. მივლი ჩემი ავანგაშებული არსება მანიშნებდა მარტო არ შექმძლო გაძლება, უფრო სწორად, ხმის გამცემი, ანდა ყურის მგდებელი მჭირდებოდა, ოღონდ გულით რომ მომისმენდა, ანდა გულით რომ მეტყვოდა რამეს. იმ დამეს დამესიზმრა, ვითომ თოვლიან ქუჩაში ვილაც ცილინდროსანს მივდედი უკან. მეცხრაამეტე საუკუნის სურათიდან იყო თითქოს გადმოსული. ზუსტად ისე ეცვა, როგორც „ფაუსტის“ მეფისტოფელს თბილისურ საქეტაკლში, ყველაფერი რომ რიგზეა, მაგრამ მაინც რაღაც აკლია, რაღაც ისე ვერ არის, ზუსტად ისე რომ იყოს, როგორც საჭიროა, მაგრამ ვერაინ, თვით მეფისტოფელიც რომ გაცოცხლებულიყო, ანუ მკვდარი რომ ყოფილიყო და გაცოცხლება შესძლებოდა, ვერ იტყოდა, რა აკლდა მის ჩაცმულობას. დმერთო, როგორი ნაცნობა-მეთქი ეს ადამიანი, გავიფიქრე, კი ნამძვილად ვიცნობდი. უცებ გონება გამიწათდა, ეს ხომ თავზარაშვილია, აკადემიკოსი! პატონო ლალო, საით გავიწევათ ამ შუა ღამისას, ნუთუ ისევ აეროდროშზე მიბრძანდებით? არ მიპასუხა, მე კი არ ვეშვებოდი: დაანებეთ მაგაზე ფიქრს თავი, იქიდან არავინ ბრუნდება. დამიჯერეთ. თუცა ჩემგან თქვენი რა ვესწავლებათ. მერე მე და ჩემსმიერ თავზარაშვილს მიმსგავსებულმა კაცმა კარგახანს ვიარეთ ცარიელ ქალაქში და ბოლოს მდინარის პირას ჩავდით ვითომ და ჩემს სიცოცხლეში პირველად ენახე გაყინული მდინარე. უსიცოცხლო და უსახური, როგორც მაცივირიდან გადმოღებული, გაფარჩხული დიდი თევზი და მართლაც, გაყინული თევზით ველო მდინარე სანაპიროს ბეტონის კედლებს შორის, ამ კედლებში ძლივს ჩატყული, თავისი გაყინული, დაგლეჯილი ფარფლებით. არა, მე სიზმარში მეგონა ასე, გაყინულ მდინარეს პირველად



ვხედავო, ნამდვილად კი გაყინული მდინარე პირველად ცხადში ვნახე, მაშინ რეცა თამბრე კო დაიბადა. შუალამისას დამირეკეს და თავქუდმოვლევადი გავვარდი სამშობლარსკენამკ ჩემზე ადრე მისული სიმამრი და ცოლისძმა დამხედნენ. მერე იქიდან რომ გბრუნდებოდით, ჩემი სიმამრი მანქანაში არ ჩაჯდა, მე და ლევანი ცოტას ფეხით გავივლითო, უთხრა ბადრის. თუმცა სასიერნო ამინდი ნამდვილად არ იყო. მთელი გზა ჩუმად მივედიოდით. თენდებოდა. სანაპიროზე, მოავდირთან შეჩერდა. სივარეტის კოლოფი ამოდო, მეც გამომიწოდა. ძლივს მოუკიდეთ. სუსხიანი, ეკლიანი ქარი უთერავდა. სად იყავი? - მკითხა, - გეძინა? დიახ, - ეუპასუხე. მინდოდა მეთქვა, როცა დამირეკეს, მაშინვე გამოვვარდი-მეთქი, მაგრამ არ მაცალა: ია კინადამ ხელში ჩაგვაკვდა. საკეისროთი ამოიფანეს ბავშვი.

- ვიცი, - ეუთხარი, - ექიმმა მითხრა.

- ექიმი იმას ვერ გეტყვოდა, რასაც ახლა გეტყვი: ჩემი ხელით მოგკლავ!

- ბატონო? - ვერ გავიგე ბოლო სიტყვა.

- მოგკლავ-მეთქი ჩემი ხელით, - გაიმეორა და სივარეტის ნაშუკავი წკიპურტით გადააგლო მტკვარში. - როგორ გაყინულა ეს შობელმადლი! - და გატრიალდა.

არ გავყოლილვარ. ცოტახანს კიდევ ვიდექი იქ და გაყინულ მდინარეს დავცქეროდი, რა თქმა უნდა, მივხვდი, რისი თქმაც უნდოდა. უცვე მერამდენედ მიმეორებდა ერთსა და იმავეს: თუკი როდისმე ოდნავ მაინც (მისი სიტყვით, „ფრჩხელისოდენად!“) ვაწყვინებდი მის ქალიშვილს, რომელმაც მამის რჩეულ სასიძოს, მისი უფროსი ამერიკელი ძმის პარტნიორს, მილიონერ ბიზნესმენს უარი უთხრა და ისევ მისი სიტყვით - გიყვების ექიმს ჩამოგკიდა კისერზე, მომკლავდა! სხვათაშორის, მართლაც, შეეძლო მოვეკალი. სანაპიროზე ვიდექი და ვფიქრობდი, მოუნელბელმა სიბრაზემ, მოუთოკავმა პატეიმოვყაროებამ იდიოტიზმადეც კი შეიძლება მიიფანოს ადამიანი. რა ჩემი ბრალი იყო, საკეისროთი რომ ამოიფანეს ბავშვი?..

მაგრამ სიხმრის კაცი ნამდვილად ჩემი სიმამრი არ იყო, არც აკადემიკოსი თავხარამ-ვილი. ამავე დროს, ორივეს ჰვავდა რალაციით. უცხონი და სხვადასხვანაირები ვიყავით ერთმანეთისთვის, ორი სხვადასხვა დროის, სხვადასხვა სამყაროს, სხვადასხვა გალაქტიკის ბინადრებივით. - ძაღლს ვერ ხედავთ? - მკითხა კაცმა, - ნუთუ მართლა ვერ ხედავთ ძაღლს, ჩვენ ხომ სწორედ მაგის გულისთვის ჩამოვედით აქ, გაყინულ მდინარესთან!

და თითქმის მაშინვე დაეინახე საცოდავად კუდამოტუებული, საცოდავად მოკუნტული ძაღლი, რომელიც, უცნაურად აპრიალბებული თვალბი რომ არა, თოვლის ნამქერი გვეონე-ბოდათ.

- აი, ეგ იქნება სწორედ თქვენი ძვე ზური! - გაიცინა კაცმა.

უცბ ისე შემეშინდა, ერთიანად ავკანკალდი:

- ნუთუ დაებრმავდები? - ძლივს ამოვლერღე რამდენიმე სიტყვა.

- პირიქით! - ცოტახანს გაჩუმდა, მერე დაუმატა, - თვალბი ავებნილბათ!

- რაზე, რაზე ამებნილბა თვალბი? - ვკითხე, უფრო სწორად, ჩავაფრინდი, ჩავეჭიდე ამ კითხვას, როგორც გადამჩრჩე, თუ კიდევ უფრო დამლუპველ ხავსს.

- ბოლოს და ბოლოს მიხედბიბით, რომ სწავლა მხოლოდ საკუთარი თავისგან შეიძლბა. ვსწავლბობთ, რათა დავივიწყოთ, ვივიწყებთ, რათა ვისწავლბოთ, - კაცი ჩემს წინ ბოლბთას სცემდა გრძელი, მტკიცე, ხმაურიანი ნაბიჯით, თითქმის დუღლისთვის თუ თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმისთვის მანძილს ზომავსო, - ოღონდ არ ვიციბთ, რისი გულისთვის ვსწავლბობთ, ან რისი გულისთვის ვივიწყებთ ნასწავლბსა და შეთვისებულს და ეს არცოდნა სწორედ, ყინულის ნაგლეჯზე წონასწორობას რომ გეინარჩუნებს. დიახ, დავიწყბბასა და სწავლბას შორისა ვართ მოქცეულბნი, როგორც ერთმანეთის საწინააღმდეგო მიმართულბებით მიმავალ მატარებლბებს შორის. თქვენ ისიც კი არ იციბთ, ვინა ვარ, ვის ელაპარაკებბით...

- ვიცი! - შევეყვირე გახარებულმა, თითქმის საშუალბება მომეცა მეთქვა მთავარი სათქმელი, რაც ყველაფერს თავის ადგილზე დააყენებდა, ანუ მეთქვა ის, რაც თავისდროზე ვერ ეუთხარი ვერც ჩემს სიმამრს და ვერც თავხარაშვილს, თუმცა ამ კაცის ნათქვამბი ისე მეცნო, რომ ერთერთი მათგანის ნათქვამად მივიღე.



- არა, - გამაფრთხილა კაცმა, მხარზე ხელიც კი დამკრა მსუბუქად, და არც შეიძლება იცოდეთ. მე თქვენ ახლა ოპერის ბებერი მომღერალი გვინივართ.

- აჰ, არა, არა! - ხელები გაეასავსავე, ძალიან შემრცხვა, რადგან ზუსტად ასე ვფიქრობდი.

კაცმა კი განაგრძო:

- ოპერის მეფისტოფელი! ხომ მართალია? გაჩუბდით! ნუ შემაწყვეტინებთ! მსახიობი გვინივართ, რომელიც ახლა იმით ერთობა, რომ გაყინულ მდინარესთან თავის თავს ელაპარაკება.

- თავის თავს? - ეს დროის გასაყვანი, არაფრის მოქმელი სიტყვა იყო, რადგან უცებ მივხვდი, ყველაფერი სიზმარში ხდებოდა და ამიტომ რაც შეიძლება ნაკლებად უნდა ავლელკებულყოფი. მაგრამ ყველაფერზე ძნელი სწორედ სიმშვიდის შენარჩუნება აღმოჩნდა, ხმაც კი ამითრთოლდა, გამებზარა და როცა შეკითხვა გაეუმეორე, საკუთარი ხმა ვეღარც კი ვიცანი, იმდენად გამოცვლილიყო და უფრო მეტიც - იმდენად დამსგავსებოდა ამ მაღალი, თეატრალური გარეგნობის კაცის ხმას. თითქოს ახლა ორივე ერთი ხმით ველაპარაკებოდით ერთმანეთს, ორივეს ერთი, საერთო ხმა გვქონდა და ტენისის ბურთივით ერთმანეთს ვესროდით.

- დიახ, - არ დააყოვნა იმანაც, - თავის თავს, რადგან სულ რაღაც ოცდაათი წლის მერე, რომელიც ძალიან სწრაფად გაიბრუნს, ამქვეყნად ყველაფერზე ჩქარი ხომ დროა! შეიძლება გახდეთ ზუსტად ისეთი, როგორც ამჟამად მე ვარ და არა მარტო გარეგნობით... ამას კიდევ აიტანს კაცი, თუმცა ჩემს გარეგნობას აშკარად დასცინით...

- არა, არა! - შევაწყვეტინე.

- დამაძაღეთ! - შემომწყვრა, - არამედ ბედითაც! აი, ბედს კი ტანსაცმელივით ვერ გამოიცვლი. ბედი თეატრის რეკვიზიტი როდია. ბედს ვერც ბულანგესავით გაიპარსავთ, თქვენ რომ ოპერის მეფისტოფელი ვაგახსენათ. ოცდაათი წლის მერე თქვენც ზუსტად ჩემსავით, გაყინულ ქუჩაში, გაყინულ მდინარესთან იდგებით, იმიტომ რომ სხვაგან წასასვლელი არ გეჭნებათ არსად. და მიუხედავად იმისა, რომ თოვლი გძულთ და შეიძლება ითქვას, ყველაფერზე მეტად თოვლს ვერ იტანთ, მაინც ამ გაყინულ მდინარესთან, რომელიც უკეთესი იქნება თქვენივე ცხოვრებას შევადართო, ახალ წელსაც კი ძალღის ამარა შეხედებით.

- ოცდაათი წლის მერე? - ვიკითხე ხმის კანკალით, რადგან ჩემთან დაბრუნებულ ტენისის ბურთს სიმკვრივე დაჰკარგვოდა, მომწარულიყო, - რა უყვით მერე, - ვთქვი, - რამდენი ცხოვრობს მარტო.

- მაშ, თქვენ თანახმა ხართ? - გაიკვირვა კაცმა და ზიზღით ტუჩები მოწურა, - ნუთუ სიმარტოვის არ გეშინიათ?

- არა, - უპასუხე, თან გავიფიქრე: „ღმერთო ჩემო, რა იცის, რომ ყველაფერზე მეტად სიმარტოვის მეშინია?“ - არა! - გავიმეორე უკვე მტკიცედ, ტენისის ბურთმაც ძველი სიმკვრივე დაიბრუნა - არ მეშინია. ქვეყანა მარტოხელებითაა სავსე.

კაცმა გაიციანა და წაივდა. ერთი-ორჯერ კი მომხედა, ვიდრე თვალს მიუფარებოდა. მისი სიცილე კარგახანს მესმოდა.

გამეღვიძა. პირი გამშრობოდა. საზიზღარი გემო მქონდა. აუღვტი. წყალი დავლიე. ისეთი გრძობა ამგვა, თითქოს ვიღაცას თუ რაღაცას ეულაღატე. სააბაზანოში სარკეში ჩემს თავს ეუთხარი, ნუ გეშინია, შენთვის არ მიღალატია. ოღონდ როცა ამას ვამბობდი, ვგრძობდი, ვტყუოდი, რადგან გული უცნაურად დამიცარიელდა, რაც ჩემთვის ბავშვობიდან ნაცნობი იყო, რადგან სწორედ ბავშვობაში ვტყუოთ ზოლმე ყველაზე ხშირად. ვტყუოდი და რაღაც გაურკვეველი დანაშაულის გრძობა გულს მიწურავდა.

- იცი, - ეუთხარი ჩემს თავს სარკეში, - ძალღის ანაბარა ვაპირებ ცხოვრებას! ვბერდები...

წამოვდი. დაწვეტი. კვლარ დავიძინე. წიგნი ავიღე. ვერ წავიკითხე. ვიწვეტი ასე დილაამდე



თვალდაჭყეტილი.

ნადრევი სიბერე, რომელიც მოულოდნელად სარკეში ჩემს თავთან ლაპარაკს მდრისა ვიგრძენი, მიუხედავად ასაკისა, სრულებითაც არ იყო ნადრევი. ეტყობა, მე უფრო ადრე დაებრდი, ვიდრე ამას ასე მტკივნეულად ვიგრძნობდი, მე ხომ ყოველთვის ყველაფერს ვითმენდი – შინაც, კლინიკაშიც, საერთოდ ყველგან თუ ყველასგან. მოთმინება, ეტყობა, დაბადებიდანვე მქონდა მოსჯილი და მეც არ გაეძალიანებულვარ, გაეძალიანებულვარ კი არა, როგორც ხსნას, როგორც უსახლკარო – სახლს, ისე შევეფარე, თუმცა ვიცოდი და ეს იყო სწორედ ყველაფერზე მტკივნეული, რომ ის სახლი კი არა, ლოკოკინას ნიჟარა იყო...

ტყუილად არ უთქვამთ, ნამდვილი ცხოვრება სიზმარშიაო. სიზმარში ვხვდებით, სიზმარში ვხვდავთ, სიზმარში ვუსმენთ, ეტყობა, ჩვენს თავს, სიზმარში ვიცით ანუ ვისხვებით იმას, რაც ცხადში აღარ გვახსოვს, ანუ სიზმარში ვიცით, ნამდვილად ვინა ვართ...

ასე გრძელდებოდა კარგა ხანს, ჩემს სიზმარ-სექტაკლებში ვცხოვრობდი, უნებურად ემონაწილეობდი, თანაც ჩემი ტექსტი აშკარად არ ვიცოდი, შეიძლება არც მქონდა არაფერი სათქმელი, ჩვეულებრივი სტატისტი ვიყავი, ან ბოლო, ფინალურ სცენას ველოდებოდი, უფრო სწორად – ამისთვის ვყავდი გამზადებული უხილავ რეჟისორს. აკი ასედაც მოხდა, მაგრამ იქამდე ვერ ადრეა...

ჩვეულებრივი, არსებობისთვის აუცილებელი სიტყვები, რომლებსაც თითქმის მექანიკურად წარმოვთქვამდი კლინიკაში, მარკეტსა თუ მეტროში, ამ დიდ სექტაკლს არ ეკუთვნოდა, იმდენად უმნიშვნელო იყო, სიტყვებად არც კი ვთვლიდი. მოკლედ ჩემი ცხოვრება იმდენ ენერჯიას მოითხოვდა ჩემგან, ისეთ სულიერ დამაბულობას, რომ დამით არაქათგამოცლილი ძლივს მივაღწევდი ხოლმე საწოლამდე. მაგრამ არც ეს იყო ხსნა: საწოლი წამების დაზვად გადაამტკცა თითქოს. ნუთუ ასე მიყვარდა, – ვფიქრობდი, – ნუთუ ჯობდა, მომეკლა? – აი, ასეთი საშინელი აზრები მომდიოდა თავში. გული ამიჩვილდებოდა, ყელში რღაღც მწარედ წამოქვრდა. წამოვევარდებოდი. დაკბორიალოზი ბინაში.

– შენი მონაყოლი, – მითხრა ჩემმა თანამშრომელმა, – ალკოჰოლურ ჰალუცინაციებს ჰგავსო.

მგონი, პირიქით კი იყო საქმე, რამდენჯერაც დავთვერი, იმდენჯერ მშვიდად, უსიზმროდ მეძინა.

შინ მარტომ დავლიე, რაც არასოდეს გამიკეთებია. ბოთლი მოვიყვდე, არც კი მიფიქრია, ჭიქა ამელო, ადამიანურად დამელია, ადამიანურად კი არა ისე როგორც ადამიანების მიერაა დადგენილი, თორემ არავინ იცის, ამქვეყნად რა არის ადამიანური და რა არა. უცებ დავთვერი. საერთოდ კარგად ვიტან სასმელს, ნაცნობ-მეგობრების წრეში წვეულებებზე ხშირად ვთამაობ ხოლმე. ნაბახუსევზე რომ გამძვავია, ისეთი გრძობა მქონდა, თითქოს სიბნელიდან ამომეყვინთოს. სიმათლევ რომ ვთქვა, ამ უკუნეთს ისევ ის ჩემი კომპარები მერჩია. აი, მკვდარს არჩევანი რომ ჰქონდეს, და სიკვდილს სიცოცხლე ერჩიოს, ისე იყო ჩემი საქმე. მერე საოჯახო აფთიაქში იას უამრავ წამალს შორის (აკი, არაფერი გვრჩებაო!) „ლექსოტანინი“ მოვებენ და ვარდისფერ აბს რომ ველაპავდი, უეცრად ასეთმა აზრმა გამიელვა თავში, შევიცარიაში, ერთერთ სატყვეწმოდ სახელგანთქმული კლინიკის ექიმად ნამდვილად ჩემი სიამარის წყალობით მიმიწვიეს! შეიძლება ჩემს მაღალ ჯამაგირსაც თეთიონ იხდიდა აქედან. არადა, დარწმუნებული ვიყავი, რაც ძალიან მეამაყებოდა, ჩემი გამოქვეყნებული შრომების გამო გამომარჩიეს უამრავ და უამრავ ქართველ ექიმს შორის-მეთქი. ეს დამამშვიდებელი აბი თვალის ამხელიც ყოფილა. ეტყობა, მართლაც ასე იყო საქმე: თავისი ქალიშვილი გაარიდა აქაურობას, ისევე როგორც თავისი უფროსი შვილი. არა მარტო მე, იაც იმავე კლინიკაში მსახურობდა, აი მაშინ უნდა მივხვედრილიყავი, რომ ჩემი შრომები შევიცარიაში, შეიძლება წაკითხულიც კი არ ჰქონდათ. ჯამაგირის გარდა, ბინაც და მანქანაც ალბათ ჩემი სიამარის ნაჩუქარი იყო.

მე და იამ შევიცარიაში ათი წელი ვიცხოვრეთ. აქაური ამბები კანტი-კუნტად თუ აღწევდა ჩვენამდე. საქართველოზე პრესაშიც ძალიან ტუნწად საუბრობდნენ. განებივრებუ-

ლი ხალხისთვის ალბათ გაუგებარიც კი იყო, როგორ შეიძლებოდა მეტყველებულიყო საუკუნის დასასრულს რომელიმე, ნებისმიერი ხალხი ასე დატანჯულიყო. როგორ შეიძლებოდა, კრავინ გამოქომაგებოდა, როცა ტერიტორიებს სტაცებდნენ, როცა გაზს უკეტავდნენ, შუქს ურთავდნენ, რაც მისი ფიზიკური განადგურების აშკარა მცდელობას ჰგავდა. არა, იქ ამის არც გაგება შეუძლოთ, არც თანავარძლობა. იმათ უკვე თავის დროზე გააკეთეს ყველაფერი საიმისოდ, რომ მსგავსი პრობლემები აღარასდროს გასჩნდოდათ. მე და ია იქ, შეიძლება ითქვას, საკუთარი უსაფრთხოების პატივრები ვიყავით, მაგრამ, რასაკვირველია, ერთმანეთსაც კი არ ვუძახვდით ასეთ ფიქრს. ბევრს ვმუშაობდი, ვმუშაობდი და თან ვსწავლობდი კიდევ, რადგან ის კლინიკა ჩემისთანა ფსიქიატრისთვის, მართლაც რომ, უნივერსიტეტი იყო. ღვთის წყალობით, რამდენიმე ენა ვიცოდი, ჩემმა მშობლებმა დროზე იზრუნეს ამისთვის. თავისუფალ დროს ბევრს ვსეირნობდით, მანქანით, ფეხით, მთელი ქვეყანა შემოვლილი ვეჭონდა. თითქმის ყოველ დღით ჩოგბურთის ვთამაშობდით. ია აშკარად მჯობნიდა. ბებეროო, იცნოდა. მაგრამ მაშინ, რასაკვირველია, სიბერეზე ძალიან შორს იყო, უფრო მეტიც, საერთოდ არ ვფიქრობდი სიბერეზე. ნაცნობებს, ძირითადად ჩვენსავით სხვა და სხვა ქვეყნიდან ჩამოსულ ექიმებს, შინ ვპატივებდით ხოლმე. თამარბაზე (ჩვენს დედებს თამარი ერქვათ), დიდი ამბით აღენიშნავდით 26 მაისს, იას დაბადების დღეს. ბავშვზე საუბარს ჩვენს ოჯახში ტაბუ ედო, იას შვილს ვერ უხსენებდი, პათოლოგიური შიში ჰქონდა მშობიარობის. ჩვენი ცოლქმრული ურთიერთობა, ჩვენი საერთო საწოლი თითქოს ბრძოლის ველი იყო. უნდა შეურიგდე ამასო, — მეტყვოდა ხოლმე, — აირჩიო, ან მე ან ის!

ვიბნეოდი, არ ვიცოდი, რა მეთქვა.

— გინდა მოგკვდე? — მუხუბნებოდა ძალიან მშვიდად და ამიტომაც ცინიკური დაუნდობლობით, როგორც იმ წუთას მეჩვენებოდა.

რალაც აბებს ყლაპავდა. მეც პირველივე ღამეს მიიძულედა, ტრადიციული საშუალებებით დამეცვა სიფრთხილე. ჩემმა სიმამრმა გრანდიოზული ქორწილი გადაგვიხადა. რამდენიმე საათის განმავლობაში მოთმინებით ვიტანდი და ვემორჩილებოდი მჭექარე თამაღის ბრიყვეულ ბრძანებებს. ოღონდ ცეკვით მაინც ვერ მაცეკვეს, თუმცა ფეხზე წამოჭრილი ხუთასი კაცი შემომბლოდა: სიძემ იცეკვოს, სიძემო. (იაც მოხვდა თაყვალუნული. თითქოს თუფშს ქორწინებოდა: ვიცეკვოთ, ლევან, მამას ეწყინებო!). მერე როცა ბოლოს და ბოლოს მარტო დავრჩით ოთახში, უსიტყვოდ გაიხადა ტანზე და დაწვა. მანამდე თქვა, რა ცუდია, ამ ღამაზე კაბას რომ ვეღარ ჩავიცვამო. საბანი არ გადაუფარებია. ღიმილით მიცქერდა, რა ფაცა-ფუცით ვიხდიდი. ნუ ჩქარობო, მითხრა, — სად გეჩქარება?

საწოლზე ჩამოვუჯექი.

— შემომფიცე! — მითხრა.

— რა შემოგფიცო?

— რომ სულ გვეყარები!

— რაღა დროს ფიცია, ჯვარი გვაქვს დაწერილი!

თავი მიიბრუნა და ჩუმად თქვა:

— მეშინია.

— რისი? — საკოცნელად მივეტანე. კოცნითვე მიპასუხა. მერე ისევ გაიმეორა:

— მეშინია.

— რისი გეშინია, ადამიანო?

— შეილის!

აი, მაშინ უნდა წამოვხულიყავი, გამოვქცეულიყავი, დამენებებინა თავი ყველაფრისთვის, გადავსახლებულიყავი სადღაც მოლწველში, მაგრამ იმ წუთას არ არსებობდა ძალა, დამათრობელი ელექტრობით დამუხტულ სხეულს, ტკბილად უძირო ტურნებს რომ მოვეწყვიტე. ყველაფერზე თანახმა ვიყავი. ყველაფერზე.

— პრეზერვატივი გაიკეთე, — ისე თქვა, ვითომც არაფერიო. პირველად მესმოდა მისგან ეს სიტყვა.

- სად ვიშოვო ამ შუადამისას პრეზერვატივი?

- მანდვე დევს, ტუმბოზე. ხელი გადაყავი და ნახავ.

შვილი, რასაკვირველია, მაინც გაგვიჩნდა, ოღონდ მერე, შევიცარიიდან რომ დაგბრუნდით, ანუ ამ ოთხი წლის წინ. ბინა, რა თქმა უნდა, გასარემონტებელ-დასალაგებელი დაგვხვდა. ია მთელი თვე მშობლებთან ცხოვრობდა, მე კი ამქვეყნად ალბათ ყველაზე არაპრაქტიკული კაცი, ხელოსნებს ვადექი თავზე. დარწმუნებული ვარ, ყოველშემთხვევაში, ხელოსნებთან ერთოიანმა ურთიერთობამ დამაჯერა, რომ ადამიანს თუკი ბინის გარემონტება შეუძლია, სახელმწიფოსაც ადვილად გაუძღვება. როგორც ჩანს, დედამისმა, ანუ ქალბატონმა თამარმა, ყველა მიმართ გასაოცარი ყურადღებით გამორჩეულმა ქალმა, რომელიც თითქოს სულ ვიღაცის მაგიერად იხდიდა ბოდიშს, იას ჩააგონა, ასე არ შეიძლებაო და, ჩემს ბინაში, ახალგარემონტებულ საწოლ ოთახში გაღვიძებულმა, საბნიდან გამოიჭყიტა და მკითხა: შვილი გვეყოლებაო?

- მაგას რა სჯობს, - ვუპასუხე, - ნეტავი, მართლა გვეყოლოს შვილი!

- არ მომეკარო, - მითხრა, - აღარ მომეკარო...

გაიარა ცოტახანმა და ერთ მშვენიერ დღეს სიმამრი გვესტუმრა, რაც არასოდეს მომხდარა, ჩემს სახლში მანამდე ფეხი არ შემოუდგამს. ახლა კი სავარძელში იჯდა, ია მის მუხლებზე მოკალათებულიყო, ხელები მაშისთვის კისერზე შემოეხვია, თავი კი მის მკერდში ჩაერგო. კარი რომ შევადე, არც შეტყობიათ, ჩემი მოხელა გაიგეს თუ არა. მე იქვე კართან გაეზრდი. მხოლოდ დიდი კედლის საათის ტიკტიკი ისმოდა. ვიგრძენი, აქ ზედმეტი ვიყავი. ოთახიდან გამოვედი. კარი ზურგს უკან ფრთხილად გამოვიხურე. ჩემს კაბინეტში შევედი. მაგიდასთან დავეკეცი. „მნათობი“ ავიღე, გადავშალე, კარგახანს უაზროდ დავცქეროდი ფურცელს. ამ დროს სიმამრი შემოვიდა. წამოვდეკი. იჯექი, იჯექო, - მითხრა.

- დაბრძანდით, - სკამი გამოუეწიე.

არ დაჯდა.

- იცი, - მითხრა, - შვილი გეყოლება!

- ბატონო? - ყურს არ დავუჯერე.

არაფერი აღარ უთქვამს. გატრიალდა და წავიდა.

- არ გიხარია? - მკითხა იამ, როცა მარტონი დაგრჩით.

- ჩემთვის არ უნდა გეთქვა? - ძალიან მეწყინა, პირველს მე რომ არ მითხრა ეს ამბავი.

- შენ ის მითხარი, თუ გაგიხარდა?

- შენ? - ეკითხე პასუხის ნაცვლად.

- მე? - ცოტა ხანს გაჩუმდა, თითქოს ფიქრობდა, ვთქვა თუ არაო, - მე? - გაიმეორა,

- ხო, გადაწყვეტიტე, გავაჩინო.

- ძალიანაც კარგი, - ვუთხარი.

- მეტი არაფერი? - გაკვირვებულმა შემომხედა.

- მეტი რაღა უნდა გითხრა?

- მართლაც, მეტი რაღა უნდა მითხრა, ყველაფერი თქვი. იცი, ოცდათოთხმეტი წლისა ვხდები...

- ვიცი, - ვუთხარი, - რამდენისაც ხარ!

- ბრაზობ?

- არა, რატომ უნდა ვბრაზობდე? კი მაგრამ, აღარ გემშინია?

- შენ წარმოიდგინე, მეშინია, - მიპასუხა, - როგორ არა, ძალიან მეშინია.


- ესე იგი, - ვუთხარი, - მოხდა ის, რისიც გემშინოდა.

- ხო, რისიც ძალიან მეშინოდა. გავიმწარე ცხოვრება... ახლაც ძალიან, ძალიან მეშინია.

არ ვიცი, რა დამემართა.

- არაფერი, - ვუპასუხე, - უბრალოდ ქალი ვახდი. ნორმალური ქალი. მართალია, ძალიან გვიან, მაგრამ ხომ გაგიგონია, სჯობს გვიან, ვიდრე ...

- ეგ არაეინ იცის, - შემაჩერა, - რომელი სჯობს - გვიან თუ არასოდეს, - ცოტა ხანს



ჩაფიქრდა, მერე თითქოს მე კი არა, სხვა ვიღაცას ჰკითხა, — ქალი? შეშფოქდა...  
 შეიძლება! შეიძლება მართლაც ასე იყოს...

მერე ბავშვი გაჩნდა. მერე ჩემი სიმაძრი გარდაიცვალა მოულოდნელად შარშან. პროკურატურაში დაიბარეს, როგორც სხვა ბევრი ცნობილი ადამიანი. იქ ორი დღე ჰყავდათ. ამბობდნენ, დიდი თანხა გადაიხადათ. მერე ჩვეულებრივად განაგრძო ცხოვრება. ოღონდ ახლა ცოლს აღარ იშორებდა. მანქანაშიც სულ ცოლი ეჯდა გვერდით. საგურამოში აგარაკზე აღიოდნენ ხშირად. რამდენიმე დღე რჩებოდნენ კიდეც იქ. სულ ბაღში ტრიალებდა, საქმიანობდა, სულ რაღაცას აკეთებდა. სწორედ იქ, საგურამოში, ჩვეულებისამებრ ტელევიზორის წინ რომ იხსდნენ, ცოლმა რაღაც ჰკითხა და აღარ გამოეპასუხა...

ყველაფერი ცხადად და დაწერილებით რომ მახსენდებოდა, შეიძლება ნაადრევი სიბერის ბრალი იყო, რომელიც, როგორც ვთქვი, სარკეში ჩემს თავთან ლაპარაკის დროს ვიგრძენი, ოღონდ, ყველაფერი მე კი არა, თითქოს სხვას გადახდებოდა თავს, სხვას მოეცოლა ჩემთვის. ბევრი რამ, შეიძლება ამიტომაც, დღემდე გაუგებარი, ბუნდოვანი, ამოუხსნელი დარჩენილიყო. არა მარტო ჩემს, ალბათ ყველას ცხოვრებას ახლავს ასეთი ლაქები, ოღონდ ბევრისგან და ბევრისგან განსხვავებით, მე რატომღაც საკუთარი ცხოვრების აზრის ამოხსნას შეეცადეთანაც სწორედ მაშინ, როცა საშინელი დეპრესიის გამო ნორმალურად ვერ ვაზროვნებდი. ამიტომ უცებ ვერ მივხვდი, უმჯობესი იქნებოდა, ბევრი რამ ბოლომდე გაურკვეველი დამეტოვებინა, როგორც იქცევა ალბათ ყველა, თუკი, რასაკვირველია, მშვიდად ცხოვრებას აპირებს. მშვიდად კი არა, ჩვეულებრივად, სხვების მსგავსად, სხვების წამხედურობით. სინამდვილეში სიმშვიდე ძალიან პირობითი ცნებაა. არ არსებობს ყველასთვის ერთნაირად სავალდებულო გაგება ამ ცნებისა და არც შეიძლება არსებობდეს. თუმცა განა ყველაფერი ასევე პირობითი არ არის? „ადამიანები იმით ვვანან ერთმანეთს, რომ სხვადასხვანაირები არიან“ — ო, ამბობდა ჩემი საყვარელი ინგლისელი პოეტი.

— შენ ჩემო ძმაო, — მითხრა ჩემმა თანამშრომელმა, — ძალიან ბევრს ფიქრობ იმ ქალზე. სახინკლეში ლუდსა და ხინკალს შეეცქვილით.

— არ შეიძლება ასე. უნდა მოჭრა და გაათავო.

— არ ყოფილა ასე ადვილი, — ეუპასუხე, — ძალიან შეეცქვიე. ათი წელი, ორმა, თითქოს კუნძულზე ვიცხოვრეთ, მარტოდ მარტო. ბევრი კარგი რამ მახსოვს მისგან, — წესით არაფერი არ უნდა მეთქვა, მაგრამ გადაკრულმა არაფმა ამაღლაპარაკა. მინდოდა რაღაც ამოძელო გულიდან, მომეშორებინა.


— ამას წინათ, — მითხრა ჩემმა თანამშრომელმა, — ასეთი რამ წაეკითხე: აფრიკაში თურმე ცხოვრობს ტომი, რომლის წევრებიც საკუთარ განავალს შეეცქვიან. ზოგიერთი ქალი, თურმე, თავის განავალს გულის რჩეულს უნახავს — ქმარს, საყვარელს.

— რატომ მიყვები ამას? — ვკითხე.

— ისე, — კათხიდან ლუდი მოსკა, — მოკლედ, ქალი ყველგან ქალია...

თანდათანობით ცხოვრება თითქოს თავისით დგებოდა კალაპოტში. მართალი უთქვამთ, დრო ყველაფერის მკურნალიაო, თუმცა საწიო პანსასი არ იყოს, რა უნდა იყოს იმაზე საშინელი, რასაც მხოლოდ დრო განკურნავს! რატომღაც ხშირად ვიხსენებდი იას ამერიკაში გამგზავრების წინა დამეს, ვფიქრობდი, რომ იმ დამეს შეიძლებოდა ყველაფერი სხვაგვარად შემოტრიალებულიყო. თითქმის მთელი წელი მე და იას ცალცალკე ოთახებში გვეძინა. მას — თამრიკოსთან ერთად, საძინებელ ოთახში, მე კი — კაბინეტში, დივანზე. ია რომ შემოვიდა, მე უკვე ვიწვექი, მაგრამ არ მეძინა. თეთრი პრილა ჰიფამო ეცვა. ჩაიწიე ცოტა, — მითხრა და გვერდით მომიწვა. კარგახანს ხმა არ ამოგვიღია. მერე მითხრა, სივარტი მომეციო. კოლოფიდან ორი ცალი სივარტი ამოვიღე. ერთი იმას მივეცი. მოუკიდეო. ცოტა ხანს უხმოდ ვეწვიდი, მერე თქვა, არაინ იცის, რა არის ტყუილი და რა არის მართალიო. ადგა და წაივიდა...

თანდათანობით ძველი ხალისი მიბრუნდებოდა. ისევ დავიწყე დილაობით ვაკის პარკში სიარული. ჩემი ძველი პარტნიორები ისევ იქ დამხვდნენ. ერთ დღეს კი, მართლაც რომ,



უცნაური საქციელი ჩავიდინე, რაც დღემდე მიკვირს და ვერაფრით ამიხსნია — ჩემი სიმამრის საფლავზე წავიდი! საერთოდ იშვიათად დადივარ სასაფლაოზე, ჩემი მშობლების საფლავზე თუ მთავალ ზოლზე პანთეონში, ისიც იშვიათად. მომღელულ ქალს კუხდი ფულს და ისიც პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას.

საფლავთან გრანიტის სკამი ძალიან მტკრიანი იყო. ცხვირსახოცი დავიფინე და ისე დავუკეცი. უკვე ვიცოდი, რომ სისულელე ჩავიდინე, რატომ მოვედი აქ, რა მინდოდა? ნუთუ ნორმალური იყო ჩემი საქციელი? მაგრამ ზოგჯერ ნორმალური ადამიანი ისეთ სიგიჟეს ჩაიდენს, ნამდვილ გიჟს არც კი დაეისზმრება. მართლაც რომ, სიგიჟე იყო ჩემი აქ მოსვლა, სხვას ვერაფერს დაეარქმევდი. ამან დამაფიქრა სწორედ. ეტყობა, რაღაც ისეთი მქონდა სათქმელი ამ კაცისთვის, რაც არ მასვენებდა და რასაც ცხოვრებაში, ანუ როცა ცოცხალი იყო, ვერაფრით გაუუბედავდი. ყოველთვის მიჭირდა კუმტ, უკმეხ, სიტყვაჟუნუნ ადამიანებთან ლაპარაკი. მიჭირდა თუნდაც იმიტომ, რომ უკმეხობა, ანუ უზრდელობა, საშინლად მპბრა-ზებდა და ბრაზი მიშლიდა ხელს ისე მელაპარაკა მათთან, როგორც საჭირო იყო, ანუ მათსავით უკმეხად. თანაც, სიბრაზისგან მთავარი სათქმელი მაიწყდებოდა ზოლზე, მერე მახსენდებოდა ძილის წინ, ასე და ასე უნდა მეთქვაო, მაგრამ რალა აზრი ჰქონდა...

ამ ადამიანმა, რომელიც ახლა გრანიტის ლოდში ჩასმული სურათიდან დაღვერემილი შემომტკეპროდა, თავისი ქალიშვილი, ანუ ჩემი ცოლი, პატარაობიდანვე ისე გაანებვირა, რომ პატივმოყვარე, უკარება, ნერვიულ არსებად, ეგოისტად აქცია, განუწყვეტელ ყურადღებას, მოყვრებას, აღერებს, დაეკავება რომ მითხოვდა, განსაკუთრებულ მოვლას, როგორც რომე-ლიმე იშვიათი უცხო ყვავილი. ერთხელ, შვეიცარიაში ყოფნის დროს, მითხრა, ბავშვობაში მთელი წელი ლოგინში ვიწეკი, არ ვეცი, რა მჭირდა, კვლავიდი, ამიტომაცა ჩემი მშობლები ყველა სურვილს, ნებისმიერ კაბრიზს რომ მისრულებენო. უცნაურია, ეს მითხრა სწორედ მაშინ, როცა ტელევიზორის წინ მოკალათებულს გვერდიდან შეცეკეპროდი და ვეფიქრობდი, ღმერთო, ერთი მეგობარიც კი არა ჰყავს, არც ერთ გოგოსთან არ მეგობრობს-მეთქი. არსებობს ტელეპატია, როგორ არ არსებობს, ყველაფერი არსებობს, რაც გვერნია, რომ არ არსებობს. „არაფერი არ არსებობს, გარდა იმისა, რაც არ არსებობს!“ — უწერია შექსპირს. შეიძლებოდა ეს ჩამეძახა საფლავში სიმამრისათვის, შეიძლებოდა ჩენი გაყრა მისთვის დამტბრალბინა, თუმცა სინამდვილეში არც უამისობა იყო, ოღონდ, რა თქმა უნდა, ნაწილო-ბრივ. ამის ნაცვლად კი ვთქვი: მამატიეთ, თუ შეიძლება. მე თქვენი ქალიშვილი, ეტყობა, არ მიყვარდა. დავლუბე. მოსაკლავი ვარ. ეწუხვარ, რომ, თავისდროზე ვერ მომკალით, — არა, ამას ირონით არ ვამბობდი, მართლაც, ასე ვეფიქრობდი, ანუ ასე ვეფიქრობდა ის, ვინც ახლა ჩემს მაგიერად ლაპარაკობდა, ხო, თითქოს სხვა ლაპარაკობდა, უფრო თამამი და უფრო გამწარებული, მე კი კუსმენდი მხოლოდ. წარმოუდგენელია, მაგრამ მინდოდა იმ „სხ-ვისთვის“ მეკარანახა, უთხარით, თუ შეიძლება, უთხარით, რომ ზოგჯერ ძალიან მძიმე დანამაულს ჩავდივართ სიყვარულის სახელითო...

წამოვედი. რაღაცისგან გაეთავისუფლდი თითქოს. თურმე აუცილებლად უნდა ავსულიყავი მის საფლავზე, თურმე დიდიხანია მანვალბდა ეს. შეიძლება ესცე კი იყო ჩემი უცნაური აფორიაქების ერთერთი მიზეზი! ეტყობა, არ მიყვარდა-მეთქი! განა საშინელება და თავისთა-ვად ბოროტება არ არის გამოგონილი და მერე დაჯერებული სიყვარული?! არადა, დარწ-მუნებული ვიყავი, რომ მიყვარდა. არასოდეს მიფიქრია ამაზე, წამითაც კი არ გამჩენია ეჭვი, შეიძლება იმიტომ, რომ მერჩია ასე ყოფილიყო, მერჩია მეყვარებოდა. ეტყობა, დამაიწყდა, თუმცა განა ვინმეს ახსოვს, რომ გამოგონილი, ნამალადევი სიყვარული დაუნდობელია? არ გაპატბებს, სადღაც, როდისმე მოულოდნელად წამოგარტყამს თავში. შენ კიდევ არაფერი, ჯანდაბას, შენი სულიერი სიზარმაცისთვის აგებ პასუხს, მაგრამ სხვაც რომ ეწირება ამ გაუგებრობას?..

იმ დამეს დამეისზმრა, საფლავიდან ხელი ამოყო — როლექსის ოქროს საათზე ვიციანი — და ცხვირსახოცი, ქვაზე გაყენილი რომ დამჩნა, მომუჭა, შეიტაცა...

ეს იყო ჩემი ბოლო კომშარი!..

საქართველოს  
პარლამენტი  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა

მერე ყველაფერი ჩვეულებრივი გზით წავიდა. იას არც ერთხელ არ დაურეკავს ამერიკიდან, არც მე მიცდია მისი ტელეფონის ნომრის გაგება. ჩვეულებრივად ვთამაშობდი ჩრგბურთს, ჩვეულებრივად დავდიოდი კლინიკაში. იშვიათად მაგრამ ზოგჯერ მაინც ჩემს თანამშრომელთან ერთად ნაცნობ სახინკლეში შევივლიდი ხოლმე. ეს იყო და ეს. რამდენიმე თვემ ასე უფერულად გაიარა. ახალ ნაცნობობას გაეუბოდი. საღამოობით ისევ შინ ვიჯექი, კვათხულობდი, ანდა გულმოდგინედ, ჯოტად და ბეჯითად შემქონდა დღიურში ყველაფერი, რასაც ვაკეთებდი, ან რასაც ვფიქრობდი. თავისთავად ალბათ საინტერესო უნდა ყოფილიყო ორმოცდაცამეტი წლის კაცის თავგადასავალი, ვისაც ახლახან ცოლმა უღალატა და გაექცა, თანაც დაწერილებით, მამიტი გულახდილობით მოყლილი. დღიურის წერა შევიცარიაში დაიწყო. პედანტური გულმოდგინებით და სიზუსტით ვიწერდი ყველაფერს, რაც კი საინტერესოდ მჭეწებოდა, არადა, ყველაფერი, მართლაც რომ, ახალი და საინტერესო იყო. იმ დროს იქურ კოლეგებს შორის მოარული ანგლოტებიც კი ჩამიწერია. ახლა ვერაფრით ვიხსენებდი, რატომ უნდა მომწონებოდა, ან რატომ უნდა გამცინებოდა მათზე. ანგლოტი ფილმზე სწრაფადაც კი ძველდება. ვკითხულობდი, როგორც ჩანს, ძალიან ბევრს, ძირითადად სამედიცინო ლიტერატურას. დაკონსპექტებული მქონდა ფროიდის, და მისი მიმდევრების შრომები, რომლებზეც საქართველოში, რა თქმა უნდა, ხელი არ მიმიწვდებოდა. წამკითხავს ფრიდისა; დღე დიურენმარტის წიგნები, მაინც და მაინც ალტაცებული არ დავრჩევილვარ. ფენევაში ლავსწრებივარ სიმფონიური მუსიკის კონცერტს. ბრაშის „გერმანული რეკვიემი“! მთელი გვერდი ძახლის ნიშნებით იყო გაკვებული. მახსოვს, გაოგებული გამოვედი დარბაზიდან. დღიური გვერდზე გადავდე, დისკი მოეძებნე და არა მარტო ის საღამო, მთელი კვირის განმავლობაში სულ იმას ვუსმენდი.

ასე ვადიოდა დრო. ჩემს ცხოვრებაში თითქოს არაფერი საინტერესო არ ხდებოდა. ახლა კი ის იყო, რომ ძველი, სტუდენტობის დროინდელმა ეჭვმა გამიხსენა, შეიძლება იმიტომ, რომ რეალურად საკუთარი თავის შევლაც კი არ შემიძლო; მახსოვს არისტოტელეს წიგნში ამოვიკითხე ფრაზა, რომელმაც კინაღამ არჩულ პროფესიას თავი დამანებებინა, პროფესია კი, გარდა იმისა, რომ მაინტერესებდა, მემკვიდრეობითაც მეკუთვნოდა, ვალდებული ვიყავი გამეგრძელებინა ოჯახური ტრადიცია. ჩვენი ოჯახის ერთი მეგობარი იტყოდა ხოლმე, სიცილით, ექიმები მეფეებს მხოლოდ იმით ჰკვანან, მათი „გვირგვინიც“ მემკვიდრეობით რომ გადადის, ოღონდ, სამეფო დინასტიისგან განსხვავებით, ასეთ ესტაფეტას ხშირად კარგი შედეგი მოსდევს. არისტოტელეს ფრაზა რომ წავიკითხე, როგორც ვთქვი, კინაღამ თავგზა ამებნა. ფილოსოფოსი ამბობდა: „როდესაც საქმე სულს ეხება, არ შეიძლება მოიძებნოს ისეთი რამ, ყოველმხრივ სანდო, მტკიცე საბუთად რომ გამოდგეს“. გავიფიქრე, ალბათ ექიმის წოდებაზე მეტად, მკითხავის სახელი უფრო შემეფერება-მეთქი, ანდა, კიდევ უარესი — ზედამხედველის, თავზე რომ ადგას საშუალო ციხედ გადაქცეულ პალატაში გამომწყვდეულ საცოდავ არსებას, საზოგადოების დანარჩენი ბედნიერი ნაწილი არ შეაწუხოსო. ჩემი არც თუ ისე სასიამოვნო ფიქრები მამას გაეუწილე, თუმცა, ვშიშობდი, სიბრიყვეში არ ჩამორთმია, მაგრამ მამაზე უკეთ ვინ გამცემდა პასუხს! მამა რატომღაც გამხიარულდა. წინკარში პალტოს იცვამდა. აუქჩარებლად შეიკრა ყველა ღილი, კარი გამოაღო და ვიდრე ქუჩაში გავიდოდა, მითხრა: შენოდნა რომ ვიყავი, მეც ზუსტად ასე ვფიქრობდი, შეუცნობელის მკურნალობა მკითხაობაა და მეტი არაფერიო. — კი მაგრამ, კი მაგრამ, — გავკიდე უპალტოო, თავშიშველი, — ჰიპოკრატეს ფიცი რაღაა, უმწიობის ერთგულება? არარსებულის რწმენა? ფანატიზმის კიშნი? ხმამაღლა გაიცინა და მითხრა: მწამს, რადგან აბსურდულია! შუდი შინ, გაცივდები... აი, ასეთი ეჭვი მღრღინდა: ჯანდაბას თავს რომ ვიტყუებ, ნუთუ პაციენტსაც, შველის ნაცვლად, ვლუპავ! არადა, ტყუილი ორივეს ერთნაირად გვშველოდა, რამდენადაც ორივეს, ანუ მეც და პაციენტსაც, ერთნაირად გვამშვიდებდა, რადგან სიფხიზლეს გვიკარგავდა და მაცდურსა და დაუნდობელ იმედს გვიჩენდა. მამა იტყოდა ხოლმე: უცნაურია, ჩემო ბატონო, უცნაური!..

მერე ფანტასტიკა დაიწყო! რასაკვირველია, ამ ერთერთ ყველაზე პოპულარულ ტერმინს პირობითად ვხმარობ, თუმცა სწორედ პოპულარული მხატვრული ფანტასტიკური ლიტერატურისთვის დამახასიათებელი ამბების მოწმე და მონაწილე გავხდი. მე მგონი, ძალზე ზერელედ და ნაჩქარევად გავარკვიეთ და დავედგინეთ კიდევ ამ ტერმინის, ანუ ფანტასტიკის, აზრი და მნიშვნელობა. არის კი ფანტასტიკა, რასაც ჩვენ ჩვეულებრივად ფანტასტიკას ვეძახით? არ შეიძლება ადამიანის გონებაში დაიბადოს ისეთი რამ, რაც სინამდვილით, მათ შორის ჯერჯერობით შეუცნობელი, საიდუმლო რეალობით არ არის ნაკარნახვევი. ადამიანის ყველაზე თამამი ოცნებაც კი სინამდვილიდან იღებს ბიძგს. ადამიანი ვერ იოცნებებს იმაზე, რაც არ არსებობს, რაზედაც, ასე თუ ისე, ხელი არ მიუწვდება. საქმე ის არის, რომ ჩვენი სინამდვილე დღემდე შეუცნობელი, არადა ის არის ოცნებათა ჯაღონსური სახელოსნო. ეს კი არა, ადამიანი დღემდე თავის პლანეტასაც არ იცნობს. თითქოს უცხო კუნძულზე, გემის დაღუპვის შემდეგ გადმოსულები, დაეხეტებიან მატერიკებზე გეოლოგების, ბიოლოგების, არქეოლოგების თუ სხვათა და სხვათა ექსპედიციები. ადამიანი დაბადებული კი არა, ჩამოსულია ამ პლანეტაზე. ბევრი საინტერესო აღმოჩენის მიუხედავად (და შეიძლება ამის გამო!), ერთი რამ ცხადია — ჩვენი პლანეტა ჩვენთვის სრულიად უცხოა, ანუ იმ სინამდვილის ნაწილია, რომლის შეცნობასაც თავგამოდებულები ცდილობთ, მაგრამ ამაოდ და კიდევ კარგი, რომ ასეა, სხვანაირად, ანუ ბოლომდე შეცნობილი ჩვენი არსებობა დაკარგავს იმ ცხოველმყოფელ მარცვალს, რითაც, რის გამოც ადამიანებად ვიწოდებით და არა ცხოველებად. საიდუმლო მხოლოდ ადამიანისთვის არსებობს. ანუ საიდუმლოს გონიერი არსება ჭირდება, რამდენადაც მხოლოდ გონიერებას შეუძლია საიდუმლოს ამოხსნისაკენ გიბიძგოს, ანუ მოგვცეს ძალა, რომ იცხოვროს.

ფურცლავ ჩემს დღიურს და რადგან დღიურის გადაკითხვა მომინდა, ეტყობა, სიცოცხლის ხალისი დამიბრუნდა. დღიურის გადაკითხვა საკუთარი თავის გახსენებაა. ის კი ყველაზე ადვილად გვეკარგება ხოლმე, გვეკარგება და გვაიწყვება კიდევ ყოველდღიური ყოფის ორომტრიალში. აი, კიდევ ერთი ფურცელი: შეიძლება ისიც კი იფიქროს კაცმა, ჩვენი პლანეტის ძირითადი მოსახლეობა კოსმოსური მიგრაციის შედეგად შეიქმნა. დაახლოებით ისეთი რამ მოხდა, როგორც მაშინ, კოლუმბმა რომ ამერიკა აღმოაჩინა. მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხიდან დაიძრნენ აქეთკენ ახალმოსახლეთა კოლონიები. ჩვენი პლანეტა სხვა პლანეტელმა „კოლუმბმა“ აღმოაჩინა და ამის შემდეგ, სხვა და სხვა პლანეტიდან სხვადასხვა დროს ჩამოდიოდნენ იქაური მაცხოვრებლები, განსხვავება მათ გარეგნობაში განაამას არ ამტკიცებს? როგორ შეიძლება ერთ პაწაწინა პლანეტაზე, როგორც დედამიწაა, ასეთი მკვეთრი განსხვავება იყოს სხვადასხვა კონტინენტზე მცხოვრებთა შორის? როგორც ჩანს, სხვადასხვა პლანეტის მკვიდრნი ჩამოდიოდნენ და სახლდებოდნენ დედამიწაზე. ადამიანი — ანატომიურად სრულყოფილი, მოაზროვნე აპარატი — ბუნების ხანგრძლივი ექპერიმენტის შედეგად ჩამოყალიბდა და დასრულებული სახე მიიღო, ამდენად, ყველა პლანეტის ბინადართა პაპა ადამია. როგორ შეიძლება ღმერთის ძალა და ნება ერთი პაწაწინა პლანეტით შემოიფარგლოს! ადამიანი ყველგან (ცაშვაც კი!) რომ ადამიანი იყო, კი ხალხმა დიდხანაა იცოდა, მათ შორის ჩვენმა ხალხმა. ამირანმა ყამარი ციდან კი ჩამოიყვანა, მაგრამ ქალი იმდენად ჰგავდა აქაურებს, ანუ იმდენად ჩვეულებრივი, ნორმალური იყო, რომ ამირანს თავისი, საკუთარი მამის მოკვლის ხერხი ასწავლა. პირველი, რაც უცხოპლანეტელებმა დედამიწაზე ჩამოიტანეს, ბორბალია — შვის სიმბოლო, ინტუიტურად ასე გასაგები და ძვირფასი კოსმოსის ყველა მცხოვრებისათვის. კაცობრიობის მახსოვრობაში ჯერ კიდევ შემორჩენილია ეს ფაქტი — ბორბალს, ბორჩხალს, ეუკავშირებთ მოძრაობას, შვებს. ინკებმა და აცტეკებმა ბორბლის არსებობა კოლუმბამდე რომ არ იცოდნენ, თუმცა უალრესად მაღალგანვითარებული ცივილიზაცია შექმნეს, იმაზე მეტყველებს, რომ ისინი პლანეტის აბორიგენები არიან...



ამას სხვადასხვა დროს ვწერდი, ნაწილებს სხვადასხვა თარიღი უზის, მაგრამ რადგან ვწერდი, ეტყობა, სენი ასე თუ ისე მაინც უკვე დაძლეული მქონდა. ჩემი დიდიუბრტურე ჩანაწერიც, ერთგვარად, ამას ადასტურებს...

ყველაფერი კი ჩემი ძველისძველი პაციენტის სტუმრობით დაიწყო, თუმცა, ჩემს პაციენტებს ალბათ ყველაზე ნაკლებად შეეფერებოდა ეპითეტი „ყოფილი“, მათ სტუმრობას შჩვეული ვიყავი.

მაღალი ქალი იყო. მისი ასაკისთვის შეუფერებლად მოკლე კაბა ეცვა. დაჯდა. ფეხი ფეხზე გადაიღო. თითქოს გრძელი, შხვართი ფეხების დემონსტრირებას ახდენდა. სიგარეტი და ასანთის კოლოფი ამოიღო ჩანთიდან, რომელიც იქვე იატაკზე დადო. სქელი, თითქოს გამოზუნებული ნაჭრის ჩანთა იყო, ჯარისკაცის აბგას უფრო ჰგავდა, ვიდრე ქალის ჩანთას. სიგარეტს მოუკიდა. მე საფერფლე მიუწოჩე. მაგიდასთან ვისხედით.

– ძალიან ბევრ დროს წაგართმევთ, – მითხრა, – თუ ამისთვის მზად არა ხართ, მითხარით და ახლავე წავალ.

– დრო მაქვს, – ვუპასუხე, – ვისმენთ! –

ვანიშნე, პირდაპირ საქმეზე გადასულიყო.

– მე თქვენ რაღაც უნდა მოგიყვეთ. თქვენ არ ეწვეით? თუმცა, განა თქვენ არ დამაჩვიეთ სიგარეტს!

– მე დაგაჩვიეთ?! – ჩავეკითხე ღიმილით.

პასუხი არ გამცა, დაწყებული სიტყვა გააგრძელა:

– რის მოყოლასაც ახლა ვაპირებ, თქვენთვის ერთხელ უკვე მოყოლილი მაქვს. აღარ გახსოვთ, არა? გეტყობათ, ვერ მიცნით. თუმცა ჩემი ცნობა შეუძლებელია. ძალიან გამოვიცვალე. მას მერე ოცდაშვიდმა წელმა გაიარა. ამჟამად სულ სხვა ვარ.

კვამლს ხელი აუქნია, თვალი გააყოლა, რატომღაც გაიღიმა და მითხრა:

– თქვენ ჩემი პალატის ექიმი იყავით.

მარცხენა ხელზე სახელო გადაიწია და მაჯა მაჩვენა: ძალიან ფერმკრთალი, დაკბილული ნაჭრილობები აჩნდა, თითქოს სიფრიფანა ქალადლი აქვს დაკრული.

– გახსოვთ?

– არა, არ მახსოვს...

და მაშინვე გამახსენდა:

– ნუთუ?

ქალმა სახელო დინჯად შეიკრა. სიგარეტს მოუკიდა:

– გაგახსენდით?

წამოვდექი:


– დმერთო ჩემო!

ისევ დავდექი:

– თქვენ ნუნუ ხართ?

– მას შემდეგ ოცდაშვიდმა წელმა გაიარა, – მითხრა ქალმა, – შეიძლება მეტმაც, ზუსტად არ მახსოვს...

უცებ გაახსენდა ყველაფერი, თითქოს უცებ თვალი აეხილა. ბევრი ისეთი რამ დაინახა, რასაც ადრე ვერ ამჩნევდა. ტარაკანებითა და ვირთხებით სავესე, ჯურღმულებით ბნელი პალატები, ტუჭყიანი, ვისოსებაკრული ფანჯრები, საჭმლისა და შშორის სუნით აქოთებული დერეფნები, გამოყოფილი წყლისგან აჭრელებული, ობიანი კვლები, ტუალეტების წინ აქოთებული, ჭრელი გუბები, – „კაცი გაგიჟდეს და ასე დაისაჯოს, მართლაც რომ, დიდი უსამართლობაა“ –ო, – უთხრა ერთმა პაციენტმა – და ამ ჯოჯოხეთის საპირფარეშოსავით საშინელი შენობის ფონზე, კონტად გასწორებული საწოლის კიდზე ჩამოხჯდარი ქალი, ჯიბის სარკეში თმას რომ ივარცხნის და რატომღაც აქ შემთხვევით ჩამოვარდნილ ანგელოზსა ჰგავს, იმ ქალს ძლიერი სულიერი ტრამვით გამოწვეული შიშის სინდრომი და ნებისყოფის სრული დაკარგვა, მკვეთრად გამოკვეთილი აბულია დაუსევს დიაგნოზად.



- ნუთუ თქვენც შეშლილი გვინივართ? - ჰკითხა ერთერთი პროცედურის დროს.

მამინ პირდაპირ პასუხს თავი აარიდა:

- ყველაფერი გაირკვევაო, - უთხრა, უფრო ზუსტად, წაილულლულა და თავისივე პასუხს ისე მიიმიდ იმოქმედა მასზე, რომ კარგახნის განმავლობაში, ღამით მოულოდნელად ვლიტებოდა, ყელში გაჩხერილი ეკლის გორგალი ახრჩობდა.

იმის გამო, რასაც ის ქალი ყვებოდა, არ შეიძლებოდა შეშლილად არ მიეჩნია. თავიდანვე ცალკე პალატაში მოუჩინეს ადგილი, როგორც მამინ ამბობდნენ, „გაელენიანი ნაცნობების წყალობით“, რაც სიმართლეს არ შეეფერებოდა, რადგან „გაელენიანი ნაცნობი“ ავადმყოფს აქედან თავის დასაღწევად ჭირდებოდა და არა, თუნდაც, კომფორტულად დასარჩენად. პირველ ხანებში ქალი საერთოდ არ ღაპარაკობდა, რაც მუტიზმის, ანუ ავადმყოფური ღუმლის ამკარა სიმპტომად მიიღეს მკურნალმა ექიმებმა; უეტრად ალაპარაკდა, ღაპარაკობდა გაუჩრებლად: ყველას, ექიმი იტებოდა ის, სანიტარი, დარაჯი, თუ მასავით პაციენტი, ერთსა და იმავე ამბავს უყვებოდა. ზოგი უსმენდა, ზოგი, რასაკვირველია, გაუბოდა. ემალებოდნენ კიდევ. ყველას თავისი უბედურება აწუხებდა. მნახველები არ ყავდა. ღაპარაკით და ქცევით ამკარად ინტელიგენტი იყო. ერთხელ სივარეტი თხოვა ლევანს.

- თქვენ ხომ არ ეწვეით? - გაუკვირდა ექიმს.

- დიას, არასოდეს მომიწევია. არადა, ძალიან მინდა სივარეტის მოწვევა. ლევანს მამინ სულ რაღაც ორიოდე წლის წინ ჰქონდა დაწვებული მამამისის სახელობის კლინიკაში სამსახური. სივარეტის კოლოფი გაუწოდა ქალს.

ქალმა სივარეტი ამოიღო:

- ბარემ მომიკიდეთ!

ქალმა ღრმად შეისუნთქა კვამლი.

- ფრთხილად! - შესძახა ლევანმა.

ქალმა კი, ვითომც არაფერიო, კვამლი ნესტოებიდან გამოუშვა და უთხრა:

- კარგი ყოფილა!

- მართლა არასოდეს მოგიწევიათ? - ჰკითხა ლევანმა.

- არა, პირველი სივარეტია.

ქალი ერთი-ორჯერ საღღაც წაიყვანეს, საკმაოდ დიდი ხნით. ლევანს ყოველთვის მოჰქონდა მისთვის სივარეტი. ერთ დღეს კლინიკაში სამინისტროს კომისია მოვიდა. ლევანი ფანჯრიდან უყურებდა, როგორ შემოვიდა აკადემიკოსი თავზარაშვილი კლინიკის ეზოში, როგორ გადმობრბინა დეკორატიულ ფილაქნებზე ხტუნვა-ხტუნვით, თითქოს ბავშვი „კლასობანას“ თამაზობსო, როგორ შეჩერდა ლევანის მამის, ბატონი იასეს ბიუსტთან, როგორ მოიხადა ჭილის ჭუდი, ამოიღო ჯიბიდან ცხვირსახოცი, მელიოტზე გადაისვა, ასე რომ გადაწყვეტით ვერ იტყოდნენ, ბიუსტს მოუხადა ჭუდი, თუ ოფლი მოიწმინდა.

თავზარაშვილმა, უპირველეს ყოვლისა, თავის ერთერთ მხლებელს აქაური კლინიკის ავადმყოფების საჩივარი, სხვათაშორის, ხელმოწერილი, გამართვა. საჩივარს, რომლითაც კლინიკის ბინადრები ნუნუს „გასახლებას“ მოითხოვდნენ, ტყუილად იჭერს ვიღაც ნამდვილად ავადმყოფის ადგილსო, მინისტრის რეზოლუცია ეღო - ჩინურ იეროვლიფივით, მაგიდაზე გაშალა, ხელი გადაუსვა, გაასწორა. კარგახანს დასცქეროდა, მერე მუშტი დაქკრა და წამოდგა: ნულა მოვაცდნით ამ ხალხსო. მელიოტზე ცხვირსახოცი ისევ გადაისვა და თქვა: ჩემს თავს ბრინჯაოში ჩამოსხმა არ დასჭირდება, ვეფოი! - და თავისივე ხუმრობაზე დიდხანს იცინა.

ერთი კვრის მერე, ერთერთი თანამშრომლის ქორწილში, ლევანი ისევ შეხვდა თავზარაშვილს. სუფრა ბაღში გაეშალათ. აქაურობა სამოთხესა ჰგავსო, ამბობდნენ სტუმრები. თავზარაშვილმა კი, მე კახელი კაცი ვარ, აძენ ყვაილში რა გამაძლებინებსო!

- ხო, თქვენ ვარდი გიყვართ, - მასპინძელმა ეშმაკურად მოჭუტა თვალი.

- ვარდიო? ვარდი სპარსელების შემოტანილია ჩვენში. ჩვენი ყვაილი იასმანია, ცეცხლივით იფეთქებს და ცეცხლივით ჩანელდება ხოლმე. სამოთხე იმქვეყნადაც მყოფია, იქაური



ბილეთი უკვე აღებული მაქვს.

— კარგი, ლადო, აბა, რას ამბობ! — შეეკამათა მასპინძელი, — დაგავიწყდა! რუსთაველა რას ამბობს, რომელ გონიერ ადამიანს მოუკლავს თავი სიკვდილამდელი!

— ეკ, სად იპოვი გონიერ ადამიანს! — გაიცინა თავზარაშვილმა. მერე დედა გაიხსენა. ამქვეყნად ყველაფერზე მეტად დელანჟიმის გაკეთებული ჭინჭარი მენატრებოდა. ცოლი რომ შურითადა, დელასთან ჩაუყვანია, ვაჟირში, გასაცნობად. დელას, მისი თხოვნით, ჭინჭარი მოუხარმავს. ცოლმა გადმოიმირჩულა, შენ არ ჭამო, დავსუსხავსო, — ყვებოდა სიცილით.

სუფრა რომ აიშალა, თავზარაშვილმა ლევანი შეაჩერა, გახსოვს, თქვენს კლინიკაში რომ ვიყავი? თუ გახსოვს, რამდენი ვიცინე მაშინო? არადა, რა იყო სასაცილო. შეშეშინდა! — ეს ბოლო სიტყვა, რატომღაც, ძალიან ხმამაღლა თქვა.

— შეგეშინდათ? რისი? — შეეკითხა ლევანი.

— რა ერქვა იმ ქალს, შენს პაციენტს?

— რომელ ქალს? — დაიბნა ლევანი.

— მე მახსოვს, უთხრა თავზარაშვილმა, — ნუნუ ერქვა! — და დააყოლა: ღმერთი არ მაპატიებს ამას!

— არ მესმის, რას ბრძანებთ! — გულწრფელად შეწუხდა ლევანი.

თავზარაშვილი გატრიალდა, ჭიშკრისკენ გაემართა. ჭიშკართან შეჩერდა და ლევანს მოუბრუნდა:

— იცი, მაშაშენის ძეგლთან რომ ვიდექი, რაზე ვფიქრობდი? როგორი კეთილი ხალხი იყო წინათ-მეთქი...

იმის მერე მხოლოდ ათი წლის მერე ნახა თავზარაშვილი, ისიც შორიდან. აეროდრომზე. როცა, სხვებთან ერთად, სოხუმის თვითმფრინავში ჩასაჯდომად მიდიოდა. შორს ტრიალ მინდორში ქუდმოხდილი თავზარაშვილი იდგა, ძაღლების ზროვით გარშემორტყმული. ამბობდნენ, რაც ბაბუმერაში, თვითმფრინავში შეილი დაეწვა, ყოველდღე აეროდრომზე მოდის და მინდორში ქუდმოხდილი დგასო...

— როგორც მახსოვს, თქვენ მალე გამოგწერეს არა? — ჰკითხა ლევანმა ქალს.

— არა, სხვა კლინიკაში გადამიყვანეს. იმ დღეს თქვენ არ იყავით, შუალამისას, ჩამსვეს მანქანაში და წამიყვანეს. თქვენ ვტყობა, არ გახსოვთ, ან რატომ უნდა გხსომებოდათ. ჩემს ამბავს ყველას ვუყვებოდი, თქვენთვისაც, რასაკვირველია, მოყოლილი მაქვს, ბოლოს და ბოლოს, ჩემი პალატის ექიმი იყავით. სრულებით არაფერი გახსოვთ?

— არაფერი, გარდა თქვენი სახელისა.

ქალმა სიგარეტის ახალი კოლოფი გახსნა.

— მე და თქვენ ახალი დაწყებული გეჭონდა ჩვენჩვენი საქმიანობა, — თქვა ღიმილით, — მე გიყოფა, თქვენ კი — ექიმობა. უსაზღვროდ მადლობელი ვარ თქვენი, ჯერ ერთი, რომ სიგარეტის წვეას დამაჩვიეთ...

— ამისთვის მადლობას ვინ იხდის? — გაეცინა ლევანს.

— მართლა, მართლა, სიგარეტს რომ არ ვეწეოდე, რა მეშველებოდა! მეორეც ერთი, მადლობელი ვარ, რომ მისმენთ!

— რას ბრძანებთ! ვალდებულიც კი ვარ, მითუმეტეს, თქვენი პალატის ექიმი ვყოფილვარ!

— არა, არა, არ მინდა, ვალდებულების გულისთვის ნუ მომიხმენთ. ვერ ვიტან ამ სიტყვას. საშინელი სიტყვაა, არ მეთანხმებით?

— როგორ გითხრათ...

— მაშ არ მეთანხმებით!

ლევანმა პასუხს თავი აარიდა:

— მკონი, რაღაცის მოყოლას აპირებდით...

— არავის აღარაფრის მოსმენა აღარ უნდა, — თქვა ქალმა, — იმიტომ უსმენენ მხოლოდ ტელევიზორს. არადა, რამდენი რამე შეიძლება გაიგო მეორე ადამიანისაგან. რამდენი რამე



იცის ნებისმიერმა ადამიანმა.

- ზოგჯერ თვითონაც არ იცის, რომ იცის, - გაიღიმა ლევანმა.

- ზო, არავის არ უნდა მოსმენა. ეჩქარება. დრო არა აქვს. არადა, სამყარო დროთა სავსე, როგორც აუზი წყლით, - წამოღვა, ლევანთან მივიდა, თმაზე ხელი გადაუსვა. ლევანი არ განძრეულა. - ჩვენ იმ აუზში ვნებივრობთ, - თავის ადგილს დაუბრუნდა, - დღეფინებივით ვთამაშობთ. ვღაფუნობთ. მე თქვენ რატომღაც სულ მახსოვდით, - ნაჭრილობებზე თითი დაიდო, - ესეც სივარდე ჩამითვალეს, როცა ჩემს სიცოცხლეში ამაზე ნორმალური, აუცილებელი რამ არ გამიკეთებია. ჩემი ამბავი, როგორც ვითხარით, თქვენ ვერ კიდევ იქ კლინიკაში მოისმინეთ, თანაც რამდენჯერმე. მაგრამ, სრულებითაც არ მიკვირს, რომ არ გახსოვთ. რომ გახსოვდეთ, აი, ის იქნებოდა საკვირველი. მე კი ათი წლის განმავლობაში თითქმის უცვლელად ვცვებოდი ჩემს ამბავს, რა თქმა უნდა, მაშინ, როცა მოხოვდნენ, თუ მიბრძანებდნენ. ამის გარდა, მე თვითონაც ვუსმენდი. მაგნიტოფონის ფირზე ჩაწერილს. ალბათ, ბევრი, ყოველშემთხვევაში, ზოგიერთი რამ, ჩემი ჩამატებულია, ჩემი ალგზნებული ვონების ნაყოფია. ამდენად, ერთმანეთშია არეული სინამდვილე, სიზმარი, ფანტაზია, წარმოსახვები, ფიქრი, ხილვა, სურვილი, მოკლედ, ჩემს მიერ შეთხზული ჩემივე ცხოვრება. ბევრი რამ, როგორც ვთქვი, ჩემი მოგონილია, უმეტესობა კი მართლაც გადამხდა თავს, სიმართლეა, თუმცა, ვიცი ამის მწარე გამოცდილება უკვე გამაჩნია, რომ ვერავის დაგავჯერებ. ბევრი რამ, რასაკვირველია, სტუმრის მონაყოლია, მოდით, სტუმარი დავარქვათ ამ ამბის მთავარ გმირს. მართალია, მისი ენა არ შესმოდა, მაგრამ განა მხოლოდ სიტყვებით აგვიჩინებენ ერთმანეთს ადამიანები? არსებობს თვალების, ხელების, ფესტიების და თქვენ წარმოიდგინეთ, დუმილის ენაც. ასე რომ, მან საკმაოდ ბევრი რამ მითხრა, უკვე ჩემი ფანტაზიით რომ შემეთხზა თქმულება ციდან ჩამოსულ ადამიანზე. დიახ, ეს თქმულება! - დაამატა ღიმილით, - და მისი ავტორიც მე გახლავართ, ვინც თანდათანობით დაიჯერა, რომ ყველაფერი, რასაც ყვებოდა, ერთნაირად ნამდვილად გადახდა თავს. ზო, ისიც მინდა ვთქვა: რაც უფრო ზშირად ყვევბოდი ჩემს ამბავს, მით უფრო ვრწმუნდებოდი, რომ ქვეყანა ყრო იყო, არავის ესმოდა ჩემი ლაპარაკი. ახლახან კომპიუტერზე ავაწყვე უფრო იმიტომ, რომ მეხალისებოდა, რადგან კომპიუტერის შესწავლელ კურსებზე დავიწყე საირული. მაგრამ არავითარი იმედი არა მაქვს, რომ კითხვა მანც იცის ვინმემ. არა, არა, ვხუმრობ, ეს თქვენ არ გეხებათ. ეს დისკეტა თქვენ მოგიტანეთ. დრო თუ გექნებათ, იქნებ ნახოთ. რატომღაც მგონია, რომ თქვენ დგავინტერესებთ.

ლევანმა დისკეტა ჩამოართვა:

- საინტერესოა...

ქალმა შეაწყვეტინა:

- აქ ბევრი რამ სიმართლეა! - სივარეტს მოუკიდა. კარგახანს იუდა თვალდახუჭული, მერე თქვა:

- იცით, არ მინდა აქედან წასვლა! - თვალი გაახილა, გაუღიმა, - შეგეშინდათ?

- არა, არა, რას ბრძანებთ, რატომ უნდა შეშინებოდა?!

- პირადად მე, სულთანის ადგილას, მოვკლავდი იმ ყვებ ქალს!

- ვის, ვის მოკლავდით? - დაინტერესდა ლევანი.

- შეპერეხადას! - გაიღიმა, - მაგრამ ზღაპარში ხალხი გაცილებით უფრო კეთილია, ვიდრე სინამდვილეში. განა მეც, სიცოცხლე რომ შემეჩარჩუნებინა, იმიტომ არ ყვევბოდი ჩემს ამბავს? ბევრ რამეს თვითონ ვიგონებდი, ვამატებდი და მერე აღარც მახსოვდა, რომელი იყო ნამდვილი და რომელი გამოგონილი. სხვათა შორის, აღარცა აქვს მნიშვნელობა. ათი წელი ფსიქიატრიულ კლინიკაში გავატარე. ძალიან გვიან მივხვდი, რომ ავადმყოფი კი არა, ჩვეულებრივი პათიმარი ვიყავი. ეს პირველად მოსკოვის კლინიკაში ვიგრძენი, რომელიც დისიდენტებით, ანუ ყველაზე საღად მოაზროვნე ხალხით იყო სავსე...

ქალმა შეპერეხადა რომ ახსენა, ლევანი მიხვდა, მისი სტუმრობა ზანგრძლივი, ან ზშირი იქნებოდა და ასეც აღმოჩნდა...

ილუმინატორიდან მეტეორების წითელი კედლის მეტი არაფერი ჩანდა. საკონტროლო დაფაც ათასფრად აციმციმებული თვალით შემოსცქეროდა, ანიშებდა, რა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩენილიყო. იმ მრავალ საფრთხეს შორის, რომლებიც მის თანამემამულეებს შეიძლებოდა კოსმოსში შემთხვევით, მეტეორების ღრუბელში — ამ კოსმოსური მეკობრის მუცელში მოხვედრა, თითქმის საბედისწეროდ ითვლებოდა, რადგან იკარგებოდა ხ მ ა, რომლითაც მშობლიური პლანეტა წარმართავდა პილოტის მოქმედებას, ხ მ ა ასწავლიდა, როგორ უნდა მოქცეულიყო განსაცდელის დროს.

უცებ მეტეორების წითელი კედელი გაქრა და კარდიოიდი დაინახა — გულის მსგავსი პლანეტა, რომელსაც სამინელი სისწრაფით უახლოვდებოდა. დაფაზე აღინიშნა კიდეც, როგორ გაიარა ექსოსფერო, იონისფერო, მეზოსფერო, სტრატოსფერო და ტროპოსფეროში შეიჭრა, თითქოს ლიფტით ეშვებოდა. თითქმის იმ წამსვე იგრძნო, როგორ ატივტივებდა მისი, მინის ბურთის მსგავსი, აპარატი წყალზე. ეს წინარი ოკეანე იყო. თითქმის მთელი დედამიწა შემოიარა, ყველა კუთხე-კუნჭული. ვიდრე იქ მივიდოდა, ანუ ნუნუს თქმით, სადაც ბედისწერას უნდა მიეყვანა — ანუ აბასთუმნის ტყეში. ბედისწერას ვერსად გაეცქვიო, ამბობდა ნუნუ. „მფრინავ თიფშს“ როგორც მის აპარატს შეარქვეს, რომელიც თვითმზიდველის ღატაკი აზროვნების გამო, შეეძლო მოძრაობის დროს სრულიად დაეკარგა წონა, ფიზიკურ სხეულიდან მისწრაფებად გარდაქმნილიყო და ამდენად მისწრაფებასავე, განზრახვასავე, ფიქრით სწრაფი გამხდარიყო. გამწარებული აწყდებოდა პლანეტის უჩინარ კედლებს, მაგრამ გზა, ხერხი, რითაც აქედან გაღწევას შესძლებდა, ვერ ეპოვნა. დედამიწას ირგვლივ თითქოს ჯავშანი ერტყა. აქედან არა მარტო უცხო სხეულს არ შეეძლო გასვლა, არამედ რადიოტალღითაც კი ვერ გასცდებოდი ამ პატარა, მაგრამ ბუნებისაგან მკაცრად დაცულ პლანეტას, თუ არ იცოდი, სად იყო გასაღწევი კარი, სარკმელი თუ ჭუჭქრუტანა.

ახლა ტყეში, გამოქვაბულში ცხოვრობდა და, რა თქმა უნდა, არ იცოდა, იმ ადგილს აბასთუმანი რომ ერქვა. მგელთან მეგობრობდა. ღამიანობით გამოქვაბულის წინ ისხდნენ და ვარსკვლავებზე მოჭედილ ცას ასცქეროდნენ.

ერთ დღით გაღმან ფერდობზე ქალი დაინახა, სოკოს კრეფდა და კაბის კალთაში აგროვებდა. იმ ღამეს ქალი დაეისიზრა — ყელამდე ნისლში იღვა, რაღაცას უყურებდა და ფიქრობდა, თვალუბრაქვეებული. ამოიგმინა და თვალიც გაახილა, აქამდე განუცდელი, მძიმე კაემანი შემოსწოლოდა გულზე. მეორე დღეს ქალი ისევ მოვიდა იმ ადგილას. პირდაპირ ქალისკენ გაემართა. ქალმა მის დანახვაზე კაბის კალთას ხელი გაუშვა, სოკო ძირს დაიფანტა. კაცი მივიდა და მხარზე ხელი დაადო. ქალმა ცოტახანს თვალმოუშორებლად უყურა, მერე იმ ხელზე ლოყით მიეფერა. გატრიალდა და წავიდა. ორი დღის მერე ესტუმრა. ნეკერჩხლის პაწია ტოტი მოუტანა. უხმოდ შესცქეროდნენ ერთმანეთს, მერე კაცმა ხელი ჩაჰკიდა და გამოქვაბულში შეიყვანა... ქალი რომ წავიდა, კაცმა სულისშემძვრელი ხმით ცას შებღვლა, თითქოს უნდოდა მშობლიური პლანეტისთვის მიეწვდინა თავისი სიხარული. ამის მერე ქალი თითქმის ყოველდღე მოდიოდა...

კაცმა საფრენი აპარატიდან ყველაფერი გადმოხიდა. რაც კი აქ, ტყეში დასჭირდებოდა, მერე აპარატი უფსკრულში გადაჩეხა. რადგან მიხვედრილიყო, რომ მშობლიურ პლანეტაზე დაბრუნებაზე ფიქრსაც კი აზრი დაეკარგებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ყელზე ჩამოკიდებული ფირფიტა განუწყვეტლევ ზუზუნებდა. ქალმა ერთხელ ფირფიტა ყურზე მიიღო, ზუზუნის მეტი ვერაფერი რომ ვერ გაიგონა, კაცს გაკვირვებულმა შეხედა. კაცმა: მეძებნო. მეტი არაფერი უთქვამს.

ახლაც იმ ქალზე ფიქრობდა. ტყის პირას, ფერდობზე მიწოლილიყო, გვერდულად, იდაყვზე დაყრდნობილი. მის გვერდით მგელი დასკუბებულიყო. განაბულ სამყაროში თითქოს მხოლოდ სიჩუმის ხმა ისმოდა, სავეს შრიალით, ჭრიჭინით, ტყაცუნით, რაკრაკით. ყველა



სამყაროს სიჩუმეც თავისებური აქვს. ყელზე ჩამოკიდებული ფირფიტის ზუსტად კიდევ უფრო ამძაფრებდა და აუცხოვებდა მისთვის თითქოს მუსიკად გარდაქმნილ სიჩუმეს. თითქოს საკუთარ განზიანებულ ფიტის უსმენსო: მითხარით, მითხარით, რატომ მინდა ვიყო ასე მარტო და რატომ არ მტანჯავს ეს სიმარტოვე?

ამ დროს ბალახში ჩაკარგულ ბლიკზე, ვირზე შემჯდარი ბიჭი გამოჩნდა. ციდან ჩამოფრენილია კაცმა, რა თქმა უნდა, არ იცოდა, რომ ეს ბიჭი აქაური მეტყვევის შვილი იყო. გონებასუსტ ყმაწვილს ფოსტიდან პრესა ამოქონდა ხოლმე ობსერვატორიაში. მგლის დანახვაზე სახედარი ადგილზე დაბზრიალდა, ბიჭი გადმოავლო და თავდადმართში დაეშვა, თან ტლინკებს ყრიდა, თითქოს მგელი ვაკიცილებოდეს. მგელი კი ადგილიდან არც დაძრულა. ბიჭი ვაიმე, ვაიმესა და მიშველეს ძახილით სახედარს გაეკიდა, თავკუდმოგლეჯილი...


რამდენიმე ხნის მერე ქალი ამოვიდა ობსერვატორიიდან და გამოქვაბულისკენ გაემართა. ახლოს რომ მივიდა, შეჩერდა, რადგან უცნაურად დაძაბულმა სიჩუმემ შეაკრთო, მკვდარმა სიჩუმემ. უცებ გამოქვაბულის კართან დახოცილი კაცი და მგელი დაინახა. უცნაური ის იყო, არ გაკერებია, თითქოს წინასწარ იცოდა, ორივე, კაციც და მგელიც, დახოცილი უნდა დახვედროდა. ამას წინასწარ შერიგებოდა თითქოს...

პირველივე შეხვედრისას მიხვდა, ეს კაცი აქაური არ იყო, ამ სიტყვის ყველაზე ფართო გაგებით, ანუ აჯობებდა ეთქვა, ამქვეყნიური არ იყო. ამიტომაც დანახვისთანავე უცნაური შიში გაუჩნდა – სიკვდილის შიში, ოღონდ, არ იცოდა, ვინ უნდა მომკვდარიყო – თვითონ, უცნაური სტუმრის მნახველი, თუ სტუმარი, რომელიც, ჩაცუქტული, მის ფეხთან გაწოლილ მგელს ქეჩოზე ეფერებოდა. ნადირის სიკვდილი არ ითვლებოდა, ან რა მოსატანი იყო მისსა თუ უცნაური სტუმრის სიკვდილთან. სწორედ სიკვდილის ასეთმა განცდამ თუ შიშმა დააჩქარა ყველაფერი ის, რაც მერე მათ შორის მოხდა. სიკვდილის ჩრდილი უხმო მულოდინასავით ახლდა და ამძაფრებდა ისედაც გამძაგებულ ლტოლვას ერთმანეთისკენ, ერთმანეთში გადახლართული სხეულების გორგალი უფსკრულში მიექანებოდა თითქოს და დანის პირივით აღესილ ქვებზე სისხლის მბზინავ – ქალის წარმოდგენით – მომღერალ კვალს ტოვებდა. მერე წვალებით, ქოშინით, მძიმედ ამოდოლნენ, თუ თავისუფლებოდნენ ჯაგებევით ეკლიანი ნისლიდან და ერთმანეთის გვერდით ეყარნენ, ტალღისგან ნაპირზე გამორიყულ თევზებევით, რომელთაც მხოლოდ და მხოლოდ ისევ ტალღა თუ დააბრუნებდა სიცოცხლის სტიქიაში...

ქალი გრძნობდა, ეს არ იყო მხოლოდ მისი საიდუმლო, რომელიც შეიძლებოდა რაღაც დიდი კატასტროფის მაუწყებელი გამხდარიყო. რაც ერთგვარად ავალდებულებდა კიდევ, როგორც, თუნდაც, მეცნიერს, ასტრონომს, სათანადო ორგანიზაციისთვის ეცნობებინა ციდან ჩამოფრენილი კაცის ადგილსამყოფელი, მაგრამ... ამ ნაბიჯის გადადგმა არ შეეძლო, მის ძალას აღემატებოდა. ზარავდა, თუნდაც, იმის წარმოდგენა, რომ მისი დასმენით შეპყრობილი კაცი სწორედ მეცნიერული სისასტიკის, დაუნდობლობის მსხვერპლი გახდებოდა – საცდელი კურდღელი, რომელსაც არავინ ეკითხება, სიამოვნებს თუ არა, ცოცხლად ტყავს რომ აძრობენ! გრძნობდა, რაღაცას აშავებდა თუნდაც საკუთარი პროფესიის წინაშე, რასაც ობსერვატორიაში, ტელესკოპთან მგლომი, ცაში დაემებდა, აქვე, მიწაზე, გვერდით ჰყავდა, მაგრამ საჭმე ის იყო, ეს არსება მისი არსების ნაწილად ქვეულიყო, რომლისკენაც, გამოლანგების მძაფრი სურვილით შეპყრობილი, მიღტვოდა, მიბროდა, მიფრინავდა, კოცონს მომწყდარი, ცეცხლის სულჩადგმული ნაფლეთივით, რათა რამდენიმე წუთით ახალ კოცონად გარდაქმნილიყო.

მკვდარს ფირფიტა მოხსნა. ჯიბეში ჩაიღო. და სწორედ ამ დროს ქოშინი გაიგონა. ფერდობზე ვიღაც ამოდიოდა. ხეს მიეფარა. იცნო – მეტყვევი იყო. ცალ მხარზე წერაქვი და ბარი გაედო, მერეზე კი თოფი ეკიდა. პირდაპირ გამოქვაბულისკენ მოდიოდა. მეტყვევი ბარი და წერაქვი მიწაზე დაყარა. თოფი ხეზე მიაყვდა და ქვაზე ჩამოჯდა. სიგარეტს მოუკიდა. ქალი ხეს მოშორდა. დაენახვა.

– შენ მოკალი? – ჰკითხა.



კაცმა არ უპასუხა. წამოდგა. ხელისგულებზე დაიფურთხა. ბარის პირით ქაჩქაზე ქაჩქა-  
კუთხელი მოხაზა. მერე წვრაქვი აიღო. ქალი ახლოს მივიდა:

— მეც მომკლა?

კაცმა არც ახლა გასცა ხმა.

დიდხანს იყვნენ ასე — კაცი მიწას თხრიდა, ქალი უყურებდა. უცნაურია, გაქცევაზე არც  
უფიქრია. შეიძლებოდა იმიტომ, რომც ეცადა, მაინც ვერ გაქცეოდა მეტყვევს. მერე უთხრა:

— მოიტა ბარი, მოგეხმარები!

კაცმა მამინვე მიაწოდა ბარი. ორმოში უკვე მუხლამდე იდგა. ამოვიდა. სიგარეტს  
მოუკლდა.

კარგახანს თხარეს ასე რიგრიგობით. მერე გვამები ორმოში ჩაყარეს. ორმო მიწით  
ამოავსეს. კაცმა ბუჩქს ტოტები მოსხიპა და ნაუცბათვე საფლავზე დაყარა. მერე აკრიფა და  
საკმაოდ შორს გადაჰყარა. ბარის პირით სხვადასხვა ადგილას ბალახიანი ბელტები მოჭრა  
და საფლავის თავზე ერთმანეთის მიჯრით დაალაგა ისე, რომ ახლა ამ ადგილს იქაურობის-  
გან ვერაფრით გამოარჩევდი.

— გამოცდილება გეტყობა, — უთხრა ქალმა. კაცმა არ უპასუხა.

მერე ისხდნენ და სიგარეტს ეწეოდნენ.

— შენ რიდასთვის მოკალი? — ჰკითხა კაცმა.

ახლა ქალმა არ უპასუხა. ბალახში გადაწვა, ხელები თავქვეშ ამოიღო და ცას ახედა,  
ხეებს შორის ლურჯ ნაფლეთებად რომ მოჩანდა. გუგულის ხმა შემოესმა, თითქოს მისი  
გული იძახდა: შორიდან: გუ-გუ, გუ-გუ—

შეიძლება უკეთესიც იყოს ასე, შეიძლება ეს უკეთესი ვარიანტიცაა, — ფიქრობდა. რატომ  
იყო უკეთესი, ან რატომ იყო ასე სიკვდილი უკეთესი ვარიანტი, ამაზე აღარ უფიქრია...

ყველაზე მეტად ბრეიგელი მიყვარდა. ბრეიგელის ალბომს ლექსების კრებულივით ვკითხ-  
ულობდი ხოლმე. საწოლთან მელი და ძილის წინ ვფურცლავდი. შეიძლება ჩემი უცნაური  
ხილვები, ადრე, ყმაწვილქალობაში რომ დამქუწო, ამ დიდი ჰოლანდიელის ფანტაზიის წყალო-  
ბით იყო ასე გამძაფრებული, იმდენად, რომ ზოგჯერ ვერც ვარჩევდი, ნამდვილად ხდებოდა,  
თუ მჭკვნებოდა. ყველაზე საშინელი უხამსი ხილვა, რომელსაც ვერსად ვემალეობდი, იყო  
უზარმაზარი მთავრე, რომელსაც პაწაწინა, კამხოლიანი არარაობა — ტიპური ბრეიგელის  
პერსონაჟი — მისდგომოდა და ყიშავდა. ეს ხილვა, როგორც ალბათ ხვდებით, ბრეიგელის  
„ფლამანდიური ანდაზებიდან“ იყო აღძრული, კონკრეტულად კი იმ ნახატიდან, რომელზედაც  
ფენტეგაჩანხული ვიგინდარა მთვარეს (თუ მის გამოსახულებას) აფსამს. ანდაზაზე უკეთე-  
სად რას შეუძლია გამოთქვას ის აზრი, რომ ადამიანი, ეტყობა, ღირსი არ არის ღმერთის  
მიერ ნაწუქარი ამქვეყნიური სამყაროსი, ანუ დიადი საოცრებისა. ეს იყო უმადური კაცობრი-  
ობის სიმბოლური ხატი. მაგრამ ეს ხილვა ამით არ მთავრდებოდა: ის არარაობა ჩემსკენ  
შემოტრიალდებოდა თვალდაჭყეტილი, ლაშებგადმოჭრილი იკრიჭებოდა და ფალოსს მამყენებდა.  
სექსუალური პალუცინაციები მტანჯავდა, უცნაური, სიუჟეტურად ერთმანეთზე გადაბმული  
ჩვენებები. ცოლ-ქმარი ერთ საწოლში ვიწეკით. ჩემს ქმარს ქირურგის შეცდომის გამო,  
ჩემთან ნორმალური ურთიერთობა არ შეეძლო. მაინც ცდილობდით მივხმარებოდით ერთმა-  
ნეთს. ცოლ-ქმრული მასტრუბაცია. ის კი, ანუ ბრეიგელის არარაობა, საშინელი, მხეცური  
გამძაგებით მგლეჯდა, მიმათრევდა ხრიოკებზე ჩირგვებში, ქვებზე და ეკლებზე ვტოვებდი  
ზორცს, თითქოს უქაღლიანდებოდი, თითქოს ვებრძოდი, მაგრამ სწორედ ეს გამაღლიანება და  
ბრძოლა კიდევ უფრო ახელებდა, ტანსაცმელს მახევედა, ძუძუს თავებზე მჭებნდა, კბილით  
მიფხრენდა საცვალს. ვგმინავდი, ვკიოდი, ვკენესოდი. რაღაც მხეცური, ცხოველური, თუ  
შეიძლება ითქვას, ბნელი ორგანზში ვონებას მაკარგვინებდა. კი არ ვათავებდი — ვთავებოდი,  
უცებ გონში ვვარდებოდი, დაფუთებული, სასომიხდილი, ძლივს ვსუნთქავდი, პერანგი გასაწური  
მქონდა. ჩემი ქმარი გვერდზე გადაბრუნებული, თავზე საბანწახურული იწვა. რასაკვირველია,  
ელვიძა, რასაკვირველია, ხედებოდა ყველაფერს, თუმცა, ამას რა მიხვედრა უნდოდა! ერთი  
სიტყვითაც არ უგრძობობინებია ჩემთვის არაფერი. მხოლოდ ერთხელ, არ ვიცი, რასთან



დაკავშირებით, თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა: მონასტრების შინაგანაწესის მიხედვით, ბერებს ცოლვად არ ეთვლებოდათ ძილში სპერმის უნებური გამოყოფაო. ეს ცოლვად მისა

მე ასტროფიზიკოსი ვიყავი. ჩემი ქმარი — მწერალი, მთელი დღე მანქანასთან იჯდა და აკაუნებდა. მივიღოდი, მხარზე იდაყვებით დავეყრდნობოდი და ვკითხულობდი, რასაც ბეჭდავდა. ეს იყო, შეიძლება ითქვას, იდეოლოგიური წუთები ჩვენს ცოლ-ქმრულ ურთიერთობაში, თუმცა, ისიც უნდა ვთქვა, რომ სიყვარულით გავყვები ცოლად ჩემზე ზუსტად ოცდახუთი წლით უფროს ადამიანს, რომელიც სკოლის მერხიდან მიყვარდა, უფრო ზუსტი თუ ვიქნები — მიყვარდა, რასაც წერდა. ღამით, საწოლში მისი წიგნი მქონდა გულში ჩაკრული და ისე ვიძინებდი. ფიქრში მისი წიგნის პერსონაჟი ეხდებოდა — სიყვარულს დანატრებული, რაღაც უცნაური კავშირით შეპყრობილი არსება. ერთხელ ამხანაგებში დავიქადნე, ავერ ნახავთ, თუ მისი ცოლი არ გავხდე-მეთქი! და გავხდი კიდევ! ოღონდ, რასაკვირველია, რამდენიმე წლის მერე, როცა უნივერსიტეტს ვამთავრებდი. შინ ვესტუმრე. არ მგლოდა. არც ვახსოვდი, ან რატომ უნდა ვხსოვებოდი, როცა მხოლოდ ერთხელ ვყავდი ნანახი: უნივერსიტეტში იყო მოწვეული, ახალგაზრდა მწერალთა წრის წევრებთან შესახვედრად. მისი წიგნი მიეურბინებ. ავტოგრაფი ვთხოვე. რა გქვიათო? მე კი მეგონა, ვახსოვდი, არა მარტო ვახსოვდი, მისთვის სულერთი არ ვიყავი. გვიანობამდე ვისაუბრეთ. მერე ყველაფერი ბანალურად მოხდა. არა, ბანალურად არა. სწორედ რომ ბანალური არ იყო ჩვენი ამბავი, თუნდაც ის, რომ ქალითან ნორმალური ცხოვრება არ შეეძლო. ეს ჩემთვის მძოლოდენელი იყო, მაგრამ არ შევიძინებდი. მაგას ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს, — ვუთხარი, როცა მკითხა, თუ რას ვფიქრობდი ამის თაობაზე, — მეც ქალიშვილი არა ვარ, — და სიცოცხლე დავამატე, — ოცდაორი წლისას საკმაო გამოცდილება დამიგროვდა-მეთქი. უტყუარი. არავითარი გამოცდილება არ მქონდა. ქალიშვილი კი ნამდვილად აღარ ვიყავი. ჩემმა თანაკურსელმა ამხანაგის დაბადების დღეზე, საბაზნაროში მოახერხა ეს. მერე აღარ გამოჩენილა, შევეშინდა...

ასპირანტურა რომ დავამთავრე, აბასთუმნის ობსერვატორიაში გამანაწილეს სამუშაოდ. ჩემი ქმარიც წამომყვა. ჩემთვის სულერთია, სად ვიცხოვრებ, შეიძლება იქ უკეთესიც კი იყოსო. ორივენი მარტოხელები ვიყავით. დედა სწორედ ჩვენს წამოსვლამდე ცოტა ხნით ადრე გარდაეცვალა, დედამეში კი ახალ ქმართან იყო გადასული.

ყველაფერი, რაც აქ დაგვკვირდებოდა, გადმოვზიდეთ ჩვენივე გამოყოფილ კოტეჯში. უამრავი ბარგი დაგვიტვირთა. ბევრ რამეს ვერ შეველიეთ. ძირითადად, რა თქმა უნდა, წიგნებს. ახლა ვფიქრობ, ადამიანობის ნოსტალგია გვჭირდა, ადამიანობის ვიტამინები გვაკლდა, რასაც არა მარტო ჩვენ, მთელი თაობები წიგნებში ეძებდნენ. ჩემს ქმარს, მგონი, რისი წაკითხვაც შეიძლებოდა, უკვე წაკითხული ჰქონდა. ძირითადად რომაელ პოეტებს კითხულობდა, ყველაზე ხშირად კატულუსს, მისი ლექსების თარგმნასაც აპირებდა. ამიტომ საგანგებოდ შეისწავლა ლათინური. წიგნი, მოგეხსენებათ, მძიმეა, განსაკუთრებით, როცა ბარგის სახით გადაგატყს სადმე. ასევეა მხატვრების ალბომები და, თქვენ წარმოიდგინეთ, ფოტოგრაფიები. მათთან ერთად, წამოვიღეთ უამრავი კასეტაც, ასე რომ, როცა მომიხდებოდა, შემძებლო მოძესმინა ჩემი საყვარელი ნაწარმოებები, თუნდაც, გრივის საფორტეპიანო კონცერტი, რიტერის შესრულებით. მე არა მარტო სკანდინავიური მუსიკა და ლიტერატურა მიყვარს, არამედ — სკანდინავიაზე ფიქრიც, რაც საოცრად მამშვიდებს ხოლმე. ეს ჩემთვის იგივეა, რაც მეოცნებე ბავშვისთვის ჯადოსნური ნივთებით გაჭვდილი სხვენი. კაცმა რომ თქვას, სკანდინავიაც ხომ ვეროპის ჯადოსნური სხვენია! ჩვენი ახალი, პატარა ბინა უცებ წიგნებით აივსო: წიგნები ეწყო თაროებზე, მაგიდაზე, იატაკზე, ფარჯრის რაფაზე. დიდ ოთახში — თუ შეიძლება ჩვენი რომელიმე ოთახისთვის დიდი გეწოდებინა! — ერთ კედელზე ხევესურული ფარდავი ჩამოკიდეთ, ზედ — ჩემი ქმრის ორლულიანი თოფი და პატრონტაშები. ვეჭონდა პატარა ბუხარიც. ბუხრის წინ დათვის ტყავი ვიფხა, რომელიც აქ, მეტყვევისგან ვიყიდეთ. იმ ტყავზე მიწოლილები ცეცხლს ეკურებდით. „დეკნისის გმირივით ცეცხლთან ჩაფიქრება“ — იტყვოდა პოეტი. ჩემი ქმარი დუმდა. მე ვლაპარაკობდი, ერთ-ორ ფრაზას თუ ჩაურთავდა, იმ შემთხვევაში, თუ მეთანხმებოდა, თუ არა და შუბლს შეიჭმუხნიდა ხოლმე. როცა

ვიგრძნობდი, ბევრს ვლაპარაკობდი, ვეტყობდი, დავიღალე ამდენი ლაქლაქით-შეთქი. არა, ილაპარაკე, ილაპარაკეო, მე მიყვარს შენი ლაპარაკიო. ეჰ, მე თუ ლაპარაკი მაძლია შეთქი... უმთავრესად, რასაკვირველია, ტელეფონით ვლაპარაკობდი, რომელიც ალბათ ყველაზე დიდი ბედნიერება და, ამავე დროს, პატივისცემაც იყო, ჩემი ქმრის მიმართ რომ გამოიჩინა იქაურმა ხელისუფლებამ. ეს 1980 წელია, ჯერ მობილურამდე ძალიან შორია...

– შეხედე, რას აკეთებს ეს ვირიშვილი, მთვარეს აფსაშს! – ვიყვირე და ხელისხურვი რეპროდუქციას დავკარი.

– სულ ასე ბრაზობ, – მითხრა ღიმილით ჩემმა ქმარმა, – სულ, როცა ამ სურათს უყურებ. ისე უბრაზდები, თითქოს გაიკებს და თავს გაანებებს.

– ამ ნადირალას სიამოვნებით მოგკლავდი. თუ გინდა, მოწიე აქ, ნუ აღგები, – ვუთხარი. ბუხართან, ტყავზე ვიყავით მიწოლილები.

– შენ რომ თამბაქოს ბოლს ვერ იტან?

– არა უშავს. რაღაც მინდა გითხრა, – აღარ შემეძლო დამეშალა, რაც ჩემს თავს ხდებოდა.

ციდან ჩამოფრენილ კაცს უკვე მერამდენედ ვხედავოდი. ჩემი ქმარი ჯანმრთელი რომ ყოფილიყო, რასაკვირველია, ადრეც ვეტყობდი. შეიძლება ეს მიშლიდა ხელს, სიძარითლე რომ მეთქვა. შეიძლება კი არა, ალბათ ასე იყო ნამდვილად.

– კარგი, არ მოვწვევ, – მითხრა, – გისმენ!

– არა, არაფერი, – მუხლზე მივეყვრე.

ცოტა ხნის მერე ვუთხარი:

– იცი, ჩემმა პროფესიამ კარგი ასტრონომი ვერა, მაგრამ მოყვარული ფილოსოფოსი კი გამხადა. იცი, რაზე ვფიქრობ ხოლმე იქ, ტელესკოპთან? რასაკვირველია, სისულელეა, მაგრამ მაინც გეტყვი: ასტრონომია სხვა არაფერია, თუ არა ჩვენი ნოსტალგია დაკარგულ სამოთხეზე.

– ფილოსოფოსი კი არა, პოეტი გამხდარხარ, – მითხრა ჩემმა ქმარმა ღიმილით.

– შეიძლება! ეგ უფრო მომწონს! მე ეგ უფრო მიხდება. ვიცი, რომ არ გიყვარს ჩემი ასეთი, როგორც შენ ამბობ, გატყლარჭული ლაპარაკი, მაგრამ ცოტა ხანს მაინც უნდა მომისმინო, იბუღებულე ხარ, ვერსად გამეცქვევი, – თან მის ხელს ვეფერებოდი, ძალიან ლამაზი ხელის მტკეპანი ჰქონდა. გრძელი, ჩამოქნილი თითები. მწერლის უქნარა თითები გაქვს-შეთქი, ვეტყობდი ხოლმე სიცილით, არადა, სწორედ ამ თითებს ადგა დიდი ჯაჯა – ღღელღღამე, ღღელღღამე, აკაკუნებდნენ და აკაკუნებდნენ. ამის გამო, ჩემი ქმარი განდევნილ-საც კი ჰგავდა და არა მარტო ჰგავდა – იყო კიდევ განდევნილი. თვითონ არაფერს მუშენებოდა, მაგრამ ვხედავოდი, რომ თბილისიდან რაღაც დიდ უსიამოვნებას გამოქცეოდა. ამიტომაც ვერიდებოდი მასთან მწერლობაზე ლაპარაკს, რასაკვირველია, ღღეკანდელ ჩვენს მწერლობაზე.

არასოდეს დავფიქრებულვარ, ჩემს ქმარს ვუყვარდი თუ არა, თითქოს ეს თავისთავად ასე უნდა ყოფილიყო. სულ ორი წელი აღმოჩნდა საკმარისი იმისთვის, რომ ეჭვი გამჩნობდა. რატომ უნდა ევარებოდა ვიღაც გოგო, რომელიც მოულოდნელად გაჩნდა მის ცხოვრებაში – ორივე ხელით გულზე მაგრად ჰქონდა მისი წიგნი მიხუტებული და მორიდებით, ხმის კანკალით სთხოვდა ავტოგრაფს. ნათქვამია, კაცს რაც უწერია, ის არ აცდებაო, მართალი ყოფილა, ეტყობა, მეცა და ჩემს ქმარსაც ასე გვეწერა – ცოლ-ქმარი უნდა გამხდარიყავით, უცებ, ყოველგვარი წინაპირობის გარეშე, ერთმანეთის უკეთესად გაცნობაც კი არ მივიჩინეთ საჭიროდ. ჩემი სითამამე მე თვითონვე მიკვირდა, ამავე დროს იმასაც ვგრძნობდი, რომ მის ერთერთ გმირ ქალს ებაძვდი, ლაპარაკით, ქცევით. ოღონდ სიგარეტს ვერაფრით შევჭკიე-ვცადე კი, მაგრამ კინაღამ დავიხიზნევი. მე მგონი, მიმიხვდა ყველაფერს, რადგან ერთხელ ღიმილით მითხრა, შენ უფრო კარგი გოგო ხარ, ვიდრე გგონიაო. უკვე ერთმანეთს ვხედუ-ბოდი, უფრო სწორედ, მასთან მიველიოდი ხოლმე სტუმრად. მარტო არ ცხოვრობდა, მოხუცი დედა ყავდა შინ, მუდამ თმადავარცხნილი, კოხტად ჩაცმული, თითქოს სტუმრად



წასასვლელად გამზადებული, გამზადარი, ჭალარა ქალი, ტელევიზორის წინ იჯდა. ქველ და ერთხელაც კი არ დამლაპარაკებია. წამით გამოშხვდავდა, თავის ოდნავი დაკვირვებით მამაკაცსაღმებოდა და ისევე ტელევიზორს მიუბრუნებოდა. დარწმუნებული ვიყავი, ჩვენი ლაპარაკი არ ესმოდა, თუმცა, სიმართლე რომ ვთქვა, მე თვითონაც მაინც ვეძებოდა, ჩვენს გარდა სხვაც თუ იყო ოთახში. ბესოს, ასე ერქვა ჩემს ქმარს, ეტყობა ვრდილობა ჩემთვის მეორე ოთახში გასვლა შეეთავაზებინა, ისიც ვრდილობა ალბათ, ენიშნებინა, ჩვენს ლაპარაკს სხვაც რომ ისმენდა, ამიტომ თავაზიანი ღიმილით ყველაფერზე თავს მიქნედა. მე კი უკვე ველაფერს ვაჩერებდა. თითქოს ვგრძნობდი, ამაზე უკეთეს მსმენელს ვერ ვიპოვიდი, სწორედ ის იყო, ვისთვისაც უსათუოდ უნდა გამეგებინებინა, რას ვფიქრობდი, რას ვანიცივდი, რომელი წიგნი მომწონდა, რომელი ფილმი. ეს კი არა მისი რომანიდან მთელ პასაჟებს უკეთობადი ზეპირად. თავჩალუნული მისმენდა. საერთოდ, ძალიან ცოტას ლაპარაკობდა, შეიძლება ჩემთან შედარებით ჩანდა ასე. ერთხელ ქუჩაშიც გავიარეთ. ანწისხატის ეკლესიასთან ყორზე ჩამოვსხვდით. მოდი, შევიდეთ-მეთქი. სანთლები ავანთეთ. ჩაიფიქრეთ რამე. — ვუთხარი. მეც ჩაიფიქრე და აკი ამისრულდა! რამდენიმე დღის მერე, როცა მის სასტუმრო ოთახში ჩვეულებრივად ესაუბრობდით, უცებ გადმოიხარა, ხელზე ხელი დამადო და მკითხა: ცოლობა რომ ვთხოვთ, გამოძკებით? აი, მაშინ კი ჩამივარდა ენა. უხმოდ შევაშტერდი. რა მოხდა, — შეწუხდა, — არ ელოდით? არც ახლა გავეცი ხმა. ის კი დედამისს მიუბრუნდა: დედა, აი, ჩემი მომავალი მუუღლე! დედამისს სახე არ შეცვლია. მხოლოდ ცოტახნის მერე დავინახე. ტელევიზორის ეკრანის ანარეკლმა როგორ გაუბრწყინა თვალზე ცრემლი... მეორე დღეს კი მომიყვა თავისი საბუღისწერო ოპერაციის ამბავი. საქორწილო ბეჭდებს ვყიდულობდით ერთად. ისე მშვიდად მიყვებოდა ამას, გულში გამკრა მწარედ — თავზე-ღობისთვის ხომ არ მსჯღის-მეთქი. საერთოდ, ღმერთი ასე დამციანის ხოლმე: ყველაფერს მისრულებს, ოღონდ უცნაური, თითქმის წარმოუდგენელი სახით. ბეჭდებს კი ვყიდულობდით, მაგრამ სინამდვილეში მის შესახებ არაფერი ვიცოდი, ვარდა, რასაკვირველია, მისი წიგნებისა. არ ვიცოდი კი იმიტომ, რომ არ მინდოდა მცოდნოდა, ყურს უყურებდი მის სასიყვარულო თავგადასავლებს, რომლებსაც თითქოს განგებ, ჩემს გასაგონად ყველგონენ ჩემი ნაცნობ-მეგობრები. ჩემთან უნდა დაეწყო ახალი ცხოვრება, ასე მქონდა ჩაფიქრებული და ასე მოხდა კიდევ...

თავისუფალ დროს სულ ტყე-ღრეში ხეტიალში ვატარებდი. შემოვლილი მქონდა გარშემო ტყეები, მინდვრები, სოფლებიც კი. მარტო დავდიოდი, არ მიყვარდა ვინმესთან ერთად სეირნობა. ჩემს ქმარს შინ ჯდობდა და ბეჭვდა ყველაფერს ერჩია. ხო, მუსიკასაც უსმენდა საათობით, განსაკუთრებით გერმანული რომანტიკოსების ნაწარმოებები უყვარდა. ნუ დადიხარ ასე მარტო, — მაფრთხილებდნენ იქაურები, რამდენი ავაზაკი, რამდენი სექსუალურად შეწუხებული ტუბდისპანსერიის პაციენტი დაყიალობს, რამე ხიფათს არ გადაეყარო. ხიფათს არა, მაგრამ სასწაულს კი ნამდვილად გადაეყარე. ეს იყო ადამიანის სახემბეობული, ადამიანად გარდაქმნილი ცის ვება წვეთი, რომელიც მთელი სხეულიდან თითქოს ცას ასხივებდა. მაშინ პირველად ვიგრძენი, რა არის ცა, პირველად დავინახე. წამითაც არ მიფიქრია, უცხოპლანეტელი თუ იყო, თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენგან არაფრით განსხვავდებოდა. ყველაზე მეტად კი ფანტასტიკური ფილმების უცხოპლანეტელს არ ჰგავდა, ანუ საშინლად მახინჯე არსებას, წყალმცენარესავით აქეთ-იქით რომ ირწვევა და გოგონასავით თავს წერილ კისერზე ძლივს იმაგრებს. მერე, რაც, ჩვენს შორის მოხდა, ამაზე აღარ გავაგრძელებ ლაპარაკს, აღარ გავიმეორებ. ოღონდ, იმას კი ვიტყვი, პირველად ვიგრძენი, რა დიდებული რამ ყოფილა თურმე ქალობა! მე ხომ აქამდე ნორმალური სექსობრივი ურთიერთობა არ მქონია არავისთან! ყველაზე ამაზრზენი ის პირველი, საბაზანოში ნაუცბათევი აქტი იყო, რომელმაც გულისამრევი სისველისა და ამაზრზენი სიცივის გრძობა დამიტოვა. ცოტა ხანს ვიჯექი აბაზანის კიდეზე, რატომღაც საშინლად დაქანცული, მისავათებული და რატომღაც ძალიან გაკვირვებულიც. ამავე დროს, იმასაც ვგრძნობდი, რომ მარტო ეს კი არა, რაც ახლახან თავს გადამხდა, არამედ საერთოდ ყველაფერი სულერთი იყო ახლა ჩემთვის.




საბაზანოს კარი ჩავკეტე. ცხელი წყალი მოუქუმი. შამპუნი მოვებენე. ავაჭყეფე უბნზე გავიხადე და სურნელოვან კი არა, აქოთებულ საპნის ღრუბელში ჩავწექი. თუ ვინმე მომხმარებდა, ეტყობა, ჩამებინა. კარზე ბრახუნმა გამომიყვანა ბურანიდან. ღიძნანს აბრაზუნებდნენ. როგორც იქნა, გამოვედი საბაზანოდან. რა ქენი, დაიბანე?! – მომცვიდნენ გოგოები, – გაგიფიდი?! ხო, გაგიფიდი, ვუპასუხე, – დამალევინეთ რამე...

მე და ციდან ჩამოსული რამდენჯერმე შევხვდით ერთმანეთს. რასაკვირველია, ემა ბოვარიეთი თავდავიწყებული არ გაერბოდი პავანზე, მაგრამ რომ არ შევხვედროდი, არც ის შემქმლო. და რაც მთავარია, არ შემქმლო ვინმესთვის გამენდო, მართლაც რომ, სენსაციური საიდუმლო, რომლის მნიშვნელობასაც, ალბათ უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვი – გრანდიოზულობასაც თანდათანობით ჩავწვდი. ორივემ უცებ შევითვისეთ ყველაზე ცხადი – ცოცხალი იეროვლიფური მეტყველება – მუნჯური ენა. ამის შემდეგ გრანდიოზული საიდუმლო უცებ დაპატარავდა და ჩემს პირად საიდუმლოდ გადაიტკა. თითქოს ღმერთი დამეთანხმა – რასაც კოსმოსზე და მის მაცხოვრებლებზე ვფიქრობდი, მართალიაო. რაც მთავარია, ერთ არსებად განსხეულებული უსასრულობა ვიხილე და არა მარტო ვიხილე, განვიცადე კიდევ კიდევ ერთხელ ვირწმუნე, რომ ადამიანი, კოსმოსის მსგავსად, უსასრულო სამყაროა. კოსმოსის სხვადასხვა წერტილში მცხოვრები ერთადერთი გონიერი არსება – ადამიანია, ისეთივე, როგორც ჩვენა ვართ...

ადრეული შემოდგომა იყო. როგორც ვთქვი, თავისუფალ დროს სულ ტყვსა და მინდორში დავეხეტებოდი და ამ ხეტიალის დროს რას არ ვფიქრობდი! რატომღაც პოეტის ერთი ფრაზა ამეკვიპა: „და ყველაფერი როგორ ნაზდება...“ ხმამალა ვიპოვებდი. მართლაც, უცნაურად მინაზებული, მიყუჩებული იყო არე-მარე. ტოტებს შორის აბლაბუდები ბზინავდა. შერც უცნაურად დამტკბარი მზის ბადეში იყავი თითქოს გახვეული, უშწუო მწერით, რომელმაც არ იცის, რომ ეს სასიკვდილო საფრთხეა. ინსტიქტი კარანახობს, რომ ეს აუცილებელია, ასე უნდა მოხდეს, გარდუვალია. ფოთლის სამყარო ჯერ მშვიდ, თვითდაჯერებული მყიდრობამა ჩანთქმული, განაბული. ათასნაირად ფერმეცვლილი, თუ ათასფრად აჭრელებული. ჯერ კიდევ ურყევად გამოიყურება, თუმცა ცოტაც და დაიწყება შემოდგომის თავბრუდამხვევი სტრიპტიზი. ზოგჯერ მოულოდნელად, როგორც ონკანის პირზე შემორჩენილი წყლის წვეთი, მოწყდება რომელიღაც ფოთოლი ყუნწს, წამოვა, დაფარფატებს, დასრიალებს პაერში, ცეკვავს, ჩვენთვის მიუწვდომელი მუსიკის რიტმს აყოლილი, დამორჩილებული, დანებებული. ჯერ კიდევ ცოცხალია, უფრო სწორად, ჰგონია, რომ ცოცხალია, ოღონდ ახლა მარტოა, ერთია, თავის აძარა დარჩენილი, აღარ არის მილიარდი და მილიარდი მისი მსგავსის მიერ შექმნილი მწვანე წყვილიადის პაწაწინა ნაწილაკი. ამ მოულოდნელი აღმოჩენით შემერთალი, გაოცებული, გაბრუებული, ლაღად დაფრინავს და ცეკვავს. მოკლედ, არ იცის, რომ თავისუფალია და კვდება. უცებ ერთ ადგილზე დაბზირალებდა, თითქოს მოულოდნელად დამბიმებული, კი არ დაეშვება – დაქანდება, დაეცემა, დაეფინება მიწას. ასე ცეკვა-ცეკვით, ნებივრობით ამთავრებს სიცოცხლეს. ფოთოლმა უნდა გვასწავლოს, ერთის სიკვდილი ყველას სიკვდილს რომ მოასწავებს? – ვფიქრობ მე და ამ დილით გაგებული ამბით, რის დასაზუსტებლადაც პოლიკლინიკის ექიმთან ჩასვლაც მომიწია, გაზრდილი და უცნაურად გადასხვაფერებული, რაღაც ამოუხსნელი, გაუაზრებელი სიხარულით თავბრუდახვეული, ნელა მივაბიჯებ შინისაკენ. ის, რაც ექიმმა დამიდასტურა, ერთი შეხედვით, თავზარდამცემი უნდა ყოფილიყო ჩემთვის, თუკი ჩემს მდგომარეობას გაითვალისწინებდით, მაგრამ – პოი, საკვირველებავ! – პირიქით ხდებოდა: სიხარულის მბრწყინავი და მზზინავი ბურთულებით მქონდა თავი სავსე, არა მარტო თავი, მთელი ჩემი არსება სიხარულის ფეიერვერკის ასპარეზად, ცის ნაწილად, ცის ნაფლეთად, ცის ახალ ტერიტორიად ქცეულიყო, თუკი, რასაკვირველია, ცის გაზრდის წარმოდგენა საერთოდ შესაძლებელია.

ნაბიჯს აუწყქარე, ქმარს გავანდობ-მეთქი ჩემს სიხარულს, სხვა მახლობელი არავინ მყავდა, თანამშრომელ ქალებთან არ ვმგობრობდი, მერე ჩემს თავს მე თვითონვე შევუწყვირე,



გავიღი? არ გაბელო ეს სისულელე! მართლაც, თუკი ვინმესთვის არ შეიძლებოდა ამ ამბის მოყოლა, მითუმეტეს, ხარება, უპირველეს ყოვლისა, ჩემი ქმრისთვის. ყურადღება მივაქციე ირგვლივ უამრავი უცნობი ხალხი ირეოდა, მათ შორის ჯარისკაცებიც. აშკარად რაღაც უჩვეულო ამბავი ხდებოდა. ვერც ვერავის ვკითხე, ვინ არიან, რატომ ამოვიდნენ, რა უნდათ-მეთქი, ვის ეძებენ? და ეს რომ გავიფიქრე, მაშინვე ის საფლავი გამახსენდა, გამოქცაბულის ახლოს. მერე შეტყვევე დავინახე.

– კარლო! – დაეუმახე, – მოდი აქ!

მომახლოვდა. რაღაც უხალისოდ, ნელა, აუჩქარებლად, თან აქეთ-იქით იხედებოდა, თითქოს არ უნდოდა ჩემთან ერთად დაენახა ვინმეს.

– რა მოხდა, – ვკითხე, – ვინ არიან, რას ეძებენ?

– იპოვეს! – მითხრა ჩუმად, თან თვალი ამარიადა.

– ვინ? – შემიხტა გული.

– ვინ კი არა, რა! – გამიხწორა კარლომ, – გელოვებს უპოვიათ ხევეში.

– ხევეში? რა უნდა ეპოვათ ხევეში?

– რაღაცა, რა ვიცი, რაღაც უპოვიათ. ბოდიში, ქალბატონო და, კინაღამ ჩავიფვი.

შემეშინდა.

შეებით ამოვისუნთქე.

– ნუ გეშინია, – ვუთხარი, – ვაჟკაცი არა ხარ!

– თქვენი იმედი მაქვს, – მითხრა კარლომ და გვერდზე გაიხედა.

– ნუ გეშინია-მეთქი, ხომ ვითხარი, სამარე ვარ!

– მთელი ჯარია ამოსული. მანქანა მანქანაზე მოდის.

– ნუ გეშინია, – გავუმეორე და წამოვედი.

ჩემი ქმარი ბეჭდავდა. რომ შევედი, თავი არ აუღია. ქურთუკი საკიდზე ჩამოვკიდე. ბოტასები გავიხადე და იქვე, გარდერობთან დავეყარე. წინდებისამარა წამოვჯდი, თმაზე ხელი გადავუსვი, როგორ მიდის საქმე? ხმა არ გამცა.

– იცი, რა კარგია გარეთ!

თავი დამიჭნია. მისთვის ახლა სულერთი იყო, რა ხდებოდა გარეთ, არ აინტერესებდა.

– იცი, რამდენი ხალხია ამოსული, ჯარისკაცებიც. ნეტავი, რა ხდება!

– ვიცი, – მითხრა, ბეჭდვა შეწყვეტა. ხელები გაწვართა, – დავიღალე. დამირეკეს, ტყეში გასეირნება შემომთავაზეს. ხალხი ჰქირდებათ.

– მერე, რატომ არ მიდიხარ? რა სჯობს ახლა ტყეში გასეირნებას, იცი, რა ხილამაზე! შენს ადგილას ავიღებდი თოფს და წავიდოდი, გახსოვს ბოდღერის: „აივლე თოფი და წავედი დროს მოსაკლავად“.

გავლიმა:

– თოფი რად მინდა?

– რა ვიცი, კი ვიკიდია დიდი ამბით!

– ეს მამანემის თოფია!

– გავიგე, ბატონო, მამაშენის თოფია! რა იცვლება მავით, რადგან მამაშენისაა, აღარ ისვრის? დიდი ამბით კი წმენდ და აპრიალებ ხოლმე. ვის ეძებენ მაინც, რა თქვეს, ვის ეუბნები?

– რაღაც უპოვიათ ხევეში...

– მაინც რა?

– რაღაც... როგორ ვითხრა... თითქოს დამსხვრეული საფრენი აპარატიყო. არ მჯერა. ფანტასტიკაა, ზღაპარია!

და მოხდა კიდევ უცნაური რამ – მეწყინა, წარმოგიდგენიათ, ძალიან მეწყინა, ოღონდ დღემდე ვერ ამიხსნია, რა იყო საწყენი, ნუთუ ის, რომ ბედნიერებას, რითაც ახლა ასე საკვებ ვიყავი, ზღაპარი უწოდა? ამიტომ, თუმცა უკვე გადაფიქრებული მქონდა, არ ვეტყვი-მეთქი, პირდაპირ მივახალე:



– იცი, მე ორსულად ვარ!  
 მოულოდნელობისგან შეცბა, შემომსტერდა.  
 ასე მიყურა კარგახანს.

ვიგრძენი, მისთვის არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეთქვა, მაგრამ უკვე გვიან იყო.  
 უხმოდ მიუბრუნდა საბეჭდ მანქანას და მუშაობა განაგრძო...

მეორე დღეს, სამსახურიდან დაბრუნებულმა კარი შევალე თუ არა, რაღაცნაირად უჩვეულო სიჩუმემ შემკართო. მახსოვს, ასე გავიფიქრე, რა უცხო სიჩუმეა-შეთქი... ნიკაძევემ ამოდებული ლულა ორივე ხელით მაგრად მიეკრა მკერდზე, შიშველი ფეხის ცერი სასხლეტზე შერჩენოდა...

კვილი კი არა, თითქოს რაღაც სამინელი არსება უნდა ამომსკდომოდა პირიდან. ორივე ხელი ავიფარე. ასე ვიდექი კარგახანს. შერე აივანზე გავედი, იქიდან ნავის ბიღონი შემოვიტანე. ოთახში მივასს-მოვასსი ნავით. ბიღონი მიღლიანად დავცალე, იქვე დავაგდე-კარადიდან თბილისიდან წამოყოლილი კუბური რომი ვადმოვიდე. სავარძელში ჩაეჯექი. ბოთლი მოვიყუდე. თითქოს ცეცხლი გადაველაკე. წამოვდექი. ასანთის მოსატანად სამზარეულოში გავედი. სავარძელში დაებრუნდი. კიდევ მოვიყუდე ბოთლი. ახლა მესიამოვნა კიდევ. ასანთი გავკარი. ცოტა ხანს შევეცქეროდი, როგორც ნემსის წვერზე წამოგებულ ხოჭოს, შერე გადავაგდე და ისევ დიდი ყლუპი მოვსვი ბოთლიდან. შერე სიმღერა დავიწყე. ჩემთვისაც მოულოდნელად აემღერდი. ბავშვობის დროინდელი სიმღერა გამახსენდა: „მე პატარა ვოვო ვარ...“ ვმღეროდი, თან ვესვამდი, თან ცრემლი ღაპაღუპით ჩამომდიოდა. ეს კვამლის ბრალი იყო. სული მეხუთებოდა. მახველებდა. თვალები მეწვოდა. მაინც ვმღეროდი...

თვალი პალატაში გავახილე. პირველი, ვინც დაეინახე, ახალგაზრდა, მელოტი კაცი იყო, მხრებზე თეთრი ხალათი ჰქონდა მოხურული. დიდი წვალეებით ვკითხე, რა რიცხვია-შეთქი. ტუჩები დაშისებოდა, პირი გაშრობოდა. ახალგაზრდამ რატომღაც გაიღიმა და მითხრა, რიცხვს კი არა, თვეს უნდა კითხულობდეო. რასაკვირველია, ამ სიტყვებზე არა, მაგრამ მაშინვე დაგკარგე გონება. ვიდრე ისევ გაუახელდი თვალს, სიზმარი ენახე. ვითომ აბასთუმნის ტყეში ვიყავი. თვალმიღულულ მეგლს ჩემს კალთაში ჩაელო თავი. სად არის-შეთქი შენი მეგობარი? – ვკითხე. თან ქერზე ვფხანდი. ნუთუ ვერ ხედავო? ვერა-შეთქი. ვგრძნობდი, აქვე იყო, ჩემს გვერდით, შეიძლება ჩემშიაც კი. და ამის გამო ვტიროდი. ასე ტირილ-ტირილით გამომეღვიძა, თუ გავცოცხლდი, არ ვიცი, როგორ უნდა ითქვას ასეთ შემთხვევაში. მაშინვე ისევ ის ახალგაზრდა კაცი დაეინახე, მელოტი, ისევ ისე დამცქეროდა თვალმოუშორებლად. მისგან შევიტყვე, რომ უკვე მეხუთე თვე ხედავოდა, რაც ასე გათიშული ვიწეხე. მეორე დღეს მისმა თანმზლებმა ორმა კაცმა პალატაში მაგნიტოფონი შემოიტანა და მთელი საათის განმავლობაში ჩემს ნაბოღვარს უესმენდი. თურმე ძილში, თუ რაც ერქვა იმ ჩემს მდგომარეობას, განუწყვეტლივ ვლაპარაკობდი და დაწვრილებით ვყვებოდი ციდან ჩამოსული კაცის ამბავს.

- ვესმით? – ჩამეკითხა მელოტი.
- თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე.
- ეს თქვენი ხმაა, იცანით?

ისევ დავუქნიე თავი. არ დაუმაღავეს, მითხრა, უშიშროების მაიორი ვარო. ამ ხნის, ანუ ხუთი თვის განმავლობაში, სულ ჩემს საწოლთან მჯდარა და ჩემს გამოღვიძებას, თუ გაცოცხლებას ელოდებოდა. თან, რასაკვირველია, ჩემს ლაპარაკსაც იწერდა. მე ვლაპარაკობდი წყნარად და გარკვევით. თითქოს ვიცოდი, მაგნიტოფონზე იწერებოდა ყველაფერი. ამავე დროს, საინტერესო ის იყო, ერთსა და იმავეს ვიმეორებდი სულ, თითქმის უცვლელად.

- ასე, – მითხრა მაიორმა, – სულ ერთსა და იმავეს იმეორებთ.
- როდის როდის ეუპასუხე:
- მე ჩემს ქმარს ვუყვები ყველაფერს, – და დავუმატე, – არასოდეს არაფერი დამიმაღავეს.
- თქვენი ქმარი მკვდარია, – მითხრა მაიორმა.



ჩემდა უნებურად, ჩემთვისაც მოულოდნელად ტირილი დაიწყო. ცრემლი თავისით წამოქ-  
და და კისერში ჩამელვარა. თითქოს კანი ჩამწვალ.

- ვიცი, - ვთქვი ჩუმად.

ყველაფერი ცხადად მახსოვდა. ოღონდ, ის მიკვირდა, მე როგორ გადავრჩი, როგორ  
მოვხვდი აქ, საავადმყოფოში, ვინ მიშველა. არადა, არ მინდოდა ეშველათ. სრულებით არ  
ვიფაიე შხად ახალი ცხოვრების დასაწყებად. ჩემს ხმას რომ ვუსმენდი, უპირველეს ყოვლისა,  
ჩემი სიმშვიდე მიკვირდა ძალიან, მერე უცნაური, პედანტური სიხუსტე ტექსტისა, რომელსაც,  
მართლაც რომ, მაგნიტოფონით უცვლელად ვიმეორებდი.

მაიორი ადგა და ქალაქის ხელსახოცით ცრემლი მომწმინდა. მაშინ ვივრძინე, რომ  
ხელის განძრევაც კი არ შემეძლო. მივხვდი, მუშაისავეთ ვიფაიე დაბინტული.

- რასაც ყვებით, მართალია? - მკითხა მაიორმა, თან კეთილად მიღიმოდა.

მე თავი დაუქუნიე.

- შეგიძლიათ ახლაც მომიყვეთ?

კარგახნის მერე ვუპასუხე:

- არა.

- რატომ?

- დავიღალე.

მაშინვე წამოადგა. ზურგსუკან ვილაცას გადაუდლო:

- მოხედეთ!

მეორე დღეს ყველაფერი სიტყვა-სიტყვით გავუმეორე მაიორს. ისე როგორც მაგნიტო-  
ფონზე იყო ჩაწერილი.

ცოტა ხანს ჩუმად იჯდა, მერე მითხრა:

- გულწრფელად მითხარით, თქვენ მოიგონეთ ეს ზღაპარი?

- ზღაპარი?

თუკი ჩემი მონაყოლი ზღაპრად მიიჩნიეს, რატომღა იჯდა ჩემს საწოლთან რამდენიმე  
თვის განმავლობაში, ან საერთოდ რატომ მივლიდნენ ასე განსაკუთრებულად, რატომ მა-  
ცოცხლეს ამდენ ხანს, მე ხომ, როგორც ჩანს, კლინიკური სიკვდილი მქონდა!

თითქოს მიხვდა, რასაც ვფიქრობდი, გაეღიმა - უცნაურად იღიმებოდა, მხოლოდ ტუჩები  
წუნებოდა ოდნავ - რატომღაც გვერდზე გაიხედა და თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა:

- რასაც მიყვებით, იმის მნიშვნელობა თუ გესმით?

მერე მუხლზე დადებული ჩანთიდან რაღაც ქალაქი ამოიღო. დიდხანს დასცქეროდა.  
ეტყობა, კი არ კითხულობდა, ფიქრობდა რაღაცას. მერე თქვა:

- ფიზიკოსი!

მე კი ვუთხარი:

- არაფერი დამიძალავს. ვისთვისაც უნდა დამეძალა, იმასაც კი არ დაუვალე. დიხს,  
ფიზიკოსი ვარ. ასტრონომი. მესმის, რასაც ვლაპარაკობ.

- მითუმეტეს! - მითხრა მან

იმ დღეს მეტი აღარ გვილაპარაკია.

მეორე დღილას რომ გავიღვიძე, ისევ ჩემს საწოლთან ჩამოძვდარი დამხვდა.

- რასაკვირველია, - ვუთხარი, - ზოგი რამ, ზოგი კი არა, საკმაოდ ბევრი, ჩემი  
ჩამატებულია. მაგრამ, რაც მთავარია, ნამდვილად ვხვდებოდით ერთმანეთს.

- და თქვენ...

- დიხს, უცხოელანეტელი იყო!

- მერე რატომ...

- მაშინვე არ განვაცხადე არა?

ჩვენი საუბარი რაღაც თამაშს დაემსგავსა - მე უნდა მივმხდარიყავი, რისი თქმა  
უნდოდა! ჯერჯერობით, კარგად ვართმევედი თავს ამ თამაშს.

- მაშინვე იმიტომ არ განვაცხადე, რომ...



გაქვრდი, თითქოს იმას გადაუნაცვლე ჩემი როლი, იმანაც არ დააყოვნა: არ შევიყვარდით?

აქამდე არ ვუყურებდი და ისე ველაპარაკებოდი, ახლა თავი მივიბრუნე, შევხედე, არ იღიმებოდა. ხახე დაძაბვლა, ხაფეთქელთან ოფლის წვეთი უბრწყინავდა.

- თქვენ რა იცით? - ვკითხე.
- იმიტომ რომ ორსულადა ხართ! - მომახალა მკაცრად, უხეშად.
- ახლა გამახსენდა, რომ ორსულად ვიყავი.
- მე ქმარი მყავს! - გავიბრძოლე.
- ვყავდათ! - მიპასუხა მშვიდად.

ეტყობა, ყველაფერი კარგად იცოდა, მათ შორის ჩემი ქმრის ამბავიც. ცოტა ხნის მერე ვუთხარი:

- მე არაფერი დამიძალავს. რაც ჩაიწერეთ, ყველაფერი მართალია. ასე იყო. ველარაფერს დავამატებ. ახლა თუ შეიძლება, თავი დამანებეთ. სუსტადა ვარ ძალიან.

უხმოდ წამოდგა და წავიდა.

იმ დამეს ნაადრევი მშობიარობა დამეწყო. შეიძლება არც იყო ნაადრევი და მე მეგონა ასე. მე ხომ არც ის ვიცოდი, რამდენ ხანს ვიწეკი აქ, რამდენმა ხანმა გაიარა მას შემდეგ, რაც... აქ ვწყვეტილი ფიქრს, იმ კომპარის გახსენება ნამდვილად არ შემეძლო. მუცელი რომ ამტკიცვდა, გამიხარდა კიდევ, გამომძიებლის შემასწუხებლად ზრდილობიან ლაპარაკს ცოტა ხანს მაინც გადავრჩები-მეთქი.

უცნაური ის იყო, რომ ბავშვთან თითქოს არაფერი მაკავშირებდა, გარდა იმ ტკივილისა, რომელიც ხორკლიანი ლოდის ნატეხივით გამოვიდა ჩემი ორგანიზმიდან. არა, ეს წარმოუგნაში იყო ასე. უფრო სწორად, ფიქრში მოვიგონე ეს ტკივილი, თორემ სინამდვილეში ბავშვი საკნისროთი ამოიყვანეს ჩემი სხეულიდან, როცა ნარკოზით ვიყავი გათიშული. მერე, რა თქმა უნდა, შემომიყვანეს, დამანახვეს, არც კი გამიხედავს მისკენ. გოგოა, გოგო! - ეს კი გავიგონე. ბავშვს არ ვიკარებდი. არ შემეძლო მისი დანახვა. დასაიბული მუშუებიდან რძე წვეთავდა. მტკიოდა. გაჭრაკ კი გახდა აუცილებელი. ვიცოდი, რომ ბავშვი გაეანინე, მეტი არაფერი, თუ დამიჯერებთ, სხვა არავითარი გრძნობა ბავშვის მიმართ არ მქონია. რასა-კვირეულია, არც ნახვა მინდოდა მისი. ასე როგორ შეიძლება, - მიწყობოდნენ ექიმები, - თქვენი შვილია, ბოლოს და ბოლოს, ასეთი რამ არ გაგვიგონიაო. ასე რომ, შეიძლება ითქვას, ბავშვი კი გაეანინე, მაგრამ დედა ვერ გავხდი.

მაღე ლოგინიდან წამოვდექი. დერეფანში გასვლის უფლება მომცეს. მარტოდ მარტო დავფრატუნობდი. იმ სართულზე ყველა პალატა ცარიელი იყო. მერე ახალი გამომძიებელი მოვიდა. ყვაილების თაიგული ისე ეჭირა, როგორც მენსრეს დროშა. რაღაცნაირი, როგორ ვთქვა, სახაზინო ყვაილები იყო, ასეთ ყვაილებს სახელი კი არა, ნომრები აქვთ. ახალ გამომძიებელსაც სამოქალაქო ტანსაცმელი ეცვა. ოღონდ, ეტყობა, ჩვეულებრივი პალსტუხი ვერ ეშოვა და ფორმის ხაკისფერი, გამზადებული პალსტუხი ეკეთა, კისერთან ღილით რომ იცვრება.

- უკეთ ხართ? - მკითხა.
  - მადლობთ, არა მიშავს.
  - ოჰ, უკაცრავად! - ყვაილები კი არ მომაწოდა, მომანჩა, - ბავშვის გაჩენას გილოცავთ.
- მადლობა გადავუხადე. ყვაილები ფანჯრის რაფაზე დავდე. მაშინვე ექთანე შემოვიდა, ყვაილები ქილაში ჩააწყო და ქილა მაგიდაზე დადგა. გამომძიებელს შეაჩერდა. იმან თავის აქნეით ანიშნა, წადიო. ექთანმა კარი ფრთხილად გაიხურა. ახალი გამომძიებლის ყველა კითხვა ზეპირად ვიცოდი. ახალი არაფერი უკითხავს, ოღონდ, წინასგან განსხვავებით, სამშობლოს დღეებში დამლო ბრალი. თან გაიღიმა, მაგრამ გამომეტყველება არ შეცვლია. გამეცინა:

- თუკი ეს დღეა, იქნებ სამშობლოს კი არა, პლანეტის დღეებში დავგანანაშაულებინო!



იმნაც, პირველივით, მაგნიტოფონი შემოატანინა და ჩემი ნალაპარაკევი, უფრო სწორად, ნაბოღვარი, კიდევ ერთხელ მომასმენინა. ასე გამეორდა რამდენიმე დღე. ერთ დღილთაჲც გამოცხადდა, ხვალ კლინიკაში გადაგიყვანენო. რომელ კლინიკაში, განა ეს კლინიკა არ არის-მეთქი? ფსიქიატრიულში, მიპასუხა მშვიდად და მაშინვე დაუმატა, — არ ელოდით?

- სიმათლე ვითხრათ?
- რასაკვირველია! ამიტომა ვარ აქ!
- მეგონა, რომ მცემდით.
- რას ამბობთ, როგორ გეკადრებთ? — ძალიან გაიკვირვა, თითქოს ეწყინა კიდევ.
- მაშ, ფსიქიატრიულში რატომ უნდა გადამიყვანოთ? ვითომ გავგებდი?
- განა რასაც თქვენ ლაპარაკობთ, — თვალთ მაგნიტოფონზე მანიშნა, — და რაც თქვენ მოიძოქმედეთ...
- ღმერთო ჩემო! — ამოვიხვნეშე.
- დიააახ! — გააგრძელა, — განა ნორმალურად შეიძლება ჩაითვალოს?
- თქვენ რა იცით, რა არის ნორმალური და რა არა? — ჩემთვისვე მოულოდნელად გავცხადი, — რა იცით-მეთქი?! — ვუყვირე.
- წარბიც არ შეხრია, ისევ ძალიან მშვიდად მიპასუხა:
- ხოდა, ყველაფერს სპეციალისტები გაარკვევენ!
- სამშობლოს ღალატსაც? — საშინლად ეღელავდი, კლინიკის ხსენებამ თავგზა ამიბნია, თითქოს მხოლოდ ახლა მივხვდი, რა საშინელებაც დამტყდომოდა თავს.
- მაგასაც! — მითხრა და წამოდგა. სკამის საზურგეზე გადაკიდებული თეთრი ხალათი აიღო. პირველისგან განსხვავებით, მოხურული არ ჰქონდა, რომ შემოვიდა, ხელში ეჭირა და იატაკზე მიათრევდა. მალე მართლაც ფსიქიატრიულ კლინიკაში გადამიყვანეს.

5

იმ დღესაც ჩვეულებისამებრ აღრე აღეჭი, თუმცა კვირა იყო და შეგეძლო ცოტახანს კიდევ გენებებრა საწოლში. გუშინ ერთერთმა შენმა ყოფილმა პაციენტმა მოსაწვევი ბარათი მოგიტანა — ჩვენში აკრედიტებული ერთერთი ქვეყნის საელჩო ეროვნული დღესასწაულის აღნიშვნას აპირებდა ფილარმონიის საზაფხულო პარკში, საღამოს შვიდ საათზე. ძვირფასი სტუმრის მობრძანება სასურველი იყო — ასე ეწერა მოსაწვევე ბარათში. შენი ყოფილი პაციენტის ზათრი რომ არა, იქ წამსვლელი არ იყავი, „სასურველი სტუმარი“ ხომ მხოლოდ ყოფილი პაციენტის წყალობით გახდი! საწოლ ოთახში გამოღებული ფანჯრის რაფაზე პატარა სარკე გედგა და ელექტროსაპარსით პირს იპარსავდი. თან იქვე ახლოს დასკუბებულ ჩიტს, თუნუქს ნისკარტს რომ უკაკუნებდა, ელაპარაკებოდი. ძალიან გინდოდა, ჩიტს გაეგო, რომ გეცოდებოდა, თუმცა რატომ უნდა შეგცოდებოდა ბუნების ეს პაწია არსება, თვითონვე გაკვირდა. მაგრამ ჩიტი კი არა, ყველაფერი, რაც შენს გარშემო იყო, უფრო მეტიც — შენი გუშინდელი თუ მომავალი ცხოვრებაც საცოდავად გეჭვენებოდა, შეიძლება იმიტომ, რომ უეცრად მიმხვდარხარ, ბევრი რამ არ არის ამქვეყნად ისეთი გამამწარებელი და მტანჯველი, როგორც საკუთარი თავისა და საკუთარი ცხოვრების ცალ-ცალკე, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად განცდა. ფიქრობდი: დრო მიდის და მეც მიმართევს, როგორც დაჭრილ ჯარისკაცს, ოღონდ ლაზარეთისკენ არა. დრომ არც იცის ლაზარეთის არსებობა. ერთადერთი მისამართი აქქისო... აღარც კარზე კაკუნი, აღარც ტელეფონის მოულოდნელი ზარი აღარ გაკრიბოდა, აღარ გამბავდა, მოულოდნელობების საერთოდ აღარ გეშინოდა, რადგან უკვე იცოდი, ყველაფერი რაც არ უნდა მომხდარიყო, მოულოდნელი არ იქნებოდა. და განა მართლაც ასე არ არის? მოულოდნელი რამ საერთოდ არ არსებობს... სიტყვების გარდა! აი, რისი გეშინია ნამდვილად. სიტყვები დაუნდობლები არიან, თუნდაც თავიანთი მოულოდნელობით...



იქით, დიდ ოთახში, რომლის კარი გამოღებული იყო, მოსამსახურე ქალს, რომელიც კვირაში ორჯერ ბინას ვილაგებდა, ტელევიზორი ჩაერთო. ბინა საკმაოდ დიდი იყო. ეს ორსართულიანი სახლი ვაკეში პაპაშენს აეშენებინა. წინ პატარა ეზოც ჰქონდა, გარშემო რკინის მსერი ერტყა, რკინისავე ვიშარშებმული.

ასეთ წვეულებაზე პირველად არ მიდიოდი. რამდენჯერმე პირადად შენც გამოვიგზავნეს მოსაწვევი ბარათი, თუნდაც, როგორც საკმაოდ ცნობილი კლინიკის მთავარ ექიმს. ასეთ კლინიკებს განსაკუთრებით უცხოელები სცემენ პატივს და არც თუ ტყუილად. ყველაზე ხშირად, რა თქმა უნდა, შევიცარიის საელჩო ვეპატივებოდა, ალბათ იმიტომ, შევიცარიაში რომ იმსახურე ათი წელი.

წვეულებაზე უამრავი ხალხი იყრის ხოლმე თავს. ეს ღირსების, თანამედროვე ტერმინოლოგიით – პრესტიჟის საქმეა. ცდილობენ, იქ არ გამოჩნნენ, სადაც ყველაზე ელიტარული, ისევე თანამედროვე ტერმინოლოგიით: „ცნობილი სახეები“ იყრიან თავს. მოპატივებულ სტუმართა უმრავლესობა საელჩოს ქართველი თანამშრომლების ნაცნობია. სხვათაშორის, ასეთი წვეულების მოსაწვევი ბარათიც კი პრესტიჟულია. ერთხელ ასეთი ბარათი რომეღიდაც ნაცნობის ბინაში ნახე, ჩარჩოში ჩასმული და კედელზე ჩამოკიდებული. საერთოდ, რაც უფრო მეტ პრესტიჟულ რამეს ფლობს ადამიანი – თანამდებობა იქნება ეს, ბინა, აგარაკი, მანქანა თუ საყვარელი – მით უფრო მეტ პატივს სცემენ შინაც და გარეთაც, განსაკუთრებით კი ტელევიზიაში.

ნამდვილად თავისუფალ ქვეყანაში გატარებულმა ათმა წელმა გასწავლა, რომ თავისუფლების კანონებს უსიტყვოდ უნდა დაემორჩილო, თუ გინდა, რომ თავისუფლად იცხოვრო. ეს, ერთი შეხედვით, აბსურდული პირობაა, ღიმილის მომგვრელიც კი, თუ არ გაითვალისწინებ იმ ფაქტს, რომ საზოგადოებრივ-პოლიტიკური კანონები იშვიათად ექვემდებარებიან ლოგიკას და, თქვენ წარმოიდგინეთ, ამით ინარჩუნებენ დამაჯერებლობას. ეს ყველაფერი ამ დილით ჩაწერე დღიურში, ოღონდ, როცა წერა დაამთავრე და დღიური ისე, შექანიკურად გადაფურცლე, შენივე უცნაური ჩანაწერი იპოვე, რომელიც ამ დღიურში იმდენად გამოირჩეოდა, თითქოს ვილაცას, სხვას, შენს მაგივრად ჩაუწერიაო: უდაბნოში, სიციხით გათანგულ, ყვითლად ასისინებულ, თვალუწვდნელ სივრცეში აქლემი მიირწევა, ზანზალაკების წკრიალი-ჩხრიალით. აქლემს პლანეტის მთელი მოსახლეობა მოსდევს – პეტეიტით აწყობილი კაცობრიობა! პაწაწინა ადამიანების მსხა ღრუბლის ჩრდილივით მოჰყვება აქლემს... და აი, ერთ მშვენიერ დღეს მოშიებულმა კაცობრიობამ აქლემი დაკლა და შეჭამა. არადა მხოლოდ იმ აქლემს შეეძლია მისი უდაბნოდან გამოყვანა. მხოლოდ აქლემმა იცოდა გზა ოაზისისკენ... რა არის ეს, რამ დამაწერინაო, გაიფიქრე, – როგორ არა ჰგავს ჩემს ნაწერს, როგორ არა ბგავს მე! რას ნიშნავდა აქლემი? უდაბნო? ოაზისი? ღრუბლის ჩრდილად ქცეული კაცობრიობა? ნუთუ იმ აქლემის ხორცი მეც მივირთვი და ამითა ვარ გადარჩენილი? – გაიფიქრე. თან შენთვის გელიძებოდა: „უცნაურია, ჩემო ბატონო, უცნაური“... თარიღს დახედე: 2001 წელი! ახალი ათასწლეულის დასაწყისი! ვერ კიდევ შევიცარიაში ხარ, სული კბილით ვიჭირავს, ისე გინდა საქართველოში ჩამოსვლა. ნუთუ ნოსტალგიის ბრალი იყო საერთო კატასტროფის ასე წარმოდგენა?..

პირის პარსვა დაამთავრე. კაბინეტში შეხვედი. მაგიდაზე დღიური იყო გადაშლილი, სწორედ იმ ადგილას, სადაც აქლემის ამბავი ეწერა.

– ბატონო ზიგმუნდ, – მიმართე ფროიდის სურათს, რომელიც თავის დროზე მამამ დაკიდა ერთერთ ყველაზე გამოსაჩენ ადგილას (ნეტავი, რას ფიქრობდა მამა მაშინ?), – ბატონო მოძღვარო! მოვმართავთ ქართველი კოლეგა, რომელიც შევიცარიიდან დაზოგილი ფულით ვენაში ჩამოვიდა, როგორც მაკმადიანი – შექაში, რადგან თქვენს მოძღვრებაში ის იდუმალება და პოეზია აღელვებდა, რასაც, გაუბედავ და გეტყვით: თვითონ ვერ გრძნობდით, მიუხედავად იმისა, რომ აღიარებდით შემოქმედისთვის უცნობ, ტრანსცენდენტალური დიქტატის არსებობას. მაშინ თქვენი გამოავნებელი სითამამით გაბრუებული ჭაბუკი არ ვფიქრობდი, ვერ ვამჩნევდი, რომ, ამასთანავე, შესაძლებლად მიგაჩნდათ ამ ირაციონალური ბიძგის, ანუ



იღმალე ფენოშენის ამოხსნა. გავებდავ და გეტყვით, არ შეიძლება ადამიანის სულის ყოველგვარი მოძრაობა დაექვემდებაროს ახსნას, მითუხეტეს, ფსიქიატრის ახსნას. და რაზეა ჯი ამას დაუშვებთ, გაქრება კიდევ ადამიანი, როგორც თავისთავადი საიდუმლო. დიდხანს მერე მივხვდი, რომ თქვენი, ანუ მეტრის, მტკიცება უფრო იურისტის მჭვერეტეცველებას მოგვაგონებდა, ვიდრე მეცნიერის (თუნდაც ექიმის) დასაბუთებულ მსჯელობას და რატომღაც სწორედ მაშინ გამიჩნდა მკრეხელური აზრი (მაპატიეთ, თუ შეიძლება!) მეტი დამავერებლობისთვის სწორედ იღმალის განცდის უნარი, რომ გაკლდათ. ვიცი, ასეთი ერთეული აზრებისთვის ვენაში, თქვენი კლინიკის წინ, ათასობით ტურისტ-ფსიქიატრის თვალწინ კოცონზე დაწვას ვიმსახურებ, მაგრამ, რა გჭაა, მაინც ვიმეორებ: ვაი, რომ ყველაფერს ვერ ავხსნით — „ბევრი რამ არის, პორაციო...“ მაგრამ საჭიროა კი ყველაფერი ამოხსნათ? ვთქვით და ამოვხსენით, მერე? მერე რას ვაპირებთ, დაგვლათ აქლემი, რომელსაც რაზისისკენ მივყავართ?.. ეს იყო ახალი ეპოქის პირისპირ აღმოჩენილი ძველისძველი პრობლემათა და ეჭვების დათრგუნული ადამიანის, ღრუბლის ჩრდილის ნამცვეის, ამოცნება, 2001 წელს, ახალი წლის, ახალი საუკუნის, ახალი ათასწლეულის კართან...

ბოთლებითა და ბუტერბროლებით სავეს გრძელ მაგიდასთან იდგა. ერთ ხელში ცარიელი ჭიქა ეჭირა, მეორე ხელის ორი თითით კი — შუბლზე ჩამოვარდნილი თმა, თითქოს სამხედრო წესით ესალმებოდა ვიდაცას. მომქვენა, მე მილიზადა, ნუთუ ვიცნობ? გაუბედავად გადავვდი ნაბიჯი მისკენ. არა, არასოდეს შემხვედრია. რომ შემხვედროდა, არ დამაიწვებოდა. ახლოს რომ მივედი, მივხვდი, ფიქრში ელიებოდა. თითქოს სხვაგან იყო, არ ესმოდა ეს ყაყანი, ხალხის ყრიაშული. თითქოს ვერაფერს ხედავდა.

- გამარჯობათ, - ეუთხარი ფრანგულად. ნამდვილად უცხოელი იყო.
- რა თქვით? - ფიქრისგან გამოერკვა, - აჰ, გამარჯობათ. ჩვენ ერთმანეთს ვიცნობთ?
- არა, სამწუხაროდ, არა, რამეს ხომ არ დაღვეთ? - თვალით ჭიქაზე ვანიშნე, ხელში რომ ეჭირა.

- არა, - ჭიქა გამომიწოდა, - მადლობთ, - და წავიდა. ჭიქა ხელში შემატოვა.

გრძელი, სადავ შიკრილი, უსახელო კაბა ეცვა, ზურგზე ღრმა დეკოლტეტი. მსუბუქად მილიდა - მალაღი, წელში ოდნავ გახნიელი, მიორწოდა აფრასავით, ვილაც კაცთან შეჩერდა. ჩემსკენ ზურგშექცევით, რაღაცას ელაპარაკებოდა. ბაღში უამრავი ხალხი ირეოდა. ელჩს, რომელმაც ახლახან დაამთავრა თავისი გრძელი, მოსაწყენი სიტყვა და შეიძლება სწორედ ამის გამო, გახარებული, მოცვენებული განუწყვეტლევ ილიებოდა, ქალები შემოხვეოდნენ. თეთრკანიან ზანვს ჰგავდა, თუკი ასეთი რამის წარმოდგენა შეიძლება. თეთრი კოსტუმი ეცვა და წითელი, მგვირალა პალსტუხი ეკეთა. მე ჩემს ყოფილ პაციენტს ვეძებდი, ვინც მოსაწყვეი გამოიმეგზავნა. მინდოდა დაენახებოდი. მოულოდნელად კი ისევ იმ მალაქ ქალს შევეჯახე პირისპირ.

- მე თქვენ ვეძებდით, - მითხრა.
- გავშრი:
- მეძებდით?
- მე, ანა-მარია მქვია. უკაცრავად, რომ მიგატოვეთ.
- რას ბრძანებთ! - დავიბენი, - ძალიან სასიამოვნოა. მე კი, - ეუთხარი, ვინც ვიყავი.
- მაპატიეთ, უნდა წავიდე, სტუმრებს მივხვდო, - ხელი გამომიწოდა. რატომღაც ხელებში მოვიტყევი მისი ხელის მტკეანი. რაც არასოდეს გამოკეთებია. ღიმილით გაითავისუფლა ხელი. წავიდა. რატომღაც მაშინვე ეს გაიფიქრე - არ უნდა წამოვსულიყავი-მეთქი. ეს ფრაზა ამეკეთა: არ უნდა წამოვსულიყავი, არ უნდა წამოვსულიყავი, არ უნდა წამოვსულიყავი... დახლთან მივედი, ღვინით სავსე ჭიქა ავიღე. უცებ გადავკარი. მეორე, მესამე... არ უნდა წამოვსულიყავი. არ ვიცი, რატომ ვფიქრობდი ასე. საშინლად დამცხა. ცოტათი თავბრუვ დამეხვა. დიდხანია არ დამიღვეია ღვინო. გადავქვიე, თუ რა დამეძაროთა. ვაითუ, ჩემმა საშინელმა სენმა, რამდენიმე თვე შეპყრობილი რომ ყვავდი, ისევ გამიხსენა, ვაითუ... ვაითუ... ჩამოვვყვი. თანდათანობით ჩამიწყნარდა გული. ისევ მივედი დახლთან,



ისევ ავიღე ღვინის ჭიქა, ნელ-ნელა, წრუჭვა-წრუჭვით გამოეცალე სასმისი. ახლა სრულიად მშვიდად ვიყავი. ყველაფერმა ჩვეულებრივი სახე მიიღო. ამ უამრავ ხალხში ვერც ერთი ნაცნობი ვერ შევინახე. ავდექი და წამოვედი. ნერვები, ნერვები, ნერვები, ნერვებს უნდა მიხელო, ბრძიევი! — გაუწყვერი საკუთარ თავს...

მას მერე თითქმის თვე გავიდა. წვეულების ამბავი გადამავიწყდა კიდევ — ბევრი საქმე მქონდა კლინიკაშიც, ინსტიტუტშიც, სადაც ბოლო დროს ზეღიზნულად რამდენიმე უცნაური კონკურსი გაიმართა. ყველაზე უცნაური კი მაინც ასაკის მიხედვით მეცნიერთა შერჩევა იყო. ჩემზე, რატომღაც, არავინ ზმას არ იღებდა, თუმცა ჩემი ასაკის, ანუ ორმოცდაათ წელს გადაცილებული რამდენიმე საკმაოდ ცნობილ მეცნიერმუსაკს, კონკურსში დამარცხების შემდეგ, ინსტიტუტი დაატოვებინეს. მეც გადაწყვეტილი მქონდა ინსტიტუტიდან წამოსვლა, რადგან, როგორც დირექტორი, მოულოდნელად ისეთ საქმეებში აღმოვჩნდი ყელამდე ჩაფლული, რითაც არასოდეს დაეინტერესებულვარ და არც არაფერი გამეგებოდა. სჯობდა მე თვითონ გავცლოდი იქაურობას და რაც უფრო ჩქარა მოხლებოდა ეს, მით უკეთესი. ტელევიზორის ეკრანზე „მამათის შოუსა“ და ტელეწამყვანების მრისხანე სახეებს ტკბილად მომიღიარა მალაჩინოსანი მოხელის სახეც დაემატა, რომელიც რატომღაც პოლიციის შეფივით ლაპარაკობდა. ერთი-ორჯერ მოუესმინე და უკვე გადაწყვეტილი მასთან შეხვედრა გადავიფიქრე, რადგან მივხვდი, ჩემს არგუმენტებს არავითარი ფასი, არავითარი მნიშვნელობა არ ექნებოდა, გაბონებული ფულივით. მაგრამ რომელიღაც ფირმის პრეზენტაციაზე მაინც შეხვედი ამ მალაჩინოსან მოხელეს, მოულოდნელად აღმოვჩნდი მის პირისპირ და მოულოდნელობის გამო, ერთბაშად და მღელვარედ მივაყარე სათქმელი. მისმენდა და განუწყვეტლივ იღიბებოდა, თან ვილაყას ხელით ანიშნებდა, დამიცადეო. რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, რა თქმა უნდაო, დამიტოვა და გაიქცა. უცებ ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს ამ საზოგადოებაში სამხრეთჩამოგლეჯილი, შერისხული ოფიცერივით ვიდექი. აღარაფერს აღარ მქონდა მნიშვნელობა, არც სადოქტორო ხარისხს, არც აკადემიკოსობას, არც უცხოეთში გამოქვეყნებულ შრომებს, ერთადერთი მნიშვნელოვანი რამ, ეტყობა, ტელევიზორის ეკრანზე თვალანთებული ფანატიკოსის ირონიული ღიმილი იყო. მე კი ყოველთვის შემინოდა ფანატიკოსების, მითუმეტეს, მათი, ვინც ფანატიკოსობას ხელისუფლების გულის მოსაგებად თამაშობდა. ვინანე, რატომ დაველაპარაკე-მეთქი.

ასე გადიოდა დრო. ყველაზე ცუდი ის იყო, რომ ვეღარ ვკითხულობდი, თუმცა სწორედ ახლა მჭირდებოდა ის გამოვონილი საშუალო, რომელიც ყოველთვის გაცილებით ადამიანურად მტკვნებოდა, ვიდრე სინამდვილე. კაცმა რომ თქვას, ჩვენი ცხოვრება მართლაც, მხოლოდ წიგნშია ადამიანური.

ახალი დაწოლილი ვიყავი, შუქის ჩაქრობას ვაპირებდი, ტელეფონმა რომ დარეკა. საათს შევხედე, პირველი იყო. ყურმილი ავიღე:

- ალო!
- ბატონი ლევანი ხართ? — მკითხა კაცმა ფრანგულად.
- დიახ, ვისმენთ?
- თქვენ ამას წინათ ჩვენი სტუმარი ბრძანდებოდით...
- ბატონო?
- ფილარმონიის ბალში.
- დიახ, დიახ, ვისმენთ!
- მე საელჩოს პირველი მდივანი ვარ.
- სასიამოვნოა...
- უკაცრავად, ასე გვიან რომ გირეკავთ.
- არა უშავს, არ მეძინა. რა გნებათ?
- საელჩოში მობრძანება უნდა გთხოვოთ.
- საელჩოში? ახლა? კი მაგრამ...
- კიდევ ერთხელ გთხოვთ, მაპატიოთ, მაგრამ გირეკავთ, როგორც ექიმს!

- კი, ბატონო, ვისმენთ.
- მაშ, ნახევარ საათში რომ მოგაკითხოთ, შეიძლება?
- მანქანა მყავს. მე თვითონ მოვალ.
- გარეთ დაგელოდებით. მაღლობთ...

რომ მეგონა, დამავიწყდაო, არაფერიც არ დამვიწყებია. გატრუნული იყო გულის რომელიღაც ყველაზე შორეულ კუნჭულში, თავის დროს უცდიდა. უცებ განგამის ის გრძობაც გაცოცხლდა, ანა-მარიას პირველივე დანახვაზე რომ გამიჩნდა და არ უნდა მოესულიყავითეთი, მაფიქრებინა. რა ვიცი, ან მაშინ რატომ ვიფიქრე, ასე, ან ახლა, როცა მანქანით საელჩოსკენ მივეშურებოდი, რისი მემინოდა. ყველაფერი ისე ცხადად გამახსენდა, თითქოს ორი თვის წინ კი არა, აი, ახლახან, სულ რამდენიმე საათის წინ მომხდარიყოს. საელჩოს ტელეფონის ზარიც, რა თქმა უნდა, იმ დღის გაგრძელება იყო, სხვანაირად იმ საელჩოსთან არაფერი მაკავშირებდა.

საელჩოს ჭიშკართან ვილაც მალალი კაცი ბოლთას სცემდა. პიჯაკის ამარა იყო, თუმცა საკმაოდ ციოდა. მანქანა რომ გავაჩერე, სარკმელში თავი შემოპკყო:

- ბატონი ექიმი ბრძანდებით?
- დიახ...
- გამარჯობათ. მე დავირეკეთ.
- მანქანა აქ გავაჩერო?
- დიახ, არაფერი უჭირს, ავტო პოლიციელი მიხედავს, - ჭიშკართან პოლიციელის ბურღვანა იდგა, - მე ვაგიძღვებით, წამომყვით.

სადარბაზოში შევედი. კიბეს აუყვევით. მეორე სართულზე ნახევრად ჩაბნელებული გრძელი დერეფანი გავიარეთ. ბოლო ოთახის კარი შეღო, მანიშნა, შემომყვითო. ოთახში არაფერი იყო. მეორე ოთახის კარზე ფრთხილად დააკაკუნა. იქიდან პასუხს არ დაუცადა, მე წინ გამატარა. შემომყვა. კარი ფრთხილად მიხურა. მე პირდაპირ ანა-მარიას თვალებს შევეყვითე. ლოგინში წამომჯდარიყო, ზურგსუკან ბალიშები ჩაეწყობო. ფეხებზე პლელი ეფარა. იქვე, საწოლთან მიდგმულ სავარძელში ელჩი იჯდა. თეთრწინსაფარიანი ქალი ტუმბოსთან რაღაცას საქმიანობდა.

ელჩი წამოდგა:

- უკაცრავად, ასე გვიან რომ შეგაწახებო! მაღლობთ, რომ მობრძანდით.

ანა-მარიასკენ არ ვინებოდი, თუმცა მის მხერვას კი ვგრძობოდი. რატომღაც მისკენ გახედვა მიჭირდა.

- დაბრძანდით, - მითხრა ელჩმა და იმ სავარძელზე მიმითითა, საიდანაც ის ის იყო წამოდგა, - ჩვენ დაგტოვებთ. კიდევ ერთხელ გიხდით მაღლობას, ექიმი.

სამიწვინი ოთახიდან გავიდინე. მე და ანა-მარია ცოტახანს უხმოლ შეეცქეროდით ერთმანეთს, თითქოს ორივეს გვიჭირდა ხმის ამოღება.

მერე ანა-მარიამ გაიცინა:

- მიცანით?
- რა თქმა უნდა, გიცანით!
- გამარჯობათ! - ხელი გამომიწვდა.

თითქოს პაწაწინა, სასიამოვნოდ გრილ ცოცხალ არსებას შევეხე. სავარძელი ახლოს მივიჩინე. ეცდილობდი, უცაბელი მღელვარება როგორმე დამეძლია. მაგა გავუსინჯე. საშინელი ტახიკარდია ჰქონდა.

- ვალოკორდინით გამჭყვიპეს, - მითხრა ღიმილით, - არადა, ჩემზე არავითარი წამალი არ მოქმედებს. ტყუილად შეგაწახებს. ჩვეულებრივი ფსიქოპათიაა. ვინ დავირეკათ? რა იცოდნენ თქვენი ნიშური? მითხრეს, ექიმი მოვაო, მაგრამ როგორ ვიფიქრებდი, ის ექიმი თქვენ იქნებოდათ. რატომ იფიქრეს, რომ ფსიქიატრი მჭირდებოდა. თუმცა არ მიკვირს, - დაბნეული მაგა მაჩვენა, - აბა, სხვანაირად როგორ უნდა მოქცეულიყვნენ? ქალბატონმა ლულუმ სისხლი უცებ შემიწერა, ჯადოქარია, - ეტყობა, იმ ქალს გულისხმობდა, ოთახში რომ

ფუსფუსებდა, — მოკლედ, პირველად ვხვდები ფსიქიატრს, როგორც პაციენტი. რადგან შეგაწუხეს, რადგან მობრძანდით, მზად ვარ პაციენტობა ღირსეულად გავწიო. მკითხეთ, რაც გინდათ.

გამეღიმა:

- სიმართლე ვითხრათ, არ ვიცი, რა უნდა გკითხოთ.
  - ეგ ძალიან მოშონს, — მიპასუხა, — მე კითხვების მეშინია. ცოტათი სისუსტეს ვგრძნობ, ეს არის და ეს. მეტი არაფერი.
  - აბა, წნევა გავსინჯოთ, ანა-მარია! — ვუთხარი.
  - ჩემი სახელი ვახსოვთ? — გვერდზე გაიხედა და ცოტა ხნის მერე დაუმატა, — მეც მახსოვს თქვენი სახელი, ლევანი, ხომ არ ვცდები?
  - მაღლობთ, რომ არ დაგვიწყებიათ.
  - არა, წნევის გაზომვა არ მინდა. არასოდეს წნევა არ მქონია.
- თვალი დახუჭა.
- გეძინებათ?
  - არა, არა. არ წახვიდეთ! — წამოიძახა რატომღაც შემოვითებულმა.
  - არ მივლივარ. თქვენ რომ კითხვების არ გეშინოდეთ, რაღაცას გკითხავდით.
  - მაინც რას? რატომ ჩავიდინე ეს, არა? — დაბინძურული ხელი აწია.
  - ნუ ამოდრავებთ! — გავუწყვერი ღიმილით.
  - ბავშვით ვიქცევი, — თითქოს მომიბოდიშა, — და საერთოდ არ ვიცი, როგორ უნდა მოიქცეს ამ შემთხვევაში ადამიანი. ჩემი ამბავი მე თვითონ მიკვირს. ალბათ გინდათ მკითხოთ, გვარში თუ მყავდა ვინმე შეშლილი, არა? მაგრამ გერიდებათ, რადგან კითხვების მეშინია ხომ? არა, არავეინ მყოლია შეშლილი. ყველანი ჯანმრთელი, ნორმალური, მე ვიტყვოდი, ზედმეტად ნორმალური და ზედმეტად ჯანმრთელი ადამიანები არიან, ანუ სანიმუშო მოქალაქეები. მე თქვენ გაგიადვილებთ საქმეს, რაც არ უნდა იყოს, ჩემი სტუმარი ბრძანდებით, მერე რა, რომ ექიმი ხართ, მე კი — პაციენტი, ეს სრულებითაც არ უშლის ხელს ჩვეულებრივ სტუმარ-მასპინძლობას. აღვზნებული ვლაპარაკობ არა? — მკითხა მოულოდნელად.
  - არა, არა, განავრძეთ. მაღლობთ, რომ მეზმარებით.
  - დაიხ, — მითხრა, — ასისტენტობას გიწვეთ. მამაჩემი შევდია, დიპლომატი, ოღონდ, მთელი ცხოვრება პარიზში ვატარა. დედა ფრანგია, აი, ბებია, ანუ დედაჩემის დედა ვერ გამოიცნობთ, ვერაფრით ვერ გამოიცნობთ, ვინ არის, — გარემდა. თმა ორ თითს შორის მოიქცია. თვალი დახუჭა.
  - დაიძინეთ, — ვუთხარი ჩუმად. წამოდგომა დავაპირე.
- თვალი გაახილა, ისე შემომხვდა, თითქოს პირველად მხედავსო:
- არა, არა, უკაცრავად, — ღიმილით დაუმატა, — ბებია გამახსენდა. თითქოს დავინახე კიდევ, ძალიან. ჭკარა. სულ შავები ეცვა. წელში გამართული დადიოდა. გვარდიელი ბებია გყავსო, — იტყოდა ხოლმე დედა. ოთხმოცდაათი წლისა გარდაიცვალა. მოულოდნელად. ესადილობდით. ხელსახოცი დაკეცა, რგოლში გაუყარა. დანა-ჩანგალი თუფშუ დაწყო და მოკვდა. არაფერი უთქვამს. ქართველი იყო. — დაიხ. თქვენი თანამემამულე, ბატონო ექიმი. პირველი ემიგრანტების შთამომავალი. ნინო ერქვა, თქვენი წმინდანის სახელი. აქ რომ ჩამოვედით, ბოღბეში წავაყვანინე თავი ქმარს. ვიცოდი, იქ იყო დასაფლავებული წმინდა ნინო. სხვათაშორის, ბავშვობაში ქართულად კარვად ვლაპარაკობდი. ბები-აჩემი მარტო ქართულად მელაპარაკებოდა. სხვა ენა არ იცოდა. ფრანგულს ამტკრევდა. ბოღბის მონასტრის ზარების ხმა მაგნიტოფონზე ჩავიწერე, როცა ბებიაზე ვფიქრობ, ვუსმენ ხოლმე. არც ერთი ეკლესიის ზარი ერთმანეთს არ ჰგავს. ყველა ხალხი თავისი ეკლესიის ზარებით თავის ამბავს გვიყვება. — გარემდა. მერე ჩუმად თქვა: დავიდალე... მპატიეთ, თუ შეიძლება.
  - კარგით. საკმარისია. დამშვიდდით.



თავი გვერდზე მიიბრუნა.

- დაიძინეთ. დამე შშვიდობისა.

ალარაფერი უთქვამს, ოღონდ სავარძლიდან რომ წამოვდექი და წამოსვლა დავაპირე ჩუმიად დამიძახა:

- ლევან!

- ბატონო? - დავბრუნდი, ისევე ჩავევექი სავარძელში.

არ შემოუხედავს, ისე წაიწურა:

- მადლობო...

მერე ოთახში, მაგიდასთან, ელჩი, მდივანი და ქალბატონი ლულუ ისხდნენ. რომ შევედი, ელჩი და მდივანი წამოდგნენ.

- დაბრძანდით, - მითხრა ელჩმა და მის გვერდით სკამზე მიმოითითა.

ვევლანი დავსხედით.

მაგიდის შუაში ვისკის ბოთლი იდგა და რამდენიმე ჭიქა.

- ვისკის ხომ არ მიირთმევდით? - მკითხა ელჩმა, - ყავასაც ახლავე მოგართმევთ ქალბატონი ლულუ.

ქალბატონი ლულუ მაშინვე წამოდგა და ოთახიდან გავიდა, ალბათ ყავის მოსადუღებლად.

- მადლობო, - ვუპასუხე, - სიამოვნებით დავლევედი ცოტას.

ელჩმა მაშინვე დამიხსნა ვისკი, სასწრაფოდ, ერთბაშად გადავკარი - ამ წუთას ჩემთვის აუცილებელი იყო მაგარი სასმელი.

- კიდევ დავისხათ?

- არა, მადლობო. მეტი აღარ.

- რა კარგად ლაპარაკობთ ფრანგულად, - ელჩმა ახლა თავისთვისაც დაისხა ვისკი.

- მე ათი წელი შევიცარიაში ვმსახურობდი, - ვუპასუხე.

- ო, შევიცარია, შევიცარია, - თქვა და ცოტა ხნის მერე ისევე გაიმეორა, - შევიცარია.

ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს მთავარზე ლაპარაკს ვარიდებდით თავს. ყოველშემთხვევაში, პირადად მე, ამ წუთას არ ვიცოდი, რა უნდა მეთქვა მათთვის. მე ხომ უნებურად, ალბათ მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ექიმი ვიყავი, ისეთი რამის მოწმე გავხდი, რაზედაც უცხოისთან ლაპარაკს ყველა ოჯახში ერთნაირად ერიდებიან.

დუმილი ჩამოვარდა.

ამასობაში ქალბატონმა ლულუმ ყავა შემოიტანა. მოვსვი. ყავა შევუქე და მადლობაც გადავუხადე.

ბოლოს ისევე მე დავარღვიე საკმაოდ უხერხული დუმილი:

- ადრე თუ ჰქონდა რაიმე მცდელობა? - სიგარეტის კოლოფს გადავწვდი, ელჩის წინ რომ იდო, - შეიძლება?

- ინებეთ, - მომაწოდა კოლოფი ელჩმა და ასანთიც ამინთო.

საელჩოს მდივანი და ქალბატონი ლულუ ელჩს შესცქეროდნენ, რომელიც პასუხს მიგვიანებდა და როდის როდის, პასუხის ნაცვლად, მკითხა:

- რას გულისხმობთ, თვითმკვლელობის ცდას?

ხელები გავშალე:

- სამწუხაროდ, სხვას ვერაფერს დავარქმევთ ამას.

- არა, - მიპასუხა, - სამი წელია ცოლ-ქმარი ვართ. ჩემთვის ეს მეტად მოულოდნელი იყო.

საელჩოს მდივანი და ქალბატონი ლულუ ახლა მე შემომაცქერდნენ.

- ძალიან ემოციურია, - განაგრძო ელჩმა, - ბევრს კითხულობს, - და უცებ, თითქოს დამასწრო, შესძახა, - არა, ტელევიზორს არ უყურებს, არ უყვარს ტელევიზორი. საკვირველია, მაგრამ ასეა. ერთი კია, რაც აქ გადმოვედით, თითქმის სულ შინ ზის. აქ მეგობრები არ ყავს. რამდენჯერმე საგანგებოდ დაუკავშირეე დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლების



ცოლები და ქალიშვილები. იმათაც დაასტიყვეს თავისთან. მაგრამ ჩემმა მოწადინებამ მაინც არავითარი შედეგი არ გამოიღო. მათთან ურთიერთობა, წესით, არ უნდა გასჭირვებოდა, სხვა თუ არაფერი, რამდენიმე ენაზე თავისუფლად ლაპარაკობს. წარმოშობით შვედია. აღზრდით და უფრო მეტიც — შინაგანი აბიტუსით — ფრანგი. დედა ჰყავს ფრანგი. ეს კი მოგეხსენებათ, რასაც ნიშნავს. მოკლედ, ჩემი აზრით, იმ კითხვებსაც ვუპასუხე, რომლებიც არ დაგისვამთ. თუ კიდევ რამე გაინტერესებთ, მკითხეთ, ნუ მოგერიდებთ. ექიმებთან დიპლომატიცი კი სიმართლეს ამბობენ, — გაიღიმა, — ასე რომ... ზო, კინაღამ დამაიწყებდა! შეილი არა გვყავს, ოღონდ, ჩვენი, ანუ არც ერთის ბრალი არ არის.

— ყველაფერი ნორმალურადაა, — ვუპასუხე, — სალი და ნათელი გონება აქვს. ოჯახური კონფლიქტი...

არ დამამთავრებინა:

— არა, ამის მსგავსი რამ ჩვენს შორის არ ყოფილა.

ქალბატონმა ლულუმ და საელჩოს მდივანმა ისე გაიღიმეს, თითქოს წარმოუდგენელი რამ მეხსენებინოს.

— ძალიან სასიამოვნოა, — ვთქვი, — ისე გკითხეთ, ხომ გესმით, ერთერთი აუცილებელი კითხვაა ასეთ შემთხვევაში.

— მე ჩემი მეუღლე მიყვარს. სიყვარულით შევიერთე. ამ ხნის განმავლობაში სიყვარული ოღონდავაც კი არ განულებულა. გარდა ამისა, დიდ პატივს ვცემ.

— სიყვარული, თავისთავად, უკვე პატივისცემაა, — ვთქვი და სასწრაფოდ დაეუმატე, — მე ვერაფერს საგანგაშოს ვერ ვხედავ. ტელეეზორს რომ არ უყურებს, ეს ძალიან კარგია. კომპიუტერი, კომპიუტერი თუ აქვს?

— კომპიუტერს ვერ იტანს, — მიპასუხა ელჩმა.

— ესეც ძალიან, ძალიან კარგია. თუმცა, ისეთი ადამიანისთვის, რომელიც ბევრს კითხულობს, კომპიუტერი ნაკლებად სახიფათოა. ამ შემთხვევაში, ყველაზე არასასურველი შინ ჯდომაა, შინ გამოკეტვია. ძალით ნაცნობობა არავითარ შედეგს არ მოუტანს, პირიქით კი შეიძლება მოხდეს — საერთოდ შეძულდეს ადამიანები. ამიტომ, რაც შეიძლება ხშირად უნდა იფოს ჰაერზე, ისიერნოს, ჩვენს ქალაქში ბევრი საინტერესო რამის ნახვა შეიძლება.

— ქალაქი ძალიან მოსწონს, — თქვა ელჩმა, — თუატრშიც იყო რამდენჯერმე. არ ვიცი, ვითხრათ თუ არა, რომ მისი ერთერთი წინაპარი ქართველია.

— კი, მიიხრბა, — კიდევ ამოვიღე სივარეტი კოლოფიდან, ჩემი შინ დამრჩენოდა. ელჩმა ისევე ამინთო ასანთი:

— სხვათაშორის, ქართული ესმის. ვერ კი ლაპარაკობს. ვისკის ხომ არ მიირთმევთ კიდევ?

— კი, დამისხით ცოტა, თუ შეიძლება. მაღლობთ.

— არ გაინტერესებთ, თქვენ რატომ დაგირეკეთ, თანაც ამ შუალამისას? — მკითხა ელჩმა და თვითონვე გააგრძელა. — მის ნიუბებში შემთხვევით თქვენი ტელეფონის ნომერი ვაპოვეთ, — ამას რომ ამბობდა, თან ქალბატონ ლულუს უყურებდა, — აი, ნახეთ! — ჩემი სავიზიტო ბარათი გამომიწოდა, რომელზედაც გაკრული ხელით (ეტყობა, ვჩქარობდი) მიწერილი მქონდა: ფსიქიატრი.

— თვითონ გთხოვთ ტელეფონის ნომერი?

— არა, არ უთხოვია. სიმართლე ვითხრათ, არ მახსოვს, ეს თქვენს წვეულებაზე მოხდა. კარგახნის წინ. ფილარმონიის ბაღში. რატომ უნდა დამეწერა ბარათზე ფსიქიატრი, როცა იქ ისედაც მითითებულია ჩემი კლინიკის სახელიც, მისამართიც, ტელეფონის ნომერიც. ვერა, ნამდვილად ვერ გეტყვი.

ისე გამოდიოდა, თითქოს თავს ვიმართლებდი.

— იგრძენით ამის აუცილებლობა? — მკითხა ელჩმა.

— ბატონო? — ვერ გავუგე, რის თქმა უნდოდა.

იგივე სიტყვები გამიმეორა. ახლა კი, რასაკვირველია, მივხვდი, რასაც და რატომაც



მკითხებოდა.

- არა, არა... ვერ გეტყვით... ალბათ უნებურად...

ეტყუოდი - არასოდეს ეს არ გამიკეთებია! არასოდეს! მიკვირდა, რა მოხდა მაშინ ასეთი ბაღში, რატომ მივაწერე ბარათს „ფისიქიატრი“?

ელჩი თითქოს ჩემს ფიქრს კითხულობდა, ძალიან მშვიდად განაგრძობდა ჩემს „დაკითხვას“. დიახ, ჩვენი დიალოგი უკვე ნამდვილ დაკითხვას ჰგავდა და მეც, საკვირველია, მაგრამ თავს დამნაშავედ ვგრძობდი. თუმცა არაფერი მასწავლებდა იმდღეანდელი ჩემი საქციელიდან თუ ნაღაპარაკებიდან ისეთი, რაც შეიძლებოდა ახალგაზრდა ადამიანების ურთიერთობის დაუწერელი კოდექსის დარღვევად მიმჩნია.

- მაშ საერთოდ ასე აწერთ საეზიტო ბარათს, არა?

- დიახ, ჩვევა მაქვს ასეთი, - თანდათან ვლიზიანდებოდი, ვბრაზობდი კიდევ და, რაც მთავარია, საკუთარი, ბავშვური უმწეობა მალიზიანებდა, რომელსაც ვერაფერს ვუზღერებდი იმდენად, რომ ვცრობოდი კიდევ. ამავე დროს ჯერ კიდევ არ გამაქალიყო ის გამოაზრებელი, თუზარდამცემი განცდა, რომელიც ახლახან, მეზობელ ოთახში დამეუფლა, როცა მე გი არა, ვილაც სხვამ, მაგრამ ჩემში ჩასახლებულმა, ჩემი წიალიდან ამოფეთქებულმა არსებამ კინაღამ ერთიანად არ შეისუნთქა, არ შეიწოვა, არ შეისისხლხორცა მის წინ ბალიშზე მიწოლილი ფერმკრთალი ქალი. „ანა-მარია!“ - ბლაოდა, გმინავდა, კვნესოდა ამ ერთადერთი სიტყვით უნადგმული პირუტყვი და არ არსებობდა ძალა, მისი მოთოკვა რომ შესძლებოდა, მაგრამ საბედნიეროდ, თვითონვე დაიხია უკან, თითქოს უკუქცეულმა ტალღამ ჩაიჩხრიალა კენჭებზე, ანუ წამიერი სიშლევე, თავდავიწყება ისევე მოულოდნელად გაქრა, როგორც დაიწყო და ანა-მარიას ხმაც გავიგონე: მე მხოლოდ ქართულად მელაპარაკებოდა, ქართულ ზღაპრებს მიყვებოდაო და სწორედ ამ ხმამ, როგორც თავში დაკრულმა კეტმა, კი არ დამარტყანა, არამედ გამომაფხიზლა: მე, მართლაც რომ, დამნაშავე ვიყავი, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი თავის, საკუთარი ცხოვრების და არანაკლებ ამ ინტელიგენტი, ეშმაკი და ჭკვიანი კაცის წინაშეც, რომელსაც ჩემ დიაგნოზზე მეტად აშკარად სხვა რამ აინტერესებდა.

- მაშ, თქვენ თვლით, რომ წამალი არ არის საჭირო?

- რამდენიმე დღე შეიძლება „ლექსოტანინი“ მიელო...

- ო, შეეცარია! - გაიღიმა. ეტყობა, ეს წამალი არც მისთვის იყო უცხო.

- თითო აბი დღეში ორჯერ, დილა საღამოს. მეტი არაფერი, - ვუპასუხე მშვიდად, თითქოს ახლახანს საშინელი განსაცდელი არ გადამეტანოს, - და პაერზე იყოს დიდხანს.

- უკაცრავად, - მითხრა ელჩმა, - ძილი რომ დაგიფრთხვოთ, - წამოდგა. ჩვენც წამოდექით, - დარწმუნებული ვარ, საჭირო არ არის იმის შესწენება, - ღმილით შემომხედა, - რომ...

მეხვდი, რისი თქმაც უნდოდა:

- მე ექიმი ვარ. დარწმუნებული ბრძანდებოდეო...

ახლა იმან შემაწყვეტინა:

- დიდი მალობა, ექიმი! - ხელი გამომიწოდა...

საელჩოს მდივანმა ჭიშკრამდე მიმაცილა. მანქანის კარს რომ ვაღებდი, მითხრა:

- შეიძლება ისევე დაგირეკოთ, თუ ნებას მოგვცემთ.

- რასაკვირველია! - ვუპასუხე, - მე თვითონაც დავრეკავ.

- რაც შეეხება ჰონორარს...

- არა, - გავაჩუმე, - კატეგორიულად გთხოვთ, ეგ აღარ გამიმეოროთ!

შინ რომ შევედი, პალტო არ გამიხდია, ისე ჩამოვეციკი კიბეზე. დიდხანს ვიჯექი ასე, უცნაურად აფორიაქებული...

საელჩოში მეორე დღესვე დავრეკე. ტელეფონი ქალმა აიღო, ალბათ ქალბატონმა ლულუმ.

- საელჩო გისმენ?

— თუ შეიძლება, ანა-მარიას თხოვეთ!

— ეინ კითხულობს?

ეუთხარი, ვინც ვიყავი.

— ბატონო ექიმო, — მიპასუხეს გაყინული ხმით, — ანა-მარიას სძინავს.

— როგორ გრძნობს თავს?

— უკეთესად. მაღლობთ.

— გადაეცით, თუ შეიძლება, რომ დავგრეკე.

— უსათუოდ გადავცემ. მაღლობთ, ექიმო, — და ყურმილი დაკიდა.

გაიარა სამმა დღემ. გაბრუებულებით დავდიოდი. მექანიკურად, თითქმის უაზროდ ვასრულებდი ჩემს ყოველდღიურ მოვალეობას კლინიკაში, ინსტიტუტში. როცა ვინმეს ველაპარაკებოდი, ჩემი ხმა შორიდან მესმოდა, თითქოს ვიღაც სხვა იმეორებდა, როგორც ზოგჯერ ტელეფონში ხდება.

— შენ ქალი გინდა, ძამიკო, ქალი! — მითხრა ჩემმა თანამშრომელმა, როცა ჩვეულებრივად სახინკლემი ლუდს ვესვამდით, — ჩვენს გოგოებს რას უწუნებ ვითომ, მზიას, ვიოლას, ალბინას? მოკიდე რომელიმეს ზელი, წაიყვანე, სადაც გინდა, შენ გგონია, უარს ვეტყვის რომელიმე? არ დაიჯერო! შემოგაფრინდებიან ზედ!

— დამანებე თავი, — ეუთხარი, — ქალის გაგონება არ მინდა!

მართლაც, ჩემთვის, ანა-მარიას გარდა, ქალი აღარ არსებობდა.

სამი დღის მერე ისევ დავგრეკე საელოში. ყურმილი ვიღაც კაცმა აიღო. ჩემი ვინაობა რომ ეუთხარი, რატომღაც გახალისდა: ააა, ჩვენ ხომ ერთმანეთს ვიცნობთ! მე საელოზს მდივანი ვახლავართ. არ დაიჯერებთ, სწორედ ახლა ვაპირებდი თქვენთან დარეკვას. ელოზს დავალებით. გვინდა, ერთი რამ გთხოვოთ, თუ, რასაკვირველია, ძალიან არ შეგაწუხებთ, ანდა რაიმე მნიშვნელოვან პირად საქმეს არ მოგაცდენთ.

მე უკვე გული ამოვარდნაზე მქონდა:

— ვისმენთ, ბატონო, — ეუთხარი, — თუკი რამე შემიძლია...

— ტელეპატიია ნამდვილად, საოცარია: მე თქვენთან დარეკვას ვაპირებ და ამ დროს თქვენ თვითონ რეკავთ, — საელოზს მდივანს ან ნამდვილად უკვირდა ასეთი დამთხვევა, ანდა სათქმელის გაჭიანურებას ცდილობდა.

— ასეთი რამ ხშირად ხდება, — ეუთხარი, ძალიან ხშირად.

— ვერ დაგეთანხმებით, — მიპასუხა მკვირცხლად, — თუმცა... შეიძლება. ყოველშემთხვევაში, ჩემთვის ეს პირველია. — უცებ ხმა შეეცვალა და ოფიციალური კილოთი მკითხა, — თქვენ როგორ ბრძანდებით?

— მაღლობთ, — ეუთხარს, — არა მიშავს თითქოს.

— იმ დამეს როგორ შეგაწუხებთ! კიდევ ერთხელ გთხოვთ პატიებას.

— არაფერია, — ეუთხარი, — ასეთი რამ ჩემთვის არც თუ ისე იშვიათია. ექიმი ვარ.

— აი, ახლა სწორედ, როგორც ექიმს, გირეკავდით!

— ვისმენთ!

— თუ კვირას, ანუ ზეგ, სხვა არაფერი საქმე არა გაქვთ, წინასწარ დაგეგმილი შეხვედრა ან, რა ვიცი, ათასი სხვა რამ...

შევაწვევტინე:

— რაღაცას ამბობდით, კვირასო!

— დიას, — ამკარად არ ესაიშოვნა, რომ შევაწვევტინე, — კვირას იქნებ გამოგველოთ ანა-მარიასთვის. გვინდა, რასაკვირველია, თუ თქვენ წინააღმდეგი არ იქნებით, თქვენი თანხლებით გაისეირნოს სადმე, სულერთია, ოღონდ ჰაერზე იყოს ცოტა ხანს, როგორც თქვენ დაუნძინებთ. პირველი გამოსვლა იქნება, ხომ იცით...

ხმა ველარ ამოვიღე. მერე, მისი აწრიალებული ხმა შემომესმა:

— ალო! ალო! ალო!

— დიას, — ძლივს ამოვედრე.

- მეგონა, გაითიშა!..
- კი, ბატონო, გამოვიელი.
- ოჰ, რა კარგია! - შესძახა.
- კვირას არაფერი საქმე არა მაქვს.
- მაშ თანახმა ხართ?
- რომელ საათზე გამოვუარო?
- ასე თორმეტზე, შეიძლება?
- კი, თორმეტ საათზე მოვალ.
- მადლობთ. ნახვამდის.
- ნახვამდის.

ასე დაეპოთავრეთ ეს უცნაური საუბარი, უცნაური იმდენად, რამდენადაც ყველაფერს ველოდი და ასეთ წინადადებას, ღმერთის ასეთ საჩუქარს კი არა...

6

მოსკოვის კლინიკა თბილისურისგან მხოლოდ სისუფთავით განსხვავდებოდა, სხვა ყველაფერი ისევე იყო, როგორც თბილისში. ოღონდ იქიდან დასაკითხად ღამით მივყავდით სადღაც, მანქანით. ვერაფრით დავადგინე, რა ერქვა იმ დაწესებულებას, სადაც სულ სხვადასხვა ოთახში შეგყავდით და სხვადასხვა გამოძიებელი მხვდებოდა. ოთახები ასლებივით ჰკვანდნენ ერთმანეთს: ძერეინსკის სურათი, წყლის გრაფინი, ჭიქა, ვისოსებიანი ფანჯრის რაფაზე ყვავილის ქოთანია, კარზე მიკიდული პირსახოცი. მალაპარაკებდნენ და მამოურებინებდნენ ერთსა და იმავეს, ოღონდ ახლა თარჯიმნის დახმარებით, რადგან თავიდანვე მოვატყუე, ჩემი რუსულით ვერაფერს გაიგებთ-მეთქი. თარჯიმნად რატომღაც თბილისელი ხომეხი მომიყვანეს. ნაცრისფერი კოვერკოტის კოსტუმი და ნაცრისფერივე ჭრაჭუნა ფეხსაცმელი ეცკა. კარგად თარგმნიდა. როგორც კი ცოტახნით შევისვენებდით, თბილისს მიქებდა, რა თქმა უნდა, რუსულად. აკრძალული ჰქონდა ჩემთან ქართულად დალაპარაკება. მის მიერ ნათარგმნი ჩემი ამბავი რამდენჯერმე მაგნიტოფონზე ჩაიწერეს. მერე ჩანაწერებს ერთმანეთს ადარებდნენ.

მანამდე, ანუ ვიდრე მოსკოვში გადამიყვანდნენ, ერთხელ ალიონზე ლოგინიდან წამომაგდეხ, წამიყვანეს, ვერტმფრენში ჩამსვეს და აბასთუმანში გადამაფრინეს. გამოქვაბულთან ავედით. იქაც სამხედროები დაგვხვდნენ. როგორც ჩანს, გამოქვაბული ახლახანს ეპოვათ. მითხრეს, აბა, ერთხელ კიდევ მოვიყვები შენი ამბავი. მოუყევი. ისევ დაწვრილებით, არაფერი გამოძიოვებია. საფლავის ამბავიც. ოღონდ რა თქმა უნდა, მეტყევე არ მიხსენებია. მკვდარი ეპოვე და დავმარხე-მეთქი. გადათხარეს იქაურობა, ახლა ჩემი თანდასწრებით, რადგან იქაურობა ისედაც გადათხრილი დამხვდა. ვერაფერი იპოვეს, ვერც საფლავი და ვერც მკვდრები, ეტყობა კარლოს, ანუ მეტყევეს, დროზე დაეჭირა თადარიგი. გული კი მეტკინა, რომ არც მე მენდო ის მამაძალი. მერე გამოქვაბულში შემიყვანეს.

- აქ ჟიშობდით? - მკითხა ერთმა ჩეკისტმა.
- დიახ, - ვუპასუხე წყნარად.
- ვალიკო?! - შეუწყრა მეორე.
- გვატყუებს, იგონებს რალაცას! - გაბრაზდა ვალიკო.
- კი არ გვატყუებს, ვიჟია, - დაამშვიდა ამხანაგმა, - ვიყები კი იმიტომ არიან ვიყები, რომ არ ტყუიან.
- მე ვიფი არა ვარ, - ვუთხარი.
- ძალიანაც კარგი, - მიპასუხა, - მაგას რა სჯობს!

ათი წელი მოსკოვის ფსიქიატრიულ კლინიკაში გავატარე. ამ, ციხედაქვეულ, დაწესებულებებზე უამრავი ლიტერატურა არსებობს. ახალს ვერაფერს დაუშვამატებ. მხოლოდ ერთ რომანტიკულ ამბავს მოვეცემა, რომელიც იქ გადამხდა თავს, თუმცა აჯობებს ვთქვა, თავს კი



არ გადამხდენია, არამედ მისი აქტიური მოწმე ვიყავი მხოლოდ. ის ამბავიც კი როგორც მოსალოდნელი იყო, მეტად ბანალურად დამთავრდა.

ქალები და კაცები, რა თქმა უნდა, სხვადასხვა კორპუსებში ვცხოვრობდით, მაგრამ საკმაოდ ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს. ეს ის დროა, როცა ფსიქიატრული კლინიკები დისიდენტებითა სავსე, არა ანამარტო წინამძღურად, არამედ საღად მოაზროვნე ხალხით. საკმაოდ ბევრ საინტერესო პიროვნებას შეხვდებოდით, შეხვდებოდით ჩვეულებრივ ნაგავსაც. მათ შორის ბევრი ვადაცმული ჩეკისტიც ერია. გვემსახურებოდა ექსთენზად გაფორმებული ქალთა მთელი ასეულიც. იქ იყო ერთი გამზდარი, სათვალეებიანი ბიჭი, პოეტი და ფილოსოფოსი, ლევ შენსტოვის შთამომავალი, გამუდმებით გაციებული, სულ ცხვირში სრუტუნებდა, და ჭუჭყიანი სველი ცხვირსახოცი მოჭმუჭუნული ეჭირა. ამ ბიჭს სხვა დისიდენტები მოკრძალებით იური ლეონილოვიჩად მოიხსენიებდნენ, რადგან შეუპოვარი სამართლისმადიებლის სახელი ჰქონდა გაგარდნილი დისიდენტების წრეებში. ყოველი თვის ბოლოს ჩვენს იური ლეონილოვიჩს კავებე დაეცემოდა ხოლმე თავს და დიდი გულმოდგინებით უჩხრეკდა, ნივთებს, თუმცა, მგონი, წინდაწინ იცოდა, სადაც უნდა ექბნა სასურველი რამ – ხელნაწერი! მე მგონი, ეს იყო რაღაც უსიტყვო გარიგება მსხვერპლსა და მტაცებელს შორის. ამბობდნენ, კავებე მის ნაწერებსაც, ისევე, როგორც სხვა დისიდენტების შრომებს, უცხოეთში საკმაოდ სარფიანად ყიდისო, როგორც გაიყიდა, თუნდაც, სოლჟენიცინის რომანები და პასტერნაკის „დოქტორი ჟივაგო“. სხვათაშორის, ჩვენი კლინიკის ბიბლიოთეკაში, რომლის არსებობაც კი წარმოუდგენელი უნდა ყოფილიყო, ისეთი წიგნები გაჩნდა, გარეთ ვერსად რომ ვერ ნახავდით, რამდენადაც სახელმწიფოს მიერ აკრძალული იყო. ამ თვალსაზრისით, დისიდენტებს „იდეალური“ პირობები ჰქონდა შექმნილი სამუშაოდ. ამასთანავე, კავებე მათთან კიდევ უფრო მწვავე ოპოზიციურ ნაშრომებს მოითხოვდა, თუმცა ამაზე, რასაკვირველია, ხმაძალდა არაფერ საუბრობდა. მე და იური ლეონილოვიჩი სეირნობის დროს ვხვდებოდით ერთმანეთს. გამოვიტყვებით, მსიაპონებდა მასთან ერთად სეირნობა, თუნდაც მისი გასაოცარი მოწინააღმდეგის გამო ჩემს მიმართ, შეიძლება, სწორედ ამიტომ, რადგან საკმაოდ პატივმოყვარე გახლავართ. რაც მე ქალისთვის სრულებითაც არ მიმჩნია ნაკლად. მარტოდ დარჩენილიც ვფიქრობდი ხოლმე იმ ახალგაზრდა კაცზე, რომელიც ხშირხშირად იფშენებდა ხოლმე ხელებს; თითქოს მეცხრამეტე საუკუნე მელაპარაკებოდა მისი პირით, უფრო სწორედ – მეცხრამეტე საუკუნის რუსული ლიტერატურა, რომელიც სწორედ გასაოცარი ქალებით და ამ ქალებთან დასაოცარი დამოკიდებულებითაც არის იშვიათი და საინტერესო. საერთოდ, მე ძალიან მიყვარს მეცხრამეტე საუკუნე, თავისი ადამიანურობის გამო, კაცობრიობა იქიდან არ უნდა გამოსულიყო, თუ არ უნდოდა, რომ დაღუპულიყო. ჩვენს იურის არა მარტო ცხოვრებისა არაფერი ესმოდა, რადგან ცხოვრების სწავლა მხოლოდ ცხოვრებით შეიძლება, მგონი, ქალსაც პირველად ელაპარაკებოდა. ბევრი ისეთი რამ არ იცოდა, რაც ყველამ, თვით უბრალო ბოგანოძაც კი, რომელიც ქალის მონადირებას აპირებს, მშვენივრად იცის. ამასთანავე, მან არ იცოდა კიდევ ერთი რამ, რომ ლიტერატურიდან ამოკრეფილი უკვე გათავისებულნი ფრაზებით, ქალს – ამ შემთხვევაში მე – სწორედ რომ ნამდვილი ცხოვრების მონატრებას უშმაგრებდა. რაც, უნებურად, ქალისთვის მომხიბლავ პიროვნებად აქცევდა. კაცებმა ლამაზი ლაპარაკი ქალების გულისთვის ისწავლეს. ქალმა ეს იცის და ასეთი ლამაზი, ადამიანური სიტყვების ერთხელ კიდევ მოსმენა თავისი ქალობის აღიარებად და დასადასტურებლად ჰქირდება. თითქოს მესმის ჩემი დების მუდარა ჭმრის საწოლიდან, ბორდელის სარკმლიდან, ბუჩქებიდან, სადარბაზოებიდან: მითხარი! ერთი სიტყვა მითხარი, შე უსინდისო! ქალისთვის აუცილებელია ის ერთი სიტყვა, თუნდაც, სისულელე, როგორც კაცები ფიქრობენ. ასევე აუცილებელი იყო ჩემთვის იქ, იმ პირობებში, ყურებასმდე განთილებული იურის ლაპარაკი, რომელიც მე კი არა, სხვა რაღაცას უყურებდა წინ სივრცეში, როგორც ტელევიქტორი აპარატის უკან აღმართულ უზარმაზარ დაფას, რომელზედაც მისი სათქმელი წერია. ალბათ ერთადერთი მამაკაცი იყო ჩემს ცხოვრებაში, რომელიც, ოღონდ მესმინა და სხვა არაფერს არ მოთხოვდა. სულელი.



ჩემი ქმარი, რომელსაც ძალიან დაუნდობლად მოეგებე, ცინიკოსი იყო, მეც დამცინობდა და საკუთარ თავსაც და სწორედ ამას ემსხვერპლა კიდევ. სინამდვილეში იქამდე თითქმის ვერც კვლავ იკლავდა თავს, ვიდრე კვლადან თოფს ჩამოხსნიდა და, მამასავით, ნიკაპქვეშ ამოღებულს, შიშველი ფეხის ცერით გაისვრიდა. ქმარი იმიტომ გამახსენდა, რომ ჩვენმა პოეტმა ერთ მშვენიერ დღეს ცოლობა მთხოვა! გამეტყინა: რას ერჩით თქვენს თავს-მეთქი, თქვენ ხომ სრულიად ნორმალური ხართ, შეშლილი ცოლი რად გინდათ, ვთქვით და დაგთანხმდით, რომ გაგათავისუფლებენ, ხომ დადნება როდისმე ეს ყინულის ფალოსი — სუსლოვი-მეთქი. (რასაკვირველია, ფალოსის ნაცვლად, სხვა სიტყვა ვუთხარი, უფრო მეტწველი და ჩვენს გარემოში ყველაზე ხშირად ხმარებული), მეორე უბედურებაში გინდათ შეყოთ-მითქი თავი? თანაც, პოეტის ცოლი ერთხელ უკვე ვიყავი და ძალიან ცუდად დამთავრდა ეს ამბავი. შენ რაც გაწუხებს, ჩემო ბიჭუნავ, მაგას დაქორწინება სრულებითაც არ ჭირდება. მერე ჩემი თავგადასავალი მოუწყევი, ანუ მოუწყევი ყველაფერი, რისი გულისთვისაც ვიყავი აქ. საგიფეთში. არ იცოდა. შეგატყვე, შევმინდა. ირწმუნა, ნამდვილად გიყვი რომ ვიყავი. მერე სულ თვალს მარიდებდა. მაგრამ კიდევ უფრო საინტერესო ის იყო, რომ მე თვითონვე დავიჯერე ჩემი შეშლილობა. დავიჯერე და დავმშვიდდი კიდევ. ყველაფერი თავის ადგილას დადგა...

— არ ვიცი, რატომ გიყვებით ყველაფერს ასე დაწვრილებით. რატომღაც მგონია, რომ ყველა სიტყვას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, თუ რომელიმეს გამოვტოვებ, არადა, არ შეიძლება არ გამოვტოვო, ვერ გაგაგებინებთ ვერაფერს. თქვენ ალბათ ფიქრობთ, ეს ქალი ნამდვილად შეშლილიაო არა?

— არა, არ ვფიქრობ, — გაიღიმა ლევანმა.

— აბა, ამდენი ლაპარაკი რა ამბავია? მადლობთ, რომ არ მაჩუმებთ. რამდენი დრო წაგართვით!

— განა თქვენ არა თქვით, სამყარო დროთია სავესო?

— გახსოვთ? არადა, არავის დრო არ ყოფნის. იმიტომ რომ მისი ნამდვილი საზომი არ ვიცი. საათით დროს ვერ გაიგებ. ხომ მართალია? განა საათით ან ჩვეულებრივი კალენდრით გაიზომება ის დრო, რომელიც კლინიკაში გაგატარე? განა ის ჩვეულებრივი ათი წელი იყო? მე მგონია, მაგას საერთოდ დრო კი არა, სხვა რაღაც უნდა ერქვას. მაგრამ, სამწუხაროდ, არც მე ვიცი იმის სახელი და არც ახვან. როგორ უნდა გავიგო, როგორ უნდა დაადგინო პაერში მოფარფატე ფოთლის სიკვდილის ხანგრძლივობა? ჩვენთვის ერთი წუთია, მისთვის? მართლ ჩვენით ვზომავთ დროს, ვზომავთ, ისე, როგორც ხელს გვაძლევს. გვაქვს კი ამის უფლება? ახლაც იტყვი, რომ ბარილალია არ მჭირს?

— თქვენ კარგად ლაპარაკობთ.

— ჩემი ქმარიც მაგას მუუბნებოდა. ცინიკოსი.

— მართლა გუუბნებთ.

— გაინტერესებთ, რასაც ვიყვებით?

— რა თქმა უნდა!

— საკვირველია!

— რა არის საკვირველი?

— რომ გაინტერესებთ!

— მაგას რატომ ამბობთ?

— არ ვიცი...

სიგარეტს მოუკიდა. გაჩუმდა. ლევანიც მოთმინებით უცდიდა, როდის გააგრძელებდა საუბარს ნუნუ.

— წყალს ვერ დამალვინებთ?

— როგორ არა, ახლავე.


წყალი მოუტანა.

— მაღლობთ, — უთხრა ქალმა. წყალი მოსვა: პირი მიშრება, — გაიღმა, — ლაპარაკისგან! „პერესტროიკის“ მიწურულს თბილისში დამაბრუნეს. ოღონდ, რასაკვირველია, ისევ კლინიკაში. აი, თქვენი კლინიკიდან რომ გადამიყვანეს პირველად, იქ ყველაფერი ძველებურად, უცვლელად დამხვდა. ავადმყოფებიც იგივე, ექიმებიც იგივე, ექთნებიც იგივე, სანიტრებიც იგივე, დარაჯებიც, მოკლედ — ყველაფერი! ვე კი არა, შემთხვევით რომელიღაც სხვა კარი შევალე და იქ ისევ ათი წლის წინანდელი სურათი დამხვდა: კაბაწამოხდილი იდიოტი ბელა სანიტრებს მაგიდაზე ყავდათ გადაყუდებული და რიგში ჩადგომოდნენ. ბელა ისევ მოხარულ სიძინდს ჭამდა, თითქოს ისევ ის ტარო ეჭირა ხელში. კარი სასწრაფოდ გამოვიხურე. ზურგიით მივეყრდენი, რალაც უცნაური, აქამდე განუცდელი სიმშვიდე დამეუფლა, რასაც ალბათ ტრადიციულად მოწესრიგებული ცხოვრება იწვევს. ხომ ვითხარით, დრო არ იძვრის, ანდა სულ სხვა საზომები აქვს-მეთქი! თბილისში დიდი არეულობა იყო. ქალაქი რალაც სახიფათოდ ყრუდ გუგუნებდა. გუგუნი ჩვენამდეც აღწევდა, მაგრამ, როგორც კენჭებში ტალღა, იდიოტიზმის, შიმშილისა და საბინძურის ცხაურში იწრიტებოდა. გეშოიდა. დედას, უფრო სწორად, მის საყვარელს — დედა ქმრებს იცვლიდა, საყვარელს არა — კვირა დღეს დიდი მოწონული კალათით, ქათქათა ტილოგადაფარებული, სანოვავე მოჭქონდა. კალათა რამდენიმე წუთში ცარიელდებოდა. მე იმ სანოვავიდან თითქმის არაფერი მხვდებოდა, რადგან მერიდებოდა იმ ხელახორაში მიძელო მონაწილეობა, კალათასთან რომ იმართებოდა. მოსკოვისგან განსხვავებით, აქ ერთადერთი დისიდენტი, უფრო სწორად, ყოფილი დისიდენტი იყო, ნორმალური მოეყვანათ და აქ გაგიჟებულიყო. გვერდზე გამიყვანდა, ფალოსს ამოიღებდა და საიდუმლო ხმით მკითხავდა: ქალბატონო, ჩემი ასომთავრული ხომ არ გნებაეთო. თან აქეთ-იქით აცეკვებდა თვალს, ნაჭურდალის გადაამყიდველივით. მეცინებოდა. ისიც კიკინკიკინით გამშორდებოდა ხოლმე, თავისივე ზუმრობა მოსწონდა, მაგრამ იყო კი ეს ზუმრობა? იყო კიდევ ერთი, მეფე ლირს ეძახდნენ, შეიძლება იმიტომ, რომ თავის ქვეყანას დაეუბნა სულ. ჩემს ქვეყანას რა უყავით, თქვე შობელძაღვლებო! — გვლანდავდა ყველას. „თავის ქვეყანას“ ეუბნა საწოლის ქვეშ, კარადის უკან, სხვის ჩანთებშიც კი. ძებნას რომ მორჩებოდა, ხელებს ვამოიღა და იყვირებდა: შშია, ადამიანებო, შშიაო!

შშიან დარში სულ ეზოში ვიდექი ხოლმე. მზეს ვეფიცებოდი, თვალდახუჭული. ხელები იდლიებში მქონდა ამოწყობილი. საათობით შექმნილი ასე ღგომა. ყველაფერზე მეტად ის მაწუნებდა, ცხელი წყალი რომ არ მოდიოდა. ქალი არ უნდა გავიყიდეს, მითუმეტეს იქ, სადაც ჩვენნაირი კლინიკებია. ალბათ ხვდებით, ვანგებ ვაროდა თავს დეტალებს. ჩემზე ნაკლებად არ იცით, რა მდგომარეობაა ჩვენს საავადმყოფოებში. ამიტომ არ მოვაბეზრებით, თავს, არც არის საჭირო, დაწერილებით მოვეყვე ყველაფერი. ადამიანი ყველაფერს ეწვევა, ნათქვამია. თქვენ წარმოიდგინეთ, სივიჟესაც კი, ვიკივით ცხოვრობს თუ არსებობს, თუმცა, სრულიად ნორმალურია და სწორედ ის აძლებინებს, ვიკივით რომ ცხოვრობს თუ არსებობს. გაძლება, გაძლება და შექვევა — აი, რა ყოფილა ადამიანის ცხოვრება და რითი ვინდა გაზომო ერთი ან მეორე?

ცხრა აპრილიც ჩვენ ჩვენებურად ვიგლოვეთ. ორი დღედაღამე ნადირებივით ვმყოფდით. ასე გადიოდა დრო, ჩვენთვისაც, ანუ დროის გარეთ დარჩენილებისისთვისაც კი. ჩემი მშობლები მნახულობდნენ ხოლმე. რასაკვირველია, ცალ-ცალკე, გაყრილები იყვნენ. დედას ყოველთვის თავისი საყვარელი ახლდა, მეტად სიმათიური, ჭაღარა კაცი. ვიცილი, ცურვის ინსტრუქტორი იყო და ამასთანავე, მეტად პოპულარული მასაჟისტიც. მოჭქონდათ ტანსაცმელი, სანოვავე, რომელსაც, როგორც ვთქვი, მაშინვე იქვე ვუნაწილებდი ყველას. ჩემს მშობლებს არასდროს არ უკითხავეთ ჩემთვის, რატომ ვიყავი აქ, რა მოხდა, რა დამემართა ასეთი, საგიჟეთში რომ ამოვყავი თავი. ყველაფერი სჯეროდათ, რასაც ოფიციალურად ეუბნებოდნენ — გაუკვირდათ შეილი, რას იზამ, ხდება, კერაფერს ვააწყობ. ჩემს მშობლებს საერთოდ მთავრობისა ყველაფერი სწამდათ, განსაკუთრებით ის, რასაც ტელევიზორის ეკრანიდან მოისმენდნენ.

ერთ მშვენიერ დღეს უამრავი სასმელ-საჭმელი შემოხიდე ს კლინიკაში. კი არ გაძლენ,



დასკნენ ავადმყოფები. ბლანდენ, მდეროდენ, ტიროდენ, ნარწყვეში ისხდნენ და მაინც ჭამდნენ და სვამდნენ – ძველი რომაელებითო! – ზუმრობდა ვილაც. მერე კრთობას და მოწყობას და მოიცვალა ყველა, ბანგნასეამოვით ჩაედინა მთელ კლინიკას. ასე გვეძინა რამდენიმე საათი. მერე წამოგვეყარეს: აბა, ჩქარა, ჩქარა, ჩაიცვით, რაც საუკეთესო გაქვითო, ვითომ ასარჩევად გვქონდა საქმე. გვიყვიროდნენ, გვაჩქარებდნენ ვილაც სრულიად უცხო ადამიანები, რომლებმაც ეზოს ჭიშკარი გააღეს და ბრეზენტგადახურული სატვირთო მანქანები შემოიყვანეს. აშკარად უშიშროებიდან იყვნენ, მათ ხმაზეც კი ვცნობ, რალაც სხვანაირად უქცევენ. დღესაც კი აქა-იქ ზოგჯერ სრულიად მოულოდნელ ადგილას ჩამსვამება ხოლმე ეს ხმა.

– იდიოტებიც წამოვიყვანოთ? – იკითხა ვილაცამ.

– იდიოტებს შეეშვი, – დაუძახეს, – მარტო გიყები!

– აბა, გიყებო, მანქანებში! აბა, ჰე, ცოცხლად! ყოჩაღად! სასიეროდ მივდივართ, გაინძერიო! თუ შლანგი მოვიშვიროთ, ცივი წყლით გაბანაოთ? ჩქარა-მთქი, ვის ვუყნებო! ჩქარა, ჩქარა! – ბრეზენტგადახურულ მანქანებში ჩავვსვეს. ძნელადის ქუჩაზე რომ გავვლით, ჩამოგვეყარეს მანქანებიდან, – აბა სწრაფად მოეწყვეთ! ჩქარა, ჩქარა! – გვიყვიროდა ვილაც მაღალი კაცი. გაემწკრივდით. რალაცნაირად ამღვრეული ჰაერი იყო, გაბაცებული. ნათურები ყვითლად ანათებდნენ ქუჩას. სახეზე ყველას ყვითელი ფერი ედო. ცოტა მოშორებით ბავშვების კოლონა იდგა, დროშებით. იქიდან ჩამჩრჩბი არ ისმოდა. ზემოდან, ანუ რუსთაველის პროსპექტიდან ყრუ გუგუნე მოისმოდა.

– ეს ვინ მოვიყვანათ? – იყვირა ვილაცამ, – ვინ არიან ეს საფრთხობელები!

მაშინვე ვიცანი ხმაზე – ესეც უშიშროებიდან იყო. მე ხომ ხშირად მიხდებოდა მათთან ლაპარაკი, აქაც და მოსკოვშიაც. კავებეს აგენტს ეროვნება არა აქვს. ეს განსაკუთრებული ჯიშია, ხელოვნურად გამოყვანილი, როგორც ვთქვით, დობერმან პინჩერი.

– გიყებიო, თქვენ არ თქვით, უფროსო? – გამოეპასუხა ერთერთი ჩვენი მომყვანი.

– შე ჩემის გადანგრეული, – გაუბრაზდა უფროსი, – ამით რა უნდა იყვირონ?

მაშინვე გულმა მიაზრა, მიტინგის ჩასაშლელად ვიყავით მოყვანილები.

– ხოდა, გიყები მოვიყვანე, – არ ცხრებოდა ჩვენი მომყვანი.

– მერე თქვე შობელძაღვლებო, გიყები გვაკლია ჩვენ?! – უცებ მე მომიბრუნდა, – ქალბატონო, მაგალითად, თქვენ თუ იცით, რა უნდა იყვიროთ?

– როგორ არა, შე ჩემის გადანგრეული, – ვუპასუხე წყნარად, – ვიცით, აბა, არ ვიცით?

– გიყი ეძახე ახლა ამას! – გაიცინა ვილაცამ.

– იცით-მთქი, რა უნდა იყვიროთ? – ახლოს მოვიდა „უფროსი“.

– გაუმარჯოს თავისუფლებას! – შევძახე მე და სხვებიც ამყვენ:

– გეშია! გეშია! გეშია!

– წადით, მართლაც, თქვენი, – თქვა „უფროსმა“ და გავეშორდა.

გიყები ანუ ჩვენ, ერთად ვიდექით, ფეხებს ვაბაკუნებდით, მუკში ვიოთქლებდით, გვეციოდა. ექიმებიდან არაფერ გვახლდა. მთელი სამედიცინო პერსონალი უკვე რამდენიმე დღე იყო მიტინგებზე ათენ-ალამებდა. მოთმინებით უუცდიდით ახალ ბრძანებას.

ვილაცამ ახალმა მორბინა:

– ქალბატონო, თქვენ ექიმი ბრძანდებით?

ან სიმაღლით გამომარჩია, ანდა ჩაცმულობით, სხვებზე უკეთესად აშკარად მეცვა. – შეგიძლიათ უკან წაასხათ თქვენი პაციენტები. მანქანა ქუჩის თავში გელოდებათ.

– სასტყენი მჭირდება, – ვუთხარი, რატომღაც ზუმრობის გუნებაზე დავდექი, შეიძლება იმიტომ, ექიმი რომ ვგვონე. იმან კი სერიოზულად მიიღო, მილიციელს დაუძახა:


– მოდი, ბიჭო, აქ!

– აქ ვარ, უფროსო! – მორბინა მილიციელმა.

– მიეცი შენი სასტყენი ამ ქალბატონს!

– რას ამბობ, უფროსო, – შეწუხდა მილიციელი, – ამით ვარჩენ ოჯახს!

– მიეცი-მთქი, ვის ვუთხარი მე?! – აუწია ხმას ჩეკისტმა.



ფშტვენა-ფშტკენით წამოვიდა შინისკენ. არავის გაუჩერებია. მოვიდოდი და კუსტკენ-დი. სახლს რომ მივუახლოვდი, დედაჩემი შემომხვდა, ძაღლს ასეირნებდა.

- ნუნუ? - გაუკვირდა, გაშრა ქალი.

მე დავუსტკინე.

- აქ რა გინდა?

პასუხის ნაცვლად ისევ დავუსტკინე.

- იქ რატომ არ ხარ? - შეწუხდა ძალიან.

მე გვერდი აუჯარე, არაფერი მითქვამს. ასე გავთავისუფლდი საქართველოზე რამდენიმე თვით ადრე...

ჩემი ბინის გასაღები მქონდა. ტანზე არ გამიხდია, საწოლზე გარდიგარდმო გადავემხე. დილით ასე გამეღვიძა. მეორე დღეს დედა მოვიდა. სარკესთან ვიჯექი, თმას ვივარცხნიდი, უფრო სწორად თმა მაგრად მეჭირა მუჭში და სარკეში ჩემს გამოსახულებას შევეცქეროდი. დედამ თმა გამაშუებინა, სავარცხელი აიღო და თმის ვარცხნა დამიწყო, როგორც ბავშვობაში, თან რომელიღაც უმიძღოდ დავიწყებულ საბავშვო ლექსს მიკითხავდა. ხელი დავუჭირე და სარკეში უფრო ჩემს თავს ვუთხარი, ვიდრე დედას, დაუბერდი-მეთქი...

პირველ ხანებში შინიდან იშვიათად გამოვდიოდი. კლინიკიდანაც არავის მოუკითხვია. რამდენიმე ხნის მერე უშიშროების კომიტეტში გაჩენილმა ხანძარმა, როგორც ჩანს, სხვა საბუთებთან ერთად, ჩემი „საქმეც“ გაანადგურა. ჩვენს ბინაში ახლა მხოლოდ მე ვცხოვრობდი. დედა ახალ ქმართან გადასულიყო, მამა - ახალ ცოლთან. თავდაპირველად ნაცნობ-უცნობებთან ერთნაირად მიჭირდა ურთიერთობა, მაგრამ თანდათანობით მივხვდი, რომ თითქმის არაფრით განსხვავდებოდა ერთმანეთისგან აქაურობა და იქაურობა, ანუ სადაც აქამდე ვიყავი, ოღონდ ე.წ. ნორმალურებთან გაცილებით უფრო ძნელი იყო ცხოვრება, ვიდრე ე.წ. არანორმალურებთან. არ ვიცი, შეიძლება უბრალოდ გადავჭვწვიე. ათი წელი პატარა დრო როდია, მითუმეტეს, ტრადიციულად გაზომილი. ერთ რამეს კი მივხვდი და, მგონი, ეს არის მთავარი, რომ ნორმალურობა საერთოდ უკიდურესად პირობითი ცნება ყოფილა. ერთ ფრანგს ისიც კი უწერია, „ნორმალურად რომ ჩავთვალონ, პირწავარდნილი გარეწარი უნდა იყო“-ო. ალბათ მიელი ფსიქიატრიული კლინიკა ვერ მოიხმარს იმდენ ფსიქოტროპულ საშუალებას, რამდენსაც ე.წ. ნორმალური ადამიანი, თუნდაც, ერთ დღეში იღებს. არა მარტო გამაოცა, შემზარა კიდევ დედაჩემის საშინაო აფთიაქის ნახვამ - ამდენი წამალი ერთად არც თბილისის, არც მოსკოვის კლინიკაში არ მიწახავს!

დედა ძირითადად ძაღლს უვლიდა. ეს იყო მისი მთავარი საქმე, თუმცა უნივერსიტეტში ლექციებსაც კითხულობდა. პაწაწინა, გრძელყურა, გრძელბეწვიანი და საშინლად ეჭვიანი არსება ყველაზე მეტად მე მერჩოდა. განუწყვეტლივ მიეფხვდა, ვერ ანუშებდნენ, არც დედაჩემის გაწყრომა - კოტე, კოტე, გაჩუბდი ახლავე! - შეველოდა საქმეს. დედას თავისი ძაღლი ისე უყვარდა, პირველი ქმრის, ანუ მამაჩემის, სახელი დაარქვა. ჩემი მოვლა-პატრონობა კი თავის საყვარელს გადააბარა, რომელიც ახლა ორ ქალს უვლიდა - დედაჩემსა და მე. საყვარელს გელა ერქვა, ქვეყანაზე, ჩვენს გარდა, არავინ ყავდა. არაჩვეულებრივად პატროსანი, ყურადღებიანი ადამიანი იყო. ბაზარშიც ის დადიოდა, სადილსაც ის გვიმზადებდა. უნდა გენახათ, როგორ ტრიალებდა სამზარეულოში, სახელოებდაკაშიწებული, დედაჩემის ვარდისფერი წინსაფარი ეკვთა. ერთხელ ვუთხარი, გიხდება-მეთქი. არ მიპასუხა. საერთოდ, ძალიან ცოტას ლაპარაკობდა. საღამოს დაგვემშვიდობებოდა უკვე დაპურებულებსა და ტელევიზორის წინ მოკალათებულებს, რასაკვირველია, ცალ-ცალკე, დედა ერთი სართულით ზემოთ, ახალი ქმრის ბინაში იყო გადასული. ახალი ქმარი, ანუ ჩემი მამინაცვალი, წყნეთში აგარაკზე ცხოვრობდა, ქალაქში ძალიან იშვიათად ჩამოდიოდა.

გელა მარტო ცხოვრობდა, სულ მარტო. მიუხედავად იმისა, რომ, მართლაც, ხელით შესანახები ვიყავით, მაინც ჩვენ უფრო ვჭირდებოდით მას, ვიდრე ის ჩვენ. ბუნებით მეოჯახე, ოჯახისთვის დაბადებული ადამიანი, ცხოვრების უცნაურობის გამო, უოჯახოდ დარჩენილიყო. დედაჩემის გადამკიდეს აბა, რა უნდა მოსვლიდა! დედაჩემის რჩევით, გელა მასაჟს მეც



მიკეთებდა. არაჩვეულებრივად ცოცხალი ხელები ჰქონდა. ნეტარების ბურანში ჩამორყდი, თვალდახუჭული ვიწექი. თან მისი სიმშვიდე მაოცებდა, როცა მისგან რეფლექტორების წინასწარ გამობარ საბაზანოში მიშველი შევდიოდი, წინასწარ გაცხელებული წყლით გავსებულ აბაზანაში ვწვებოდი, როცა აბაზანის მერე თეთრი დიდი ტოლით განელეხულ წყალს მასხამდა, როცა დიდ ფუმფულა პირსახოცში ბავშვივით მახვევდა და მამშრალბდა. რა, შენს კავალერს არ უღებება? – კითხვით ერთხელ დედას. დედამ პასუხის ნაცვლად, გადაიკისკისა. ბოლოს და ბოლოს მაინც ვატყვია, ერთხელ როცა აბაზანიდან გადმოვდიოდი, ძალიან ახლოს აღმოვჩნდი ერთმანეთთან. ისე მოხდა, რა თქმა უნდა, უნებურად, პირისახე ჩემს მკერდში ჩარგო. მე მასზე ოდნავ მაღალი ვიყავი. ჩემი ტუპუს თავი პირში ჩაიღო და ცოტა ხანს, თვალდახუჭული, როგორც მომპასხს, წუწნიდა. ამაზე შორს მაშინ ჩვენი ურთიერთობა არ წასულა. რამდენიმე წელი ისევ ისე ძველებურად, მასაფის შემდეგ აბაზანაში ჩამდგარს, საგანგებოდ განელეხული წყლით საპონს მამორებდა.

ჩემი მამინაცვალი მაშინაც არ ჩამოსულა წყნითიდან, როცა დედა კვებოდა. სახლს დარაჯობდა. ლტოლვილების ემზინოდა, შემომიყარდებინაო. მომაკვდავის საწოლთან მე და გელა ვისხდით. დედამ, ვიდრე სულს დაღვედა, ჩემი და გელას ხელები აიღო და შეაერთა. თითქოს გელას ჩამაბარა. გელა ახლა მე მივლის. მისთვის თითქმის არაფერი შეცვლილა, იმის გარდა, რომ ახლა ძველი საყვარლის შვილთან წეება, ანუ ჩვენს შორის ბოლოს და ბოლოს მოხდა ის, რაც ნორმალურ ქალსა და კაცს შორის უსათუოდ უნდა მომხდარიყო. ამ მხრივ, მე ყოველთვის ნორმალური ურთიერთობის მომხრე ვიყავი, მაგრამ ხშირ შემთხვევაში, პათოლოგიის მსხვერპლი ვხდებოდი ხოლმე. არ ვგულისხმობ იმ წუთებს, როცა ცა შემოდიოდა ჩემი არსების წიაღში.

პატარა კოტეს მე და გელა ერთად ვასეირნებდით საღამოობით. კოტე აღარ მიყვება. ძაღლებიც ეჩვევიან თავიანთ ხვედრს. დიდი კოტე, ანუ მამჩემი, აივნიდან გვიჩქევდა ხელს. თან სიგარეტს ეწეოდა. ეტყობა, შინ არ აწვევინებდნენ.

გელა ღამით ჩემთან არ რჩება. თავის ბინაში ბრუნდება, სოლოლაკში. მანქანა გამოიცვალა, ძველი „მოსკოვის“ ნაცვლად, ახლა „ობელი“ ჰყავს, მართალია, ნახმარი, მაგრამ კარგად შენახული. გერმანული მანქანა, მჭონი, საერთოდ არ ძველდება. ამჟამად, როცა ვვლავფერი „პრესტიჟულია“, უფრო სწორედ, რაც პრესტიჟული არ არის, საერთოდ არაფერს წამოადგენს, პრესტიჟული მასაფისტი საკმაოდ კარგ გასამრჯელოს იღებს. ქალებსაც მოსწონთ, მაგრამ გელა ერთგულებით გამოირჩევა, რაც, თქვენ წარმოიდგინეთ, მალიზიანებს კიდევ, მეც რალაცით მავალდებულებს. არადა, ალბათ ხედვებით, მოვალეობასა და ვალდებულებას ვერ ვიტან. ასე გავიდა რამდენიმე წელი. მე უკვე კარგახანია ვმსახურობ ერთერთ გამოცემლობაში, სასკოლო სახელმძღვანელოების რედაქტორად...

7

ზუსტად თორმეტ საათზე საელჩოს ჭიშკართან ვიდექი. ანა-მარია თითქმის მაშინვე გამოვიდა საელჩოს სადარბაზოდან. არავინ გამოჰყოლია. თუმცა, დარწმუნებული ვიყავი, ყველა ფანჯრიდან ვიღაც გვიყურებდა. ფრანგული ნაცრისფერი ტყიდის პალტო ეცვა, საფელოაწეული, გარედან გრძელი ფითელი კაშნი ჰქონდა მოვლებული. ვიდრე აქ მოვიდოდი, ძალიან ველვალდი, მაგრამ, როგორც კი დავინახე, უცნაურად დავწყნარდი. მანქანიდან გადმოვედი, შევეგებე, შუბლზე ორი თითი მივიდე და ისე მივესალმე. გაეღიმა:

- გამარჯობათ, ლევან!
- გამარჯობათ, ანა-მარია!

დაბალქუსლიანი ფეხსაცმელი კი ეცვა, მაგრამ მაინც ჩემზე ოდნავ მაღალი იყო. მანქანის კარი გამოვუღე.

- მადლობთ, - ჩაჯდა.
- საით წავიდეთ?





– სულერთია, – მიპასუხა, – მთავარია, როგორც თქვენ საჭიროდ მიიჩნით, ჰაერზე ეფიქ. იქნებ კუს ტბაზე ავსულიყავით, ჩვენებმა მირჩიეს. იქ კარგი ჰაერია თურმე. ქალბატონი ლულუ ყოველ დღით იქ დარბის, ტბის გარშემო.

ეს იმას ნიშნავდა, რომ კუს ტბაზე უნდა ავსულიყავით. ასე იყო გამოშვებული.

ტბა, რატომღაც, მიტოვებულს ჰგავდა. ტალახისფერი წყალი, ხელით გადასწორებულევით, უძრავად იდგა. ხის პატარა პირსის ერთერთ ბოძზე უნიზბო ნავი მიებათ. ვაღმა ფერღობებსა და გორაკებს ჭირხელი მოსდებოდა. ნოემბრის უღონო, დაღლილი მზე გამჭვირვალე თხელი მზინავი ქსოვილივით ეფინა მიწაზე. ირგვლივ ჩვენს გარდა არავინ მოჩანდა, თუ არ ჩათვლით რესტორნის კართან გაჩერებული „ნივის“ შოფერს, რომელიც მანქანას საბურავს უცვლიდა.

– აქ უმთავრესად დილით ამოდიან, როგორც ქალბატონი ლულუ, – უთხარი ანა-მარიას, – ამოდიან ძირითადად შეძლებული ადამიანები, ანუ პოლიტიკოსები. ჯანმრთელობას იკაფებენ.

ნელა, საუბარსაუბრით მივყვებოდით ტბის ნაპირს. თითქმის ორჯერ შემოუყურეთ ტბას.

– კუსა ჰგავს, – თქვა ანა-მარიამ დიმილით, – ალბათ ამიტომ ეძახიან კუს ტბას.

– ხომ არ შეგცივდათ? – ვკითხე.

– ცოტათი კი, – მიპასუხა, – მაგრამ თუ არ დაიღალეთ, გავიაროთ კიდევ ცოტა. რამდენი ხანია, ფეხით არ გამივლია.

ცოტა ხანს ჩუმად მივდიოდით. მერე შეჩერდა, მომიბრუნდა და მითხრა:

– მინდა იცოდეთ, რომ შუუარაცხადი არა ვარ, ოღონდ ფსიქიატრი ნამდვილად მჭირდება. ამის აუცილებლობას ვგრძნობ, მაგრამ ვერ ამიხსნია, რატომ. შეიძლება იმიტომ რომ აი ახლავ, როცა ამ საცოდავ ტბას ვუყურებ, თითქოს სიზმარს ვხედავ, ამ სიზმარში ტბა სულ სხვაგან, გაკაშკაშებულ მზეში ბრწყინავს, როგორც უზარმაზარი საეიტრინე შუშა. ტბის ნაპირზე უამრავი ხალხი ირევა და ეს ხალხი არ ჰგავს არც აქაურებს, არც ჩემი ქვეყნის მაცხოვრებლებს. სულ სხვა ხალხია, ოღონდ ჩემთვის არა მარტო მახლობელი, არამედ ძვირფასიც. არასოდეს ხალხზე ასე არ მიფიქრია. არც ახლა ვხედავ პირველად ასეთ სიზმარს, რომელიც ათასნაირად სახეშეცვლილი მიბრუნდება ხოლმე. ამ სიზმრის პეიზაჟები თუმცა ძალიან მახლობელი და ნაცნობია ჩემთვის, ამავე დროს, რაღაც იდუმალი იერით გამოირჩევა. ასეთი სიზმარი მოულოდნელად მეწვევა ხოლმე, აუცილებელი არ არის, შეძინოს. სრულიად ფხიზელს, როგორც, თუნდაც, ამჟამად ვარ, წამით რეალობიდან მთიშავს. გულზე სევდა შემომანეკება ხოლმე, ძალიან მენატრება ყველაფერი ის, რასაც ვხედავ: ტბა, გორაკები, ლურჯი უძირო ცა, თუმცა დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, არასოდეს, არასოდეს არ მინახავს. რაღაც ძალა მიზიდავს მათკენ, მაგნიტივით და ისეთი უმწუო ვარ, ისეთი უმწუო. აჰ! – შესძახა მოულოდნელად, ორივე ხელით მკლავში ჩამაფრინდა, – არ გამიშვათ! – მომეკრა. ხელი მოვხვიე. გააცინა: ვხუმრობ! გამიშვით ხელი! – წაივდა. გავეყვი. ცოტა ხანს უხმოვად მივდიოდით. მერე მომიბრუნდა:

– აი, რატომ მჭირდება ფსიქიატრი. სხვათაშორის, ეს სხვისთვის არავისთვის მითქვამს. მხოლოდ დიდი ხნის წინ ჩემს ქმარს გავანდე მსგავსი რამ. ფსიქიატრიაში რას ეძახიან ამ ავადმყოფობას?

– განა ეს ავადმყოფობაა? ვერ გეტყვით, არ ვიცი ამის სახელი.

– აი, მე კი ვიცი, – მიპასუხა, – ამ ავადმყოფობას ფსიქიატრიის ენაზე ეწოდება „ანქსიეტას პრეკორდიალისი“, რომელიც ჩვეულებრივ ენაზე მომაკვინებელ კაემანს ნიშნავს.

– თქვენ რა იცით? – ვკითხე.

– ფსიქიატრიის ცნობარში ამოვიკითხე. ჩემი მეგობარი გარდიცვალა ამას წინათ ამ სწინით.

– თქვენ ეს არ ვითქვამთ ჩემთვის, – სივარეტს მოვუკიდე.

– არც თქვენ გიკითხავთ! იცით, ყურადღება მივაქციე იმას, არც კი ვიკითხავთ, რა

დაგემართაო!

- გაგახსენებთ, თქვენ გამაფრთხილებთ, კითხვები არ მიყვარსო!
- თქვენ მაინც ყველაფერს მიხვდით არა?
- ვერაფერსაც ვერ მივხვდი, გარდა იმისა, რაც აშკარა იყო.
- რა იყო მაინც აშკარა?
- ის რომ თქვენ ავად არა ხართ. საერთოდ, აჯობებდა, თუ ექიმს უფრო დაწვრილებით მოუკვებოდით ყველაფერს.
- ერთ უცნაურ რამეს გეტყვით, ოღონდ არ გამბრაზდეთ. მითხარით, არ გაებრაზდებიო, მითხარით.

- სიტყვას გაძღვეთ!
- უცნაურია, მე თქვენ ექიმად ვერ აღვიქვამთ, თუმცა, ვიცი, რომ კარგი ექიმი ხართ. მოუხედავად იმისა, რომ ჩემთვის მეტად მნიშვნელოვანი და სასიამოვნო რამ მითხრა, მაინც წაუყურე, ვითომ ვერ მივხვდი, რას მეუბნებოდა, ანდა, თუ მივხვდი, არავითარი განსაკუთრებული მნიშვნელობა არ მიმინიჭებია მისთვის.

გკითხე:

- რამდენი ხანია, რაც შენიშნეთ?
- რა, ვერ ვხვდები, რას მკითხებით?
- აი, ის ხილვები...
- ოოო, რაც თავი მახსოვს! ოღონდ, ამ ბოლო დროს, რატომღაც გამიხშირდა და გამიმძაფრდა, ანუ უფრო ღრმად შევეტოპე, - გაიცინა, - ძალიან ღრმად, - სახე შეეცვალა, ხმაც გაებზარა. დაახველა, - ატყობთ, როგორ ცივა! არადა, თავს ძალიან კარგად ვგრძნობ. თავისუფლად ვსუნთქავ.

რესტორანთან შეეჩრდი. „ნივა“ იქ აღარ იდგა.

- დაეიჯერო, არ მოგშივდით? - ვკითხე ღიმილით.
- თქვენ წარმოიდგინეთ, ძალიან! თანაც სამი დღეა, არაფერი მიჭამია, არ შემძლო ჭამა. მუხეწებოდნენ, მაგრამ ამაოდ. წვეწვს ვსვამდი მხოლოდ. ფორთოხლის წვეწვს.
- რესტორანი ცარიელი დაგვხვდა. პატარა დარბაზში საკმაოდ თბილოდა. მინის კედლები ისე შერბილენი იყო, გარეთ არაფერი მოჩანდა. დაესხდით თუ არა, ოფიციალტი დაგვადგა თავს, მერე შემოგვთავაზა.

- არა, - უთხარი, - თქვენ თვითონ გვირჩიეთ რამე.
- მე მინდა შემწვარი ხორცის ნაჭერი და ერთი ჭიქა წითელი ღვინო! - თქვა ანა-მარიამ,
- მეტი არაფერი.
- „კოტეხი“ გვაქვს, - თქვა ოფიციალტი, - მოგწონებათ.
- ეგ მართლაც კარგი ღვინოა, თუ მენდობით, - უთხარი ანა-მარიას, - კახურია, ჩვენებური ანუ ქართული წესით დაყენებული.
- მე ღვინოებში საკმაოდ კარგად ვერკვევი, - გაიცინა ანა-მარიამ, - დიპლომატიური მიღებები, წვეულებები, ფაქტობრივად ღვინოების დეგუსტაციის სეანსებია, ღვინოებისა და ღვინოების დეგუსტაცია.

როცა პირველი ყლოუბი მოსვა, თქვა:

- ეს მართლა კარგი ღვინო ყოფილა, აი, ასეთი ღვინო მიყვარს!
- სხვა თუ არაფერი, დედა ფრანგი გყავთ, ბებია კი - ქართველი, თქვენ ღვინო არ უნდა შეგეშალოთ, - უთხარი ღიმილით, - თუნდაც მაგიტომ.
- რესტორანში ბოშა გოგო შემოვიდა, ასე თოთხმეტ-თხუთმეტი წლისა. გაყინულიყო, გალურჯებულ ხელებს ისრესდა.

- რა კარგია აქ! - შესძახა, - ღიმილანთს ვერ დამალევენებთ?
- კი, როგორ არა, - უთხარი.
- ამ დროს ოფიციალტი გამოუვარდა იმ გოგოს:
- რამდენჯერ გაგაფრთხილე, არ შემოხვიდე-მეთქი, რამდენჯერ! გადი ახლავე გარეთ!



გოგო ჩვენ მოგვიბრუნდა:

— არ გამაგდოთ რა, ვიმკითხავეთ. აი, ამ ლამაზ ქალბატონს ვუმკითხავეთ, ვინ იდნა კარტი ამოიღო, სველი ჩეარივით ვაფუყული, — არ გამაგდოთ რა!

სკამი გამოუწიე ჩვენს მაგიდასთან:

— დაჯექი!

— მაღლობთ, — გოგო დაჯდა, კარტი წინ დაიდო, — მე ერა შქვია, ყველა მიცნობს. კარგი მარჩიელობა ვიცი.

დამტვრეული ქართულ-რუსულით ლაპარაკობდა, ანა-მარია ღიმილით შესცქეროდა.

— ვუმკითხავებო, ამბობს, — ვუთხარი ანა-მარიას, — ვინდათ, ვიმკითხოს?

— ძალიან! — ანა-მარიამ ხელის მტკვნები მკერდთან მიიტყუა, — ძალიან!

— აბა, უმკითხავე ამ ქალბატონს, — ვუთხარი ერას, — აბა, გვაჩვენე, რა შევიძლია.

— ჯერ ღიმილით დამალვეინეთ და ხუთლარიანი მომეცით. სხვანაირად მკითხაობა არ გამოვა.

ხუთლარიანი მივეცი. სასწრაფოდ უბეში ჩაიდო.

— ღიმილითი? — მკითხა.

ოფიციატს ვანიშნე. მოუტანა და გაუხსნა ბოთლი. ჭიქა მორათვა და დაუსხა.

— უს აღამანი ყოფილა, — თქვა ერამ ოფიციატზე, — მე პოლიციელი მეგონა! — ერთი ცალი კარტი ვადმოაბრუნა, მერე მორე, თან ანა-მარიას თვალს არ ამორებდა. მერე ორივე კარტი ჩააბრუნა დასტაში და თქვა.

— არა, არ შემიძლია!

— რა, — ვკითხე, — რა არ შევიძლია?

— ამ ლამაზი დეიდასი მეშინია.

— გეშინია? — ანა-მარიას შევხედე, წინ გადმოხრილი გვისმუნდა.

— რაო, რას ამბობს სიბილა? — ისე მკითხა, ჩემსკენ არ გამოუხედავს, გოგოს თვალს არ ამორებდა.

— მეშინიაო, — ვუთხარი.

— რისი?

— რისი კი არა, ამ ლამაზი დეიდასი მეშინიაო.

— ჩემი ეშინია?

— დიახ, ასე გვიბრძანა!

ანა-მარიას სახე შეეცვალა. კოლოფიდან სიგარეტი ამოიღო.

— მეც მომცეს რა! — ყელი გამომიწია ერამ.

— რაო? — მკითხა ანა-მარიამ, — სრულებით აღარ მესმის ქართული.

— ეს ქართული კი არა, ქაჯურია, — ვუთხარი ღიმილით, — სიგარეტსა გთხოვთ.

ანა-მარიამ „ქემელის“ კოლოფი გაუწოდა გოგოს. გოგომ კოლოფიდან რამდენიმე ცალი ამოიღო და თქვა:

— მაინც მეშინია!

— რატომ გეშინია? — ვკითხე და დაეუმატე, — იცი, რა კარგი დეიდაა!

— გამაგებინეთ, რას ლაპარაკობთ! — დაინტერესდა ანა-მარია.

— ვუუბნები, ტყუილად გეშინია, ძალიან, ძალიან, ძალიან კარგი დეიდაა-შეთქი.

ერამ ღიმილით, დაიმატა, ჭიქა ბოლომდე დაცალა. ამოაბოყინა. ხელისხურგი ტუნზე მიირტყა. წამოდგა. მარჯლის უკანა ჯიბიდან „მარლბოროს“ კოლოფი ამოაძვინა და სიგარეტები ჩაამატა:

— დიდი მაღლობა!

— შენ კიდევ აქ ხარ! — გამოენთო ოფიციატს.

— მივდივარ, მივდივარ, აღიო! — გაწკრივდა და გაქრა ჩვენი მკითხავი.

— კარგი გოგო იყო, — თქვა ცოტა ხნის მერე ანა-მარიამ, — იცით, მეც მეშინია ზოგჯერ ჩემი თავის. უცნაური რაღაც მითხრა. და ეს რამდენიმე თვეა, შევამჩნიე.



- თქვენი თავის გეშინიათ?  
 - შეშინია და შეუცხოება ჩემი თავი, თუმცა, ეს ალბათ ერთი და იგივეა - ვაჩქარებ კარგახანს არც ერთს ხმა არ ამოგვიღია. რაღაცას ფიქრობდა. შორს იყო აქედან.

მერე ვკითხე:

- აი, თქვენ „ანქსიეტას პრეკორდილისი“ ახსენეთ...

- ბატონო? - გამოერკვა ფიქრისგან, - დიახ, აი, აქ, - მკერდზე მიიღო ხელი, - სამინლად მტკივა ხოლმე. ეს ამბავი არავისთვის არ მომიყოლია. ტკივილზე არ გვებნებით, ტკივილი ამ ერთი კვირის წინ მოულოდნელად დამეწყო. ვიგრძენი, თუ მივხვდი, არ ვიცი, ამ შემთხვევაში როგორ უნდა ვთქვა, მივხვდი კიდევ და ვიგრძენი კიდევ, სამინელი რაღაც რომ მოხდა. რატომღაც მინდა, თქვენ მოგიყვებო, შეიძლება გათავისუფლება მინდა რაღაცისგან. არა, ეს აღსარება არ იქნება. ამასთანავე, პირდაპირ რომ ვითხრათ, გაგებას კი არა, მოსმენას, ყურის ვდებას მოვითხოვ თქვენგან...

- ნუ დეღავთ, - ვუთხარი, - გისმენთ.

- დიახ, აველდი უცებ. შევეცდები, მშვილად ვილაპარაკო. მეტროში გავიცანით ერთ-მანეთი. არ ვიცი, საიდან ვბრუნდებოდი. ყოველშემთხვევაში, საკმაო დრო გვქონდა იმისათვის, ურთიერთსიმპათია რომ გავგრძელო. ქუჩაში რომ ამოვედით, იქვე ბისტროში ყავის დასალევად შევედით. სინამდვილეში დაშორება გეიჭირდა. ასე მითხრა: არსად წასვლა არ მინდოდა. პარიზის ახლოს რომელიღაც პატარა სოფელში მსახურობდა მასწავლებლად, ისტორიას ასწავლიდა ბავშვებს. ჩემზე ორი წელი იყო უფროსი. როგორც იქ ბისტროში შევთანხმდით, ყოველ ორშაბათს ავიდიოდი მის სოფელში მოტოციკლით. სკოლის ეზოში, ბავშვებთან ერთად მივდიოდა. კლასში შევიძღვებოდა. ბავშვები ორი სტუმრობის მერე ძალიან შემეჩვივნენ. უკან მერხზე ვიჯექი, გვერდულად, მერხზე ვერ ვეტიოდი, ფეხებს ვერაფერს ვუხერხებდი. ის კი ლაპარაკობდა გატაცებით, გახარებული და აგზნებული ჩემი იქ ყოფნით. ჩემსავით ორმაგი სახელი ერქვა: ფან-პოლი. თითქოს პოემას კითხულობდა მგზნებარედ: პანიბალი, პომპუსი. სულა... კლასი და, რასაკვირველია, მეც სულგანაბლები ვუსმენდით. ერთერთი ლექციის დროს მოვიდა, მუხარადი, მუხლზე რომ მდო, აიღო, დაიხურა, ხელი რომელი მხედარივით შემართა და შესძახა: „უამრავი გამარჯვებაც კი ვერ მოგვიტანს იმდენ სიკეთეს, რამდენსაც წავგართმევს ერთი დამარცხება!“

იმ დღეს ჩვენც გადავლახეთ ჩვენი რუბიკონი. როგორც კი ხმის კანკალით თავისი ოთახის ნახვა შემოთავაზა, მაშინვე დავთანხმდი. მოტოციკლზე უკან შემოვიხვი და მისი სახლისკენ გავწიეთ. ბავშვები ყოფილი აგვედგნენ. რომელიღაც სახლის სხენში ქიარობდა ოთახს... მერე ლოგინში საქონლის პაშტეტს შევეცქეროდით, რომელიც, ერთ ლიტრ წითელ ღვინოსთან ერთად, გზად საბაყლოში ვიყიდეთ. კონსერვის ქილა ფან-პოლმა დანით გახსნა, იმავე დანით პაშტეტს პურზე ვუსვამდით და ყველა ლუქმას ღვინის ყლოვს ვაყოლებდით ბოთლიდან, რიგრიგობით. ასე გემრილად ჩემს ცხოვრებაში არაფერი მიჭამია, - გაიღმა, ხელზე ხელი დამადო და მითხრა: თუ არ ჩავთვლით დღევანდელ ჩვენს სადილს. არა, რასაკვირველია, თქვენი მადლობელი ვარ, მაგრამ ის მაინც სულ სხვა იყო, თქვენ ასე ადვილად ვერ მოგატყუებთ, - ვაჩუმდა. სიგარეტს მოუკიდა, - ჩემი ბრალია, - თქვა კარგახანის დუმილის შემდეგ.

არ მიკითხავს, რა იყო მისი ბრალი, რას გულისხმობდა, რადგან ვგრძნობდი, რომ თვითონ იტყოდა, მიუხედავად იმისა, რომ ლაპარაკი აშკარად უჭირდა.

- ერთ მშვენიერ დღეს მოულოდნელად თავზე დამადგა, - დაიწყო ჩემად, - ხარი დარეკა. კარი დედამ გააღო. ანა-მარია, შენთან სტუმარია! - დამძახა. ჩემი ოთახიდან გამოვხედე ღმერთო, ფან-პოლი! ხელში მინდვრის ყვავილების კონა უჭირა. თითქმის ძალით შევიყვანე სასტუმრო ოთახში. სამინლად დამორცხვებული იყო. დედა, ეს ჩემი მეგობარია, ფან-პოლი. სასიამოვნოა, თქვა დედამ. შავი კოსტუმი ეცვა. ნაფთალინის სუნით ქოთდა. მე მგონი, ნაქირავები ჰქონდა. პალსტუხი არ გეტო: თმა კისერში ჩასხრდოდა. თითქოს ცოლის თხოვნას აპირებთ, - უთხრა დედამ, სამზარეულოდან წყლიანი სურა გამოიტანა და



მორთმეული ყვავილები ჩადგა. დედა? — ძალიან გამოკვირდა დედაჩემის ასეთი უტყუარობა, კი არა — სისასტიკე, თუმცა მეხვედი კი, ჟან-პოლის ასეთმა უმწურო გარეგნობამ უკვე მარტო შეაკრიო, არამედ შეაშინა კიდევ. არა, ქალბატონო, — უპასუხა ჟან-პოლმა, — ჩემი დაბადების დღეა. უკნიდან ჩავეხვიე და ხმამაღლა ავტირდი, თითქოს თავისი დაბადების დღის კი არა, გარდაცვალების ამბავი ეთქვას. და მერე მოხდა მთავარი, რაც ვერაფრით ამიხსნია და რაც თავისი ალოგიკურობით, თავისი უცნაურობით, თავისი ამოუხსნელობითაც კი, არა მარტო უცხო იყო ჩემთვის, არამედ აუტანელიც და მაინც ჩემი ფიქრით, ერთადერთ გამოსავალს წარმოადგენდა იმ თავბრუდამხვევი ნეტარებიდან, რომელსაც ჩემი წინათ-გრძნობით, რატომღაც ჟან-პოლი უნდა შესწირვოდა მსხვერპლად. არ ვიცი, რამ მათეჩრები-ნა ასე, არ ვიცი, რამ მიმიყვანა ასეთ აზრამდე, შეიძლება მისმა ნაფთათლინიანმა კოსტუმმაც კი! არ გაგეცინოთ!

— პრა, — უპასუხე, — სასაცილოს ვერაფერს ეხედავ.

— იცით, მოსმენის იშვიათი უნარი გაქვთ!

— ეს ჩემი პროფესიაა.

— ამის გაგება არავის შეუძლია. არ გეწყინოთ და არც თქვენ, — შემომხედა, აქამდე გვერდზე იყურებოდა, — არავის, — გაიმეორა. — რატომღაც აუცილებლად მიმანია, ყველაფერი ისე მოგიყვით, როგორც იყო, როგორც ვგრძნობდი, როგორც განვიცდიდი, — გაჩუმდა. ცოტახნის მერე დაუმატა, — როგორც ვეწამებოდი. — ისევ მოუკიდა სივარტეს, — როგორ არ მიყვარს ეს სიტყვა, მაგრამ სხვა ვერ მოვიხებდი. ჟან-პოლს აღარ ეხვედებოდი. პირველსავე წინადადებას დაეთანხმდი და გაეთხოვდი. ჯერ ალფონში ვიყავით, მერე აქ, საქართველოში გადმოვედით. დედას გაუხარდა, ჩვენი აქ გადმოსვლის ამბავი რომ შეიტყო. აქ ნამყოფი ყოფილა, სწორედ იმ წელს, მე რომ დავიბადე, 1980-ში. მოსკოვში ოლიმპიადაზე ჩასული ტურისტების ჯგუფი ერთი-ორი დღით თბილისში ჩამოუყვანიათ. დღით ქართველს, ყოველთვის უნდოდა ამ ქვეყნის ნახვა. ჟან-პოლმა არ იცოდა, რომ გაეთხოვდი. დედა მატყობინებდა, ყოველდღე რეკავსო. ერთ სიტყვას ამბობდა მხოლოდ — დარეკა! ეს ისეთი ხმით იყო ნათქვამი, რომ დიდი მიხვედრა არ უნდოდა, ვის გულისხმობდა. ასე გრძელდებოდა სამი წელი. ოღონდ ბოლო ერთი თვის განმავლობაში აღარ დაურეკავს და უცებ, რამდენიმე დღის წინ...

გაჩუმდა. ღვინო მოსვა.

— იქნებ აღარ გაგავრძელოთ? — ვკითხე.

— თითქოს ჩემი სიტყვები არ გაუგონიაო, თქვა:

— უცნაური ის არის, რომ ვიგრძენი, არ ვაჭარბებ, მთელი ტანით ვიგრძენი ის, რაც მერე დედამ ტელეფონით მითხრა: აეროდრომზე მომკვდარა. მოსაცდელ დარბაზში. არავინ იცის, სად მიდიოდა. ბილეთი არ აღმოაჩნდა. საშინელი ტკივილით მომეწურა გული და მხოლოდ იმიტომ, რომ ეს აუტანელი ტკივილი მომეშორებინა, სამართებელი ავიღე. ყველაზე საშინელი მაინც ის იყო, რომ ვიგრძენი აღარ მიყვარდა, თუმცა აშკარად მე ვიყავი მისი სიკვდილის მიზეზი, ანუ მისი „აქსიენტას პრეკორდიალისი“...

როცა საელჩოსთან მანქანიდან გადადიოდა, მითხრა:

— იცით, მე თქვენ აღარ შეგხვდებით, ყოველშემთხვევაში, ვეცდები, აღარ შეგხვდეთ.


სხვა ვერაფერი მოვახერხე, გარდა იმისა რომ მეკითხა:

— შეიძლება დაგირეკოთ, თქვენი ამბავი გაივსო?


— ამას ვერ დაგიშლით... დიდი მადლობა. ეს დღე არასოდეს დამავიწყდება...

გაეიდა ერთი კვირა, ორი. ამ ხნის განმავლობაში რამდენჯერმე დარეკე. არც ერთხელ არ მოვიდა ტელეფონთან. მის ნაცვლად ქალბატონი ლულუ მასუხობდა: ანა-მარია უკეთესად არის, მადლობით, ბატონო ექიმო, ყურადღებისთვის. უსათუოდ გადაეცემ, რომ დარეკეთ.

ყველაფერს თითქოს ჩვეულებრივი იერი დაუბრუნდა. არა, მთლად ჩვეულებრივი არა, რადგან იმ მღელვარების მერე, რომელიც არც თუ ისე დიდხნის წინ ერთიანად საგანგაშო ტალღაზე წარმართავდა ჩემს გულსა და გონებას, ობივატელურ ერთფეროვნებაში ამოვყავი




თავი, ანუ ისევე დავიწყე ცხოვრება, როგორც უამრავი და უამრავი ჩემი თბილისელი კოლეგა ცხოვრობს: სახლი, კლინიკა, სახლი, შემთხვევიდან-შემთხვევამდე ნაცნობ-მეგობრებთან სავალდებულო სტუმრობა, ანდა შემთხვევით გამოვარდნილი „ვარიანტი“. ერთდერთი სიახლე, რომელზედაც თვითონვე შეშფოთებითაც კი ვფიქრობდი, მაგრამ ვერაფერს ვუბერებელი, ის იყო, რომ ბევრს ვსვამდი. თანაც მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, რას. ჩემთვის სასმელი სულერთი ვახდა. და ეს მართლა მაშფოთებდა. რადგან, ჩემი თანამშრომლისა არ იყოს, „ჭემშიარტიების ყველაზე გამოცდილი და ყველაზე უტყუარი გზა ვიპოვე“. შინ ხშირად გვიან ვბრუნდებოდი. მაშინვე რატომღაც ტელევიზორს ერთავდი. მის წინ სავარძელში პალტოგაუხდელი ვუდებოდი, ძალიან მეზარებოდა ტანსაცმლის გახდა და გამოცვლა. და ვიძინებდი. შუალამისას უცებ ტელევიზორის ხმა გამოძლიძობდა ხოლმე – პა? – დავაჭყვტდი თვალს, გულამოვარდნილი, დაფეთებული. ვდებოდი, ვიცვლიდი ტანსაცმელს, უფრო სწორად – დასაწოლად ვემზადებოდი. ვიღებდი წიგნს და, მიუხედავად იმისა, რომ ჩემს საყვარელ ლექსებს ვკითხულობდი, სინამდვილეში სულ სხვაგან ამოვყოფდი თავს – ანა-მარიასთან რესტორანში – და იწყებოდა კიდევ ბრძოლა საკუთარ მახსოვრობასთან. ვემალებოდი, ათასი სხვა რამის გახსენებით ვჩქმალავდი, ანუ ყველაფერზე ვფიქრობდი, გარდა იმისა, რაზედაც უნდა მეფიქრა. და მაინც ჩემი არსების საგანგებოდ დავიწყებული თუ მომზარებული, დამსხვრეული ნივთებითა თუ ნაცნობ-უცნობთა ერთფეროვანი ნიღბებით სავსე ორბოდან, რომელსაც, აღბათ იმიტომ, რომ ხელფერწურად გაალამაზონ, მახსოვრობას ვეძახით, ამოტყეტივდებოდა, ამოსვდებოდა, როგორც წყლიდან – ვემაბი, სახელი ანა-მარია! ოღონდ უცნაური ის კი არ იყო, რომ ვერაფერს ვუბერებელი ჩემს თავს, რომ ჩემი არსება თავის გადარჩენის მიზნით, თვითდაცვის ინსტინქტით, ამაოდ ცდილობდა დაეეწივებინა ეს სახელი, არამედ ის, რომ ანა-მარიას კი არ ვხედავდი (ვერაფრით ვიხსენებდი მის სახეს!), არამედ ხის პაწაწინა პირსს კუს ტბაზე, მის ბოძზე მიბმულ უნიჩხო ნავს. მე ამ ჩვენებას კომშიარით ვაკურბოდი, რადგან უმძაფრესი ტკივილით მეკუმშებოდა გული, მტკიოდა, მაგრამ ეს იყო ფიზიკურ ტკივილზე სახიფათო რამ, რადგან კი არ მკლავდა, აუტანელს ხდიდა ჩემს არსებობას. ეტყობა, ასეთი განწყობილების ბრალი იყო ჩემს დღიურში ასეთი ჩანაწერი: მინდა მუქში მოვიტყვიო, თიხის გუნდასავით მოვჭმუჭნო, მოვზილო და თავიდან გამოვძერწო... ისევე ისეთი! ძალიან მუეცხოვა. თითქოს მე კი არა, სხვას ჩაეწეროს ეს სიტყვები, თანაც მთვრალს. მართლაც, მე ჩაეწერე, თუ სხვამ, ნამდვილად მთვრალის ნაცოდვილარს ჰგავდა ასეთი სურვილი. არა, ასე აღარ შეიძლებოდა გაგრძელებულიყო. ისიც კი ვფიქრე, ბათუმში ხომ არ გადავსულიყავი, სადაც სამსახურს მთავაზობდნენ და საკმაოდ მაღალ გასამრჯელოსაც, მაგრამ აქ ვალდებულებებით ვიყავი ხელ-ფეხ შეკრული. ახალი რუფრამები ჩემთვისაც გაუგებარს ხდიდა იმ საქმიანობას, რასაც ამდენი ხანია ვეწეოდი. ვიღაცას თითქოს არ უნდოდა, ჩემი მოვალეობა კარგად შემესრულებინა, პაციენტზე კი არ მეფიქრა, არამედ იმაზე, თავადაც პაციენტად არ გადავქცეულიყავი. სასწრაფოდ დავხურე რეველი, თითქოს იქიდან მხეცმა შემომდრინა. აღარ დავლევ, წვეთსაც კი, გათავდა! ან აქამდე რატომ ვსვამდი, ნუთუ ვიღაცას ვემალებოდი, ვიღაცას თუ საკუთარ თავს? არა, ჩემო კარგო, არა, საკუთარ თავს ვერსად დავმალევი. აბა, რა ვქნა, რა ვქნა, როგორ მოვიტყე, რომ არ ვიცი!.. მთელ ბინაში დავბორბალობდი. ავიდიდი და ჩამოვიდიდი კიბეზე. კარადებს ვხსნიდი, უჯრებს ვაღებდი, თითქოს საკუთარ ბინას ვჩხრეკდი, არ კი ვიციოდი, რას ვეძებდი. ყველგან იას ტანსაცმელი და ნივთები მხედებოდა, ის ოთახი ხომ, რომელსაც „ვარდერობს“ ვეძახდით, მისი ტანსაცმლით იყო სავსე. საწოლ ოთახში დივანზე თამრიკოს სათამაშო დათუნია ვიპოვე. აკი არაფერი ვერჩებო! – გაეფიქრე, როცა ასევე თამრიკოს სათამაშოებით სავსე უზარმაზარი ყუთები ვიპოვე. არაფერი არ წაუღიათ. უფუნქციო, უსიცოცხლო ნივთებით იყო სავსე ბინა. დათუნია ჩემს საწოლთან, ტუმბოზე დავდე. საწოლზე ჩამოვვექი: ღმერთო ჩემო, თუკი ასე დავიტანჯებოდი, თუკი ასე გამიმწარდებოდა ცხოვრება, ასე ადვილად როგორ შეველიე ერთბაშად ყველაფერს, რითაც ამდენი ხნის განმავლობაში ვცხოვრობდი? საიდან გაჩნდა ეს სინანული, ნუთუ შემქმელი იასთვის ღალატი შეპატებინა, ისევე გამეგრძელებინა



მასთან ურთიერთობა, როგორც ადრე, თუნდაც, მაშინ, როცა ორივე, თუნდაც, სიყვარულის ილუზიის ტყვეობაში ვიყავით? ილუზიებს არაფერი კარგი არ მოსდევს. არ შეიძლება შენ თვითონ მოიგონო, შენით შეაკონწიწო ის, რაც თავისთავად, ბუნებრივად, ძალდაუტანებლად უნდა განჩნდეს. კი მაგრამ, რა მჭირს მანაც ასეთი, რატომ აკრთობთ ადამიანებს ჩემი სიმშვიდე, განსაკუთრებით რატომ აღნიშნავენ, განსაკუთრებით რატომ გამოყოფენ ჩემს სხვა თვისებებს შორის? აი, ანა-მარიამაც მითხრა კუს ტბაზე: მიყვარს მშვიდი ადამიანებიო. იამ კი გაანჩხლებულმა მომაყვია: მძულს შენი სიმშვიდეო! საქმე ის არის, რომ არც ერთია მართალი და არც მეორე – სინამდვილეში სრულებითაც არა ვარ მშვიდი, მითუმეტეს, ისეთი განსაკუთრებული სიმშვიდით ნამდვილად არ გამოიზარჩევი, რომ ერთს – ამკარად ნერვიული სტრესებით გატანჯულ ქალს – სიმშვიდის სიამე ვაგრძნობინო, ხოლო მეორე – ისედაც გამწარებული – კიდევ უფრო გაამწარო. ჩემი სიმშვიდე თვალთმაქცობაა და მეტი არაფერი. ჩემი პროფესიული ნიღაბი. ჩემი პაციენტების მიერ ჩემთვის დასმული, თითქოს არანორმალური, სინამდვილეში კი უადრესად ადამიანური კითხვები მხოლოდ სიმშვიდის ნიჟარაში შეფუთულმა კაცმა თუ შეიძლება მოიგერიოს, დამალოს, ანუ პაციენტებს დაუმალოს ის ფაქტი, რომ ამ კითხვებზე პასუხი არ არსებობს, სწორედ იმატომ, რომ... ადამიანურია! დიდი ბერძენი ამბობდა, ჩვენ სხეულს კი არ ვკურნავთ, არამედ ადამიანსო. და რადგან ეს შეგონება სხეებითი მეც მაგიწყება, სიმშვიდე ციხის გალავანებით შემოძვივლია ჩემი არსებისთვის, რაც იმას ნიშნავს, რომ არა მარტო სხვა ვერ შემოაღწევს მის წიაღში, არამედ თვითონაც ვერ გააღწევს ამ კედლებიდან, ვერ იდგაფუებს იმ ბოლოქარ ტალღებში, რასაც ცხოვრება პქვია, სახეულად და რაც, საერთოდ, ადამიანისთვის ყველაზე ძნელად მისაღწევი რამ ყოფილა. აი, ასე უჭექქრობ, დავბორიალობ ოთახში, როგორც გალიაში – დათვი. საწოლზე ფიქრიც კი მაძრწუნებს, რადგან ვიცი, წამების დახვად გადაამტკიცე. თამრიკო მენატრება. მახსოვს, მათ წასვლამდე რამდენიმე დღით ადრე სამზარეულოში მაგვიდასთან ვიჯექი. თამრიკო შემოცუნცულდა. მუხლზე დაეისვი. თამრიკო, – ვკითხე, – მამა გიყვარს? თავი დამიქნია, კიო. დედიკო? თავი გააქნია, უარის ნიშნად. შენც მატყუებ, თამრიკო? – თმაზე ვაკოცე. რომელიღაც მცენარის სურნელი ასდიოდა, რომლის სახელიც არავენ იცის. უკებ ჩემდაუნებურად ხმამაღლა ავტირდი. თამრიკოც ამყვა. ია შემოვარდა: ბავშვი ნუ გადარეი, შე აფერისტო!.. არა, ეს თვალთმაქცობა არ იყო. შეიძლება ითქვას, პირველად ეტიროდი ხმამაღლა ბავშვობის მერე. თამრიკოს თმის სუნმა გამაბრუა და ჩემდაუნებურად მოხდა ის, რაც ყველაზე ნაკლებად იყო მოსალოდნელი ჩემგან.

ახლა თამრიკოზე ვფიქრობდი და რატომღაც ანა-მარია მეღვა თვალწინ, რაც არა მარტო დიდი შეუსაბამობა, არამედ დიდი უსეინდისობაც იყო ჩემი მახსოვრობის მხრიდან. არა, მახსოვრობა კი არა, ჩემში მცხოვრები მეორე, ჩემზე გაცილებით სასტიკი, დაუნდობელი ვიღაც იხსენებდა ქალს, რომლის დაეიწყებასაც ისეთივე ტყვეილივით უცდილობდი, როგორც ნარკომანი – განკურნებას. ჩემი სიზმრების უცვლელი პეიზაჟი, რის გამოც ძილი სწორედ რომ წამებად მექცა – პატარა ხის პირსი და მის ბოძზე მიბმული უნიჩხო ნავი მანიშნებდა სხვა, იდუმალი ქვეყნის არსებობას, რომელსაც სახელი არ ჰქონდა, რადგან სინამდვილეში არ არსებობდა. და აი, ახლა, ამ წუთას იმ ქვეყნის ნოსტალგია სიზმრიდან ცხადში გადმოსახლებულიყო. უკვე აუტანელი ხდებოდა ასე ყოფნა. წავალ სადმე, – ვავიფიქრე, – წავალ სადმე და დავეღვე ცოტას. თამრიკოცა და ანა-მარიაც ორივე ერთნაირად მეცოდებოდა ახლა, თუმცა არც ერთსა და არც მეორეს ჩემი შესაკოდი, აღბათ, არაფერი სჭირდა. მე კი წასასვლელიც არ მქონდა არსად, სადაც შემძლო სიმარტოვისგან ღტოლვილს თავი შემეფარებინა. ჩემს თანამშრომელს დავურეკე:

- რას აკეთებ?
- არაფერს. ბავშვს არითმეტიკაში ვეხმარები.
- მაგდენი კი იცი?
- არა, მაგრამ რა ვქნა!
- ბავშვი არ გეცოდება?



- რა ქნას?  
- კარგი, შენი ცინიკური ხუმრობის თავი არა მაქვს...  
- მე არ ვხუმრობ. გაგიჭირდა?  
- კი, ძალიან, - უთხარი, უფრო წამომცდა, თან გამიკვირდა, როგორ მიხვდა, ძალიან რომ მიჭირდა?

- რას იზამ, - მითხრა.  
- ხომ არ წავესულიყავით სადმე? - შევთავაზე.  
- სად?  
- დაგველია ცოტა. ოღონდ ჩვენს სახინკლეში არა.  
- გამორიცხულია!  
- რატომ?  
- ამ დროს? თბილისში ორ ადგილას ვერ შეხვალ - რესტორანში და საზოგადოებრივ ტუალეტში. ერთი გადაჭედლილია, მეორე კი არ არსებობს.

- კარგი აბა, სხვა დროს იყოს.  
- რას იზამ! - მითხრა და ყურმილი დაკიდა.  
ტუმბოდან თოჯინა ავიღე:  
- შენ ანა-მარიას იცნობ? - ვკითხე დათუნიას, - არა? რომ იცოდე, რომ იცოდე, რომ იცოდე, როგორი ბედნიერი ხარ! - დრუნჩზე ვაკოცე და ტუმბოზე დავბრუნე. ისევ აკერიფე ტელეფონის ნომერი:

- ალბინა ხარ? მიცანი? ჩემთან მოხვალ?  
ნახევარ საათში? კი, ბატონო, იყოს ნახევარი საათი.  
ხუსტად ნახევარ საათში მოვიდა. კიბეზე, საწოლ ოთახში რომ ავდიოდით, მკითხა:  
- მოგენატრეთ?

არ ვუპასუხე, ტრაკზე წამოვარტყე ხელი. ხმაძალა გადაიკისკისა... ჩექმას რომ იცვამდა, მითხრა: როცა დაგჭირდეთ, დამირეკეთ. ნუ მოვერიდებათო. შესმოდა, როგორ ჩადიოდა კიბეზე ჩვენებურად, ბრაზაბრუხით. ჩვენი ქალები ფეხებს ძალა მარტო ლოჯინში წვეწონო, იტყოდა ხოლმე ჩემი თანამეინახე თანამშრომელი. მერე კარი გაჯახუნდა...

გაიარა კიდე რამდენიმე დღემ და მოხდა კიდეც ის, რასაც ფიქრშიაც კი ვერ წარმოვიდგენდი. უკვე დეკემბერი იყო. დეკემბერმა თოვლიც მოიყოლა, ოღონდ ცოტა ხნით, თითქოს ზამთარმა მშვერაკების რაზმი შემოგზავნა და სასწრაფოდ უკან გაიწვიაო. სიცვიე კი, მართლაც, დეკემბრისა იდგა. კლინიკა იყინებოდა. პაციენტები ლოჯინიდან აღარ დგებოდნენ. მე კაბინეტში ძველებური ნათის ქურა მედგა, რომელიც იმდენად არ ათბობდა, რამდენადაც ტაკუნობდა და ბოლავდა. თვალები მეწვოდა. უშენოდ მივხედავთ აქაურობასო, - მეუბნებოდა ჩემი თანამეინახე თანამშრომელი, - თქვენთან რამდენადაც ვციცი, თბილაო. ეს ბედნიერება ნამდვილად მქონდა: შევიცარიიდან დაბრუნებისთანავე, რა თქმა უნდა, სიმამრის წყალობით, გერმანული გათბობის სისტემა გავიყვანეთ მთელ ბინაში. მაგრამ, საჭე ის იყო, რომ შინ მარტო დარჩენა მემინოდა. სიმარტოვის საშინელი გრძნობა თითქოს სწორედ შინ მგლოდებოდა, ჩასაფრებელი. ამიტომ ფეხს ვითრედი ხოლმე. უცდილობდი, მხოლოდ დასაძინებლად დაგვრუხებულყავით შინ, ანუ მაშინ, როცა სხვა გზა არ მქონდა. თანაც ჩემს ძილს თუ ძილი ეთქმოდა, ესეც საკითხავია. დაძინების მემინოდა. როგორც ვთქვი, საწოლი წამების დაზვად გადამეჭკა. წიგნისკენ აღარც ვიხედებოდი.

სალამოს რვა საათი იქნებოდა, შინ ახალი დაბრუნებული ვიყავი, კარზე ხარი რომ დაირეკა. გავაღე კარი და მოულოდნელობისგან გავშრი, ხმა ვერ ამოვიღე.

- შეიძლება შემოვიდე? - მკითხა ანა-მარიამ ღიმილით.  
- მობრძანდით, როგორ არ შეიძლება, მობრძანდით!  
- არ მელოდით არა?  
უკვე ოთახში ვიყავით. დახვეული წითელი კაშზე რატომღაც მკერდზე ჰქონდა მიკრული.  
- დაბრძანდით.

— არა, ერთი წუთით შემოვირბინე. ტაქსი მელოდება. ნახეთ, ვინ მოგივცანეთ! ტაქსის შოფერმა ძაჩუტა. მივეფერე და თქვენი იყოსო. მე კი მინდა თქვენ გაჩუქოთ, რაღაცაში ლეკვი ყოლია გამოხეული. კაშხე ველები ჩაიტენა, ლეკვი გამომიწოდა, — აი, ნახეთ, რა კარგი ვილაცა!

ლეკვი ჩამოვართვი. ხელი გადავუსვი.

— გიყვართ ძაღლები? — მკითხა.

— არა, არ მიყვარს, — ვუპასუხე. ლეკვს ვეფერებოდი, თან ანა-მარიას შევეცქეროდი.

ასეთ პასუხს აშკარად არ ელოდა:

— არა? — გაღიმება სცადა.

ტყაყის მოკლე ქურთუკი ეცვა, შიგნიდან თეთრბუნებამოკრული. ბუსუსებიანი მაღალყელიანი სვიტრი. შავი შარვალი (რამსიმალეა! — ვფიქრობდი მე) და შავი სქელლანჩიანი ზონარებით შესაკრავი ფეხსაცმელი.

— როგორ მათვალისწინებთ! — მითხრა და ახლა კი მართლა, მთელი სახით გაიღიმა.

— გიხსენებთ, — ვუპასუხე.

— დაგავიწყდით?

— ანა შეიძლება დამვიწყებოდით?

— სხვაგან მივდიოდი და აი ამ მაიმუნმა, — ლეკვზე მიმითითა, — გადამაწყვეტინა თქვენთან მოვსულიყავით.

— მაღლობთ საჩუქრისთვის.

— მე კი მეგონა, გავიხარებოდათ!

— ვინ გითხრათ, რომ არ გამიხარდა? აი, არ მომწონს, რომ არ ჯდებით. ყავას მოგიღულებთ უცებ.

— არა, უნდა წაეიდე. სხვა დროს გესტუმრებით.

— რა დავარქვათ? — ვკითხე, როცა კართან მივედი.

— თუ წინააღმდეგი არ იქნებით ტერი დავარქვათ. ბავშვობაში მყავდა ტერი. ძალიან მიყვარდა, — ლეკვს მივეფერა, — ტერი, ტერი, შე საცოდავო, — აკოცა კიდევ.

წავედა. დამტოვა გაოგნებული. კარს, რომელიც ახლახანს მომიხურეს ცხვირწინ, შევეცქეროდი, თითქოს ისევ გაიღებოდა, თითქოს ანა-მარია ისევ დაბრუნდებოდა.

მეორედ რომ მოვიდა, მითხრა, ტერის სანახავად მოვედიო. ამ ხნის განმავლობაში უკვე კარგად გაიწიფე, შეიძლება ითქვას, ძაღლის საკმაოდ კარგი მოძველები გავხდი. შენ ჩემო ძმაო, ამ საქმისთვის ყოფილხარ დაბადებული, — ვუბნებოდი ჩემს თავს, რა ექიმობა აგიტყდა! ვერ ხედავ, ქვეყანა ძაღლებზე გიყვება, ყოველ შემთხვევაში შენზე მეტად რომ უყვართ ძაღლი, ამას კი უნდა მიხედრილიყავი ამდენ ხანს. არა, ანა-მარიას არ ვგულისხმობდი, ჩემი ირონია ჩვენს საზოგადოებას ეკუთვნოდა, ასე დაუნდობლად რომ ეცქეროდა თავის წევრებს. თუმცა სადღა საზოგადოება. პირველი, რაც ჩვენს თვალწინ გაქრა, თუ მოკვდა, საზოგადოება, საზოგადოებრივი აზრი იყო. ახლა მისი უსახო ნაფლეთები, ნარჩენები დაფარფატებენ ქუჩებსა თუ პარკებში. ასეირნებენ ათასნაირი ხერხით, ცდით, მეთოდით გადაჯიშებულ ცხოველებს, რომლებსაც რახანია დაავიწყდათ, თუ დაეიწყეს, დარაჯები და მონადირეები რომ იყვნენ და ურჩევნიათ ასე ყელზე ჯაჭვშებნულებმა გაატარონ ცხოვრება, ანუ პატრონებს უფრო დაემსგავსონ, ვიდრე წინაპრებს, — აი, ასე ვფიქრობდი, როცა საღამოს შინ ვბრუნდებოდი, სუპერმარკეტებში შექმნილი ტერის საჭმლით სავსე პრიალა პარკებით ხელდამშვენებული, „რიოლკანი“, „კელიბი“, რა ვიცი, რა სახელები არ ამოვიკითხე, არ დაეიშვირე პოლიგრაფიული სასწაულების დონეზე გამოცემულ ცნობარებსა თუ სახელმძღვანელოებში. ისე კაცმა რომ ითქვას, — გამიღვებდა ხანდახან გულში, — თამრიკოსთვისაც ხომ შემეძლო მომეგლო! რატომ ერთხელაც არ გავიბრძოლე, დამიტოვე-მეთქი! სხვათაშორის, ადვილი შესაძლებელი იყო, იას მართლაც დაეტოვებინა ბავშვი ჩემთვის, იმიტომ კი არა რომ არ უყვარდა, არამედ ძალიან რომ ვშუღლი.

— ხომ არ გააჩუქეთ? — მკითხა ანა-მარიამ.



- არა, არა, რას ამბობთ, რას ჰქვია, გაგაჩუქე!  
- აბა მაჩვენეთ!  
კუთხეში მივიყვანე, სადაც ძაღლისთვის ფიჩვები მქონდა დაგებული, ფიჩვები ეთქმოდა, თორემ იას ძვირფასი ტანსაცმლისგან გამოჭრილი ლოგინი ვგო ჩვენს ძვირფას ტერის. ძაღლების დედოფალს შემურდებოდა, თუ ჰყავთ, რა თქმა უნდა, ასეთი დედოფალი.

ჩაიძუხლა:

- მოდი ჩემთან, - ხელში აიყვანა, აკოცა, - რა ლამაზია არა? - შემომცინა.

თავი დავეუქნიე. ველეავდი. გული ამოვარდნაზე მქონდა. უცებ შეგაძმნიე, რაღაცას უყურებდა დაკვირვებით.

- რა უყურებთ? - ვკითხე.

- ამ ტახტზე წვანან თქვენი პაციენტები? ეს არის ფსიქიატრის ტახტი?

- დიახ, - ვუპასუხე, - ეს არის. საერთოდ, ეს ჩემი სამუშაო კამინეტია.

- მე არ მინდა თქვენი პაციენტი ვიყო, - თქვა ჩემად.

რაღაცაზე ფიქრობდა. თმა შუბლზე ორი თითით ეჭირა.

- არც მე მინდა, თქვენ ჩემი პაციენტი რომ იყოთ, - ვუთხარი, - და არც იქნებით.

- მაგრამ ამჟამად ხომ თქვენი პაციენტი ვარ!

- გაიხადეთ ქურთუკი, აქ არ ცივა. ღვთის წყალობით, რუსეთმა გაზი გამოუშვა.

ქურთუკი გაიხადა და სკამზე დააგდო.

- დიდიხანა, მახსოვს, ჯერ კიდევ ლიცეუმში ვსწავლობდი, ასეთ ტახტზე დაწოლა მინდოდა. ფილმებში ხომ ქალები სულ ასეთ ტახტზე მიწოდებები ელაპარაკებანი ექიმს. კინოერსკვალაები. მაგრამ შემინოდა, - ლეკვი ფრთხილად დასვა. შეზღონგზე ჩამოჯდა.

- გემინოდათ? - სკამი ახლოს მივიტანე, დაეჯექი.

- დიახ, გემინოდა. უფრო სწორედ, მრცხვენოდა. არაფერი მქონდა მოსაყოლი. ან უმნიშვნელოდ მქევენებოდა ყველაფერი, რითიც ვცხოვრობდი, იმდენად უმნიშვნელოდ, რომ უცხო ადამიანთან ანუ ექიმთან მისი გამხელა მერიდებოდა.

შეზღონგზე გაწვა.

- ადამიანი უსათუოდ უნდა გათავისუფლდეს უთქმელი სიტყვებისგან. სულში უკვე ჩაქავებული სიტყვებით იქმნება ახალი მორე ცხოვრება. ძველსა, ანუ ნამდვილსა და ამ ახალ ცხოვრებას შორის საკმაოდ დაძაბული ქიშპობა მიდის. ამიტომ აუცილებელია ამ სიტყვების მოშორება. მაგრამ ეს რომ შესძლო, გულისხმიერი, გამგები მსმენელი უნდა გაკედეს, რაც, დამეთანხმებით, ყველაზე ძნელია. იშვიათია ჩვენს აჩქარებულ, გაუცხოვებულ ყოფაში. სისულელეს ვამბობ? - გაიცინა.

- არა, კარგად ლაპარაკობთ.

- ადამიანი, აქ რომ დაწვება, არ შეიძლება ცუდად ლაპარაკობდეს, ის ხომ სიმართლის თქმას ცდილობს! სიმართლე კი ყოველთვის საინტერესოა. არადა, როგორც ვატყობ, სრულებითაც არ არის აუცილებელი სიმართლე ელაპარაკო ექიმს, მთავარია, ილაპარაკო და რაც მეტს, თუნდაც სიცრუეს, ილაპარაკებ, მით უფრო მიეხმარები მას, გაიგოს, გაარკვიოს შენი სულიერი მდგომარეობა. - იდაყვზე დაყრდნობილი მელაპარაკებოდა, - რატომ მიყურებთ ასე? - მკითხა მოულოდნელად.

- გისმენთ! - ვერ ვუთხარი, რომ მისი ყველა სიტყვა, ჟესტი, აღტაცებას მგვრიდა, როგორც შშობელს, ჩვილის ნებისმიერი ქცევა თუ ტიტინი.

წამოდგა. მუხლზე ჩამომოჯდა, ხელი კისერზე მომხვია და გვერდიდან შემომხვდა:

- თქვენც შემლილი ხართ? - შეწუხებული სახე მქონდა. თვალები თითქოს გაუშუქდა და დაუძიბდა, ოღონდ სულ ერთი წამით, მერე გაიცინა, წამოდგა, ჯიბიდან სიგარეტის კოლოფი ამოიღო. სიგარეტს მოუკიდა და მკითხა:

- შეგემინდათ?

სიგარეტი საფერფლეში ჩაჭყლიტა და თავზე სვიტრი გადაიდრო. შიშველ ტანზე სცმია. თითქოს ჩემს თვალწინ რაღაც უცებ, უხმოდ აფეთქდა.

— არა, — წაეიწურეწურე, — არა! ნუ!

გაკვირვებულმა შემომხვდა:

— არ მოგწონვარ?

— არა, — ძლივს ამოვიღულულულე, — არა...

— შე კი მეგონა...

— შე თქვენ მიყვარხართ! — ვიყვირე, — მიყვარხართ!

— რა გაყვირებთ? — შემომხვდა გაკვირვებულმა.

შე კი რატომღაც უეცრად გაუბრაზდი იმ მასწავლებელივით, მოწაფეს რომ ვერაფრით აგებინებს უმარტივეს რამეს.

— დიახ, მიყვარხარ, — გავიძიორე ისევ, ოღონდ ძალიან ჩუმიად, თითქოს სასტიკად დაღლილმა. მართლაც, ამ ბოლო რამდენიმე წაშმა ისე დამქანცა, თითქოს რაღაც ძალიან მძიმე ფიზიკური სამუშაო შექმსრულებინოს. უფრო კი ალბათ იმ მოულოდნელმა აღმოჩენამ იმოქმედა ჩემზე, თურმე აქამდე იმიტომ ვიტანჯებოდი, რომ მიყვარდა, მიყვარდა ჩემს ცხოვრებაში პირველად და ამ ჩემთვის სრულიად მოულოდნელმა აღმოჩენამ თითქოს გონებაც კი დამაკარგვინა.

ზევით, საწოლ ოთახში დამიბრუნდა გონი. ის ჩემსკენ ზურგშექცევით იწვა. არ უძინა. მძინარეს ეტყობა. არ მახსოვდა, როგორ აღმოვჩნდი ამ ოთახში, ამ საწოლში. როგორ ამოვედით კიბეზე, ან რამდენ ხანს ვიყავი უგონოდ. ჩემი სხეულის, ჩემი არსების ყველა პაწაწინა ნაწილაკს ახსოვდა მხოლოდ უსაზღვრო ნეტარება, რომლის მსგავსი არასოდეს განმიცდია. ეს იყო რეტი, გონებაზე გამარჯვებული სტიქიის ზეიმი. რატომღაც მომღერალი იმა სუმაკი გამახსენდა, რომელსაც ბუნების ორგანიზმის ხმების გადმოცემა შეეძლო. სულ-განაბული დარბაზი უსმენდა კენესას, ვიირილს, გმინვას, ხრიალს — ყველაზე დიდებული ადამიანური აქტის აკრძანებულს, რომელიც განუყოფლად ნაწილდებოდა მლოცველებით გარინდებულ მსმენელებს შორის. გადავიხარე, ბეჭებს შორის ვაკოცე. აუღეპი, ხალათი შემოვიცვი. ფლოსტებში ფეხი წავეყვი და ქვევით ჩავედი.

თან ყავას ვადუღებდი და თან მოულოდნელად გახსენებულ ჩემს ღეჭს ვამბობდი: თავბრუს მახვევს შენი სხეულის სუნი, სურნელი სამოთხის რომელიღაც ხისა, რომელსაც ვერც ერთ ბოტანიკურ ლექსიკონში ვერ შეხვდებით. ეს სურნელი სამოთხიდან გამოჰყვა ევას და მხოლოდ ნამდვილ ქალებს გადაეცემათ შემკვიდრებით. ეს იყო დიდი ხნის წინ დლიორში ჩაწრილი და, ჩემი ფიქრით, იქ სამუდამოდ ჩატოვებული ღეჭი. მიკვირდა, რომ მახსოვდა. არც ერთი სიტყვა არ დამეიწყებია. თითქოს ნამდვილი ადრესატი გამოუჩნდა, ნამდვილი პატრონი. ხო, ანა-მარიას ეკუთვნოდა ეს ჩემი ახალგაზრდობის დროინდელი ნაცილილარი. უცნაური წინათგონობით შთაგონებული სტრიქონები თითქოს ამ ღეჭს, ამ წუთს უცდიდნენ.

ყავა წამოვადუღე. ფინჯანში გადავისხი. მოესვი. პირი დამეთუთქა. ეს კი აუცილებელი იყო, რათა მეგრძნო, რომ ნამდვილად დაუბრუნდი ამ ქვეყანას.

— რას შერბობ, ლოცულობ? — ანა-მარია შეუმჩნეველად წამომდგომოდა თავს.

— ხო, არ იცი, ნამდვილ ყავას მხოლოდ შელოცვით რომ მოადუღებ? გინდა შენც მოვიდულო?

— არა. მაღლობთ. მე კი წყლის გადაღება მოვასწარი.

აბანოს თეთრი ფუმფულა ხალათი ეცვა. პირსახოციტ კეფას იმშრალებდა.

— ნუთუ მართლა ასე გიყვარვარ? — ჩემს პასუხს არ დაუცადა, ალბათ არც აინტერესებდა, რადგან ისედაც კარგად იცოდა, რას უპასუხებდი, — შეხედე, შეხედე, რა ხდება! — შესძახა, — ამ ტანსაცმელს ხედავ? — ოთახი და კიბე ჩვენი ტანსაცმლით იყო მოყვნილი. ვერ ვგრძნობდი, ისე ვიხდიდი, რაღაცისგან სასწრაფოდ ვთავისუფლდებოდი თითქოს, — ღმერთო ჩემო, რამდენი რამე აკვია ადამიანს! კრიმინალისტს ჩვენი ტანსაცმელი, სისხლის კვლივით, დანაშაულის ადგილზე მიიყვანს.

— დანაშაულის? — შემაკრთო ამ სიტყვამ.



- განა არა? - მაპასუხა, - შენ ფიქრობ, რომ ჩვენ დამნაშავეები არა ვართ? მე როგორც ცოლი, შენ, როგორც ექიმი, რომელმაც თავის პაციენტთან შესესოდა.

ლმილით ვუპასუხე:

- იმან დამადანაშაულოს, ვინც შენ შეგხედავს და ფიქრში მაინც ჩემნაირად არ მოიქცევა.

აბანოს ხალათი გავხადე და იქვე, ჩემი იდაყვებით გადაწმენილ მაგიდაზე, ისევ დავკარგე გონება... მერე, როდესაც ორივე ერთად ვიდევით შხაპის ქვეშ, შემომცინა:

- თუ გახსოვს, ვითხარი, მე შენ ექიმად არ აღგიქვამ-მეთქი, გახსოვს?

- როგორ არა, როგორ არა...

- მაშინ, მგონი, გეწყინა...

- არა, კი არ მეწყინა, შენმა გულთმისნობამ გამოიწვია.

- ასე რომ, შენ არავითარი ცოდვა არ ჩაგიდენია. ისე, განა რამეა ამქვეყნად ცოდვაზე ტყბილი?

წასვლის წინ ტერი მოიკითხა.

- აგე! - დავანახე.

მაგიდის ქვეშ შემძვრალიყო.

დაიხარა. ხელები მუხლებზე დაიტყაპუნა:

- მოდი ჩემთან, ტერი, მოდი, შტერო, ჩემთან!

ტერი, თითქოს ბამბის ქულამ ფეხი აიდგაო, წამოცუნცულდა ჩვენსკენ. თან იატაკზე, როგორც ყინულზე, ფეხი უსხლტებოდა.

- ნახე, რა სასაცილოა, ნახე, რა საფეარულია! - იატაკა, მკერდში ჩაიჭრა. მიეფერა: ტერი, ტერი, შე საცოდავო...

რამდენიმე დღემ ისე გაიარა, ტელეფონითაც კი არ შემომხმინებია. აი, ქალბატონმა ლულუმ კი დამირეკა, რაც, მართლაც რომ, მოულოდნელი იყო.

- გამარჯობათ, ბატონო ექიმო, როგორ ბრძანდებით?

- მადლობთ, ქალბატონო ლულუ, დიდი მადლობა.

- სასიამოვნოა, რომ მიცანით. დიდხანია აღარ დავირეკავთ. არ გეწყინოთ და, ჩვენ ეს კარგ ნიშნად მივიღეთ, ანუ თქვენ მიგაწინაით, რომ ანა-მარიას მკურნალობა აღარ ჭირდება.

- ანა-მარიას მკურნალობა არც არასოდეს ჭირდებოდა, - ვუპასუხე მე, - ანა-მარია სრულიად ჯანმრთელია.

- სასიამოვნოა თქვენისთანა ექიმისგან ამის მოსმენა.

მივაქციე ყურადღება, რომ ჩემი პროფესია რამდენჯერმე ახსენა.

ქალბატონი ლულუ კი განაგრძობდა:

- თქვენს რჩევას, იცოდეთ, ერთგულად ვასრულებთ. დილით მე ამყავს კუს ტბაზე. იჭაურობა ძალიან მოეწონა და სულ იქ მიხვავს წაყვანას. სადამოლობით კი საელჩოს წინ, ქუჩაში სეირნობს. მარტო.

მომჩვენა ეს ბოლო სიტყვა თითქოს დაემარცვლოს, ქალბატონ ლულუს კი ვუთხარი:

- ძალიან, კარგი. ასე გააგრძელებთ. პერზე დიდხანს ყოფნა ყველასთვის სასარგებლოა.

- მადლობთ, ბატონო ექიმო.

- თუ საჭიროდ ჩათვლით, - ვთქვი და მაშინვე ვიგრძენი, გადავამლაშე - შეიძლება ეფიქრა, როგორც ზედამხედველს ისე მიემართავდი, ეტყობა, ასედაც მოზნდა, წამით რომ შეეყოფნდი, კარგახანს არც ის გამოძაპასუხებია. როდის როდის მომესმა მისი მტკიცე, გაუბზარავი ხმა:

- ვისმენთ, ბატონო ექიმო!

- დამირეკეთ ნებისმიერ დროს, - ვუთხარი.

- მადლობთ, ბატონო ექიმო. კარგად ბრძანდებით.

ამ საუბარმა უსიამოვნო გრძნობა დამიტოვა. ამაღელვა და ცოტათი შემაშფოთა კიდევ. რატომ უნდა დაერეკა ქალბატონ ლულუს ჩემთვის, რა მიზანი ჰქონდა მის დარეკვას?



თითქოს მაფრთხილებდნენ... არ ვიცი... ასე იყო თუ ისე, ეს საუბარი უპირველეს ყოვლისა, მართლაც გაფრთხილებასავით უნდა მიმელო, რადგან სხვა დანიშნულებას სხვა მიზანს ვერაფრით მოეუბნებ. შეიძლება ვაჭარბებდი, შეიძლება აღელვების ბრალი იყო, ასე რომ ვფიქრობდი, მაგრამ ქალბატონი ლულუ ისე, უბრალოდ, მხოლოდ ჩემს მოსაკითხად რომ არ დარეკავდა, აშკარა იყო. იქნებ ჯობდა მეტიკა, ერთი-ორჯერ შემოიარა ჩემთან კონსულტაციისთვისო, თუმცა სრულებითაც არ ვიყავი ვალდებული, ყველაფერი დაწვრილებით მომეხსენებინა ქალბატონი ლულუსთვის. შეიძლება იცოდა კიდევ, ანა-მარია რამდენჯერმე რომ შესტუმრა, შეიძლება კი არა, ალბათ ნამდვილად იცოდა ეს ამბავი. ამიტომ მისი დარეკვა, მართლაც, გაფრთხილებად უნდა მიმელო. მაგრამ განა ამით რამე შეიცვლებოდა? ბოლოს და ბოლოს შემძლო ჩვენი ურთიერთობის შესახებ საჯაროდ განმეცხადებინა და ანა-მარია ცოლად შემერთო. ასე ვფიქრობდი და არც მეშინოდა ასეთი ფიქრისა, ქვეცნობიერად ვგრძნობდი, ასეთი რამ არ მოხდებოდა, არც შეიძლებოდა მომხდარიყო, ჩვენი ურთიერთობის ფინალის ასეთ ვარიანტს მხოლოდ გულუბრყვილო კაცი თუ წარმოიდგენდა თავის ოცნებაში. გულუბრყვილო და... უსენინდისო! როგორ შეიძლებოდა მთელი ჩვენი — მისი და ჩემი — შემდგომი ცხოვრების ბუდე უძისოდ გადამწეფიქტა! ალბათ უკეთესი იქნებოდა მივყოლოდი ამის მდინარებას, არც დამეჩქარებინა და არც შემენელებინა. სიმართლე ის იყო, დარწმუნებულიც კი არ ვიყავი, ჩვენი ურთიერთობა საერთოდ თუ გაგრძელდებოდა! შევტყვევებოდი უკიდურესი სითამამე ასევე უკიდურესი თავშეკავებით შეეცვალა. ეს იყო სრულიად ნორმალური ქალის არანორმალური ლტოლვა. ფიქრშიაც ვერ ვახსენებ სიყვარული! მაგრამ განა შეიძლება ასეთი ძლიერი ლტოლვა არანორმალური იყოს? იქნებ, მართლაც, სიყვარულია და მეტი არაფერი. თუმცა, ღმერთო, მეტი რაღა უნდა იყოს! არანორმალურად ხშირად ხომ ის ვეჭვებება, ანდა არანორმალურად მივიჩნევთ იმას, რაც თვითონ არ შეგვიძლია, რაზეც ხელი არ მიგვიწვდება!

ტელეფონი რომ დაკვიდე, თითქმის მაშინვე ჩემმა თანამებინახე თანამშრომელმა დამირეკა:

— მომილოცავს, ძმაო, მაგარი ქალი დაგირტყამს. ასეთი ქალი თბილისში არ დადისო.

— რას ამბობ? ვინ გითხრა? რა სისულელეა? — გული გადამიბრუნდა, — ვინ გითხრა-მეთქი?

— თბილისი პატარა სოფელია, ძმაო, არაფერი არ იმალება. ისე მე თუ დამიჯერებ, გირჩევ, ნამეტანი ლამაზი ქალის აყოლა ხელს არ მოგცემს. ხომ იცი, ლამაზი ქალი სარკემიც ტრაკით იხელება.

ღმერთო! ეს უკვე ნამდვილად მისტიკა იყო! სულ რამდენიმე ადამიანმა მნახა ანა-მარიასთან ერთად, დარწმუნებული ვარ, არც ერთი მათგანი არ მიცნობდა. სუვეელა მასხოვს, შემიძლია ჩამოვივლო კიდევ: პოლიციელი საელჩოსთან, „ნივას“ მოფერი, საბურავებს რომ უცვლიდა მანქანას, ოფიციანტი, ბოშა გოგონა, რა ერქვა, ხო — ერა! სხვა? არა, სხვას არავის არ ვუნახავართ ერთად მე და ანა-მარია. ჩემმა თანამშრომელმაც ყურმოკრულად იცოდა ეს ამბავი, თორემ კიდევ სხვა რამეც რომ სცოდნოდა, უსათუოდ მეტყვოდა, ამას როგორ დამიმალავდა! წარმოვიდგენით — ელჩის მუდღვე თბილისელი ექიმის საყვარელი! რითია ნაკლები მექსიკურ სერიალზე? კუს ტბის გარდა, მე და ანა-მარია ერთად არსად არ ვყოფილვართ. არა, ვერაფერი გამიგია. პირველმა ელდამ თანდათანობით გადაძაბა, რადგან იმასაც მივხვდი, რომ ეს „ჭორი“ არც ჩემთვის და არც ანა-მარიასთვის სრულებითაც არ იყო სახიფათო, როგორც თავიდან მომეჩვენა. კუს ტბაზე ჩვენ ელჩის, ანუ ქალის მუდღვის, თანხმობით კი არა — თხოვნით ვიყავით!

ყველაფერი უცებ გაირკვა, როცა იმავე ჩემმა თანამშრომელმა ჩვენი ერთერთი საუბრის დროს, რაღაცასთან დაკავშირებით თქვა, ჩემი უფროსი ქალიშვილი საელჩოში კომპიუტერზე მუშაობსო. მაშინვე მივხვდი, „ჭორი“ თავად საელჩოდან იყო გამოყოფილი. თანამშრომლის ქალიშვილი მე, რასაკვირველია, მიცნობდა, შეიძლება ჩემმა ხშირმა დარეკვამ, ანა-მარიას მოკითხვამ მიიპყრო მისი ყურადღება, მიუთმეტეს, რომ არ იცოდა, თუ რანაირ ვითარებაში გავიციანი ელჩის ცოლი. შეიძლება სიმპათიურ თავხედადაც კი მივლიდე, თუკი შეიძლება

ამ ორი ცნების ერთმანეთთან დაკავშირება. და ადვილი შესაძლებელია, გვითანაგრძნობდეს კიდევ ორივეს – მეც და ელჩის ცოლსაც. უსაზღვროა ქალის ფანტაზია, – ვფიქრობდი და ფიქრშივე ვამატებდი, – და ხშირად საოცრად ზუსტი! ასე რომ, შეიძლება თვითონ შეთხზა კიდევ ეს „რომანი“ და მამას, როგორც ჩემს მეგობარს – ასე მიცნობდნენ მათ ოჯახში – გაანდო... შეიძლება მართლაც ასე იყო ეს ამბავი, მაგრამ შეიძლება – არა, ვინ შეტყობდა სიმართლეს?..

8

– აი, მერამდენევერ მოედევარ თქვენთან და დაახლოებით ერთსა და იმავეს გიყვებით. რაც უფრო მეტი დრო გადის, მით უფრო ეჭვი მეპარება, ვაითუ, ყველაფერი მე მოვიგონე! მაგრამ ბავშვი ხომ გაჩნდა?! და აი, მივაღიქვი მთავარ სათქმელს, რისი გულისთვისაც დღეს გესტუმრეთ. ბოლოს საელჩოს წვეულებაზე გნახეთ, ფილარმონიის ბაღში. იმ საელჩოს მოსაწვევები ჩვენს გამომცემლობაში დაიბეჭდა, – ნუნუმ შუბლზე ჩამოშლილი თმა ორ თითს შორის მოიქცია და ლევანს შეაშტერდა.

– რატომ მიყურებთ ასე? – ჰკითხა ლევანმა ცოტახნის მერე.

– არავის გაგონებთ?

როგორ არა, მაშინვე ანა-მარია დაუდგა თვალწინ, მაგრამ არ შეიტყო:

– ვის უნდა მაგონებდეთ? იმ წვეულებაზე კი ვიყავი, როგორ არა.

– ამ ბოლო დროს თქვენთან ხშირად რომ მოდის...

– ჩემთან ბევრი პაციენტი დადის. რეუსებით რატომ მელაპარაკებით, პირდაპირ მითხარით, გარკვევით, – უკვე დარწმუნებული იყო, რომ ნუნუ ანა-მარიას გულისხმობდა. მისი სახელის გაგონებას ელოდა კიდევ, მაგრამ ნუნუმ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა:

– ჩემს შვილზე მოგახსენებთ!

– ბატონო? – შეცბა ლევანი.

– მაშინვე ვიციანი, როგორც კი დავინახე. ჩემგან ჰქონდა ეს, – თმაზე წაივლო ორი თითი, – თავიდან იმითომ მივაქციე ყურადღება, რომ თქვენ გელაპარაკებოდით. გულმა კი მაშინვე მიგრძნო, მაგრამ დავრწმუნდი, თქვენ როცა ვაგაშორდათ და ბილიკს გაუყვია. ძლივს გამოვერკვიე. გული სამინლად ამიჩქარდა. მერე ვიღაც კაცებთან მივიდა. ზურგშექცევით იდგა. კინალამ დავიხრჩვი ისე მომინდა მეკონა, როგორც ბავშვისთვის, ჩეილისთვის, რაც არასოდეს გამოკეთებია. მაგრამ ამის გაკეთების სურვილი თუ წყურვილი თურმე აქამდე ცოცხლობდა ჩემში, ჩემს სულში ეძინა და აი მაშინ მოულოდნელად გაიღვიძა. არც ერთი ბავშვის მიმართ არ გამჩენია მთელი სიცოცხლის მანძილზე ასეთი სურვილი, თუმცა, დამერწმუნეთ, ამ ხნის განმავლობაში უამრავი და უამრავი ბავშვი შემხვედრია, ზოგი ხელშიც მჭერია, ზოგისთვის მიკონია კიდევ, მაგრამ ასეთი რამ, რაც იმ დღეს ფილარმონიის ბაღში დამემართა, არასოდეს განმიცდია. წავედი და მერხზე ჩამოვვექი. ქალბატონო, ცუდად ხომ არ ბრძანდებით? მკითხა კაცმა, რომლის გვერდითაც აღმოჩნდი სკამზე. თურმე ვიღაცები საუბრობდნენ და მე მათ შორის ისე ჩავმუდარვარ, არც შემიმჩნევია, ხომ გითხარით, კინალამ გონება დავკარგე-მეთქი! აააა, – წაიშლერე, თითქოს ბავშვს ვარწვედი მუხლებზე. ქალბატონო? – ახლა კი მართლა შეცბა ჩემი უნებლიე მეზობელი. არაფერი, – გამოვერკვიე, გონება დამიბრუნდა, გავიღიძე, – არაფერი, უკაცრავად. მგონი, ხელი შევიშალეთ. მაპატიეთ, თუ შეიძლება, – წამოვღიქვი. ბრძანდებოდეთ, ქალბატონო, ბრძანდებოდეთ, – კაცები წამოდგნენ. ღონე დამიბრუნდა. შემუძლო ადგომა, მაგრამ არ აემდგარვარ. ისევ იმას ვუყურებდი, ერთი-ორჯერ თქვენ გამოგხედათ – ისევ იქ იდგებით, სადაც ადრე საუბრობდით და სადაც პირველად დავინახე – დახლთან, ორი ცარიელი ჭიქა გეჭირათ და თქვენც იმას უყურებდით. აი, ხომ ხედავთ, კიდევ ერთი საკეთე გამოკეთეთ თქვენს ცხოვრებაში – შეილი მაპოინჩეთ!

– შეილი?



– გგონიათ, მართლა ავაფრინე? – ქალი ზუსტად მიხვდა, რას ფიქრობდა ლევანი, – შემძლია ვთქვა, მის ჩრდილად ვიქციე. გელას მანქანით დავეყვებოდი, რადგან თვეწონ სულ მანქანით დადიოდა. მართალია, ეს იშვიათად ხდებოდა, ამ ერთი თვის განმავლობაში სულ რამდენჯერმე გამოვიდა საელჩოდან. უკვე ვიცოდი, რომ ელჩის ცოლი იყო, ისიც ვიცოდი, რომ შვილი არ ყავდა, ისიც ვიცოდი, ვისთან დადიოდა ქალაქში. შემძლია ვითხრა – არავისთან არ დადიოდა, თქვენს გარდა! ვაგახსენდათ, ვიზღვაც გელაპარაკებით?

– კი, – უპასუხა ლევანმა. თავისთვის კი გაიფიქრა, ხედავ, სადამდე წასულა ჭორი?!

– თქვენ წარმოიდგინეთ, მიხარია, თქვენთან რომ დავის.

– უკვე ვითხარით, ჩემთან ბევრი პაციენტი დადის-მეთქი! – ლევანს აშკარად შეეტყო გაღიზიანება, რადგან ქალმა სასწრაფოდ დაუმატა:

– მე არ მინდა, თქვენი პაციენტი იყოს! – ხელიც გააქნია უარის ნიშნად, თითქოს სიტყვები არ ემართა, – არ მინდა! – მერე შეცვლილი ხმით, თითქოს გაუბედავად ჰკითხა, – ნუთუ, ნუთუ, მართლა ჭირდება ექიმი?

ლევანმა პასუხი რომ დაუყოვნა, სახეგაბადრულმა შესძახა:

– აი, ხომ ვთქვი, აი, ხომ ვითხარით!

– რა მითხარით? – შეეკითხა ლევანი. ატყობდა, თანდათანობით თავის ჩვეულებრივ სიმშვიდეს კარგავდა.

– მინდა, რომ გიყვარდეთ! – თქვა ქალმა ჩუმად და სიგარეტს მოუკიდა, – თქვენ კარგი ადამიანი ხართ.

– უცნაურ რაღაცას ამბობთ, – უთხრა ლევანმა.

– მე დედა ვარ! – უპასუხა ქალმა.

– დედა?

– მართალი ხართ, ალბათ არა ვარ ღირსი დედა მერქვას, მაგრამ ღმერთმა ხომ იცის, ჩემი ბრალი არ არის. ღმერთმა ხომ იცის, როგორ მოხდა ყველაფერი. მგონი, ერთხელ ვითხარით, ყველაფერი მისრულდება, მაგრამ უცნაურად-მეთქი. მართლაც ასეა. დედაც კი გაეხდი! რომელ ქალს არ უნდა დედობა, მაგრამ ჩემისთანა დედობას არავინ მოისურვებს. უცნაურ რაღაცას გეტყვით, ხომ ვიპოვე ამდენი ხნის მერე...

– დარწმუნებული ხართ, რომ თქვენი შეილა? – ჰკითხა ლევანმა, უკვე მშვიდად.

– აბსოლუტურად! – შესძახა და გაიმორა, – აბსოლუტურად! ოღონდ, მისადმი არავითარი გრძნობა არა მაქვს, გარდა... მეუბნერხულება ამის თქმა, მაგრამ უნდა ვთქვა, გარდა ცნობისმოყვარეობისა! და კიდევ სიამაყისა! ნუ გაგიკვირდებათ. დიახ, ქალსაც შეუძლია მეორე ქალის სილამაზით იამაყოს, ოღონდ, ის მეორე მისი შვილი უნდა იყოს. ხომ ხედავთ, ვხუმრობ კიდევ. უცნაურია, თქვენთან თავს ძალიან თავისუფლად, თითქმის ღალად ვგრძნობ. თქვენი სიმშვიდე ჩემზე სასიკეთოდ მოქმედებს. ასე იყო მაშინაც, ამ ოცდაშვიდი წლის წინ, როცა თქვენს კლინიკაში მომიყვანეს, როცა თქვენ გაგიცანით. მერეც ყოველთვის მახსოვდით, ყოველთვის მომიწევდა გული თქვენსკენ. ამ ქვეყნად არაფერი შემთხვევით არ ხდება, შემთხვევით არ მომდომება ჩემი თავგადასავალი მაინც და მაინც თქვენთვის მომიყოლა, იმას არ ვგულისხმობ, როცა იძულებით ვიძვორებდი ერთსა და იმავეს. მოკლედ, შვილი მაპოვნინეთ. მას მერე დღე და ღამე საელჩოსთან ვდგავარ, მის გამოსვლას ველოდები. ფეხდაფეხ დავეყვები. მისვლას და დალაპარაკებას კი ვერ ვუბედავ. არ შემძლია. ეს ჩემს ძალას აღემატება. არადა, საქმე მაქვს მასთან, თანაც ძალიან მნიშვნელოვანი. ამ ხნის განმავლობაში რამდენჯერმე ანტიკვარულ მალაზიაში იყო მარჯანიშვილის ქუჩაზე, ორჯერ სიმფონიური მუსიკის კონცერტს დაესწრო, ერთხელ კონსერვატორიის დიდ დარბაზში, მეორეჯერ კი კახიძის მუსიკალურ ცენტრში. ხო, ერთხელაც რუსთაველის თეატრის სპექტაკლზე იყო, ვიღაც ზანგ ქალთან ერთად. ეს არის და ეს, ანუ ეს რაც შეეხება მის ოფიციალურ მარშრუტს, ოფიციალურს იძენდა, რომ ყველგან, რაც ჩამოვითვალეთ, საელჩოს მანქანით დადიოდა. კინალამ დამაიწიყდა – ყოველ დილით კუს ტბაზე ადის სასიერნოდ. მეორე, ანუ, ჩემი აზრით, არაოფიციალურ მარშრუტს მხოლოდ და მხოლოდ ერთი

მისამართი აქვს — თქვენი სახლი! ოღონდ, თქვენთან ყოველთვის ტაქსით დადის ხოლმე. ორჯერ ისიც კი მოხდა, რომ მანქანიდან კი გადმოვიდა, მაგრამ თითქმის მამინვე შებრუნდა და წავიდა, რატომღაც გადაიფიქრა თქვენთან სტუმრობა. მოკლედ, ყველაზე წმირად თქვენთან მოდიოდა. ჯერ ვიფიქრე, ფსიქიატრთან დადის-მეთქი, თანაც, მაინც და მაინც თქვენთან, ჩემს პირველ ექიმთან! გულში გამელიმა, დედა-შვილს საერთო რომ გვქონდა რაღაც, — გაჩერდა, ისევ მოუკიდა სიგარეტს, გაუჭრობლად ეწვიოდა.

- მე რატომ მიყვებით ამას? — ჰკითხა ლევანმა.
- მანტაყისტი გგონივართ? — კითხვაზე კითხვითვე უპასუხა ქალმა.
- არა, როგორ გეკადრებათ, მაგრამ...
- არა ვარ მანტაყისტი. ტყუილად ბრაზობთ.
- არა, არ ვბრაზობ.

- სულ ტყუილად! რა ჩემი საქმეა, თქვენთან რატომ დადის...

„ეს ქალი შეიძლება მართლაც შეშლილი იყოს“ — გაიფიქრა ლევანმა.

ქალმა კი ჩანთიდან თასმამუბმული ლითონის პაწაწინა ფირფიტა ამოიღო.

- აქედან მოსკოვის კლინიკაში რომ გადამიყვანეს, ჩემი ნივთები დამიბრუნეს — ოქროს ჯვარი და ეს ფირფიტა, ორივე ყელზე გქონდათ შემბული, მითხრეს. ძლივს გავიხსენე, რატომ ვატარებდი ჯვართან ერთად ამ ფირფიტას — ის ხომ ციდან ჩამოსულს შევხსენი, უიღრე დავმარხავდი და მამინვე კისერზე ჩამოვიკიდე. ჩემმა ქმარმა მკითხა ერთხელ, რა ჩააბარე ასეთი გარდერობში, ნომერს რომ არ იშორებო. ხომ ვითხარით, ცინიკოსი იყო-მეთქი! მართლაც, გარდერობის ნომერს ჰკავს. უცნაურია, თითქოს მართლაც, სადღაც რაღაც ჩავაბარე, არა კი ვიცი, რა, მაგრამ მგონია, რომ ასეა, — გაიღიმა, — ალბათ ფიქრობთ მთლად გაგიფებულა ეს ქალიო, არა? ვიცი, ძალზე გავრცელებული მანიაა, როცა ვიღაცას ამოიწმენენ, ჩემი შეილიაო და გასაქანს აღარ აძლევენ. მაგრამ, ამ შემთხვევაში, დამერწმუნეთ, ასე არ არის. თქვენ როგორ ფიქრობთ, მანიაკს ვგავარ? — პასუხს არ დაუცადა, ეტყობა არც ანტიტრენსებდა, რას უპასუხებდა ლევანი და განაგრძო, — აი, სწორედ ამის გულისთვის მოვედი თქვენთან, — გაჩუმდა და ლევანს შეაკცქერდა.

- ვისმენთ, განაგრძეთ.

- ბატონო? — ქალი ფიქრისგან გამოერკვა, — ხო, აი, რა მინდა ვთხოვოთ: ეს ფირფიტა გადაეცით, თუ შეიძლება. მე ვერ ვხედავ ახლო მისვლას და დალაპარაკებას. უთხარით, რომ ეს მამამისის ნივთია, ამიტომაც მას უნდა ჰქონდეს. ოღონდ, ნუ გამოაჩენს. არავითარ შემთხვევაში, არ აჩვენოს არავის. არ მინდა ჩემმა შვილმა ჩემი ბედი გაიზიაროს, თუმცა ჩემი ამბავი მოგონილი იქნება იმასთან, რაც შეიძლება დაემართოს, თუკი ფირფიტის ამბავს ვინმეს გაანდობს. მე თქვენი მჯერა. თქვენ კეთილშობილი ადამიანი ხართ. აი, რა გაჩვენოთ! — ჩანთიდან ფოტოსურათი ამოიღო და ლევანს მიაწოდა: ანა-მარია მანქანასთან იდგა. შუბლზე ჩამოვარდნილი თმა ორი თითით ეჭირა. იღიმებოდა, — მე მიღიმის!

- ასე ახლოს მიხვედით?

- მობილურით გადაეუღე. მაღლობა გადაეუხადე. ხელი დამიჭნია. რა მექნა, მივვარდნილიყავი და მეთქვა, დედაშენი ვარ-მეთქი? თავიდან მომეყოლა ყველაფერი, რისი გულისთვისაც ათი წელი საგოგეთში თუ ციხეში ვავატარე? — წამოღვა, — წავედი. უკაცრავად შეწუხებისთვის.

- ტაქსს გამოვიძახებ, გვიანია, — ლევანმა კარამდე გამოაცილა.

- არა, მაღლობთ, ნუ წუხნებით, გელა მელოდება...

სურათზე ზუსტად ისეთი იყო, როგორიც პირველად, ჩვენი გაცნობის დღეს ვნახე. ფილარმონიის ბაღში. სწორედ იმ დღეს თვითონაც მესტუმრა, მოულოდნელად.

- როგორა ხართ, ბიჭებო?

- ტერისა და მე არაფერი გვიჭირს, — უპასუხე.

- გამოტყდით, ხომ არ გენატრებით?

- განა შეიძლება, არ გენატრებოდე?

ტერი აიყვანა, მიეფერა:

– ხომ კარგად გივლიან, პატარავ?  
– წასული მეგონე, – უთხარი, – აღარ გამოჩნდი.  
– არა, არსად არ წავსულვარ. ვერაფრით გამოვადღიე. ნუ დაგავიწყდება, რომ ვაიხ-  
ოვლი ვარ.

– მაგას რა დამავიწყებს! – გამეცინა.  
– ახლა ერთი წუთით შემოვირბინე.  
– ტერი მოგენატრა ალბათ, – უთხარი.  
– ტაქსი შელოდება, – ტერი ფრთხილად დასვა იატაკზე, – კარგად იყავით. მუ-მუ-მუ,  
– ხელისგულს შეუბერა, ტერისა და მე ჰაეროვანი კოცნა გამოგვიგზავნა, – აბა, გავიქეცი.  
ტკვიანად იყავით, იცოდეთ!

კართან შევანერე:

– დაიცა, შენთვის რაღაცა მაქვს გადმოსაცემი.  
– ტყუილად ბრაზობ, – მითხრა ღიმილით.  
– ვბრაზობ? – გავიკვირე, არადა მართლა ვბრაზობდი, – ერთი წუთით დაიცადე. ახლავე  
გამოვიტან, – კაბინეტიდან კონვერტში ჩადებული ფირფიტა გამოვუტანე.

– რა არის ეს?

– არ ვიცი, ერთმა ქალმა დაგიტოვა, მისიარ, გადაეცეო.  
– ვინ ქალი იყო?  
– რა მნიშვნელობა აქვს, შენ არ იცნობ. არავის აწვენოსო.  
– შენი პაციენტია?  
– არა, შენ წარმოიდგინე არა. თუმცა, არ დაგიძალავ და შენს ადგილზე მეც ასე  
ვიფიქრებდი. მეტი არაფრის თქმა არ შემიძლია.

– კარგი. მადლობთ. – კონვერტი ჯიბეში ჩაიკეჭა, – მოდი, გაკოცო. – ლოყაზე მაკოცე.  
– შენ არ მკოცნი?

– არა, – უთხარი, – ტაქსი გიცდის.

– აბა, გავიქეცი. ტერი, არ მოიწყონო. მალე მოვალ. კარგად იყავით. – დაგვიბარა და გაიქცა.  
რამდენიმე დღის მერე შუალამისას მოვიდა. კარზე ზარი რომ დაირეკა, მეძინა, ოღონდ  
ფხიზლად, ზერულედ, როგორც იტყვიან – კურდღლის ძილით, როგორც ჩვეულებრივად  
მძინავს ხოლმე. შუკი ავანთე, საათს დავხედე, ორი სრულდებოდა. ცოტა ხნის მერე ზარი  
გამეორდა, წამით დანიჭკრიალა, თითქოს მოულოდნელმა სტუმარმა უკვე იცოდა, რომ  
მეღვიძა და ახლა მორიდებით მამჩარებდა მხოლოდ. ავდექი. კიბეზე ჩავედი. თან ხალათს  
ვიკრავდი. ასე გვიან სტუმრობას შეჩვეული არ ვიყავი.

– ვინ ბრძანდებით? – ვკითხე კარს, რომელსაც გასახედი ჭუჭრუტანა არ ჰქონდა  
დატანებული. ეს კარი საგანგებოდ მთავრად ერთმა პაციენტმა მამას, თან მუშებიც და  
ხელოსნებიც მოიყვლია, რომლებმაც, უცებ, მამაჩემის პროტესტის მიუხედავად, ჩამოხსნეს  
ძველი კარი და ახალი შეაბეს. ახალი კარი მძიმე იყო, საყდრის კარივითო, თქვა მაშინ  
ძღვენის მომრთმევე, საეჭვოდ რომ იღიშებოდა. ზარმა ისევ გაიწკრიალა. კარი გავადე:

– ანა-მარია? – შევფოთდი. ამ შუალამისას ყველას ველოდი და ანა-მარიას არა.

– შემომიშვებ?

ოთახში შემოვიდა.

მოკლე, შავი საორტული კურტაკი ეცვა. ზურგზე ჩანთა ჰქონდა მოგდებული, რომლის  
ღველებსაც ორივე ხელით მაგრად ჩაფრენოდა. პატარა აბჯა მხარილივ გადაეკიდა.

– პარამუტისტივით გამოწყობილხარ, – გავუღიმიე.

სკამი გამოსწია, დაჯდა, კურტაკის ჯიბიდან „ქემელი“ ამოიღო, მოუკიდა და ნაფაზს  
ამოაყოლა:

– საცაა გადავხტები!

მთელი სახე უცნაურად დაძაბოდა, თითქოს გაღიშებას ცდილობდა, მაგრამ ვერ ახერხ-

ებდა. ან შესცივინოდა, ანდა რაღაც ტკიოდა. მივედი, წინ დავეჯექე.

– აბა, შემომხედე!

– აი, გიყურებ, – მითხრა, მაგრამ არ შემოუხედავს.

– რა დაგემართა? – უკვე მე თვითონ დავიძახე.

არ მიპასუხა.

– რატომ კურტაკს არ გაიხვდი, აქ თბილა.

არც ახლა მიპასუხა. ცოტა ხნის მერე კი მკითხა:

– რომელი საათია? – თითქოს მე კი არა, ვიღაცას სხვას ეკითხებოდა, რადგან ჩემსკენ

არ გამოუხედავს, სადღაც სიერცეში იყურებოდა.

არ ვუპასუხე. მივხვდი, რომ ისე მკითხა, არ აინტერესებდა.

– გაიხვდი, თუ შეიძლება, – თქვა.

– მე უკვე შევთავაზე. გაიხვადე, რატომ მეკითხები?

ჩანთა მოიხსნა და იქვე იატაკზე დადო. მერე კურტაკი გაიხვდა და ჩანთაზე დაავლო.

– სხვათაშორის, – თქვა, – მე თვითმფრინავიდან გადმოვმტარვარ. ოღონდ ერთხელ.

რომ ვთქვა, ძალიან ვისიამოვნეო, ტყეილი იქნება. შიშით სრულებითაც არ შემშინებია. რომ

შმინებოდა, არც გადმოვტვტვოდი. თითქოს უსახლერო საიდუმლო წიაღში ჩავიკარგე, სადაც

ჩემი ადგილი ნამდვილად არ იყო. უცხო ვიყავი, უსწინდისო სტუმარი, – ახალ სიგარეტს

მოუკიდა. – აი, როგორც მე ვარ ახლა შენთვის.

შეუწყვარი:

– რას ამბობ, გესმის?!

ისევ სცადა გალიმება:

– გეხუმრები.

– რატომ არ მეუბნები, რა მოხდა, რა დაგემართა?

– არ მგლოდი არა? – მაგიდაზე იღაყვებით დაყრდნობილი, წინ გადმოიხარა, შემომაც-

ქვრდა, – არ მგლოდი?

– არა, არ გგლოდი, – ვუპასუხე, – შენ არასოდეს ამ დროს არ მოსულხარ.

– ვინმე ხომ არა გყავს? – თვალთ ხევით, საწოლ ოთახზე მანიშნა.

– ამასაც ხუმრობ?

– ხო, ამასაც ვხუმრობ. და ამასაც უტვინოდ. მაპატიე.

– შენ ის მითხარი, რა მოხდა, რა დაგემართა. თუმცა, თუ არ გინდა, ნუ მეტყვი.

– მე მირჩევნია, ასე ვისხდეო, – მითხრა, – ყავას ხომ არ დამალევიანებ? შელოცვა რომ

ვიცოდე, მე თვითონ მოვიდულებდი, მაგრამ ხუმრობისა არ იყოს, არც ეგ მეხერხება.

ხევით ავედი. ჩავიციე და ისევ სასტუმრო ოთახში დავბრუნდი.

– ყავა დაგაეიწყება? – მკითხა.

– არ დამეიწყება. – ვუპასუხე, – ახლავე, ეგ ადვილია.

– ხომ გახსოვს იმ დღეს ერთი წუთით რომ შემოვიბრინე, – თქვა ცოტა ხნის მერე, –

ვიცი, რომ გეწყინა. ნამდვილად არ შემეძლო დარჩენა. გახსოვს, ფირფიტა რომ მომეცა... ვინ

მოგცა ეგ ფირფიტა, ხომ არ მეტყვი?

– არ ვიცი, – ვიერყე, – მისი ვინაობა ნამდვილად არ ვიცი, ქუჩაში გამაჩერა და მთხოვა,

შენთვის გადმომეცა.

– რა იცოდა, რომ მიცნობდი?

– ეგეც არ ვიცი. ვერაფერს გეტყვი.

– თუ გახსოვს, ერთხელ ვითხარი, ცხადში ვხედავ სიზმარს-მეთქი და აი იმ დღეს შინ

რომ დავბრუნდი, ისევ ვამბიჟორა, ისევ სიზმარში აღმოვჩნდი, თითქოს ერთდროულად ორ,

ერთმანეთში ჩადგმულ სინამდვილეში ვცხოვრობდი, თითქოს უცნაურად მსუსხავი ტალღე-

ბის გარსში აღმოვჩნდი. დაედიოდი, ვლაპარაკობდი, აბაზანაში ვიწყეო, განუწყვეტლოვ რაღაც

ხმა მესმოდა, რომელიც პიპნოზავით მოქმედებდა ჩემზე, ვგრძნობდი უიმისოდ რაიმეს

გაკეთება, რაიმეს გადაწყვეტა არ შემეძლო, საკუთარი უმწყობა, რაღაც უხილავ იღუმალ



ძალაზე დამოკიდებულება ერთდროულად ჭკუაზედაც მშლიდა და მამშვიდებდა კიდევაც, თუკი შეიძლება ერთდროულად წარმოიდგინო შეშლილობა და სიმშვიდე — აბი ხსენებდა მშვიდი შეშლილი. ჩემი ცნობიერების წარმმართველი ხმა, ეტყობა, მხოლოდ მე შესმოდა. მთვარეულივით მივიღტვოდი მისკენ, რაც ძნელი კი არა, წარმოუდგენელი იყო, რამდენადაც უამრავ ნაწილაკად დაქუცმაცებული ხმის ქსელში ვიყავი მომწყვდეული. იმ წუთას მჯეროდა რომ ხმა ჩემთან ერთად გაჩენილიყო და არ მეგონა, თუკი როდესმე უიმისოდ ვცხოვრობდი. უცებ გამინათდა გონება. ფირფიტა გამახსენდა. გაეიტყვი, ქართუკის ჯიბიდან კონვერტი ამოვიღე, გაეხსენი — ფირფიტა ზუზუნებდა, არა მარტო ზუზუნებდა, მელაპარაკებოდა. ფირფიტის ენა, რომელიც პირველად შესმოდა, საერთოდ არ ჰგავდა ჩემთვის ცნობილ ენებს, მე ბევრი ენა ვიცი, და ეს „ზუზუნიც“ ისევე კარგად, თავისუფლად შესმოდა, როგორც ფრანგული ან შშობლიური შეეღური. ნუ ჩამითელი სიგაჟედ, რასაც გიყვები!

მოულოდნელად შიშმა, საფრთხის წინათგრძნობამ ღრუბელივით გაავსო მთელი ჩემი სხეული. ეს არ იყო ჩვეულებრივი, თუნდაც ყველაზე საშინელი, თუნდაც სიკვდილის შიში. გონების გამითიშველი, ნებისყოფის დამორგუნავი გრძნობა თუ განცდა დამეუფლა უცებ. ჩემს მიერ უცნაურად, არანორმალური ფანტაზიის ნაყოფად მიჩნეული ამის სრულიად სხვა, საწინააღმდეგო სახით შემობრუნებამ გამოაგნა.

მოუბოდიშე, ახლავე მოვალ-მეთქი. სააბაზანოში შევედი და წყალი შევისხი პირზე. — რა ხდება, რა დაგემართა? — კეითხე ჩემს გამოსახულებას სარკეში. არა, ეს შიში არ იყო, ეს იყო რაღაც წარმოუდგენელი საშინელების წინაგრძნობა, ინტუიციისა და გონების ერთობლივი განგამი.

ოთახში დაგბრუნდი: — მეც მომეცი სიგარეტი! — ხელი სიგარეტის კოლოფს წავატანე. — რა დაგემართა? — მკითხა გაკვირვებულმა. კოლოფი მომაწოდა. — არაფერი, არაფერი, — კოლოფიდან სიგარეტი ამოვიღე. ასანთი ამითო, — მადლობთ. არაფერი, — გავიმორე. თითქოს აზროვნების უნარი დამიბრუნდა. ახლა თითქმის ვიყვირე, — არაფერი-მეთქი! — ქალის გოცებულ, გადიდებულ თვალებს რომ წაეწყდი, მოუბოდიშე, — უკაცრავად, ყურადღებას ნუ მომაქცევ — მაშინვე, რატომღაც უცნაურად დაემშვიდდი, ოღონდ ისევ დავინახე ჩემი თავი, როგორც ერთხელ ამ რამდენიმე თვის წინ, როცა ძალიან მიჭირდა — სიბერის სავარძელში, მუხლებზე პლედგადფარებული. აკანკალებული ხელით პირთან სიგარეტი მიმაქვს. ტუჩით ოდნავ ვეხები. ვგრძნობ თამბაქოს გემოს. თამბაქოს ნამცეცხვს ენის წვერზე ვატრიალებ. ვწუწნი, როგორც ვალიდილს.

ანა-მარია თავჩალუნული ზის, მაგიდაზე დაწყობილ ხელის მტკვნებს დასცქერის. თურმე რაღაცას მიყვება, მე კი მხოლოდ ახლა მიბრუნდება მოსმენილის აღქმის უნარი. თან ვფიქრობ: რამ შემაშინა ასე? ეს ხომ დაუჯერებელია. ასეთი რამ სინამდვილეში არ შეიძლება მოხდეს.

ანა-მარია გაჩუმდა. თითქოს შეყოყმანდა, ეთქვა თუ არა, მერე ეთქვა: — იცი, ის ფირფიტა ჩემს ქმარს ვაჩვენე. — არა! — შევემახე. — ხო. იძულებული ვიყავი. — მიმიხვდა, რის თქმასაც ვაპირებდი, — მართალი ხარ, შენ კი გამაფრთხილე, არავის აჩვენო, მაგრამ...

გულზე მომეშვა. აქამდე ის ფიქრი მტანჯავდა, ხომ არ დამავიწყდა, გამეფრთხილებინა, არავის აჩვენო-მეთქი.

— დამავიწყდა, იმ დღეს სანადიროდ რომ მიდიოდა. წასვლამდე ჩემთან შემოვიდა. საერთოდ იშვიათად შემოდის ხოლმე. ფირფიტა მაგიდაზე იდო და ზუზუნებდა. ეს რა არისო, იკითხა. იცი, მესმის-მეთქი! — ვუპასუხე. რა გესმისო? რასაც მელაპარაკება-მეთქი. გელაპარაკება? — გაკვირვებულმა შემომხვდა. ხო. რატომღაც მგონია, მელაპარაკება-მეთქი. ფირფიტა ყურზე მიიღო: სულ ასე ზუზუნებსო? როცა ჩემს ახლოსაა, მხოლოდ მაშინ-მეთქი. აბა, ერთი წუთით გადი ოთახიდანო. გამოვედი და მაშინვე შეებრუნდი. რას გელა-





პარაკება? რა ენაზე? არ ვიცი, რა ენაა, არადა, კარგად მესმის. მეუბნება, რაიმე შექმნენ, უსათუოდ მიპოვინან-შეთქი. ადგა, ფირფიტა აიღო, შენი ნებართვით, მითხრა: მიგაქვს-შეთქი? ხო, მიმაქვსო. წავიდა, რამდენიმე საათის შემდეგ ისევ დაბრუნდა: პირველად რომ შემოვედი, დედაშენის ამბავი მინდოდა შეთქვა, პარიზიდან დარეკესო. მოკვდა? — შევძახე. არა, კლინიკაშიაო. მერე შე რატომ არ დამიძახე-შეთქი? ვეძინაო. არ გავადვიძეო. ტელეფონის ვეცი. ჩვენი ბინა არ მპასუხობდა ეტყობა, ყველანი საავადმყოფოში იყვნენ. სასწრაფოდ უნდა წავიდე-შეთქი. ხო, დამეთანხმა, უნდა წახვიდეო. ჩემი ფირფიტა რა უყავი-შეთქი. პასუხის ნაცვლად, ახლა იმან მკითხა, ეგ ფირფიტა ვინ მოგცაო, შენთან როგორ აღმოჩნდაო? ქუჩაში ვიღაც ქალმა გამაჩერა და აი ეს კონვერტი გადმოძე-შეთქი. კონვერტი გვეუწოდე. ვიბეში ჩაიღო. მერე ძალიან დინჯად, თითქოს მოწაფეს კარნახობდა, მითხრა: რასაც ახლა გეტყვი, დაიხსოვო, საიდუმლოაო. ფირფიტა მაშინვე დეპარტამენტში გავაგზავნე, პირველივე რეისითო, უკვე პასუხიც მივიღე, მსგავსი ლითონი ჩვენს პლანეტაზე არ მოიპოვებაო. ერთი რამ ფაქტია, — დაუმატა ცოტა ხნის მერე, — ფირფიტა ზუსტად ჩაუბარებდათ ადრესატისთვის, ანუ პატრონისთვის, შე ხომ ჩემი თვალით ვნახე, როგორ გელაპარაკებდაო. გვახსოვხარო, გელოდებითო, ვიპოვითო, — წაიწურწურლე. აი, ეგ სამუდამოდ დავიწყეო, — შემაწყვეტინა მკაცრად, — არაეისთან არ წამოგცდესო, რა, რა არ წამოცდეს? ნუ მაშინებ-შეთქი! დამიჯერეო. ცენტრიდან პირველი ის მკითხეს, როგორ აღმოჩნდა ფირფიტა თქვენთანო. რა უთხარი-შეთქი? ვიღაც ქალმა ძალით მომაჩქა კონვერტი, ვიფიქრე, ალბათ საჩივარია აქაურ ხელისუფლებაზე-შეთქი. კი მაგრამ, — ვუთხარი, ის არ უკითხავთ, რატომ დაასკვნინ, განსაკუთრებული ფირფიტა რომ იყო, არ გაითხარი, ჩვენ რატომ გამოგვთხავენო? იციან, მაგისტოვის ქალბატონი ლულე რომ გვეყავს საელროში — უცნაურობათა საოცარი ექსპერტი. ლაბორატორიულ ანალიზი არ ჭირდება. როგორც კი ეს ფირფიტა ვაჩვენე, მაშინვე მითხრა, უცხო ლითონიაო. სხვათაშორის, მასთანაც არ წამოგცდეს, ამ ფირფიტის არსებობა საერთოდ თუ იცი. ვაგაგებიაო? — ჩამეკითხა. მინდოდა შეკითხა. შე რატომ მაფრთხილებ-შეთქი, მაგრამ მიმიხვდა და დამასწრო, იმიტომ რომ შენ ჩემი ცოლი ხარო. გაჩუმდა, შე კი — დაამთავრე-შეთქი და იმანაც — მივეჩხარაო! ეს სიტყვა ჩემთვის არასოდეს უთქვამს. ვიგრძენი, რაღაც ძალიან უსამაოვნო და სახიფათო ამბავში გავეხვიე უნებურად. ნუ მაშინებ-შეთქი. ჩემი სიყვარული გამიწინებსო? — გაიცინა ნაძალადეგად და არაფერი რომ არ ვუპასუხე, განაგრძო, — ნურაფრისა გეშინია, ოღონდ... აღარ დაამთავრა სათქმელი, ეტყობა, გამეორებისა მოერიდა. კარგახანს ვისხედით ჩუმად. როგორც ჩანს, რაღაცის თქმას აპირებდა კიდევ, მაგრამ ყოყმანობდა, ბოლოს როგორც იქნა, გაბედა და მითხრა, იცი, ანა-მარია, რასაც შენ ახლა გაიგებ, დიდიხნის განმავლობაში ვიმაღლავდი, თუნდაც იმიტომ, ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა რომ არ ჰქონდა, შენთვის კი შეიძლება გული ეტკინა, მაგრამ ახლა, როცა დედაშენი უკანასკნელ დღეშია... როგორ არ გამაღვიძე, როგორ! — ტირილი ამივარდა. ნუ ტირიო. მომიხმინე, სჯობს, ახლა მაინც ვაივო სიმართლეო. მამაჩემიც კვდება-შეთქი? არა, რას ამბობ! სწორედ მამაშენი მელაპარაკაო. როგორ გაბედა და არ გამაღვიძე-შეთქი, ვიმეორებდი სულელივით. მაგრამ ის ყურადღებას არ აქცევდა ჩემს სიტყვებს: იქნებ ახლა ამით ცოტათი მაინც შეგომსუბუქო ტკივილიო. თქვი, ნუ დამტანჯე-შეთქი! — ვუყვირე. ეტყობა, რაღაც საშინელი რამის თქმას აპირებდა, იმიტომაც აყოვნებდა, არც შევემცდარვარ: მხოლოდ სანუგეშებლად გეუბნები ამასო... თქვი. თქვი! — უკვე ვებვეწვებოდი. დეპარტამენტის არქივში არსებობს შენი შშობლების განცხადება, ბავშვის აყვანის უფლებას თხოულობენ საბჭოთა კავშირში. ოლიმპიადაზე ტურისტებად მიდიან. უპატრონო ბავშვი უნდათ იშვილონ. 1980 წელიაო, — როგორც იქნა, თქვა თავისი სათქმელი. ხმა ჩამიწყდა. როდის როდის დამიბრუნდა ლაპარაკის უნარი: განა ეს შესაძლებელია-შეთქი? — წაიწურწურლე. შესაძლებელია, ოღონდ არაოფიციალურადო. ესეც ცენტრიდან დავირეკეს-შეთქი? არა, ჩვენი გაცნობის პირველივე დღიდანვე ვიცოდით. ანუ ინფორმაციას აგროვებდი ჩემს შესახებ? — ვცადე, გამეღიმა. ვალდებული ვიყავი. ხომ იცი ჩემი სამსახური... ნულა გაავრძელებ-შეთქი, — შეეაჩერე, — საკმარისია! ვიფიქრე, იქნებ ამან



ცოტათი შევიმსუბუქოს ტკივილი, — გაიმეორა ისევ. ეტყობა, აქამდე არ გიცნობდი-მეთქი. — და როცა მკითხა, რატომ ამბობ მაგასო, ვუთხარი, — ჩემო ძვირფასო ანრი, როგორც ჩანს შენ ბავშვობა საერთოდ არ გქონია-მეთქი! და პირდაპირ და მოურიდებლად დავამატე: შენ ალბათ ისიც იცოდი, შენამდე ბიჭი რომ მიყვარდა, ვისგანაც ორჯერ მომეშალა მუცელი. ეტყობა, ღმერთს არ უნდოდა, ვინმე მახლობელი რომ მყოლიდა ამქვეყნად, ჩემიანი, როგორც ამწუთას შევიტყვე, მშობლებიც კი, მშობლებიც არ მყოლია თურმე ნამდვილი-მეთქი! ყველაფერი ვიცო, — მიპასუხა მშვიდად. — ფან-პოლი. დიახ, ფან-პოლი! ვისაც მართლა ვუყვარდი! რაც ყველაზე იშვიათია ამქვეყნად-მეთქი. გვერინია, ვუყვარვართ, გვერინია, ვეიყვარს, როგორმე რომ გავძლოთ, როგორმე რომ მივათარიოთ ბოლომდე სული, ტყვილი ყოფილა სიცოცხლის ელექირი-მეთქი! ევეც ვიცო, — მიპასუხა ჩუმად. ის თუ იცი-მეთქი, რომ ახლაც უკვე შენს ცოლს, საყვარელი მეყვს, როგორ ვერ ვიტან ამ სიტყვას, მაგრამ სხვას ვერ ვბოულობ, საყვარელი, რომელსაც, მგონია, მართლა ვუყვარვარ. ეს თუ იცოდი-მეთქი! რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა, წამოდგა და წაივიდა. ჩემგან არ ველოდი თუ შემეძლო ასე მოურიდებლად, პირდაპირ მეთქვა ქმრისთვის ყველაფერი. თითქოს სხვამ ამოიძახა ეს საიტყვები. მე ბუნებით ასეთი დაუნდობელი არა ვარ. ღმერთო ჩემო, რა უცნაურადაა მოწყობილი ეს ქვეყანა — სიმართლის თქმას დაუნდობლობად აღვიქვამთ! წონასწორობა იმან დამაკარგვინა, რომ ვიდაცას, თუნდაც, ჩემს ქმარს ვეონა, მანუგეშებდა, თუკი მეტყვოდა, დედაშენი არ არისო ის, ვინც ბავშვობაში დამეგებს მითვედა, ნანას მიმღეროდა, ზღაპარს მიკითხავდა ძილის წინ და ახლა სადღაც უჩემოდ კედებოდა, საშინელ სიმარტოვეში!

განრქდა. ცოტახანს რაღაცაზე ფიქრობდა. მერე მკითხა, ღვინო თუ გაქვსო. მოუტანე. ჭიქაში დაუხსნი. მოსვა. ტურქები დაისვენა მხოლოდ.

— საელჩო თითქმის ცარიელი იყო. იმ საღამოს კაცები კახეთში სანადიროდ წაივინენ. ორი დღით შაბათ-კვირას. სამხარეულოში საეახშიოდ ჩავედი, უფრო სწორედ ყავის დასაღვეად. იქ მხოლოდ ქალბატონი ლულუ დამხვდა. საელჩოში, ჩვენს გარდა, მხოლოდ ქალბატონი ლულუ ცხოვრობს, სხვა თანამშრომლები ქალაქში ქირაობენ ბინებს, რასაკვირველია, აქაურ, ანუ ქართველ თანამშრომლებს არ ვგულისხმობ. ქალბატონ ლულუს წინ ყავის ფინჯანი ედგა და სიგარეტს ეწეოდა. მეც ყავა დავისხი. კარგახანს ვისხედით ჩუმად. შემაწუნა დედათქვენი ამბავი, — მითხრა ქალბატონმა ლულუმ, — ყველაფერი გამზადებულია, ბილეთიც, საბუთებიც, ყველაფერი. მადლობა გადაუხუხადე. მე მხოლოდ თქვენი მუდლის ბრძანებას ვასრულებო, — მიპასუხა. ბოდიში მოგიხდათ, რომ ვერ გაცილებთ. ნადირობას ვერ გადასდებდა, კახეთში სხვებიც ელოდებოდნენ, საერთო ლიცენზია აქვთ შეძენილი. აეროდრომზე მე გავაცილებთო. არა, არ არის საჭირო. მარტოც მშენიერად გავივინებ გზას-მეთქი. თვითმფრინავი დილის ხუთ საათზეა, მანქანა გაერთხილებულიაო. ისევ გადაუხუხადე მადლობა, მერე ვუთხარი, თუ აღარაფერი გაქვთ ჩემთვის სათქმელი, ჩემს ოთახში ავად და ბარგს ჩავალაგებ-მეთქი. ვინ ვითხრათ, არაფერი მაქვს სათქმელი! შემაწერა ქალბატონმა ლულუმ. კართან მისული, დავბრუნდი, ისევ ჩამოვეყქი მაგდასთან. ქალბატონმა ლულუმ საკმაოდ დიდი, სქელი კონვერტი დამიგონა წინ. კონვერტი ფოტოსურათებით იყო გაძიებული. პირველ ფოტოს რომ დავხედე, გვერინიასებნივით დავაღწა სურათები. ალბათ ხედები, რა სურათებიც იქნებოდა. აი, ერთი ცალი წამოვიდე, — ხელჩანთიდან ფოტო ამოიღო და გამომიწოდა. სურათზე ვალიმბულს, რაღაცნაირად ბენიერს, ტერი ჰყავდა გულში ჩახუტებული, — სურათებსაც კი გვიღებდნენ თურმე, წარმოგიდგინია!

— კი მაგრამ, სად არის ეს სურათი გადაღებული? — ვკითხე ანა-მარიას.  
 — ამას შენგან არ ველოდი, — თავი გადააქნია, — სად შეიძლებოდა მე და ტერი ერთად გადაეღოთ, როგორ გგონია? ნუთუ ვერ ხედავ, რომ ტერი იგივე შენა ხარ?! — გაიღმა, კვამლს ხელი აუქნია, — რა მიუხედავადი ხარ, ფსიქიატრი! — სურათი ხელჩანთაში ჩააბრუნა, — ჩემთვის მოვეყვრები ხოლმე: ლევან, ლევან...

სადღაც გულის სიღრმეში მიყურებული შიშის ჭია უცებ გაიბერა, გაიხარდა, თითქოს



ჩემს სხეულში ჩემივე ორეული ძალით ჩატენეს, ჩემზე გაცილებით დიდი და კმაყოფილი ტკივილად ქცეული.

- კი მაგრამ? - მეტის თქმა ვერ მოვახერხებ.

- ხო, - იმწამსვე გამომეპასუხა ანა-მარია, - ფარული კამერით გვიღებდნენ ორივეს, არა - სამივეს, ტერიც პორნოგრაფსკვლავი გამოდის, - მომიბრუნდა, - რომელი საათია?

სამია-მეთქი, ვუპასუხე.

- აბა, მთელი საუკუნე გექონია წინ. ქალბატონ ლულუს კეიბზე, - თქვა მერე, - ჩემმა ქმარმა თუ იცოდა, სურათებს რომ გვიღებდნენ? არაო, მიპასუხა, ბატონ ანრის ეს სურათები არ უნახავსო. მე შემიძლია მხოლოდ მოგილოცოთ, მშვენიერი სურათებია, ეტყობა, გამოცდილი ოსტატის გადაღებულია-მეთქი. სახე არ შეცვლია, ისე მიპასუხა, მაღლობთ. აი, მაშინ იყო, ხილით სავსე თასი რომ გამოაპირქვავა, შიგ ფოტოები და ნეგატივები ჩაყარა, კონვერტიც ზედ დაავლო და ცუცხლი წაუკიდა. აჰ, ეგ მაინც არ დავნათ-მეთქი - შევკვივე და ტერის სურათს ხელი ვტაცე, - ეს სურათი მე მაჩუქეთ-მეთქი!

წამოდგა, ოთახში გაიარ-გამოიარა. ტერის დახედა, რა ტკბილად მიწაფსო, - თქვა, - სხვათაშორის, მეც სიამოვნებით დავიბინებდი ფიქვებზე, ტერის გვერდითო. ჯიბიდან მოიღწერი ამოიღო, ნომერი აკრიფა: აგუ, გელვიდა? ვიცოდი, რომ გელვიდებოდა. შენ ხომ ღამურა ხარ, შაეი, საზიზღარი, მაგრამ ძალიან ღამაში ღამურა. ხო, მე ვარ, ანა-მარია - თერთი, მახინჯი წერო. აეროდრომზე გამაცილებ? ხო, ვინჩუბეთ, ვინჩუბეთ. რა არის კარგი, გოგო, რა გიხარია? ხო, ყველაფერს მოგიყვება, დანერვილებით. სიტყვას გაძღვე. მოითმინე ცოტა. მე ჭკიანი გოგო გვერნე? აი, როგორ ცდებიან ადამიანები, თვით ბრძენი აფრიკის შვილებიც კი. მოკლედ, აი, აქ - ჩემი მისამართი უთხრა, - ზუსტად ოთხ საათზე მოდი. თვითმფრინავი ხუთზეა. ხომ მოვასწრებთ? გეწყინა? უკაცრავად, დამავიწყდა, ქალების შემახერს რომ ველაპარაკებოდი. აბა, გელოდები. მაღლობთ. გკოცნი.

ანა-მარია მაგიდასთან დაბრუნდა, დაჯდა:

- ეგვეც ელჩის ცოლია, ანუ კოლეგებიც ვართ და მეგობრებიც. სხვათაშორის, იქ იყო მაშინ, ფილარმონიის ბაღში, ჩვენ რომ ერთმანეთი გავიცანით. არ შეიძლებოდა, არ შეგვინშნა ფეხშიშველი ზანგი გოგო. იმ დღეს იქ გამართულ სილამაზის კონკურსში პირველი პრიზი აიღო.

არ ვუთხარი, რომ იქ, ფილარმონიის ბაღში, მის გარდა, ვერავის ვხვდავდი. რატომღაც მომერიდა ამის თქმა. არადა, ნამდვილად ასე იყო.

- ერთი სული აქვს, სანამ მოუყვები. გონია, რომ მე და ჩემმა ქმარმა ვინჩუბეთ. იცი, ქალების მეგობრობა ცნობისმოყვარეობაზე დგას. ხმას რატომ არ იღებ, რა დაგემართა?

- არაფერი, გისმენ, - ვუთხარი.

სივარეტს მოუკიდა:

- ქალბატონმა ლულუმ ჩანთააკედებული რომ მნახა, მკითხა, ასე ადრე სად მიდიხართ, აეროდრომზე ჩვენი მანქანა წავიყვანითო. ქალბატონო, ვუთხარი, თქვენ ძალიანაც კარგად იცით, სადაც მივდივარ, უნდა გამოვეთხოვო-მეთქი. ოღონდ, ერთ რამესა გთხოვთ, იმის სახელს ნუ ახსენებთ, არ არის საჭირო-მეთქი. შენ ის მითხარი, რა ერქვა იმ გოგოს, კუს ტბაზე ჩემი რომ შეეშინდა, თუ არც შენ გახსოვს?

- ის გოგო როგორ არ მახსოვს, - ვუპასუხე, - კარგი გოგო იყო. აი, სახელი კი... მგონი... არა, არ მახსოვს, სამწუხაროდ.

თითი მომიშვირა:

- სხვათაშორის, შენც გეშინია ახლა ჩემი, ხომ მართალია?

არ ვუპასუხე.

- წარმოგიგონია, ერთადერთი, ვისაც ნამდვილად ვუყვარდი, ჟან-პოლი იყო, დარდისგან მოკვდა აეროპორტში. მაგრამ განა ეს ცოტაა? - გაოჟმდა, მერე მკითხა, - ნუთუ შენ მართლა არ გიყვარდი? - მაშინვე მკაცრად დააყოლა, - გაოჟმდი! ნურაფერს იტყვი! არ მინდა! გახსოვს, პირველად რომ მოვედი შენთან, რა გთხოვე, გახსოვს? ჩუმიად ვისხდეთ-



მეთი! მოდი, ახლაც გაეწუმდეთ. მითუქეტეს, ჩვენთვის განკუთვნილი სიტყვებზე მერავი ამოიწურა. ბოლომდე. დამთავრდა.

მართლაც, ასე იყო. ქალი გულთმისანია. ისიც შეეაშინე, რომ შიშის ადგილი ყველაფრისადმი განურჩევლობისა თუ გულგრილობის გრძობას დაეკავებინა, ანუ ახლა ჩემთვის ყველაფერი სულერთი იყო. დაბრუნებულმა საღმა აზროვნებამ საკუთარი თავისადმი ირონიული დამოკიდებულება მოიყოლია თან. ალბათ ერთადერთი ადამიანი ვიყავი კაცობრიობის ისტორიაში, რომელიც უცხოვლანეტელ ქალს არა მარტო იცნობდა, შეიძლება, უცხოვლანეტელ ქალს უყვარდა კიდევ, განა სხვანაირად შეიძლება აიხსნას თუნდაც ეს, ალბათ საბოლოო გამოთხოვების სცენა? ხოდა, ახლა მთავარი იყო, ჩემში გამოძებნა ძალა, რომ ადამიანად თუ ვერ დავრჩებოდი, ადამიანობა მაინც მეთამაშა ბოლომდე. ოღონდ, ესეც გავიფიქრე, ნუთუ საღად აზროვნება საკუთარი არარაობის გამათლებლად მეთქი! — „ერთი დამარცხება“! — ვთქვი მოულოდნელად. გამიკვირდა, რატომ ვთქვი, რას ნიშნავდა ეს ფრაზა, რა მინდოდა ამით მეთქვა?

ანა-მარიამ გაკვირებულმა შემომხედა:

— რა თქვი?

— არ ვიცი, — უპასუხე გულწრფელად.

ცოტა ხანს მიყურა, მერე გვერდზე გაიხვია და თქვა:

— მე აქ აღარ დავბრუნდები. დედაჩემს ჩავესწრო ცოცხალს მეტი აღარაფერი მინდა.

აი, მაშინ უთხარი ის, რაც სინამდვილეში სხვა არაფერი იყო, გარდა ლაჩარი, მაგრამ ასე თუ ისე მაინც პატიოსანი კაცის უკიდურესი სითამაშე, რაც სწორედ რომ ლაჩარებს ახასიათებს:

— მე შენ არ მიყვარხარ, ანა-მარია, — ჩუმად, ხმის კანკალით დავიწყე და თანდათანობით აუწევი ხმას, — მაგრამ ღმერთმა ხომ იცის, მეგონა, მეგუროდა, მიყვარდი! ბედნიერი ვიყავი!

მივხვდი, იმ საშინელებას ვიმეორებდი ზუსტად, რაც მისმა ქმარმა ვითომ სანუგეშებლად ჩაიდინა, როცა უთხრა, დედაშენი შენი ნამდვილი დედა არ არისო. საკუთარი გარეწრობით შემძრწუნებული, უკვე ვყვიროდი, ბედნიერი ვიყავი, ბედნიერი ვიყავი-მეთქი, გაცეხული შემომყურებდა, მე კი მხოლოდ იმიტომ, რომ მისთვის დამარცხება გამაღვილებინა, ერთსა და იმავეს ვიმეორებდი: ბედნიერი ვიყავი! ბედნიერი ვიყავი-მეთქი! და მწამდა, რასაც ვამბობდი, რასაც ვყვიროდი, სამართლედ იყო. ამ შემთხვევაში, თუკი ვინმე ტყუულებოდა, უმირველეს ყოვლისა, ეს მე ვიყავი მოტყუებული, ოღონდ... ბედნიერი! არა, ბედნიერებისგან გაუბედურებული! თურმე ბედნიერებას სხვანაირად ვერ იგრძნობ, თავს თუ არ მოიტყუებ! ყელში რაღაც კვლავანი ბურთივით მომაწევა, ყელის ამოგლეჯვა უნდოდა, ზევით ამოსვლა, ვერ კი ამოდიოდა და, ღმერთო, ამ ხნის განმავლობაში ვყვიროდი ერთს და ფიქრით კი სხვა რამეზე, უფრო სწორედ სხვა ვინმეზე ვფიქრობდი თურმე — ჩემს თამრიკოზე! თამრიკო უნდა დაეიბრუნო! თამრიკო უნდა დაეიბრუნო! ეს აზრი მახრჩობდა და მართლა რომ არ დაემხრჩვალე ვიყავი, ხმაძალდა ამოვთქვი მოულოდნელად, თამრიკო უნდა დაეიბრუნო-მეთქი და უსაშველოდ დაქანცული, ძალაწართმეული, მისავატიებული, სკამზე გადავესვენე. თან ნარბეხით ვუსუნთქავდი...

დიდხანს ვისხედით ჩუმად. უკვე შემძლო მშვიდად მეფიქრა. ალბათ ყველაზე მნიშვნელოვან ბრძოლაში დამარცხებული, ნაცემი, ბრძოლის ველიდან გაქცეული, ფიქრში უკვე თავშესაფარს ვეძებდი, ჭრილობების მოსაშუშებლად.

მაჯაზე თითით დააკაკუნა, მანიშნა, რომელი საათიაო. ოთხი ხდება-მეთქი. აბა, ჩემი წასვლის დროც მოსულაო. წამოდგა. კურტაკი ჩაიცვა. ჩანთა ზურგზე მოირგო.

— ეგ არის მთელი შენი ბარგი-ბარხანა? — ვკითხე.

— ზო, მთელი ჩემი ავლა-დიდება ამ ჩანთაში ჩავტოე. ის მიმაქვს, რაც მიყვარს. სხვათაშორის, შენი ნაწუქარი ბრეიგელის ალბომიც.

ამ ალბომის ძებნაში მთელი სახლი გადავატრიალედ ამას წინათ, არ მახსოვდა, ანა-



მარიას რომ ვაჩუქე.

– მაღლობელი ვარ, – უთხარი.

– რისთვის?

– ეგ ალბომი რომ მიგაქვს. – კიდევ რაღაცის თქმა მინდოდა, რადგან ვგრძნობდი, არ შეიძლებოდა მისი ასე გაშვება, მაგრამ დამასწრო:

– ტერი რომ გაიღვიძებს, ჩემს მაგიურად აკოცე.

ამ დროს მანქანის საყვირის ხმაც გაისმა, მოკლე, მორიდებული.

– აი, მესმის სიზუსტე! – წაეიდა, კართან შეჩერდა, – ნუ გამომეყვები, არ მიყვარს, როცა მაცილებენ, – თითქოს შემახსენა, აეროდრომზე გაცილებაც რომ არ შეეთავაზე, – მშვიდობით.

გაიქცა.

კარი ღიად დატოვა.

გაეიხედე, მხოლოდ დაძრულ მანქანას შევასწარი თვალი. და საბურავების შავად მბზინავ კვალს, ნელნელა თოვლი რომ ედებოდა.

იქვე, გამოღებული კარის ზღურბლზე ჩავეჯექი. კარგახანს ვიჯექი ასე. სიცივესაც კი ვერ ვგრძნობდი. მერე ტერი გამობუნცულდა, წკმუტუნით და კუდის ქიცინით მომიახლოვდა. ავიყვანე. მიეფერე. თვალი მილულა.

– შე საცოდავო, შე საცოდავო, – უმეორებდი, – შე საცოდავო...

2007 წ.



მეგობრებს

ამ არეული ხულით სიარულს  
და დანგრეული ბუდის შერცხლობას,  
ცრემლებს დამალულს ჭრული სიანცით,  
რითაც შარაქა ცინს და ერთობა...  
მიწის სიშწარეს და მშობის სიტკბოს,  
მტრისა და მზაკვრის ღიმილ შენდობას,  
უიმედობით ცაწამლილ ღიბოს,  
სააშბო ბედსა და უბედობას  
რას დაარქმევდი, ერთი მითხარი,  
როცა წვიმა წვიმს მზიან ერდოდან,  
ქარი აშარცვივი სიცხადით,  
აფხიზლებს სიზმრებს და არ შენდობა  
ღაძაღესილი, ავი დიაცი,  
დევნილი წუველით, ჭირით და ქვითა,  
ძაღლივით ვლოკავ ჭორის იარებს,  
ნაბრძანებია უანდიან ციდან: —  
ასე მასხარას, ასე მხიარულს  
არაყინ მთელიდეს ტოლად  
და ღირსად,  
რადგან დროება დააწიაღებს  
დიდსა ჰატარად, ჰატარას დიდად...  
მადლობელი ვარ,  
რომ უფროსი <sup>1</sup>ქვეყნის ტრიალში,  
რომ უფროსი <sup>1</sup>ქვეყნის  
ფრინველი ვიყავ,  
კულისი შერგო მე  
ამ თუატრში  
და შხის სასახლის  
ვერცხლი და თიზა...



სანახაობამ დაღუპა რომი,  
ხორცმა წალეკა ცოდვეილი მიწა,  
გზას აეცდით ღვთიურს,  
სიცოცხლის დრო კი  
ენებათა ცეცხლში  
მსხვერპლად ჩაიწვა...

თვალეში შიშველ სხეულთა კოცონს  
დაანთებს უშმა — გრანდ შოუ მენი,  
როკვამ შეშალა ცოდვილი მიწა,  
ხანახაობამ დაღუპა რომი...

ზორხოცი, ზორხში განრილი სიტყვა,  
გონდასეტყვილთა სოფომ-გომორი,  
ცა გადახსნილი აანთებს რისხვას,  
რისხვას, რომელმაც  
დაღუპა რომი!

ცანცანებს სივრცე,

ხატანურ სიცხეს

ღნავილით უმღერს ცვედანი ღლომი  
და ფარა ურცხვი ცან აკვირისტებს  
ურიცხე სურვილით, ნაკიან ნდომით...  
თვალე კი კრთომით

დაღანდავს ქრისტეს,

სიხსლიან ქრისტეს, მსჯავრით რომ მოდის,

ვევებ მადლია წმინდა ცვეცლს მისცეს

ბუდე-ბუნაგი საკვის და ცოდვის...

მანც ვბღავევარ: „უფალო, იხსენ

გ ზადაკარკული ცხოვარი მენი,

ყოჯოსეთის აღს რომ მივეფიცხეთ

და ვერცხლში გცვაღუთ

სიცოცხლის მფენი!“

არის ღამე და არის აისი,

ადამის მეთა მძიმდება სენი,

ცა იძრა, დედა-ზარის ხმა იხმის,

„უფალო, გახსენ

სინათლის ბჭენი!“

## ანანოს

ჩემს შვილიშვილს

ანანო არ არის პატარა,

ცანს სწევდება გულით

და ფიქრით,

ცვლქია, მკვირცხლი და ანკარა,

ანათებს ზღაპრული სიბლით...

თან დასდევს წუალობა ციური,

ღიმილი ღმერთის და იღბლის,

ანანო გოგოა მზიური

და მხოლოდ აღმართზე ივლის...

ისეთი ღამაში სული აქვს,

საუფლო გრძნობა და გონი,

არ გაეკარება სიბუე,

ზღვაშიც კი ექნება ფონი...

ქრისტეობის და ახალწლის  
ცითდიდებულ მადლო,  
უელმადლიანი მამალი  
ბედისთენებს მადლობს.  
ჩემი კუდრაჭა ანანო,  
ანა-ბანას რომ სწაულობს,  
ისეთ ქართველად აქციე-  
სსივად დაანდეს ამ დროს,  
ანანო არ არის ჰატარა,  
ცას სწედება გულით  
და ფიქრით,  
ბებუტამ ოცნებით ატარა,  
გაზარდა ზღაპრით და სიზმრით...  
ცელქია, მკვირცხლი და ანკარა,  
ანათებს დიდების სიბლით...

**ოშპიტელში, საპატრიარქოს  
რეზიდენციაში დაწერილი**

განა სიცოცხლით აღტაცება  
ცოდვით სვლა არის?  
ვინაც უმღერა წუთისოფელს,  
აღარ ცხონდება?  
მადლი მიწისა, საქართველოს  
წმინდა მთა-ბარი  
ვიცი, ცად ასულს უფლის  
მადლად მემასსოფრება...  
ოშპიტელში ვარ, გავინათლე  
ჩქერით არაკვის,  
სულში აუნთო ბაღლობა და  
საღვთო დიდება,  
ლოცვად დამგვარა  
ფიქრი წრფელი,  
გული თამაში,  
ავთან ბრძოლაში ჩაიღია  
ხისტი ცხოვრება,  
ხანამ აქა ვარ, და ცას შეუცქერ  
ქართულ ციაგით,  
ხანამ მჭრელია სმადიცა და  
ბასრი კალამიც,  
შვილი ვარ სოფლის,  
თუმცა მისობს უფლის წიადი,  
მიწიდან ცას და  
ციდან მიწას  
ჩემი სალაში!

უფალს

დამიძახე? — აბა, მოდგა სინარული,  
 უკარომი კარი იძრა, გაიღანდა,  
 გიხშობდი და გიკიოდი, სინანულით,  
 მიწა ებანე მდულარით და  
     დაურხი ამბად...  
 სამანებში დაეანება ვერ შევიძელ,  
 შენგნით შესხა ფრთენი  
     ხოხვით გასისხლული,  
 გადაურბოდი ვერ გამტები  
     რისკენ? ვისკენ?  
 სორცი გვემა ფორიაქმა  
     ცოდვილ სულის...  
 დამიძახე? აბა, მოდგა სინარული,  
 მშვიდად ესურავ წუთისოფლის  
     ვიწრო კარს და  
 სიუვარული,  
     ჭეშმარიტი სიუვარული  
 წამიძღვება განათებულ  
     ცათა ცანთან!

მიტოვებული დედის წერილი შვილს

მენატრები და სული  
 ბეჭტავს, უმუნოდ ვერები,  
 სისხლი მიძინით შრება,  
 სიკვდილს მოუცდა ცელი...  
 აჰმ რძევე ამშრალ მკერდზე  
 ჯაურის რო დაესხამ გველებს,  
 ფრთებსავეთ დაკეცვ სელებს,  
 შენს საფერებელ — მცველებს...  
 ცოდვის ნახსივლებ უფსკრულს,  
 ცით ობოლი და კრული,  
 ღოდს ფუნს წამოტკრავ? — ✓  
დედის მკვდარიც იკივლებს გული...  
 ერიდე ზურებს და ველებს,  
 ერიდე მსეს და მთვარეს,  
 ნაკადულებს და ხვევებს,  
 ვეავილებსა და ღვარებს...  
 ვე და-მძებია ჩემი,  
 ცრემლი რომ ღვარეს ცხარე,  
 როცა ღალატის ხემით  
 ტკბილს ამღერებდი თარებს.

მთებსაც კომორე, შვილო,  
რისხვად დამდგარან მთები,  
კვალს აგირევენ, ნისლეებს  
თმად დაგაფუნენ დედის...  
ამრიალდება ტყე და  
წვეულ ლქმსს გატყვის მწერალი,  
წყაროს დასწვდები? - ცრემლად  
მარილს გაიყლებს წყალი...  
ღიღილოებს და იებს  
სუნი ვქნებათ შხამის,  
ცან ცოდვისფერი, მიწას  
შობის ნაოფლი ცვარი,  
და ვუვლაფერი ირკვლიე,  
ცარკვალ წყც ხმით და უხმოდ  
დედის სიმღერას მღერის,  
შვილის სივარულს უხმობს...  
მენატრები და სული  
ბეჭუტავს, უშნოდ ვერები,  
ჯაური მიფურავს ფიქრებს,  
მკლოვარ თვალების ფერით,  
თაუად დავინთვბ სანთელს,  
ცრემლი დამეცეს ცხელი,  
თაუად დავიკრეფუ ზუღებს,  
სიკვდილს მოუცდა ცელი...

### ლექსს

აღარ გამიშვებ და  
აღარ გამეცლები?  
ციოხანუშქრული ნაღვურდალი  
სულს სიმწრით ვლაფავ...  
ვერრა გაიგე რო  
აღარ მელქსება?  
მეინვრისა ჩავიმსხვერ ნაფურდალ ზე....  
ამ ქვეუნი სიმშიდე  
დამრჩა ნავედრალი,  
მკაცრო, მიცოდლე თუ მიშვილე,  
სხვებისა ზიმშიმებს სავერდ-კვალი,  
ცინეისა ზეიმობს სიცივე...  
ნება შენია და აბა, თვალი  
ისვე სიტყვებად იტირებს...  
ლქმისა იქნება დიოფალი,  
ჯვარისა დაიტანს სიმშიდე...  
ტყხავ, გამიშვი და



გენაჲ, გაშვალე,  
 შენი ფრთა უღლად და  
 რით მშიშე,  
 აღარ ამიროს გ'ნა და კვადი,  
 მიუვარს და მაცადე სიმშვიდე...

ანბანთქმბა

უძველეს ტაძართა ცრუმლით შენავუდრი  
 ტანჯული მამული სახატედ ვიწამეთ,  
 ლოცვა ცადა ადის და

ღვთისმშობლის

წილხვედრი

მიწა გვაქვს ამ დედამიწაზე...

- ანი - ალავერდი,
- ბანი - ბირთვისია,
- განი - გელათი და
- დონი - დადაშენი,
- ენი - ერუშეთი,
- ვინი - ვარძიბა,
- ზენი - ზედაზენი,
- თანი - თუსარისი,
- ინი - ილორია,
- კანი - კვეტარა,
- ლარი - ლომისა,
- მანი - მოწამეთა,
- ნარი - ნიკორწმინდა,
- ონი - ოღთისია,
- პარი - პარხალი და
- ჟანი - ჟამისა...
- რაე - რუისია,
- სანი - სამეხა,
- ტარი - ტაოსკარი,
- უნი - უფლისციხე,
- ფანი - ფანასკურტი,
- ქანი - ქაშვეთია,
- ღანი - ღვთისმშობლის და
- უარი - უოვლაღწმინდა,
- მინი - შუამთა,
- ჩინი - ჩირიკია,
- ცანი - ცაიში და
- ძილი - ძეღისა,
- წილი - წილკანია,
- ჭარი - ჭერუშია,
- ხანი - ხორნაბუჯი,

ჯანი — ჯრუჭისა,  
 ჰაე — ჰაერით წმინდა  
 ჰუჯაბია,  
 ქართველო, ქართული სიტყვა  
 დუღაბია,  
 ღოცვათა თაყაღ და დიდება უფლისა,  
 ვერ დაუღღია და ვერ დაუჯაბნია  
 ჯამს ერი მჯობნული  
 ცრუ წუთისოფლისა...

ქართველი პანკი

ოცი წლის გიორგის  
 სამშობლო არა აქვს,  
 არ უნდა სახელი და მკვლედი,  
 მქონიარუთა ქონიან მარაქას  
 ირგვლავს სიცივის ქერცლით...  
 ოცი წლის გიორგის  
 ოცნება მოსუკლავს,  
 ოცი წლის გიორგი  
 გაურბის სანათლოს.  
 ამოვა მთვარე  
 და სორკლებს ამოჭურის,  
 ღანდები მართავენ მართონს...  
 ცოცხალი მკვდრებით  
 ნაესეა ქაღაქი,  
 ღუშის სუნია,  
 სულეების სრწოდვა,  
 რეკლამა ფურადობს  
 „ვირტუოზ“ დაღაქის,  
 მუშაყი გვიღიმის  
 მორცხვად,  
 ორშაბათობით  
 ქვეუნის პრეზიდენტი  
 გუნჯინის  
 ჰოლიუდის ღიმილს,  
 მერე მკვდრმაღალი  
 სინდი კროუფორდი  
 გვამტერებს  
 მუხსნიღი ღიღით.  
 ოცი წლის გიორგი  
 არ არის დისიდენტი  
 უკვარს ჰარდროკი  
 და ქანთრი  
 ფეხებსეჟეჟი

ქართლის შიშვე სვედრი,  
 უიმედობით აცრილხ...  
 ცოცხალი მკვდრებით  
 საესვა ქალაქი,  
 ლეშის სუნია,  
 სულეების სრჩოლვა,  
 კარგი ტონია  
 უმი სალათი  
 და სექსუალური ლტოლვა.  
 მღერის კიორგი და  
 გაურბის სანათლოს,  
 ღაპლაპებს  
 სიცივის ქერცლი  
 ხანდახან ენატრება  
 პური და ხალაძი  
 და ნაიარვეი ღმერთი...

### ისევ ფითლავში

პოდა, კაფეში  
 მოწვეუნის გამო,  
 და იმის გამო  
 რომ იუოს წამი,  
 როცა არ მახსოვს  
 ვინა ვარ, რა ვარ,  
 არ მაქვს სახელი,  
 არა მაქვს გვარი...  
 საიმქვეუნიო ვირთვები ფიქრით,  
 რომ დავივიწყო  
 ამ ქვეუნის ქირა,  
 როცა პატრონი  
 ხარბი და აუი  
 მამეუებს რიხით  
 და სისხლი მტკიავა...  
 ლექსს ვწერ და  
 არაუეს ვაუოლვებ მწარეს,  
 ხარების რეკვით  
 ზეიმობს კვირა,  
 ვიცი რაც არის  
 ზმანება არის  
 და სინამდვილეს  
 ჩემსს არხში სძინავს,  
 სატთან ლოცულობს

სათხოვრო დრონი,  
და ლანცეტოტებს  
ცაში აქვთ ბინა,  
მიწა წითელი,  
ზვდა წითელი,  
ღამე წითელი,  
წითელი დილა!

### ლექსი

არც არავისი არა ვარ,  
თუ მიუვარს, გამო მიწისა,  
ღვთის გზაზე გლახას თანა ვალ,  
ხატ-ჯვარმა მზით შემიწირა...  
დილას ვკიაფობ სანათად,  
ღამე ღამითად ვბნეულდები,  
სიტყვა მომეც და ბარათად  
ვიქცე-ღვესად ვერ ვმთელდები,  
შენითგან მივდევი ცოდვა-ბრალს,  
აღარც რო ქარზე ვღვულდები,  
ცეცხლს ვგავარ ცრიატითა მქრალს,  
ფიქრში ვქრები და უნთუბი...  
აღარ გამიმეგობ იღბალმწერალს,  
აღარც არაფრით შევწები?!  
სიცოცხლის ისევ მწკურვალვარ,  
ათასჯერ განანსვენები.

### გაზაფხული

არეულ მარტით ფიქრით ირევა,  
გული ბაღურად ხატობს გაზაფხულს,  
როგორ გაჭირდა სხეულის თრევა,  
ანდა რა მქვია ამ ბებრულ ფაფხურს...  
წვიმის თქმს ველი, ელვის მათრახებს,  
რომ დაიქვსოს ერთი კაცურად,  
როცა ბუნება დაგლეჯს არტახებს,  
სიცოცხლის ხმები ღაღად, მაცდურად  
მიუფინება მთებს და მდელოებს  
და სულს მოგზაურს მშვიდი სადგური  
ვურ დაივანებს, „რომანსეროებს“  
იმღერს მავანი აღთა აღმურით...  
მსეს დაუწოქებ, კალთას, სიუხვით,  
გადმომამბურტეაეს წყლის თავანი,  
ვუმაღლი გამჩენს, რომ ვარ ზოგტი,

რომ არ თავდება ლექსის მადანი,  
რომ სამშობლო მაქვს ფეერიული  
და რუსთაველზე ლადოს ჭადარი  
ისევე შრიალებს, ისევე მემახის  
უმაწვიღურ ჟინით ნათამამარი...  
და ლალისფერი ღვინით სავსეა  
ქარიბ ჰოეტის სული და თასი,  
იაფ დუქანში ისევე ნისიად  
სვამს ფიროსმანი და ნაღდი კაცი...  
თუმც უბედობამ დაკვიძებობრა,  
ბევრი გვემანის შლეკ სა და შემლილს,  
ღვთიბგლახებიცით ვითხოვთ შენდობას,  
მშები, მკონებო, შეყენი ლექსის,  
ცისა და მიწის ესუამთ სადღეც რძელის,  
ერთი ტახტი გვაქვს და ერთი კვერთხი,  
უფლის წყალობა  
და საქართველო,  
ვიდრე გულიდან დარჩება ფერფლი!

### შორენას

შორენა, უფლის სანთლად  
ჩამოქნილხარ,  
მიაღერებებს, თან შორი არის  
ვე დიმი ცისა და მიწის  
სიდად,  
რადაც ბავშვური და გონიერი...  
ლექსით შმაგი ვარ და  
სითბო მიუვარს,  
არაქაურად შენმიერი,  
თითქოს ლეკენდად და  
რადაც შითად,  
უბრძოლო ბრძოლით მშეუნიერი,  
ვე გ სა ცოდივინმა  
ვენ და ვიცან,  
სისხლო და იურო ჩემი ურის,  
ლოცვით შემეწიე მიწის სიხანს,  
ცეცხლი არ გაცვრდეს  
სეციერი...





დგას ბუთანია,  
ქვათახვიც იქვეა ახლოს,  
რა ნეტარია, ვის გულშიაც სიკეთე სახლობს?!  
შრიანდა ჭადრებს უფრიანლებით ფოთლები მწვანე,  
უფალო, ხომ არ დაგვემდურე,  
უფალო, ბრძანე!  
ჭიკჭიკებს ჩიტო, არად აგდებს საკრავს და ნოტებს,  
ვეაფილი ტირის, მოეფურეთ, ვეაფილი კოდებს.  
ვიღაცამ აღბათ აწვესინა, გული დაწვეიტა  
და ამიტომაც მოიღრუბლა,  
უსვებ გაწვიმდა.  
დგას ბუთანია,  
ქვათახვიც იქვეა ახლოს,  
რა ნეტარია, ვის გულშიაც სიკეთე სახლობს.

### ბარსელონაში

გაულის ერთ-ერთი შედეგად „საგრადა დამილია“ დასამთავრებელი  
დარჩა არქიტექტორი მისი მშენებლობის დროს ვარდაცაღდა...

ოქტომბრის ბოლო,  
ბარსელონას ღამაში ზორტი,  
კოლუმბის ძველი, გრძელი სიდი,  
ბევრი ნათურა...  
მოწუდა, გაუდის მოწვენილი,  
ერთი ვარსკვლავი,  
ვევლასე დიდი, კამკამა და  
თვალვებსატულა.  
ო, რა ღამეა, ანტონიო,  
ო, რა ბაღია,  
რა სიღამაზე დაუტოვე ამ მოზაიკებს,  
როგორ გიჭირდა, როგორ წუნდი აღბათ ღმერთკაცი,  
ამ ტურისტების ღრიანცვლში ვინ რას გაგიკებს?!  
ო, რა ღამეა!

აქ ფიქრობდი ალბათ მავსტრო,  
გადარეული, დარდიანი, ღამენათვეი,  
ისე წახვედი ამ ქვეყნიდან რომ შენ ტაძარში,  
ერთხელ ხალისით ვერ დაანთე  
თაფლის სანთელი.

ო, რა ღამეა!

აქ ხატავდა მტრედებს ჰიკასო,  
გემები დგანან და მორჩილად დილას უცდიან,  
კაპეადორი აფრიალებს თითქოს მოსასხამს,  
შიდი, ტორერო, დღეს შემხვედრი ქარი სუსტია!

ბარსელისა

### კლდის ქიშხა

კლდის ქიშხე ვნთო ცვეცხლი და თითქოს  
იქით ღოკაკაცებს ჰქონდათ ფერსული,  
ღამაზი იყო ჩემი სამშობლო  
პატარა, მაგრამ მართლაც ძუფური.  
მზემ ერთი სხივი ვსროლა ჭალას,  
მაში აფრინდა ოქროს ტოტიდან,  
ახლა წავალ და შენ თუ დაგჭირდა,  
მე უკვდავების წუთს მოგიტან.  
მართლა იოლი კი არ გეგონოს,  
რაც კი ზღაპარში მოგიმენია,  
გზას თუ ადგახარ, რაც სრამია და  
რაც ციცაბოა, ქვედა შენია.  
ვეღარ გაუძლებს ერთხელაც გული -  
ამ წუთისოფლის ხლართებს ნახკვებად,  
გასკდება მალე, ნამდვილად ვიცი,  
მაგრამ კლდის ქიშის თაყვანს გასკდება.



აღარ გახსოვარ და მაინც თუკი,  
არაფრად გიღირს ჩემი სახელი,  
მაინც მიუყარხარ, სამყაროვ, მუქი  
ფერების გახსნი შენგან მსახველი.  
ამ ჩემს ბარათებს უმინამართოს -  
სულში გაჩენილს ნაუყვადურებად,  
ის ჯადოქარი უმალ გააქრობს,  
თუ ისევ აქვთ დამემდურება?!



ავად ვარ, მაგრამ რით გამახსლონ?!  
 ვერ მთავაზობენ ცისფერ იაღალს,  
 მე მაინც ავწვევ, მზის სადღევრძელოდ,  
 წითელი ღვინით სავსე ფიალას.

### სამოთხის კართან

ჯერ ვინ მივძეგვებს სამოთხის კართან?!  
 ჩამოსული ხარ უკვე მთებიდან,  
 ჩვენ გაკვებრივეს და ტუქილ- მართალს,  
 ვუღარ აწონის ალბათ თემიდა.  
 მე დღემდე მივეარს ტუქებში მსხვი,  
 ოქრის ციხე და ძველი საფარა,  
 გახსოვს, თბილისს რომ გამოვექმედი,  
 ის ბილიკებიც ნისლმა დაფარა...



არც მებრალღები, არც თავს ვიბრალღებ,  
 როცა დარდიანს, მტირალს გიუფრებ,  
 ცხოვრების სუსხი უინულზე გვიფრის,  
 მერე გვირიტებს ხოლმე ციკურებს.  
 სოჯჯერ სომ ამსხერვეს ალაგ და ალაგ,  
 მარტი ამ მიწას ჭრელი ევაფილით,  
 წითელ ფერს უფრო ადვილად ამჩნევ  
 მოღსე, ვიდრე სხვას, კახზა ქალივით.

ჩამომხანარა ეველა სიმაღლე,  
 ხახმატის ჯვართან, ხატთან ხახსულის,  
 დროშის მაკივრად ფრიალებს ჭინჭი,  
 იღვრება ღვინო გადახახსული.  
 „ღმერთო, მიღსინე ცოდვილსა“ ახლაც,  
 თუ ვნებით კიდევ გამაყრიალა,  
 დამიმეობრე სიცივის ნაცვლად,  
 ჭრელი ფოთლები შრიალ- შრიალა,  
 ნუ მიწვენ, ისევ ცალად დავდივარ,  
 მკელღვით ხორცი მაინც მშობილეს,  
 შენი მიწის ვარ, იცოდე, მუდამ,  
 სადმე სულიც რომ ამომდიოდეს.

უფალო, იქნებ მართლა მიშველო?!  
 შენდობა მაინც შენი ვაღია...  
 მაკმარე, ვუძლებ „მაღლების“ მწარე  
 ნაკბენებს უკვე კარვა ხანია.

ხურნულთ გეტუვი მაინც რაღაცას,  
 გულს ნახანძრალი ისევ ატუვია,

შენ რომ მიმინოს მართვე მანუქე,  
გვეუ ნადირობს, განა ბარტყია?!

ფურტკარს ვაჭამე ნუგბარი,  
ვაწი ავეშვი ჭიგოზე,  
მიბოძე, ჩემო ბატონო!  
რაც მე დაფთესე, მიბოძე.

### ბილიკი

თითქოს ნაომარ ბილიკს მივევები  
და მიფეთქდება ფეხქვეშ ნაღმები. . .  
ზეცა გაუთორდა, განდა რძისფერი,  
არაღის ესმის ჩემი ნამღერი.  
თქვენს გამო გაუხდი შურით ძლეული,  
რაც მე გაუილე არსად დაფანდა,  
ცხოვრების სუსხით უურაწეული,  
შტერი ბაუშვივით ვდგავარ დაფანთან.



მომისმინე, გვეუდრები, მომისმინე,  
წამწამებს ნუ დაძინველებ ცრემლებით,  
კარს დაეკეტავ, იქნებ უცხო მოდის ვინმე...  
ბოროტებს მე არასდროს ენებდები.  
დამიჯერე, მერე რა, რომ სულ არ გეცმის?!  
მერე რა რომ, საფანგია ცხოვრება,  
ჩვენს მაგ იურად ატირდება ჩემი ლექსი,  
სინარულიც იმას ემასსოვრება.

### როიალთაბ

ვინ ეხებოდა თავისი ხელით,  
ამ როიალის ვეითულ კლავიშებს,  
ღრუბლიან ცაზე ბაუშვივით მსდლი,  
მთვარე სიმშვიდეს შაინც მანჭებს.  
არადა ფიქრი ძაღლივით დამრწის,  
თავში მერევა ტყუილ-მართალი,  
შუალამისას რა ძალა გადგას?!  
გულო, შემჭამე შენი ფართხალით.  
ველარ დაწუნარდი უპტრო გნოლივით,  
ვერც სამბახივით ვერ გავიძალე.

ჩემი ნურუბის ელექტროდები,  
ამ ცხოვრებისგან როგორ მთიშავენ.  
მოდო, სიკვდილო, ვინ არ გეკახდა,  
შიშით, კრძალვით და თამამ-თამამით,  
მოდო, პატრუს გემ, ღვინოს და ეისხამ,  
ერთად გაუტეხთ ცხელი ღაჯაში...  
იქნება სევდა შენთან დაუმლიო,  
ამ ავ ცხოვრებას გავევთ პანუსი,  
წამოვაქციოთ ეს ბოროტებაც,  
სხეილი სისხლით და ხორციით ნასუქი.

### სანტა კროჩეს ტაძარში

*მიქელანჯელოს საფლავთან*

ვდგავარ ტაძარში  
და შევცქერი ამ ქანდაკებას,  
ო, რა უცნაურ ფანდს იგონებ  
ზოგჯერ, გამწვანო...  
სხვამ მორთო შენი  
სამუდამო სასუფეველი  
და ქანდაკებაც სხვამ დაგიდგა,  
მიქელანჯელო!

ფლორენცია

### საოცარი ქანდაკებები

ეს რომის ცაა ძალიან ღურჯი,  
მოედნები და შადრვენები რას არ უვებიან,  
ნუთუ ეს ძველი ქანდაკებები,  
მხოლოდ და მხოლოდ მარმარილოს უტყვი ქვებიან?!

რომი



მოვიდივარ მარტო, მოვიდივარ შენსკენ,  
უწვევი ძნელი გზებით ბორიალს,  
მარტო ამაში ბოლომდე შენდგე,  
რომ ეს ასეა და არ მგონია —

ლექსს და სამშობლოს ეოველთვის უნდა,  
 შენი სული და შენი ღირსება,  
 მაშინაც, როცა გული ბოღმით და  
 ამ წუთისოფლის შხამით ივსება.  
 მაშინაც, როცა შენ ხარ ტყვე ქალი,  
 მაშინაც, როცა შვის სხივზე ზინხარ,  
 მაშინაც, როცა შენი ეზოსთვის,  
 აპირკეთებენ ბროლსა და ფიქალს.  
 ეოველთვის შოდის გამოცდის ვამი,  
 რაღაც წვრილშანი მსხვილშანს გვანიშნებს,  
 შერე ცხოვრება თავად გადაწვევტს,  
 შენ შეებმები თუ სხვა ქარიშხლებს.  
 მოვდივარ ცრემლით, ღიმილით, ბრძოლით,  
 ტკივილით, მაგრამ სოჯერ ხალისით  
 და მესალმება ხან ალაზანი,  
 ხან შუამთა და ხანაც კრწანისი.  
 მოვდივარ მარტო, მოვდივარ შენსკენ,  
 ძალიან სშირად ქანცაწვეტილი,  
 ფურფულად ეიქეცი და მაინც ვიწვი,  
 ფიქრის და დარდის მრავალწერტილი.



ბორის პასტერნაკი

სული

თუ გაგიხსენებ, თავდახსნილი ხარ, მაგრამ თუკი  
დამაფიწუდები, წელთა ტყვე ხარ, აქა ხარ სანამ.  
მრავალთა აზრით, და ბოლო დროს მეც მყერა უკვე  
ის, რომ სული და მომლოცველი ერთმანეთს ჰკვანან.

ღვესის ქვაში რომ ჩაიძირო, ან გთქაუდეს წული,  
ან თუნდაც მტვერი, ვეუღლან იბრძვი, განჩობენ სადაც,  
ტარაკანოვა ვით იბრძოდა — თაყადინ ქალი,  
როს თებერვალმა რაველინის წალეკვა სცადა...

დამკვიდრებულს ამნისტია შეგეზოს უნდათ  
და დროთა წყველით, გუმაგებს რომ წყველიან, ისე,  
კალენდრის ბადის ღობეებზე ფოთლების გუნდად  
აკაკუნებენ დაცვენილი დღეები ისევ.

1915



დათბა თუ არა, დაჭროლეს მვისვე  
მაღაზიებმაც ბამბის სითბოთი  
და ნამცეცცი კი უკრთოდათ ისე,  
ვარსკვლავიათ, გულში იტყოდი.

ეინულს ბერავდა წვენი და მფრთხალი  
იზხარებოდა უმოკლეს დროში  
და გამუქებულ ფრჩხილივით წული  
გადაუვლიდა ეინულის კლოშებს...

თაფლი წვეთავდა ხეებს წვერიდან,  
კარნი სქვეშ და ხმა ცრიდა სიოთა  
და ბუკინისტი გალანტერიის  
ფანჯრებს თათხავდა და უჩიოდა.

რეზინის ფირმის ბეჭდები ქვებზე,  
ლანჩების ბადით, თავგამეტებით  
ეწებებოდნენ ფირნის ქვირითებს,  
ანდა მათ შლიდნენ წვიმის წვეთები.

ზეიმებში კი, შუადღით, სივრცეს  
არჟუდა ბუქი, ჩვეული ნაფარდს,  
და პოლარული ქვეყნების ციუ-ციუ  
ამბებს გვამცნობდა და ეწუნდით კვლავაც.

ცას თოვლქვეშ სურდა... ქუჩებს სრულებით  
დაუფლებოდათ სიცივის ზარი  
და აბრების და სახელურების  
მთლიანობაზე დედავდა ქარი...

1915, 1928

### ნადჰელო

ამ წიკ ნისათვის ეპიტრაფად უდაბნოს სიბლიც  
სერიანაჟა მთურალი.  
ლომები ღრენდენ და ვეფხეების მზერისკენ კიპლინგს  
ეჭირა თვალი.

პირდაღებული საშიში ჯა როდესაც დამრა  
ნაღველი მუიფის,  
თავეს აქნევდენ, ნებიერთბდენ გათოშილ, აშლილ  
ტუაუ-ბეწვის დიბით.

ახლაც აქნევენ თავეს ზოგთა ლექსში ან წვანან  
უმრავად, ხან კი  
ბოდავენ ნისლში მდგლოს ცვართან, სიზმარში თანაც  
მათ ხედავს განკი.

აინი მვრება ორმოებში, შემცივნულ გველად,  
ჩვეული ფანდით  
და გუნდრუკის და პანაშვიდის ვრცელდება ნელა  
ჯუნგლებში განტი.



მძიმე ჯვარია — ტრფობა მავანის,  
მაგრამ შენ ბაღნარს ჰგაუხარ ვარდიანს  
და შენი სიბლის აუანნაუანი  
უოფნის შეცნობის თანაფარდია.

აბრეღში სიზმრის მხარე ხმოვანებს,  
ჭეშმარიტებაც უფრო ანკარობს.  
შენ ხარ უთუოდ დიდგვაროვანი,  
შენ ჰაერით ხარ უანგარო.

მნელი არაა — აცდუ თავზარებს  
და არ მოგინდეს რაც არ გვრეგება —  
ცხოვრებამ როგორ უნდა დაგ სვაროს,  
თუ ცოტაოდენ გაქვს მოხერხება!

### ღამის ქარი

მიწუნარდა მღერაც, გაუანაც მთვრალი,  
ანადგომია ზვალ დილით ადრე,  
ანადგაზრობა შინისკენ ხაღისს  
მიჰყავს: იმღერეს, იცეკვეს, დათვრნენ.

მხოლოდ ქარილა ანდვზე ვრთი  
მიბოდავს, მიდის იმაუ ბილიკზე,  
სადაც თავშეყრილ ბიჭებთან ვრთად  
წვეულებიდან ჰქროდა შინისკენ.

ქარი თავს კარში შერეავს აბუზარს,  
ვერ ვე უება ღამის სამთავროს,  
უთანხმოება, ქარს სურს ღამესთან  
მშვიდობიანად რომ დაამთავროს.

ღობეებია მის წინ ბაღების,  
კამათობენ და ვინ იცის რაზე  
და გასარჩევად იმ ამბოხისა  
შექურჩებიან ხეები გზაზე.

1957



უსერხულია იუო განთქმული —  
ეს როდი მატებს სულს სიანკარეს.  
არქივით საქმე არ გაართულო  
და ზეღნაწერებს ნუ დაჰკანკალებ.

შემოქმედება თვითშეწირვაა,  
 არა — ღზვნა და ლელოს გატანა.  
 სირცხვილია და არ ღირს წირადაც,  
 ზირზე ვკერო დიდს და ჰატარას.

მაშ თვითმარქვია გასდუ აროდეს,  
 შორს ჭორიც! — ჭორს არ აჰვეუ სწორედაც,  
 უბის უსაზღვრობა შემოგხაროდეს  
 და მოგესმოდეს ხმა სიმორეთა.

ხარვეზები კი უნდა დატოვო  
 გამოვლილ დროში, არა — ქაღალდზე,  
 რადგან ქაღალდში სიმარტოვეა,  
 რომელსაც მხოლოდ ბედი დაგაწერს.

ბიჯიც არ გადაე სინუშის გარეთ,  
 დე უცნობლობის კმაღაუდეს კალთა,  
 როგორც სიბნელე კუთხეს და მხარეს,  
 როცა იქ თითს ვერ მიიტან თვალთან.

სსუები, მამინვე, ჭრელი ფარებები  
 გამოივლიან შენი ბედის გზას.  
 თავად კი მარცხი და გამარჯვება  
 არ გააჩნია ერთმანეთისგან.

არც შენი წილი მარადისობის  
 მდილი დაუთმო ძლიერთა ნიღბს,  
 ოღონდ სიკვდილის დღემდე იცოცხლე,  
 ოღონდ ბოლომდე ცოცხალი იქავ!

1956



დებიუტისთვის როცა მიჰქროდი,  
 მცოდნოდა მაინც, დარწმუნდის ობლად,  
 რომ სცენას, სისხლში ნაწობ სტრეიქონით,  
 შეეძლო უელში წვდომა და მოკვლა.

და მე შორსა ვარ ქარაგმებისგან —  
 სცენისკენ არც კი მსურდა გახედვა  
 და მოლოდინი გაგრძელდა ისე!  
 დაწუება ისე მაცანსცანებდა!

მაგრამ სიბერე — ეს არის რომი,  
რომელიც, ნაცვლად მოგონილ დარდის,  
არცა დიალოგს და არცა სტომას —  
ნამდვილ დაღუპვას ავალებს არტიტს.

როდესაც გრძნობა კარნახობს სტრიქონს,  
მონას აგ ზაუნის სცენაზე მსხვერპლად  
და ხელოვნება მთავრდება იქვე...  
და ბედი იწუებს სუნთქვას და ფუთქვას.

### თოვლი მოდის

თოვლი მოდისო! და თოვლი მოდის  
და ბუნქში რძისფერ ვარსკვლავად ელავს  
ნუმიწვევების უვაილი ვეველა  
და ფანჯრებს ელტვის მდუმარე შფოთით.

თოვს: ვეველაფერი თითქოს შედინდა  
თოვაში ფრენით და ღროა ბორცვის  
და ხაფესური კიბიდან მორბის,  
რბის მოსახვევიც გ საჯვარედინთან.

თოვლი მოვიდა და ისე ბარდნის,  
თითქოს ის კი არ ცვივა ზეციდან,  
არამედ — თითქოს ცის თაღს შესცივდა  
ქათქათა ბეწვში, და თან გვაოცებს დიდებულ ვარდნით.

თითქოს ცა ძალზე უცნაურ სახით,  
მომწუდარი ზემო კიბეთა ბაქნებს —  
თვალსუჭობანას თამამით აქნევს  
ხელს და ჩამოდის ეოველი სახლიც

ჭერიდან, ხოლო ცხოვრება მთელი,  
წამებში გარბის და სადღაც ცუინთავს.  
გაიხედავ და — აღდგომა წმინდა!  
გაიხედავ და — ახალი წელი!

თოვს და ვინ იცის: ამ უღრან ფიფქებს,  
ლაშაზ სიზმართა ამ მუდმივ ასლებს,  
ფუნდაფუნ მისდევს ამავე ზღაზვნით,  
ამავე სინქარით — დრო-ჟამი იქნება!

იქნებ ასეა და წლიდან წლამდე  
იქნებ უკვლა დღე, თოვლივით მიდის,  
და არის, როგორც გაფრენა ჩიტის,  
ციდან ჩამოსვლა და ასვლა ცამდე!

და თოვს და უკვლა თოვლში შედინდა:  
გათეთრებული მგ ზავრი — ქუჩიდან,  
გაოცებული ხე და ბუჩქი და  
მოსახვევიც კი — გაჯავარდინთან.

1957

### ხ36ა

ვრცელი მინდვრები დახნეს, დაფარცხეს —  
ციხა და მიწის საზღვარი გაქრა  
და ნახნავეები შიშის დაფისებრ  
გამლილია და იგრძნობა მძაფრად.

ამ ვრცელ ნახნავეებს ფარცხავდნენ დიდხანს  
და ისე ჩანან იქით და აქეთ —  
მთა-გორაკები მოსწორდნენ თითქოს,  
ანდა ცოცხებით გახვეტეს ვაკე.

იმ დღეებშივე ხეებმაც, ირგვლივ,  
გამოიჩინეს ერთსულაოვნება —  
წელში გასწორდნენ ერთფრთის ჯიბრით  
და დაიდვარნენ მწვანე ხმოვნებად.

დაუფერთხიათ ნეკერჩხლებს მტკვრი  
და უფრო სუფთან ვერ ნახავ ფრებს,  
როგორც არეს აქვს, როგვსაც მღერის  
და მოხნულ მიწას — დაფარცხვის შერე.

1958

### ავღარი

აატაღახა წვიმამ გზები და  
ქარი ჭრის შუქებს წულიან ალაკის...  
წინორს რომ გადახდის მანდილს ნებივრად —  
თმას გადასოტრავს, როგორც დალაქი...

ხალხი ჭირიდან მოდის... იტაცებს  
ქარი სველ ფოთლებს მარჯვნივ და მარცხნივ,  
ტრაქტორი დადის მოხსულ მიწაზე  
რვაკბილიანი უძძიმეს ფარცხით.

და უკვე დამხრალ მოხსულის გაუვლით  
ნაფრინდებიან ფოთლები ტბორში  
და შიაცურებს, გუმებად, ჭავლი  
ხმელ ფოთლებს, ქარის დამყოლთ და მორჩილთ.

თავს წვიმისაგან ვერარა იცავს  
და ძლიერდება მოწოლა ხუსხის,  
უამინდობამ მოიცვა მიწა  
და შემოდგომის შერცხვენას უცდის.

თუმც, აი, უკვე შერცხვენა არის —  
ფორნებს და ფოთლებს არცხვენენ საწუაღთ,  
თავის მოჭრავ წვიმის და ქარის,  
უოველი მხრიდან რომ ჰქრის და ახზამს.

1956

### გზა

მიდის ხან ხევი, ხან ურილთა თავზე.  
ხან-სწორი, ხან კი კლაკნილი არი  
და ჰგავს, კულულზე ნახევრად განხნიღ  
ბაბთან, ტკაცუნით რომ არხევს ქარი.

და ბორცვებიან მინდვრებს გადაღმა,  
შერსხვეტიულნი უკვე სრულებით,  
არა მტვერი და არა ტალანი —  
გზები მოხჩანან მოკირწულულები.

აი, გზა უცვებ გადარბის კამხალს  
და ტბორს აღარც კი განხედავს გვერდით,  
რომელშიც იხვის ჭუკები დახმულ  
წუალს შიპობენ ფუმფულა მკერდით.

და წინ, მთის ძირას თუ განწვრივ მთისა,  
ჩან მაგისტრალი, სიმივით სწორი,  
რადგან, დროზე რომ ვაღწევდეთ მიზანს,  
არ უნდა იყოს მიზანი შორი...

და ათას ლანდის, კარგის თუ ცუდის,  
ათას ადგილის, დროის და ზიდის,  
ათას ხაშველის და ათას ზღუდის  
გავლით გზაც თავის მიზნისკენ მიდის,

მიხნად კი მუდამ აქვს მისვლა სტუმრად  
არ დაბრუნება შინ მრავალ განცდით...  
როგორ აცოცხლებს სიმორს უძალ  
გზის მოხახვევი, რომელსაც გაუცდით!

1957

### ნოზელის კრემია

მორნა! მხეცივით მიმწუვედვენ უკვე,  
ხადლაც ხალხია, სილაღე, შუქი...  
მე კი ფუნდაფუნ მომდევნ უკან —  
ჩემ სიხალვათეს ვეგება ღუქი:

აქეთ — ტყე მუქი და კიდევ ტბორი,  
იქით კი — მორი წაქცეულ ნაძვის —  
გზა მოჭრილია მრუდიც და სწორიც  
და მოსახდენი მოხდება აწი.

თქვას, ჩემი ცუდი და ვინმემ იცის —  
ბორბორი ვარ თუ ნამდვილი მკვლელი?!  
სიმშვენიერით მშობელი მიწის  
მე აუბატრე მსოფლიო მთელი...

და თითქოს ვიდგე ზამარის კართან,  
მაგრამ მე მჯერა, დადგება ჯამი:  
აუი გზას მისცემს კეთილს და მართალს  
და ვუვლავფერი ითქმება ამით.

1959

თარგმნა  
ბათუ დანელიამ



გურამ ბენაშვილი

პიტრატეზი

ბაროკალური სტილი, როგორც შუა-საუკუნეების კლასიკური ქართული პოეზიის დამამთავრებელი სტადიის კონსტანტა, დავით გურამიშვილის მხატვრული სამყაროს სახით წარმოჩინდება ჩვენს წინაშე...

პოლიტიკური და სოციალური კატაკლიზმების უმწვეველი განცდიდან, და მისგან აღძრულ ადრეულ ეკზისტენციურ ღირებულებათა სრული გადაფასებიდან იშვა მის პოეზიაში სამყაროსა და ცხოვრების, როგორც შეურიგებელი ოპოზიციების მხატვრულ-ფილოსოფიური მოდელი... ადამიანის გარემომცველი რეალობა, როგორც სიზმარი, როგორც ლაბირინთი გალანტურ-პრეციოზული თუ ბურჟუაზიულ-სატირული „დეკორაციების“... რელიგიურ-მეტაფიზიკურისა თუ მიწიერ-პასტორალურისა...

ყოველივე ეს, ერთგვარი შორეული გამოძახილიც იყო ალბათ, რენესანსული ესთეტიკური თუ იდეოლოგიური პარადიგმისა, რომელიც ადამიანის კონცეფციის სრულიად ახლებური ინტერპრეტაციის პერსპექტივებს შლიდა მომავლის წინაშე...

ექსტრა თუ ინტრალიტერატურული მონაცემები დაგვიდასტურებდნენ, რომ XVII-XVIII საუკუნეების ქართულ-ევროპული პოეზია ვითარდებოდა და ფუნქციონირებდა, როგორც წმიდა არისტოკრატიული ხელოვნება, როგორც ფეოდალთა ელიტარული საზოგადოების სულიერი მონაპოვარი...

დავით გურამიშვილის პოეტური აღქმის კოლოსალური დიაპაზონი უნიკალური ძალთანმევეთ სწვდება საუკუნეების ფარულსა და ცხად დინამიკას, მათში დაუნჯებულ ეთიკურ-ფილოსოფიურსა და ემოციურ-აფექტაციურ შიპოსტასებს...

ღმერთის საკრალიზაცია, ღვთიშობელთან იდენტიფიცირებულ ქალღმერთ მშვენიერების „კურტუზიულ“ თაყვანისცემასთან ერთად, მისი პოეზიის ლაიტმოტივად აღიქმება...

საღვთო სულიერებით გაჭერებული „დავითიანის“ პასაჟები, სიყვარულის ხატს, რელიგიურ სიმბოლოდ წარმოიდგენენ და მას იკონოგრაფიულ გრძნობებთან ათანაბრებენ...

საღვთო სიყვარულზე პროცირდება არსებითად მისი ეკზისტენციური თუ ონტოლოგიური იმპულსები...

უზენაესთან მიახლების მისტიური ნეტარებაა პოეტისათვის სულიერი კათარზისის ერთადერთი გზა... მიწიერებიდან თავდახსნისა და ამაღლების მეტაფიზიკა...

სიმპტომურია ისიც, რომ „დავითიანის“ ავტორისათვის შემოქმედებითი აქტი თვითნაალიზის ბრწყინვალე ავანსცენას წარმოადგენს...

სუგესტია და გრძნობათა უნივერსალიზმი მას აქცევს თავისი დროის რეპრეზენტაციის ჭეშმარიტ ნიმუშად... უმაღლეს ლირო-ეპიკურ სიმაღლეზე „ატყორცნილ“ ტრაგიკული ისტორიების ცოცხალ



და გამჭვირვალე პანორამად...

პოეტის ამ „დიდი წიგნის“ ფერადოვან ქსოვილში საღვთო სიყვარულსა და ამოკალიფსურ ინფერნალიებს, საეკლესიო ლიტურგიისათვის ჩვეულ სეკვენციებსა თუ მედიტაციებს, ჰარმონიულად ენაცვლებიან ქალ-ვაჟის ტრფობის ლალი და თავისუფალი პასტორალიები...

სოფელი, როგორც მაღალი მიწიერი უბრალოება, როგორც ადამიანის უბიწო საცხოვრისის კლასიკური ილუსტრაცია, როგორც იდილიური სოციალუმი, იმ შთამბეჭდავი ტიპობით წარმოჩინდება, რომლის რეფლექსირებამაც სრული წარმოდგენა უნდა შექმნას სამყაროს „პიკანტურ“ ამბივალენტისმზე, ბოროტისა და კეთილის, ბნელისა და ნათელის თანაარსებობაზე... ყოველი ამქვეყნიურის დუალისტურ სულსა და ბუნებაზე (ბაროკალური მსოფლნატი)...

შუასაუკუნოებრივი პოეტური კანონების გადალახვა, გამოინატება თუნდაც ტრფობა-სიყვარულის ეროტიკული წარმოსახვისა და ხაზგასმული ნატურალიზაციის აშკარა უტერირებით...

ფოლკლორული ლირიკისათვის დამახასიათებელი დიალოგიზმები თუ რიტორიკული ფიგურებით ინკრუსტირებული დეკლამაციები, ამ რომანტიკულ ეპიზოდებს ნოვაციის ღრმად შეცნობილ იერს ანიჭებს და ამდიდრებს „დავითიანის“ თემატურსა და ჟანრულ რეპერტუარს...

და ბოლოს:

ტიპოლოგიურად დავით გურამიშვილის ეს გენიალური ქმნილება სისხლიანი ომების შემზარავი პროცესებით შეძრწუნებულ ევროპელ ბაროკალურ პოეტს მოგვაგონებს... გრიფიუსის „სამშობლოს ცრემლების“ მსგავსად, ქართველი პოეტიც შეძრწულია მშობლიურ მიწაზე უცხო ძალთა უთავბოლო თარეშით, ნგრევით, გაპარტახებითა და სრული ზნეობრივი დაცემით...

მისი პოეზიის მოტივაციები და შედეგი, ძალზედ ახლოა ბაროკის ესთეტიკასა და მსოფლგანცდასთან, მის მკაფიოდ გამოხატულ დუალიზმთან... „დავითიანში“ წარმოსახული ამქვეყნიურის, მიწიერის და ისტორიულის აშკარა თუ ვირტუალური თანაარსებობა მისტიურ-რელიგიურთან თუ მეტაფიზიკურ კონტრაციებთან, იმ ქვაკუთხედად იაზრება, რომელიც შემოღალნიშნული დასკვნის უფლებას იძლევა...

მათთვის საერთო ბინარული ოპოზიციები ქმნიდნენ იმ სააზროვნო სტრატეგიას, რომელმაც არა-ერთი ბრწყინვალე ლიტერატურული შედეგრი შესძინა სამყაროს...

საერთოდ კი:

რთული და არაერთმნიშვნელოვანია კლასიკის შინაგანი სულის, მასში კონდენსირებული ფიქრისა და განცდა-გრძნობების ზუსტი და უცდომელი რეცეფცია...

ჩვენ, ალბათ, პერმანენტულად მხოლოდ ვმორდებით თუ ვუახლოვდებით იმ აბსოლუტურ სულიერ ღირებულებებს, რომელთა მიწიერი დანიშნულებაცაა ადამიანური არსებობის ტრაგიზმსა და ისტორიული გამოცდილების სიბრძნეს აზიაროს პრაგმატიკითა და მომავლისაკენ უთავბოლო „სრბოლით“ აღტყინებული ყოველი მგზავრი ამა სოფლისა... ასეთია „დავითიანი“, გარდასული ცივილიზაციისა და ენობრივი კულტურის ეს ღრმადპროვიდენციული „დიდი ანდერძი“...



გრიგოლ რობაქიძის ქმნილებათაგან სრულიად განსაკუთრებულია „გველის პერანგი“... ამ რომანის მითოპოეტური პრობლემატიკის გახადები ავტორმა საკუთარივე ბიოგრაფიის ფილოსოფიურ განცდა-გააზრებაში აღმოაჩინა, რომელიც თითქმის შლიდა საზღვრებს მწერალსა

და პერსონაჟებს შორის... ბუნებრივია, ამას იგი პოეტური გრძნობის კოლოსალური ძალთანმევიით აღწევდა, და ეს სწორედ ის ძალა იყო, რომელიც მის მხატვრულ ოპუსებს ლეგენდებისა თუ იგავების იერსახეს ანიჭებდა...

რომანტიკული პოეზიის გამოცდილება მან პროზის ორგანიულ ორნამენტად აქცია და ამით თვალსაჩინო არტისტიზმით აღბეჭდა იგი...

მას, როგორც უნიკალურ ლიტერატურულსა და ინტელექტუალურ მოვლენას თავყვანს სცემდნენ არა მხოლოდ საქართველოში...

„გველის პერანგის“ შემოქმედმა დიდხანს იცოცხლა, იღვაწა და აღესრულა უცხოეთში...

ჩვენ ვიცით, რომ სამშობლოსთან ერთად გერმანია იყო მისი კიდევ ერთი მძაფრი შთაგონების წყარო... ალბათ, ისიც კარგად მოგვეხსენება, რომ დიდი ლიტერატურითა და ფილოსოფიით განებივრებული გერმანიისთვისაც კი, შთამბეჭდავ და მნიშვნელოვან მოვლენად იქცა გრიგოლ რობაქიძის მხატვრული მედიტაციები, განსაკუთრებით მისი „ჩაკლული სული“...

იქაური ლიტერატურული ელიტა აღაფრთოვანა ქართველი მწერლის ტალანტმა და განსაკუთრებით მათთვისაც კი გასაკვირველმა მისმა გერმანული ენის მხატვრულმა სტიქიამ...

ისიც ფრიად საგულისხმოა, რომ გერმანული კულტურის უმთავრესმა მეტაფიზიკურმა პარადიგმამ – „ფაუსტიანობამაც“ კი (რაც ასე ახლობელი და ძვირფასი იყო მწერლის მსოფლგანცდისათვის) ვერ ჩააქრო მასში შორეული და თითქოს გადავიწყებული სამშობლოს ცხოველი ხატის განცდა...

მითოლოგიური მოტივაციებით აღბეჭდილი სახე-სიმბოლოები განსაკუთრე-

ბულ ლირიკულ მთლიანობას ანიჭებენ მის მხატვრულ ინტენციებს... ერთ სტიქმაში აერთიანებენ პირადულსა და სოციალურს, ლირიკულსა და ეპიკურს, ეროვნულსა და კაცობრიულს...

მითი, გრიგოლ რობაქიძისათვის მხოლოდ ორნამენტული ფიგურა თუ აკუსტიკურ-ვიზუალური მოცემულობა არ არის... მისთვის იგი, უპირველეს ყოვლისა სამყაროს ლირიკული აღქმამა, რომელშიაც ორგანულად ერთიანდებიან სამშობლო და მისი კულტურული ტრადიციებითა და ისტორიით სუნთქვა... ყოფითი კონკრეტიკის სტიქიური პოეტიზებით აღქმა...

მითი, მისი წარმოდგენით ხალხურია, ხალხისაა. თუმც ბოლომდე მხოლოდ პოეტის სულისთვისაა ხსნილი...

ვაჟა-ფშაველას შემდეგ, გრიგოლ რობაქიძე XX საუკუნის ქართველ მწერალთა შორის პირველთაგანია, ვინც მთელის არსებით შეიცვნო და გაითავისა მითის გრანდიოზული არსი და აქტუალობა...

და მაინც, რა უნივერსალიზმიც არ უნდა ყოფილიყო მისი პრივილეგია, მისთვის უმთავრესი მაინც ქართული სულიერი კულტურის, ერის თავისუფალი შემოქმედებითი სულის გადარჩენა და აღორძინება იყო...

ამ წმინდა ოცნებით შეუერთდა იგი ჩვენს დიდ კლასიკოსთა ასევე აღუსრულებელი ოცნებებით დაშვხრებულ პანთეონს...



კლასიკური ქართული მოდერნიზმის ერთი მთავარი წარმომადგენელი და იდეოლოგთაგანი იყო კონსტანტინე გამსახურდია...

1910-იანი წლებიდან ის ბრწყინვალე ესსეებით ფართო „რეკლამირებას“ უწევ-

და ევროპული მოდერნის ისეთ მნიშვნელოვან პარადიგმებს, როგორებიც იყო ექსპრესიონიზმი და ნიცშეს ელინიზმი, ვაგნერის მითოპეროიკა და უაილდისა და სტეფან გეორგეს ესთეტიზმი... ის ჭეშმარიტი ანალიტიკოსის სიმძაფრით აღიქვამდა ევროპულ მხატვრულ ცნობებებაში გამძლავრებულ პულსაციას, განიცდიდა და ცხოვრობდა ამ გამაოგნებელი ნოვაციებით...

საგულისხმოა, რომ მისი ინტელექტუალური ინტერესების ვექტორი უფრო მეტად გერმანული სულიერებისაკენ იხრებოდა... შეიძლება თამამად ითქვას, რომ „გოეთეს ცხოვრების რომანის“ ავტორი, ქართველ მწერალთა შორის, გამორჩეული გერმანოფილია... გოეთესა და კანტის, ნოვალისისა და ჰელდერლინის, ნიცშესა და ვაგნერის ქვეყანა მას, ალბათ სრულიად სამართლიანად „ევროპის ინტელექტუალურ დირიჟორად“ მიიჩნედა...

მისი პირველი, განსაკუთრებულად გამორჩეული ქმნილება „დიონისოს დიმილია“ (1925)... იგი სრული კონტრასტი იყო იდეოლოგიურად უმკაცრესად ანგაჟირებული ლიტერატურული ატმოსფეროს ფონზე... ის იყო თვისებრივად ახალი მოვლენა, რომელმაც ჭერ უცნობი იმპულსებით აღბეჭდა ქართული მხატვრული ცნობიერება...

ამ ვიზიონერული კონოტაციებით აღბეჭდილი რომანის ტრაგიკული „მელოდიების“ ღრმა სიმბოლიკა განსაკუთრებულად ყურადსაღები... უსასტიკეს დროსთან რომანტიკული შეთამაშების ფარული თუ ცხადი აქცენტები მითოპოეტური ესთეტიკით სახიერდება და ჭეშმარიტად კლასიკურ სიმალღეს აღწევს...

მისი კიდევ ერთი ბრწყინვალე რომანის „მთვარის მოტაცების“ წარმართული და ქრისტიანული მითოლოგიებით აღბეჭდი-

ლი ტექსტი, საოცარი აქცენტებითაა შკარავებს ჯოჯოხეთური დროის ტრაგიკულ გრიმანებსა თუ სოციუმის საბედისწერო კონგულსიებს... ქართველი ერის ბუნებრივი ისტორიული განვითარების დინამიური პროცესების მსხვრევასა და დამახინჯებას...

რაც შეეხება „დიდოსტატის მარჯვენას“, მასში ზეობს ტექსტში უზვად განფენილი პომპეზურობა და თეატრალურ მისტერიათა სილუეტები, რაციობა და ირაციონალურის კლასიკური სიმწყობრე და მოდერნისტული სტილისტიკის არითმია...

ამ რომანში ბევრია შემოქმედის ნების თავისუფლების თანმხლები ტრაგიზმი, რომანტიკულისა და რეალისტურის მარმონიზაციის შედეგები...

ღრმა და წმინდა რომანის ავტორისეული პიეტეტი გარდასული დროისა და ადამიანების მიმართ...


პიროვნებაში დაფარული პოტენციის მაძიებელი და აპოლოგეტი იყო იგი...

მახვილგონიერი, დინამიური და ნიადაგ მოტივირებული, ის საოცრად ჩანდა მოთვინიერებული სოციუმის საერთო ცხოვრების ფონზე... ინტელექტუალურად აღზნებული, იგი ჭიუტად ეძებდა პასუხებს ცოდნისა და აზროვნების ფარულ კოთხებებზე...

თვით მისი ცხოვრება იყო საკუთარივე შემოქმედების მწუხარე ანარეკლი, ერთი მძიმე ტენილებით აღბეჭდილი რომანი...

ის იწვევდა აღფრთოვანებასა და რალაც უმოტივაციო სკეპსისს... ადამიანურ იმედსა და მეტაფიზიკურ უიმედობას...

მას ქონდა ტალანტი, გამოიწვია საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღება... ჰყოლოდა და მოენადირებინა „მოსისხლე მტრებიცა“ და ფანტიკური თაყვანისმცემლებიც... არავის მიმართ არ ყოფილიყო ნეიტრალური და გულგრილი...



სულ ბოლოს, გაბუნდოვანებული წარსულიდან გამოხმობილი ხილვა... „კოლხური კოშკის“ ჩამუქებულ, იღუშალ სივრცეში აბრეშუმის გრძელხალათსა და სპარსულ ქოშებში მორიალენ ლანდი ღრმად მოხუცისა... ფირფიტასავით თხელი, უმწეო სილუეტოდა იმისა, ვინც თავის ძლევაშოსილ მხრებზე ატარა XX საუკუნის ქართველი მწერლისა და ერისკაცის კოლოსალური ღირსება... რომლის აწუკვე მხოლოდ დაღლილი ამაყი თვალეზიდა ავლენდნენ ერთ დროს ცეცხლოვანი ყოფიერების მიმქრალ შარავანდედს...



ლიტერატურათმცოდნეობა, სხვა მეცნიერებათა მსგავსად, საზოგადო პარადიგმათა მუდმივ ცვლას განიცდის... ამ მხრივ ფრიად უნიკალურია ჩვენს თვალწინ ჩავლილი XX საუკუნე... ეს იყო ეპოქა, როცა ყალიბდებოდა მხატვრული ტექსტის აღქმისა და განსჯის ახალი მეთოდოლოგიები...

გერონტი ქიქოძის ინტელექტუალური ბიოგრაფია სწორედ ამ ე.წ. „დეკონსტრუქტივისტული“ პროცესებიდან იღებდა დასაბამს...

ბრწყინვალე კულტუროლოგი და უზადო ლიტერატორი, უნივერსალური მასშტაბებით მოაზროვნე ინტელიგენტი და თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე, იგი ერთი იმ იშვიათთაგანი იყო, ვინც დაამკვიდრა და ტრადიციად აქცია ფილოლოგიური აზროვნების ახალი კულტურა, გააფართოვა და გააღრმავა ჰუმანიტარული კვლევების არეალი...

სწორედ მის სახელს უკავშირდება კონკრეტული ლიტერატურული ტექსტის ფართო მეტაკულტურულ კონტექსტში ჩართვა და ჰუმანიტარულ კონცეპტუალური ანალიზი...

შესაძლოა, მან ჩვენში პირველმა სცა-

და აღმოეჩინა ახალი პერსპექტივა მხატვრული ტექსტის რეცეფციული კონტაქტის თვალსაზრისით... რაც ბუნებრივია, ლიტერატურის სოციალური ფუნქციის კვლევასაც გულისხმობდა...

გერონტი ქიქოძისეულმა „მეთოდმა“ თავისში შესძლო სინთეზირება მრავალწახანაგოვანი ესთეტიკურ-ფილოსოფიური თუ კულტურულ-ისტორიული დისკურსებისა... რამაც კიდევ უფრო გააღრმავა ეროვნული მენტალობის საფუძვლიანი აღქმა-გააზრება...

ლიტერატურათმცოდნეობის ორიენტაცია ქმნილების „თვითკმარი“ ცალმხრივი ანალიზის წინააღმდეგ – მისი, როგორც ანალიტიკოსის პრიორიტეტულ სტრატეგიას წარმოადგენდა...

მხატვრული ლიტერატურა, როგორც არა მხოლოდ ტექნიკა, არა მხოლოდ სტილი, არამედ როგორც უნივერსალური კულტურის ფოკუსი და ნიშანსვეტი, როგორც გლობალური ისტორიის სეგმენტი, ერის სულიერი ყოფიერების გამოხატულება... თვითშემეცნება იმისა, რომ ის თვითონაა ისტორია, თვითონაა ეპოქისა და ეროვნულობის, დროისა და სივრცის პროტაგონისტი...

გერონტი ქიქოძის ამ ფუძემდებლურ პოსტულატებს პროფეტული აზრი და ფლერადობა ჰქონდა... აქ, ამ შემთხვევაში, ფილოლოგი იძენდა ისტორიკოსის სტატუსსაც, შეისწავლა რა მხატვრული ტექსტების საფუძველზე ზოგადი კულტურის ისტორიას, მკვლევარისათვის პრიორიტეტული აწუკვე აზროვნების უნივერსალური მასშტაბები ხდებოდა...

ფილოლოგიური კვლევა-ანალიზის ამ აღლება ზოგადჰუმანიტარულ სიბრტყეზე, ახალი უპირობო მოთხოვნილებათა უმთავრეს პარადიგმად იქცა... აქ, ამ სივრცეში უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს ლიტერატურათმცოდნე და სო-

ციოლოგი, ფსიქოლოგი და ისტორი-  
ოგრაფი, კულტუროლოგი და ფილოსო-  
ფოსი...

„ტექსტი“ და „სიტყვა“ – ამდიდი ლიტ-  
ერატორისათვის, კულტურის გადარჩენის  
საკრალური სიმბოლოები იყო. ფრიად  
საგულისხმოა, რომ სწორედ მისთვის ორ-  
განულმა ამ იდეებმა განსაზღვრეს XX  
საუკუნის ლიტერატურათმცოდნეობის  
პრიორიტეტული კვლევები...

გერონტი ქიქოძისათვის, როგორც  
მოაზროვნისათვის სამყარო მხოლოდ  
პოლიტიკური ისტორიების ასპარეზი არ  
ყოფილა... იგი იმავ დროს აზრის, ფიქრე-  
ბისა და რწმენის ისტორიაცაა. და ეს ის-  
ტორიები სრულიად ამოუცნობია ერთ-  
მანეთთან უმჭიდროესი კავშირების  
გარეშე... რადგან მათ ერთი საერთო პირვ-  
ელსაწყისი მსჯელავს და ანიჭებს არსე-  
ბობის უფლებას... და ეს, ადამიანურ სა-  
ზოგადოებათა კულტურული კონტექს-  
ტია...

სამყაროს სწორედ ამ ურთულესი და  
უფაქიზესი ფენომენის – კულტურის აღ-  
ქმა და წვდომა ამ უნიკალური კულტურ-  
ოლოგის ამოცანა და მიზანი...

კვლევა იმ კულტურისა, რომელიც  
ერის სულის მანიფესტაციად წარ-  
მოიდგინება, რომელიც მთელის სისავსით  
ავლენს მის მენტალობას და იძლევა  
განადებს ადამიანური ყოფიერების ყვე-  
ლა სხვა ფორმათა ამოსაცნობად. ლიტერ-  
ატურული ტექსტი, როგორც ისტორიუ-  
ლი სიტუაცია, მისი, როგორც ლიტერა-  
ტორის ურყევი ესთეტიკური კრედიო...

მხატვრულ თუ ისტორიულ ტე-  
ქსტებთან ამგვარი მიდგომები უაღრესად  
მნიშვნელოვანი იყო მისი ესთეტიკური  
კვლევებისათვის... კონკრეტულისა და  
ზოგადის იმგვარი სინქრონიზაციისათვის,  
რომლის მსგავსს იშვიათად თუ აღმოაჩენს  
ლიტერატორი...

არსებითად, გერონტი ქიქოძე თავის  
ნააზრევში უახლოვდება კულტურულ  
კონცეპტების იმგვარ აღქმას, რომელიც  
აქტუალურს ზღის არა მხოლოდ ემპირი-  
კას, არა მხოლოდ კონკრეტულ მოცემუ-  
ლობას, არამედ მეტაკულტურის კონცეპ-  
ტუალურ საზრისს... ეს ყოველივე კი,  
უკვე აშკარა რეაქცია იყო იმანენტური  
ესთეტიკისა და ლიტერატურის ავტონო-  
მიზაციის იდეის მიმართ...

საოცრად თანამედროვეა გერონტი  
ქიქოძის „ისტორიზმი“... ის არ არის ლიტ-  
ერატურულ-ისტორიული დოკუმენტებ-  
ის „ანტიკვარი“, ის არც ბიოგრაფიული  
მეთოდის (ი. ტენი) მიმდევარია...

ის უფრო უხსოვარი დროიდან მომავა-  
ლი კოლოსალური სულიერი  
გამოცდილებით აღბეჭდილი ინტელექ-  
ტუალური „ბილოგრიფია“, ყველაფერი  
რომ უნახავს და განუცდია...

ლაღი და განუმეორებელი მო-  
ქართულე, ერის ქეშმარიტი განმანათლე-  
ბლის ღრმა შეგნებით მოხილი, ის იმ ღირე-  
ბულებებითა და ორიენტაციებით  
აზროვნებდა, რომელთაც სულიერად  
უნდა გადაერჩინა ისტორიული უიღბლო-  
ბით განაწამები ერი...

მისი ყოველი ქმნილება კლასიკური  
აზროვნების გამოვლინებაა... მწერლისა  
და ინტელიგენტის თვითინტერპრეტა-  
ციაა, სამყაროს კულტურისა და ისტორი-  
ის ლაბირინთებში ღრმად განდობილ სუ-  
ლითმეტყველის მონოლოგია...

მისგან მოთხრობილი ისტორიისა თუ  
კულტურის სივრცეებში ზედებიან  
თითქოს ერთმანეთს მკითხველი და ტექს-  
ტი... თანამედროვე რეცეფციულ-შერბე-  
ნევიტიკული ლიტერატურათმცოდნეო-  
ბის ეს ორი პროტაგონისტი, რომელთა  
ურთიერთობის პერსპექტივას „მოლოდ-  
ინის ჰორიზონტებად“ (ჰ. იაუსი) იხსენიე-  
ბენ ხოლმე თანამედროვენი... იმ მოლოდ-



ინის ჰორიზონტებად, რომელთა გადაკვეთაზეც იბადებიან ნამდვილი ქმნილებანი...

სწორედ ამ პროვინციული შეხვედრისას ხდება საცნაური არსი კულტურისა, როგორც ადამიანური ბედისწერის ერთადერთი საკრალური პარადიგმისა...

ასეთი იყო იგი, ქართული ლიტერატურული აზროვნების ეს ერთხმად აღიარებული მეტრი, სულიერი გამობრწყინების ეს კლასიკური გამოვლინება...



დავით კაკაბაძის ფერწერულსა თუ გრაფიკულ ქმნილებებში უჩვეულოდ „იზრდება“ საგანთა სიღრმე, მათი ზემოქმედების ინტენსივობა და რაც მთავარია, სილუეტურად წარმოსახულ ფიგურათა „უფლებრივი“ როლი...

ხელოვანის უკიდურესად გამახვილებულ გრძობად-ემოციური თვალთახედვის წინაშე რეალობა და ფანტაზია, სინამდვილე და გამოხატულება, კოლორიტის, სიუჟეტისა და ნახატის იმ ჰარმონიულ ერთიანობად გარდაისახება, რომელიც დრამატისთვის არაოპტიმალური აღბეჭდილი და გაჭერებული...

ეს, ის ბედნიერი „წამია“, როცა ფერები საკრალური ტექსტის ფუნქციას იძენენ, როცა ნახატის აურა შენს წინაშე ვირტუალურ წარმოდგენათა მთელ სპექტრს გადაშლის...

შინაგანი უკიდურესად დაძაბული რიტმით ათრთოლებულ ქმნილებათა წინაშე ძალუმაღ იგრძნობ მათსავე ზენატურალისტურ ბუნებას...

ფერწერული აზროვნების ეს ტიპი, არა მხოლოდ გაურბის უტრირებული სიცხადის, ჩანაფიქრის ნატურალისტური წარმოსახვის პოეტიკას, არამედ პრინციპულად ამკვიდრებს ადამიანში ახალი

ემოციური კულტურის შესახებ...  
 შიშვენიერება  
 ბიზნესი

რწმუნდები, რომ სამყაროს იდუმალ შესაბამისობათა გიგანტური კლავიატურა მხატვრის პლასტიკური ცნობიერების ის ენერგეტიკული ველია, რომლის აღქმა-განსახოვნებას, შინაგან ინტუიციასთან ერთად, ინტელექტუალური მზაობა სჭირდება, რათა არ დაითრგუნოს მისთვის ღრმად შეცნობილი სტილისტიკის „უხერხულობანი“...

დავით კაკაბაძის თვალწინ გადაშლილი სამყარო, მისივე აზრით, „შესახსნორებელი“ და „გასაუმჯობესებელი“... რომ ვიზუალური აღქმის მიღმა, ფერთა და ნახაზთა ის იდუმალი პეიზაჟები ილანდება, რომელთაც მხოლოდ დიდი ხელოვანის თვალი ამჩნევს და ხედავს... ეს „პიკანტური ტყუილი“, არა მხოლოდ ხელოვანის უფლება, არამედ ღვთისგან ნაბოძები პრივილეგიაა...

მისთვის არაორგანულია ესთეტიკა, როცა ნატურა იაზრება და წარმოსახება მთლიანობაში, ისე რომ არაა დარღვეული მისი მატერიალური ლოგიკა...

საკუთარი სტილისტიკის კულმინაციებში, თითქოს უარყოფილია ფორმის მოდელირების პრინციპი... და მაინც, რაოდენი დინამიკა და ფიქრია ამ იდუმალი მშვენიერებით სხივფენილ პლასტიკაში... მარტოობის რომანტიკული სევდის რა მწუხარებაა ამეტყველებული ხელოვანის შედეგებში... ან პეიზაჟური ფერწერის რაოდენი თრთოლვა და ვნებიანი უსაზღვროებაა „დატყვებული“ მის მშვენიერ ქმნილებებში...

და მაინც რა არის ის მაგიური, რითაც მიიღწევა დიდი სიანლის გამოსხივება... რატომ გვიზიდავს ასე მძაფრად მისი უნიკალური ხელოვნება... მისი ღრმა ანალიტიკური აზროვნებითა და მხატვრული გემოვნებით შექმნილი „ჯადოსნური ფანტასმაგორიები“...



შალვა კარმელის, როგორც პოეტის ხვედრი, კანონზომიერად თავსდება ეპოქის იმ კონტექსტში, რომლის კულტუროლოგიურ სახეს განაპირობებდნენ ნეორომანტიკული იდეალებიცა და ფანტასმაგორიული მსოფლხედვაც, თეოსოფიური მისტიფიკაციებიცა და ამოკალიფსური მსოფლშეგრძნებაც...

ვითარცა ერთი „მარგალიტის ნიჟარაში გამომწვევდელი ობოლი სული“, ისიც გულწრფელად ცდილობდა ვრცელ და დაუსაბამო მითოპოეტურ პანორამად ექცია ტრაგიკული კონვულსიებით აღბეჭდილი რეალობაცა და სადღაც შორს მოციმციმე ისტორიული სილუეტებიც...

გალანტურ რითმებად და მეტაფორებად სუბლიმირდება მის პოეზიაში ადამიანური გრძნობები და ემოციები...

სავარაუდოა, რომ ინტელექტუალური თინით აღზნებულმა, მან, სრულიად ახალგაზრდამ, ხარბად შეისრუტა მისთვის უცნობი თუ შორეული სულიერი გამოცდილებანი...

დელიკატური და „ფრთხილი“, ის პათეტურად გულისამაჩუყებელი, „მორჩილი“ და თვინიერია თითქოს... ოსტატური ქარაგმებისა და მოულოდნელი სენტენციების შემოქმედი, ბოლომდე ჯადოსნურ ოცნებათა ბინადრად რჩება...

ის, ალაფრთოვანა და დაატყვევა გოტიეს, ბოდლერის, ნიცშეს, ვაგნერის, ევროპელი თუ რუსი სიმბოლისტების ფანტასტიურმა ქმნილებებმა...

მათგან ძალუმაღ „მონაბერმა“ მისტიკური ინდივიდუალიზმის უნივერსალურმა დოქტრინამ, მნიშვნელოვანწილად განაპირობა ჰაბუკი პოეტის სულიერი დისკომფორტი და განდევლობა... გაადვიდა მასში თვითშემეცნების გამაფრებული ინტერესი... ტრანსცენდენტალიზმი, ანუ პიროვნული ინტრო-

სპექციით სულის წრთვნა, კედევ ერთი საგულისხმოდ შტრახია ამ შემოქმედის მცნატალობისა...

„მთვლემარე თუ გაქვავებულ“ ემბლემატად „დაყუდებული“ წარსული და აწყყო იმ მიმზიდველ ასპარეზად წარმოიდგინებოდა, რომლის დაუფლების თინათაც აღივსო შალვა კარმელის შემოქმედებითი ყოფიერება... პურიტანისა და ვიზიონერის ბედნიერი შერწყმა იქცა მისი ქმნილებების მომავალი სიცოცხლის გარანტად...

შთამბეჭდავი ალუზიებისა და რემინისცენციების სიჭარბე, მისი ისტორიული და კულტურული მესხიერების განსაცვიფრებელ მასშტაბებს აღწუნსავს...

აღბათ ისიც საგულისხმოა, რომ მის პოეზიაში შინაგანი გაორების, ე.წ. ამბივალენტიზმის შეფარული რეფლექსიებიც შეინიშნება... იქცევს... სხვად“, შეუერთდეს ზერეალობის ნებას, რათა ეზიაროს უნივერსუმის მარმონიულ მთლიანობას, და ამ ინტენციის სრული ანტინომია – შიში დამოუკიდებლობის დაკარგვისა, იდენტურობის შენარჩუნების წადილი...

თავისი ლექსის ესთეტიკით მან ერთხელ კედევ ნათელყო პოეზიის ამოუწურავი შესაძლებლობები, თუნდაც სიტყვის უსაზღვრო სემანტიკური ექვივალენტების სახით... ნათელყო ისიც, რომ ფიგურები, ტროპები, მეტაფორები, რითმები თუ ალიტერაციები, ოდენ მხოლოდ ლექსის დეტალები და სამკაულები კი არ არიან, არამედ მის განმსაზღვრელ და არსობრივ სუბსტანციებს წარმოადგენენ...

იცხოვრა, როგორც ფაქიზმაც და დაუდევარმაც, გულუბრყვილომაც და ერუდიტმაც, გულჩათხრობილმაცა და „მეამბოხემაც“...

ღრმა და გულწრფელია მისი პოეზიიდან მომდინარე კლასიკური თუ „ატონალური“ მელიოდიები...



ღრმა ხევდაა მისი ელემენტური ლექსების ლაიტმოტივი... ფანტასმაგორიები თუ ნატურალისტური მისტიკა აქ დაუვიწყარია თავისი ტკივილითა და სავანგაშო მელანქოლიით...

მუდმივად თანმდევ ამ განცდას, ჩემთვის კიდევ უფრო ამძიმებს მისი ძალზედ ხანმოკლე სიცოცხლის მოახლოვებული დასასრულის „ცოდნა“...



ამაღლებული და სათუთი ფიქრის საგანია ლადო ასათიანის პოეზია... რა იყო მისი ხანმოკლე სიცოცხლე, თუ არა რომანტიკული ჭაბუკის პოეტურ მონოლოგებად გარდასახული ხევდა, სიყვარულის რწმენით გაკეთილშობილებული სასოწარკვეთა და არაამქვეყნიური სამოთხეების ნოსტალგიით „თრობა“ სულისა...

საოცრად შთამბეჭდავი და მრავლისმეტყველია პოეტის მღელვარე სულის „კარდიოგრამა“...

მასში დიდი რომანტიკული ეპოქებისათვის ჩვეული რეგისტრები სახიერდებიან...

ტრადიციული მითოლოგიებიდან თუ სხვა ეროვნული კულტურული პლასტებიდან გამოყოლილ ლიტერატურულ ტოპოსებს, რომელთაგან მრავალი მხოლოდ უფერულ კლიშეებსღა წარმოადგენდა, ლადო ასათიანის სულის ენერგეტიკამ ის უმძაფრესი სურნელება მიანიჭა, რომელმაც სრულიად ახალი სიცოცხლით აღბეჭდა ქართული ლექსი...

უნიკალური შინაგანი კონცენტრაციით მიღწეულია სიტყვისა და აზრის იმგვარი სიმხურვალე, რომლის სივრცეში თვით სახე-სტერეოტიპებიც კი, რაღაც მაგიურ ბრწყინვალეებას იძენენ და მაღალი პოეზიის განცდით შემოდიან მკითხველის ცნობიერებაში...

დაბეჭითებით შეიძლება ითქვას, რომ

მის პოეზიაში არ იბოვება ლექსის ერთმედიც არ იყოს ლექსი - მისი ნამდვილი აზრითა და მნიშვნელობით... ამ მზრიავეც უნიკალურია იგი... ლორკასეული „დუნედეს“ ყვავილოვნებაა მასში თითქოს განსახიერებული...

ისიც საგულისხმოა, რომ მისმა პოეტურმა წარმოსახვებმა დაიტიეს და გაიშინაგანეს სულის მდგომარეობის უჩვეულოდ ღრმა ანტინომიები: მწუხარებისა და იმედის, სკეპსისისა და რწმენის სახით...

ლადო ასათიანის პოეზია ლირიკული მონოლოგია ადამიანისა, რომელსაც გულწრფელად სწამდა: სულის უკვდავება, შემოქმედის სიბრძნე, ადამიანის სილამაზე, სამშობლოს სიყვარული და პოეზიის საკრალური უფლებამოსილება...

გადამდება მისი პათეტიკური ვედრება-მონოლოგების, ზოგადად კი მისი სახისმეტყველების შთამაგონებელი ფერადოვნება... ამ კრისტალური ტექსტების ქართული არომატი და სიხასხასე...

ის, სულით სხეულზე ამაღლებული, დღის სიკაშკაშესა და საკუთარ არსებაში აფეთქებული მზიური ბუნების რეალიზაციაზე ოცნებობდა...

ოცნებობდა იმ შემაძრწუნებელი სიხასტიკისა და ინფერნალური ყოფიერების პირობებში, რომელიც ადამიანს ავიწყებდა სიმწნევესა და ვაჟაკობას, უკარგავდა სიხარულისა და ბედნიერებისადმი ნდობას...

ის, რა თქმა უნდა, არ იყო და ვერც იქნებოდა სისხლიანი ჟამის წინააღმდეგ ამხედრებული „ბუნტარი“... ანუ არსებული ჭოჭოხეთის მოდელირებით „გატაცებული“ ანალიტიკოსი...

შემოქმედის ეს როლი, იმ დროებამ კარგახნით დაადუმა და დაასამარა...

„სამაგიეროდ“ მან შესძლო ეროვნული სულის გამოშნატველ იმგვარ „საგალო-



ბელთა“ შექმნა, ლირიკულ აღსარებათა იმგვარი ადამიანური ტკივილებით აღბეჭდვა, ქართულ პოეზიაში სულის იმგვარი თრთოლვის დამკვიდრება, რომელთა გარეშეც წარმოუდგენელია ქართული პოეზია...

ლადო ასათიანის, არყოფნასთან ახალგაზრდობიდანვე პირისპირ მდგარი ჭაბუკის ლირიკული მედიტაციები, თვალსაჩინო ილუსტრაცია იმ მაგიური ჭეშმარიტებისა, რომ არის ზოლმე შემოქმედის ცხოვრებაში „წუთები“, როცა ის, კიდევ უფრო მეტია ვიდრე ადამიანი... და რომ სიცოცხლის ფარული აზრის წვდომა, მხოლოდ ხანგრძლივი ყოფიერებისა და გამოცდილების „წყალობა“ არ არის... სულის სიმწიფე და ამ საკრალური სიმწიფის გამოსხივების ხარისხია ალბათ არსებითი და გადამწყვეტი...

რომანტიკული განცდებით ნეტარი და პოეზიასთან განდობილის უფლებით ამაღლებული, ის მაინც მაღლიერი იყო ალბათ, მისთვის განკუთვნილი მცირედი სიცოცხლისაც კი...

მაღლიერი იყო იმისა, რომ პოეზიის „ნებიერ ფრთებზე“ მონანავემ, მან მთელი სისავსით შეიძინო და დაიგემოვნა ამ წუთისოფლის იდუმალ სიტკბობათა თუ უხილავ ბედნიერებათა „აფერადებული ლაჟვარდები“... ფიროსმანისეული ის სულისმიერი სამოთხეები, რომლის დანახვასა და განცდას, მოკვდავთა ათი სიცოცხლეც კი არ მყოფნის...

საკუთარი სიმაღლით ამაყი, ტანჯული და მაინც უსაზღვროდ თავისუფალი

გაუყვა იგი მარადისობის „გარდობა“ გზას...

პოეზია იყო მისი სიხარულისა და ბედნიერების ერთადერთი მოწამე და მონაწილე... მისი რაინდულად მღერადი სულის ნუგეში...

ლადო ასათიანის, ამ თხემითტერფამდე ქართული მოვლენის კლასიკური ლექსი, იმ ეროვნულ სულიერ ფასეულობათა რანგში წარმოიდგინება, რომელთა მიმართ ყოველთვის უმწეოა დრო-ჟამთა უნიჭო ახირებანი თუ კაპრიზები...

ერის მარადიული თანამგზავრის უფლებამოსილებით სდგება იგი ჩვენს წინაშე...

არა ერთ დიდ შემოქმედთან ერთად, ქართული XX საუკუნე ლადო ასათიანის სახელითაც მოიწონებს თავს მომავალში...

ამგვარ აღიარებაზე აღმატებული პატივი კი ამ ქვეყნად, აღარც კი არსებობს...

და ბოლოს:

სრული ეკზისტენციური ქაოსის ზღვარზე ბალანსირებული, რაღაც „ახალი“ ესთეტიკითა და „მორალიტეებით“ უკიდურესად დამძიმებული ჩვენი რეალობა, კიდევ უფრო ამძაფრებს ჭეშმარიტ ლიტერატურასთან განმარტოვების სურვილს... რადგან უნდა გვახსოვდეს და ვიცოდეთ, რომ ისტორიულად, სულიერების მყარი სანქციის ერთი გარანტორთაგანია ესთეტიკური სამყარო...

ესთეტიკური სამყარო, ვითარცა ზნეობისა და მორალის ღმერთისგან დადგენილი წმინდა საკურთხეველი...



## ამონიღილ პრაბჷლი

### ეაოძის შეკვეთა

(ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ახალი რედაქციის გამოსვლის გამო)

განმარტებით ლექსიკონს ყოველი ერისა და ენისათვის ეპოქალური მნიშვნელობა აქვს და ეს, პირველ რიგში, იმ აზრით ითქმის, რომ ასეთი ლექსიკონის შექმნის შეკვეთას თავად გარემოებათა ფართო კონტექსტი, ანუ ეპოქა, იძლევა. ამ შეფასებაში არ არის არავითარი გაზვიადება. ყველგან ასე აფასებდნენ ამგვარი დედალექსიკონის შექმნას. ასეა ეს საქართველოშიც. განა შეიძლება გადაჭარბება დასჭირდეს იმის შეფასებას, თუ რა ფასეულობას წარმოადგენს ქართველი ერისათვის სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონა“ – თუ თავად საბას შესაბამისი მინიშნების აზრობრივ პერიფრაზს მივმართავთ, – ჩვენამდე მოღწეული პირველი განმარტებითი ლექსიკონი ქართული ენისა.

თავად სულხან-საბას „ანდერქნამაგ ში“ (თანამედროვე გაგებით – წინათქმაში) არის ამგვარი ეპოქალური მნიშვნელობის შეფასება, როდესაც დიდი ლექსიკოგრაფი ქართული ენის განვითარებაში ლექსიკონის მნიშვნელობას ეხება: „მე, სულხან-საბა ორბელიანსა, ჭაბუკობისა უამსა და სიყრმესა ფრიადი შრომა დამიცხამა წიგნსა ზედა. რამეთუ ქართულთა ენათა ლექსიკონი აღარ იპოებოდა, რამეთუ უამთა ვითარებითა უჩინო ქმნილ იყო... ვინათგან პატრიოსანი ესე წიგნი დაჰკარგოდათ, ენა ქართული თვისთა ნებაზედ გაერყვნათ.“

ვანტანგ მეფის ბიძამ, გიორგი მეფემ, მიბრძანა ამისი კელყოფა“.

რა არის ამ ციტატაში ნათქვამი?


პირველი ის, რომ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი ადრეც არსებულა.

მეორე: თუ (სანამ) ენას ლექსიკონი აქვს, ის დაცულია.

მესამე: დამდგარა ეპოქა, როდესაც განმარტებითი ლექსიკონის „შიმშილი“ კვლავ აუტანელი გამხდარა და, განგების ნებით, მოვლენილა მისი შექმნიელიც.

რომელი იყო ის ადრინდელი დრო, როდესაც ქართველებს ლექსიკონი ჰქონდათ, ან რა წყაროების საფუძველზე გვაწვდიდა ამგვარ ინფორმაციას სულხან-საბა, ჩვენთვის ცნობილი არ არის, მაგრამ ის კი აშკარაა, რომ თავად საბას ლექსიკონს ასაზრდოებს გარკვეული ლექსიკოგრაფიული წყაროები; მაგალითად, მას ზოგი განმარტება აშკარად ნახესხები აქვს XI ს-ის დიდი სასულიერო მოღვაწის ეფრემ მცირის განმარტებებიდან და კომენტარებიდან. ეფრემ მცირის, იოანე პეტრიწის, ათონელების დიდ მთარგმნელობით და საღვთისმეტყველო მოღვაწეობაში რომ ფასდაუდებელი ლექსიკოგრაფიული სამუშაოა შესრულებული, ესეც თვალნათლივ ჩანს.

ამავე დროს, ობიექტურად შეუძლებელია, ქართული კულტურის ისეთი მასშტაბური და საყოველთაო აღმავლო-



ბის ეპოქაში, როგორც რუსთაველის პერიოდია, შეუძლებელია ეროვნული ლექსიკონის აუცილებლობა ფაქტობრივ რეალიზებული არ ყოფილიყო. მეტიც, ამგვარ ეროვნულ იდეას ალბათ გვერდს ვერ აუვლიდა ტაო-კლარჯეთის მწიგნობრული სკოლა, თუმცა შესაძლებელია ისტორიულ ძნელებლობათა ფონზე ამგვარი წამოწყება წარმატებულ დასასრულამდე არ მისულიყო.

აზრის დონეზე უფრო შორსაც შეიძლება გახედვა: პირველი ქართული ქრისტიანული წერილობითი წყაროების შემქმნელებს ერთიანი ეროვნული ლექსიკონი უთუოდ მოეპოვებათ. საიდან? - ეს კითხვა ჭრჭერობით საიდუმლოთა სფეროში რჩება.

სულხან-საბას ანდერძნამაგში უფრო საყურადღებო რამ წერია: „ვანტანგ მეფის ბიძამ, გიორგი მეფემ, მიბრძანა ამისი ჳელყოფა“. ნათუ იმ ყოველმხრივ ძნელებლობათა უამს ჩვენს გვირგვინოსნებს იმისთვისაც რჩებოდათ ფიქრისა და ჳრუნვის უამი, რომ ეს ლექსიკონი არ დაჳკლებოდა?

დიახ, იმ სულმნათ ერისკაცებს ღრმად ჳქონდათ შეგნებული, რომ პური სულისა ნაკლები მნიშვნელობისა არ იყო ჳვეყნის გადასარჩენად და სულიერი ლაშქარი მეფეთა შეჳურვილი ლაშქრის სიმტკიცე იყო ათასგვარ მტერთან ბრძოლისას. ეს უკანასკნელი ფრაზა გრიგოლ ხანძთელისდროინდელი იდეის პერიფრაზია, ამიტომაც ბარემ ვიტყვი, რომ ბაგრატიონთა მამამთავრის - სულმნათი აშოტ კურაპალატის - განსაკუთრებული ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ მან, საქართველოს გადარჩენაზე გამწარებით მოფიქრალმა სრულიად ახალგაზრდა მეფემ, ასევე ახალგაზრდა „დამწყებ“ სასულიერო მოღვაწეს, გრიგოლ ხანძთელს, მასთან მხარდაჳერისათვის მისულს, ის კი არ

უთხრა, - სად გვცხელა ბერთა ლოცვისა და მწიგნობრობისათვის, ჳვეყანა გვეყვს ფეხზე დასაყენებელი და დედაქალაქი დასაბრუნებელიო, არამედ სწორედ სულიერებასა და მწიგნობრობაში დაინახა ჳეშმარიტი გზა სახელმწიფოს გადარჩენისა.

დიდება მათ და მათი ჳელმწიფური აზრის სიდიადეს! საქართველოს ისტორია - გაუგონარ განსაცდელთა მატთანე - სახსეა ამგვარ ამადლებულ მოღვაწეთა ჳველი მაგალითებით და დღევანდელი, მხოლოდ მატერიალურს გადაგებული სულისკვეთება, უპირველესად, ამ თვალსაზრისით არის არაქართული და არატრადიციული.

კიდევ ერთი მაგალითი დიდი საქმისადმი სახელმწიფოებრივი დამოკიდებულებისა, თანაც - იმ შეჩვენებულ სოციალისტურ ეპოქაში. II მსოფლიო ომი ახალდამთავრებული იყო და ჳვეყანა გადატაკებული, როდესაც ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის სამუშაოები დაიწყო (I ტ. გამოვიდა 1950 წელს), მაგრამ ეს სამუშაო ყოველმხრივ იყო მატერიალურად უზრუნველყოფილი და ამიტომაც მოხერხდა ამ ეროვნულ საქმეში საუკეთესო ინტელექტუალური ძალების მოზიდვა...

იმისათვის, რომ მკითხველმა უკეთ წარმოიდგინოს ნახევარ საუკუნეზე მეტით დაცილებული დრო და ვითარება, დავასახელოთ „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ 8-ტომეულის შემოქმედთა ძირითადი ნაწილი:

ლექსიკონის მთავარი რედაქცია: არნოლდ ჩიქობავა, გიორგი ახვლედიანი, გიორგი წერეთელი, ვარლამ თოფური, სიმონ ვაჩნაძე, ვიქტორ კუპრაძე, თამარ ლომოური.

სარედაქციო სამუშაოებში მონაწილეობას იღებდნენ: ვუკოლ ბერიძე, სოლომონ



იორდანიშვილი, ქეთევან ლომთათიძე, ილია ზურაბიშვილი, თედო სახაკია, გერონტი ქიქოძე, ალექსანდრე მაყაშვილი, იულონ ლომოური, ნიკო კეცხოველი, არჩილ ჭანაშვილი...

უშუალოდ სალექსიკონო მასალის მომზადებაზე მუშაობდნენ: სიმონ ვარნაძე, ბაბო წერეთელი, რუსუდან გაგუა, ნუნუ საყვარელიძე, ნადია საბაშვილი, შოთა გაფრინდაშვილი, პოლიევქტ გარეჩილაძე, მიხეილ ჭაბაშვილი, ევგენი ჭეირანიშვილი, სტეფანე მენთეშაშვილი...

რვატომეულის მთავარი რედაქტორი გახლდათ აკად. არნოლდ ჩიქობავა; ცალკეული ტომების რედაქტორები იყვნენ: გიორგი წერეთელი, ვარლამ თოფურია, ქეთევან ლომთათიძე, ივანე გიგინეიშვილი, მიხეილ ჭაბაშვილი, შერი მესხიშვილი.

დასახელებულ ცნობილ მოღვაწეთა პერსონალური შემადგენლობა თავისთავად არის შთამბეჭდავი და აშკარად მეტყველი იმაზე, თუ რაოდენ ფართო მასშტაბით მიმდინარეობდა განმარტებითი ლექსიკონის სამუშაოები და რაოდენ სერიოზული სახელმწიფო მხარდაჭერა ჰქონდა მას.

შესაძლებელია თუ არა დღევანდელ დღესაც ვილაპარაკოთ ჩვენ ანალოგიური ვითარებასა და საფუძვლებზე?

სავალალოდ, არა!

ჭერ ერთი, უკანასკნელ წლებში თითქმის არაფერი კეთდება იმისათვის, რომ მეცნიერებაში მოზიდული და შენარჩუნებული იყოს ის კადრები, რომლებიც პროფესიული დონითა და ერთგულებით გასწევენ მემკვიდრეობის მძიმე უღელს. იმის გამო, რომ მეცნიერების ასპარეზზე ახალი ძალების მოზიდვა თითქმის ვერ ხერხდება, თაობათა ცვლის ბუნებრივი

პროცესი არსებითად დარღვეულია და სამეცნიერო სკოლები საბედისწეროდ განიცდის დაბერებისა და კადრების შემცირების პროცესს. მეტიც შეიძლება ითქვას: არსებითად ყველაფერი კეთდება იმისათვის, როს ეს პროცესი კიდევ უფრო დაჩქარდეს. ამისი პირდაპირი გამოხატულებაა როგორც სამეცნიერო სფეროს დაფინანსების არსებითი გაყინვა, — მეცნიერის ხელფასი კვლავაც რჩება საარსებო მინიმუმზე დაბლა. შეადარეთ: ცალმხრივი, მიზანმიმართული „კონკურსების“ შედეგად შერჩეული საუნივერსიტეტო აკადემიური თანამდებობა განისაზღვრება 700 და მეტი ლარი ხელფასით, ხოლო იმავე რანგის მეცნიერ თანამშრომელს კვლევით ინსტიტუტში 170 ლარი აქვს დანიშნული. ადვილი გასაგებია, რომელს აირჩევს კვალიფიციური სპეციალისტი თავისი მომავალი დასაქმებისათვის. ამას დაემატა ის, რომ მეცნიერებათა აკადემიის დაშლამ და ინსტიტუტების ფორსირებულმა რეფორმამ თავის მხრივ დააზარალა ჩვენი საშტატო შემადგელობა. და კიდევ ერთი: მეცნიერების საგრანტო დაფინანსება, რომელიც პირველ რიგში უნივერსიტეტებისაგან სამეცნიერო პოტენციალის ჩამოსაცილებლად იყო გამოიწვეული, რამდენადაც პროცესების მიხედვით წარმოჩნდა, პირველ რიგში სამეცნიერო სკოლებსა და ცალკეულ სპეციალურ განყოფილებებს აყენებს გამოუსწორებელ დარტყმას, რამდენადაც უკეთესი დაფინანსების საფუძველზე ართმევს მათ ყველაზე გამოცდილსა და პერსპექტიულ კადრებს და უპირატესად ნაკლებ კვალიფიციურ, მაგრამ უკეთ ანაზღაურებად სამუშაოზე მიჰყავს.

მეორე ასპექტი პრობლემისა, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლექსიკოგრაფიულ სამუშაოებს და, კერძოდ, ქართული ენის გან-



მარტებითი ლექსიკონის შედგენას:

შეიძლება ითქვას, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და მისი ცალკეული ხელმძღვანელების მხრიდან ყველაფერი გაკეთდა იმისათვის, რომ არათუ ხელი შესწყობოდა ინსტიტუტის ამ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გეგმას, არამედ შეჩერებულიყო და ჩაშლილიყო მაქსიმალურად გათვლილი ლექსიკოგრაფიული სამუშაოები. ჯერ ერთი, მათ უპირობოდ შეწყვიტეს ქართული ენის (ლექსიკოლოგიური) სახელმწიფო პროგრამა, რომელიც სახელმწიფო ენის მუდმივი სახელმწიფო კომისიის (რომელიც ახლა ასევე არის გაუქმებული) მიერ 1999 წელს იქნა დამტკიცებული, თუმცა სახელმწიფოს საბიუჯეტო კრიზისის გამო მხოლოდ ნაწილობრივ ამოქმედდა 2003 წლის შემდეგ. მეორეც: სამინისტროს ხელშეწყობით ცალკეულ კერძო დაწესებულებებში ორგანიზებულ იქნა ლექსიკოგრაფიული „საამქროები“, რომელთაც ასევე მიზნად დაისახეს (დაუსახეს) უკეთესი ანაზღაურების ზიბლით „გადაქაონ“ ინსტიტუტის სამეცნიერო პოტენციალი... აღარას ვამბობთ იმ მორალურ (დემორალ-იზაციის) ატმოსფეროზე, რომელიც სამეცნიერო დაწესებულებებში რეფორმის ფონზე შექმნეს ამისთვის მოწოდებული სახელმწიფო ინსტიტუტებმა.

ხიაში სომეხი ბაგრატიონი მეფეების განუსაზღვრელი ძალაუფლების ილუზიურ სურათს ჰქმნის და მხოლოდ სომხური სამეფოების დაუსტებობა და თანდათანობითი გაქრობის კვალობაზე, შუა საუკუნეების სომეხ ავტორთა თხრობის შედიდური ტონი და პეგეზონისტური ამბიციები თანდათან ცხრება.

სომხური ეკლესიისა და შვერლობის გარჯით მ. ხორენაცის იდეები გამორჩეული ერის შესაფერის მთავალზე საუკუნეების განმავლობაში ძლიერ ზემოქმედებად სომეხთა ცნობიერებაზე და ამ პრეტენზიათა რეალიზაციის დროს მოთმინებით ელოდა. აქედან გამომდინარე, სომეხთა კავკასიური პოლიტიკის დამოკიდებულება ცოცხალ ღეგენდად ქცეულ ტრადიციასზე სასუსებით მისალოდნელი და, ალბათ, ბუნებრივად იყო.

2. 1918-1920 66.-ის პოლიტიკური პრობლემათა გეგმობითი მართვითი პირობები საქსახალი

კავკასია ძველთაგანვე მსოფლიო მნიშვნელობის საგაქრო და სამხედრო-სტრატეგიული მაგისტრალის გზასაყარს წარმოადგენდა, რამაც ის აღმოსავლეთისა და დასავლეთის სამყაროს დამაკავშირებელ ოქროს ხიდად აქცია. ვანგების მიერ კუთვნილმა ამ ერთობსაბაბით და, ამასთანავე, სახედათო როლმა ეს რეგიონი დიდ სახელმწიფოთა საცილობელ ტერიტორიად გაწარა. კავკასიის დაუფლებისათვის ბრძოლის ისტორიის ფაქტები ცხადყოფენ, რომ მის გასაკონტროლებლად მსოფლიოს დიდ სახელმწიფოთა მეტოქეობა ადგილობრივ ხალხებს, თუ ერთი მხრივ, საერთო მტრის წინააღმდეგ აერთიანებდა, მეორე მხრივ, და, ალბათ, უფრო ხშირად, პოლიტიკური ორიენტაციის მხედვით,

ერთმანეთისადმი დაპირისპირებული ნაწილებად თიშავდა მათ. საგანგებო მდგომარეობის ეს ნეგატიური მხარე მთელი ხისრულით წარმოიხდა კავკასიაში რუსეთის გაბატონებისთანავე: მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის მკვანეკური შეცვლა, ხალხების ერთმანეთთან დაპირისპირება, ცალკეული ერთგული სხეულის კუთხური, ეთნოგრაფიული და კონფესიური ნიშნით დაშლა-დანაწილება, ერთგული ენების დეგნა, მათი ისტორიისა და კულტურის წაშლა-აღმოდგენა და სხვა, იმპერიის არსებობის განმავლობაში არ შეწყვეტილა. განსაკუთრებული გულმოდგინებით და მასშტაბებით ეს ღონისძიებები დაუშორნილებელი ქართველების წინააღმდეგ ტარდებოდა.

კავკასიაში რუსეთის გაბატონება სომეხებისა და სომხური პოლიტიკისათვის, განსაზღვრული აზრით, ხელსაყრელიც კი აღმოჩნდა, რამდენადაც თავის საყრდენ სოციალურ ბაზად იმპერიამ სწორედ სომხური ელემენტი აირჩია, რაც ამ უკანასკნელს საშუალებას აძლევდა, თუნდაც შეზღუდულ ფარგლებში, იმავე იმპერიის მოხელეთა მხარდაჭერით, კავკასიის რიგ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ბერკეტებს დაუფლებოდა. სომხური ბურჟუაზიისადმი მთავრობის ხელშეწყობამ თავიდანვე ისეთ მასშტაბებს მიაღწია, რომ ეკონომიკური ცხოვრების სადავეები სულ მალე სომეხი გაქრობის ხელში აღმოჩნდა და რუსული კაპიტალის ინტერესებსაც კი დაუპირისპირდა, რის გამოც XIX ს-ის 70-80-იანი წლებიდან მთავრობა ცდილობდა, უკვე ზღვარი დაეღო ამიერკავკასიაში სომხური კაპიტალის შემდგომი გაძლიერებისათვის.<sup>5</sup> რუსეთის საგაქრო-სამრეწველო კაპიტალის წარმომადგენელი ა. მარკოვი წერდა: ბუნებრივი სიმდიდრით უხვი მხარე (ე.ი. ამიერკავკასია) ჩაყენებულია განსაკუთრებით არახელსაყრელ პირობებში იმის შედეგად, რომ

ქვეყნის მთელი მწარმოებლურობის ექსპლუატაციას ეწევიან სომხები, რომელთაც ხელში ჩაიგდეს მთელი ვაჭრობა და რომლებიც ამჟამად მისწრაფვიან, მისაკუთრონ აქ პოლიტიკური ბატონობაც, ცდილობენ რა, დაიჭირონ ადმინისტრაციული პოსტები.<sup>9</sup>

სომხური ბურჟუაზიის ყურადღება უმთავრესად მიმართული იყო კავკასიის ცენტრალური რაიონებისაკენ, კერძოდ საქართველოსა და მისი დედაქალაქის — თბილისისაკენ, სადაც იმპერიის ერთგული სამსახურის სანაცვლოდ<sup>10</sup>, მძღებელი პრივილეგიებისა და მხარდაჭერის წყალობით, ის თანდათან დაუფლდა ქართული ფეოდალური არისტოკრატის ქონების მნიშვნელოვან ნაწილს და გაბატონებული მდგომარეობა მთიანეთისა და ქალაქებში, განსაკუთრებით კი თბილისში. სომხები ისტორიკოსების ვაშლიანგარიშებით, თბილისის საგაქრო და სამრეწველო სავარშოთა 60%-ზე მეტი სომხ კაპიტალისტებს ეკუთვნისოდათ.<sup>11</sup> მას შემდეგ კი, რაც ქონებრივი ცენზის კანონის შემსწავლით თბილისის საქალაქო თვითმმართველობაც, ფაქტობრივად, მათ ხელში გადავიდა, მსახური ისტორიოგრაფია სომხური ბურჟუაზიის მისწრაფებათა ისტორიულ დასაფუძვლებას შეუდგა, რაც პრაქტიკულად მ. სორენაცის იდეების რეანიმაციას ნიშნავდა. ჩანდა, რომ სომხეთის ტრადიციული კავკასიური პოლიტიკა გაცოცხლებას იწყებდა, რის საფუძველსაც იმპერიის დემოგრაფიული პოლიტიკა ჰქმნიდა, რომლის შედეგობითაც XIX ს-ის დასაწყისიდანვე სომხური მოსახლეობის რიცხვი საქართველოში განუზრგლად იზრდებოდა. უცხოეთიდან სომხების ჩამოსახლება ჯერ კიდევ გენერალმა პავლე ციციანოვმა დაიწყო ერევნის მხრიდან და ირანის აზერბაიჯანიდან, რომელთაც ქვემო ქართლის სოფლებში ასახლებდნენ. ამ საქმეში განსაკუთრებით

გამოიხინა თავი გენერალმა პავლე ციციანოვმა, რომლის გარჯით შესხეთში<sup>12</sup> ათასი სომხები ჩამოსახლეს. ორი ათასი ოჯახზე მეტი ბორჩალოს, წალკის და ბამბაკ-შორაგელის მიდამოებში. მთავრობა შემდგომშიც თანმიმდევრულად განაგრძობდა, ძირითადად, საქართველოს საზღვრისპირა რაიონებში კომპაქტური სომხური მოსახლეობის შექმნას. ამ მიზნების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც ემიგრაციაში წასვლამდე აფხაზებს ეკავათ, XIX ს-ის 80-90-იან წლებში დაიკავეს თურქეთიდან მოსულმა სომხებმა. ამავე პერიოდში სომხური დასახლებები შეიქმნა ბათუმში. სომხების ჩამოსახლება საქართველოში მაქსიმუმ მაილწია XIX-XX სს-ის მიჯნაზე. 5 წლის განმავლობაში (1897-1902) საქართველოში მოვიდა დაახლოებით 55 ათასი სომხები, რომელთა უმრავლესობა ჩასახლდა თბილისში, ბათუმში, გორში, სოხუმში და აფხაზეთის სოფლებში. მარტო თბილისში 1897-1910 წწ-ში სომხების რაოდენობა გადიდდა 46,7 ათასიდან 124,9 ათასამდე, რომელთაგან 68 ათასი მსოფლიო იყო უბრაატესად თურქეთიდან.<sup>12</sup>

ცარიზმის დემოგრაფიული პოლიტიკის აგრესიული ხასიათი იმაშიც ვლინდებოდა, რომ სომხეთი ჩამოსახლებას საზღვრისპირა რაიონებში, მაგალითად, სამცხე-ჯავახეთში, თან სდევდა ქართული მოსახლეობის დევნა-შეგწროება.<sup>13</sup> ლ. ზაგურსკის თქმით, „ქვეყანა ისეთ სახეს იღებდა, თითქოს იგი თავიდანვე სომხებით ყოფილიყო დასახლებული“, მაშინ როდესაც 1828 წლამდე აქ 90% ქართველი იყო.

იმპერიის ანტიქართული პოლიტიკა კავკასიაში თავისთავად, მასტიმულირებელი ფაქტორი იყო სომხური ნაციონალისტური ძალების გააქტიურებისათვის, რის შედეგადაც XIX ს-ის 80-90 წლებიდან სომხური საზოგადოების



ცნობიერებაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებენ ახლადშექმნილი წვრილბურ-  
 ყუაზიული პარტიების ნაციონალიტური  
 შეხედულებები. ამ პარტიებს შორის  
 მოჭარბებული აქტიურობითა და ავან-  
 ტურიზმით გამოირჩეოდა 1890 წ. თბი-  
 ლისში შექმნილი „დამნაკუთოთინი“ (კავ-  
 შირი), რომელიც ანტითურქულთან ერ-  
 თად, ზომიერებას მოკლებულ ანტი-  
 ქართულ პროპაგანდასაც ეწეოდა, ად-  
 გენდა სომეხ მოხალისეთა რაზმებს და  
 სხვ. მისი ეს მოუზომაფი ქმედებანი მით  
 უფრო სახიფათო იყო, რომ ამ პარტიას  
 თავისი ადგილობრივი ორგანიზაციები  
 საქართველოს სოფიურთ ქალაქსა და  
 რაიონშიც ჰქონდა. „არმენაკანების“ და  
 „ფნაკისტებისაგან“ განსხვავებით, რომ-  
 ლებიც სომხეთის საკითხის გადაწყვე-  
 ტას ე.ი. ოსმალეთისაგან დასავლეთ  
 სომხეთის გამოსნახს, ძირითადად, ბერ-  
 ლინის კონგრესის გადაწყვეტილებებს  
 უკავშირებდნენ და სასწრაფოდ მოთხო-  
 ვდნენ 61-ე მუხლით გათვალისწინებ-  
 ული რეფორმების ვატარებას, დაშნაკე-  
 ბმა ამასთან ერთად წამოაყენეს „დიდი  
 სომხეთის“ შექმნის ამბიცოური იდეა,  
 რომელიც გულისხმობდა ტიგრან II  
 დროინდელი, ზღვიდან ზღვამდე გადაჭ-  
 იმული, სომხეთის აღდგენას. თავისი გეგ-  
 მების რეალიზაციის შესაძლებლობას  
 ყველა ეს პარტია დიდ სახელმწიფოთა  
 (რუსეთი, ინგლისი, გერმანია, საფრანგე-  
 თი, ამერიკის შეერთებული შტატები)  
 ჩარევასა და მხარდაჭერაზე ამყარებდა.  
 ამ ფანტასტიკური იდეით გამჭჭვალუ-  
 ლი დაშნაკები რუსეთის მთავრობასთან  
 ვარიეტებით იწყებენ ბრძოლას კავკასია-  
 ში სომეხთა სასარგებლო ადმინისტრაცი-  
 ულ-ტერიტორიული ცვლილებების მის-  
 აღწევად. კავკასიის მეფის ნაცვალთან,  
 ვორონცოვ-დაშკოვთან დაახლოებული  
 აღ. ხატისთვის საშუალებით მათ ბორ-  
 ჩალოსა და ახალქალაქის მაზრების  
 თბილისის გუბერნიიდან მოწყვეტა და

გუმბრთან შეერთება მოითხოვდა. გუ-  
 ბრის სომხური გუბერნიის შესაქმნელად.  
 ასეთი მოთხოვნა თავისი არსით  
 საქართველოს ტერიტორიულ ხელყო-  
 ფას უდრიდა და სერიოზულად ღიანგ-  
 და ქართველი ხალხის ერთნულ ინ-  
 ტერესებს. საგანგებოდ შედგენილმა კო-  
 მისიამ, სადაც სომხებს ქართველებზე ბევ-  
 რად მეტი წარმომადგენელი ყავდათ  
 (6 კაცი 2-ის წინააღმდეგ) და სხვა  
 სახელმწიფო ორგანიებმა 1913 წ. 6  
 ნოემბერს და 1914 წ. 24 იანვარს  
 გეოგრაფიული და ეკონომიკური მო-  
 საზრებებით სომეხთა მოთხოვნის დაკ-  
 მაყოფილება შეუძლებლად სცნო.<sup>15</sup>  
 საქართველოს ტერიტორიების შიშ-  
 რთ დაშნაკთა პრეტენზიებს რუსეთის  
 საკოლონიზაციო პოლიტიკის აგრესიუ-  
 ლი ხასიათიც განაპირობებდა, რომლის  
 შედეგად საქართველოს განაპირა მხა-  
 რეებსა და მის მახლობლად სომხური  
 მოსახლეობის სიჭარბე გაშუღმებით  
 იზრდებოდა. ამასთან დაკავშირებით აკად.  
 ივ. ჯავახიშვილი წერდა: „როდესაც  
 ამიერკავკასიაში ერობის შექმნებაზე  
 ლაპარაკი დაიწყეს და წინასწარ  
 შიჯულობას შეუდგნენ, მაშინ უკვე ყვე-  
 ლათვის ცხადი შეიქმნა, რომ სომეხ  
 პოლიტიკოსებს სომეხთა საქართველო-  
 ში გადმოსახლება ოსმალეთისაგან და-  
 ბეჩავებული თავიანთი თანამოქმეთა მარ-  
 ტო ფიზიკურად გადარჩენის თვალ-  
 საზრისით არ აინტერესებდათ, არამედ  
 ვარკვეული პოლიტიკურ-ეროვნული  
 გეგმების, გაბნეული სომეხთათვის ერთი  
 შთოლანა ტერიტორიის შესაქმნელად  
 იყო საახალშენოდ ადგილები არჩეუ-  
 ლი“.<sup>16</sup>

სწორედ ხელოვნურად შექმნილი ქარ-  
 ბი მოსახლეობის არგუმენტზე დაყრდ-  
 ნობით 1909-1916 წწ-ში საეროთო კრებუ-  
 ბზე სომხური მხარე დაყენებით აყენებ-  
 და, საქრთოდ, ამიერკავკასიის მთელი  
 ტერიტორიის ეროვნული ნიშნით გამ-



იჯენის საკითხს. სომეხთა წარმომადგენლები ცდილობდნენ, ამიერკავკასიის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის აუცილებლობა სამეურნეო მოსაზრებებითაც დაესაფუძვლებინათ. მათი მტკიცებით, რუსულმა ბიუროკრატიაში ამიერკავკასიის ადმინისტრაციული მოწყობისას სომეხთა ზედმეტად შეაწვროვა საქართველოსა და აზერბაიჯანის შორის, როცა აღმოსავლეთ ყარაბაღის პროვინციები ელიზავეტპოლისის მუსლიმანურ გუბერნიას მიუერთა, ხოლო ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრები თბილისის გუბერნიის შემადგენლობაში ჩართო. ამიერკავკასიის ცხრა გუბერნიიდან მხოლოდ ერთადერთ ერევნის სომხურ გუბერნიაში იყო თავმოყრილი სომხური მოსახლეობის 1/4, დანარჩენი კი აზერბაიჯანელებსა და ქართველებს შორის იყო განაწილებული. ამიტომ საგსებით ბუნებრივად (იგულისხმება როგორც დაზარალებული) სომხები გამოდიან ამიერკავკასიის ტერიტორიული გადანაწილების ინციატორად. მათივე მტკიცებით, საქართველოსა და სომეხთა შორის სადავო ტერიტორიებზე სომხური მოსახლეობის დიდი რიცხობრივი უმრავლესობაა და სომხების შეუდარებლად მეტი კომპაქტურობა ახასიათებთ. მეზობელთა პრეტენზიების განხორციელების შემთხვევაში სომეხთა აღმონდება კლდეებზე მიტმასნელი და არსებული ტერიტორიების მხოლოდ 5%-ი მიიღებდა ამიერკავკასიის მოსახლეობის 30 პროცენტით. რიცხობრივად სომხების თანაბარი ქართველები მიიღებდნენ ტერიტორიის 42%-ი, ე.ი. სომხებს რვაჯერ მეტს, აზერბაიჯანელები კი 53%-ი. ამიტომ ერთგულნი ნაშნით ამიერკავკასიის ტერიტორიის გადანაწილების სომხური პროექტი უფრო სამართლიანია და თვალისწინებს მოწყობის არსებული ფონდების თითქმის თანაბარ, პროპორციულ გადანაწილებას. ასე

მაგალითად, სომხებს ამ პროექტით ერევბოდათ ამიერკავკასიის ტერიტორიის 29%, ქართველებს - 30-33%, ხოლო თათრებს (ე.ი. მუსლიმანებს) 38-41 პროცენტით.<sup>17</sup>

მეზობელთა მიწების, ფაქტობრივად, მშვიდობიანი მიტაცების ეს სომხური პროექტი, მოუხედავად იმისა, რომ საკმაოდ შორს იდგა როგორც რეალობისაგან, ისე სამართლიანობის პრინციპებისაგან, მაინც ბოლომდე არ ასახავდა სომხური პოლიტიკური წრეების ნამდვილ მიზნებს. და, როგორც ჩანს, ის მხოლოდ „დიდი სომეხთა“ „შექმნის დაშენება ბარტის გვერდებისათვის ხელსაყრელი გარემოს შემზადებას“ ისახავდა მიზნად, რაც სულ მალე, კავკასიაში დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნისთანავე გამოძვლავნდა.

დაშენება ეს ამბიციური გვერდები, ვახაგებია, ისტორიულ დასაბუთებასაც საქართველებს, რის გამოც სომხურ ისტორიოგრაფიას ამ გვერდების შესაფერისად უხდებოდა ამიერკავკასიის ისტორიის გადაკეთება, რაც პრაქტიკულად ნაშნავდა ხორენაცისეული იდეების ხელახალ აღორძინებას. ასე თქვა XIX-XX სს-ის სომხური ისტორიოგრაფიის მიერ კავკასიაში სომეხთა ტერიტორიული პრეტენზიების დაცვისათვის ბრძოლა და საქართველოს ისტორიის დამცრობა-გაბაიბრუება სომეხთა კავკასიური პოლიტიკის ერთ უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილად. ამიტომაც იყო, რომ სომხური ისტორიოგრაფიის ყოველი ახალი ქმნილება, პირველ რიგში, ქართველთა ერთგულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწეთა მწვავე რეაგირებას იწვევდა. ილია ქაჯაყაძემ დამაჯერებლად ცხადყო, რომ სომეხ მეცნიერთა ამ ჯგუფის მიერ საქართველოს ისტორიის ნებისმიერი საკითხის უღირსად წარმოჩენის უმთავრესი



მიზეზი ყოველთვის და ყველგან ტერიტორიული პრეტენზიები იყო, იქნებოდა ეს ისტორიული გეოგრაფიის, პოლიტიკური ისტორიის, კონფესიური თუ კულტურული ურთიერთობის თემის გაშუქება. დიდი მწერალი აღნიშნავდა, რომ აშკარა ფაქტების საწინააღმდეგოდ ემინი, ხუდაბაშევი, ერიციანი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს გვეცილებიან და ამტკიცებენ, თითქოს მტკვრის სათაფის ადგილება, მთელი ქორთხის ხეობა დიდ სომხეთს ეკუთვნოდნენო. მათ იმისთანა სომხეთა მომხრე კაციც კი ამტყუნებს, როგორც სენ-მარტენია. ამ ევროპული შეცნირის მტკიცებდო, სერი მთებისა, რომელიც ქორთხისა, მტკვრისა, ვფრატისა და არაქისი წყალგამჭრელია, მუდმივი საზღვარი იყო ქართველთა და სომხეთა შორისაო, და მოუხედავად ამისა, სომხეთა მწიგნობარნი მაინც თავისას გაიძახიან და ბინას იკეთებენ იქ, საცა არა ჰქონიათ. ვანა აშკარა არ არის, შენიშნავდა ილია, რომ ამ ცუდლურ შეცნირებით სწადათ ქვეყანას დააჯერონ, ვითომც ისტორიული უფლება მიუძღვით ამ ადგილებში ბინის დადებისა.<sup>18</sup> სხვა ადგილას კი, ამხელდა რა გ. ეზოვის ფაქტების გაყალბებაში, იქვე განმარტავდა: — ზღაპარს მაშინ გამოიცნობთ, როცა გაიხსენებთ, ეზოვის დაფარულ აზრსა: საქართველო საქართველო კი არ არის, ძველი სომხეთიაო. ეს შაცდური და წყუელი სურვილი გზას უბნებს ბ-ნს ეზოვის და სისულელეს არიშენებს შეცნირების სახელით.<sup>19</sup>

ხელისუფლების მიერ ქართული ცნობიერების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა ფონზე თბილისში გამოშავალი სომხური პრესა ტერიტორიებთან ერთად ქართული მოსახლეობის შინაშენელოვანი ნაწილის ეროვნულობასაც სადავოდ ხდიდა და მას სომხურ ეთ-

ნოსს აკუთვნებდა (მაგალითად, ქართველ კათოლიკებსა და სომხურ ეკლესიას ნებით თუ იძულებით მიტმასნილ ნაწილს), რითაც ქართული ტერიტორიების მიმართ სომხური პოლიტიკური წრეების პრეტენზიების გაფართოებას ცდილობდა. ამის გამო მოვლენების თანამედროვე ისტორიკოსი და პუბლიცისტი ზ. ქიქინაძე გულისტკივილით წერდა: „სომხეთს შუა გულ ქართლიდამ სთვლიან, სადაც სომხეთა ხსენება არადროს არ ყოფილა... სომხეთ მწერალნი სომხურ კარტკებზედ საქართველოს არმენიას აწერენ, წიგნებშიც ასევე, ლაპარაკშიაც თამამად ამტკიცებენ... ზოგიერთი სომხის სწავლულნი იმასაც გაიძახიან, რომ მთელი კახეთი დიდი სომხეთის ნაწილს შეადგენსო და იქ მცხოვრები ქართველნიც მთლად სომხის შთამომავალნი არიანო. ამასზედ ბერის გზის კამათიც ყოფილა. ეს დღესაც ხშირია და ევროპაში სომხის სწავლულნი არამც თუ კახეთს ჰგვევენ ხელს, არამედ სამხრეთ საქართველოსაც არმენიად აღიარებენ“.<sup>20</sup>

ასე რომ, მთავრობის ანტიქართული პოლიტიკასთან თანხმობით სომხეთა კავკასიური პოლიტიკის შედეგად შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური (სომხს ლტოლვილთა სიჭარბით), პოლიტიკური, თუ კონფესიური ურთიერთობების გამწვავება XX ს-ის დასაწყისთვის უკვე პიკს აღწევდა. შესაძლოა ამ გამწვავებული სიტუაციის დაცნობის სურვილითაც იყო გამოწვეული იმხანად ქართველ სოციალ-დემოკრატთა თანხმობა საერობო ტერიტორიების შემთხვევისას რეალური მოსახლეობის პრინციპით უხელმძღვანელოთ, რაც მხოლოდ სომხებს აწყობდათ. მაგრამ ერობის შემოღებას თმმა მოუსწრო და კავკასიის ადმინისტრაციული გამიჯვნის საკითხი გამოურკვევი დარჩა.



3. ბარბორიანი დავის ახალი გამ-  
წვავა აკავასიანი და სომხ-ქართველთა  
შინაარსებული კონფლიქტი 1918-ის  
დასაბუთო

1918 წლის 26 და 28 მაისს საქა-  
რთველისა და სომხეთის დამოუკიდე-  
ბელი რესპუბლიკები იშენენ, რომელთა  
შორის საზღვრების გამოჯენა თავიდანვე  
მწვავედ დაისვა. სომხები საზღვრების  
გამოჯენას მოსახლეობის პრინციპის  
მხედვით მოითხოვდნენ, ხელზე დაიხ-  
ვიეს რა ქართველი სოციალ-დემოკრატე-  
ბის პოზიცია ერთობის შემოღებასთან  
დაკავშირებით გაპართულ დისკუსიაზე  
და 1917 წ-ის აბრილში ინტერპარტი-  
ული საბჭოს პირველ კრებაზე, რომელ-  
თა გადაწყვეტილებებსა თუ შეთანხმე-  
ბებს არც სამართლებრივი და ამდენად,  
არც პრაქტიკული მნიშვნელობა არ  
გააჩნდათ. აზერბაიჯანის მოთხოვნები,  
თავის მხრივ, რელიგიურ პრინციპს ემ-  
ყარებოდა. თუ სომხეთი, მოსახლეობის  
პრინციპზე დაყრდნობით, მოითხოვდა  
საქართველოს უძველეს დედაქალაქს  
მცხეთას, საქართველოს ძველ დედა-  
ქალაქს თბილისს, საქართველოს მუდ-  
მივსა და განუყოფელ ნაწილს — ბორ-  
ჩალოსა და მთელ მესხეთს, აზერბაიჯანი  
რელიგიური პრინციპის მხედვით, სათა-  
ვისოდ ითხოვდა საინგილოს (საქათა-  
ლას), ბორჩალოსა და ახალციხის მაზრებს,  
ბათუმის ოლქს, ე.ი. მესხეთს ბა-  
თუმითურთ.<sup>21</sup> იქმნებოდა პარადოქსული  
სიტუაცია, როცა საქართველოს ტერი-  
ტორიებს ერთმანეთს სომხეთი და აზ-  
ერბაიჯანი ეცილებოდნენ.

თავიდანვე ცხადი იყო, რომ ისეთი  
სერიოზული პრობლემა, როგორც სახ-  
ელმწიფო საზღვრების დადგენა იყო,  
შეზობლების მიერ შემოთავაზებული  
პრინციპებით ვერ გადაიჭრებოდა. სახ-  
ელმწიფოებრივი თვალსაზრისი, დასახ-  
ელებული გარდა, გულისხმობდა ის-  
ტორიის, პოლიტიკის, სტრატეგიის,

ეკონომიკისა და თავდაცვითი საკითხებ-  
ის გათვალისწინებასაც, რომელთა გარეშე  
ქვეყნის უშიშროება ვერ იქნებოდა  
უზრუნველყოფილი. საზღვრების გამოშ-  
რკვევი კომისიის წევრი ირაკლი (კაკი)  
წერეთელი სომხებს უმტკიცებდა, რომ  
ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრა  
ყოველთვის საქართველოს ეკუთვნოდა  
და იყო მუდამ მისი ბედი, ურომლი-  
სიდაც ქართველ ხალხს ცხოვრება არ  
შეუძლია, ხოლო ბაშბაკისა და ყაზახის  
რაიონები საქართველოსათვის თავდაცვი-  
თი სტრატეგიული მნიშვნელობის არი-  
ანო. და საერთოდაც, სახელმწიფოს  
აშენების დროს, ქართველ ხალხს არ  
შეუძლია უბრალო ეთნოგრაფიული, მცხ-  
თვრებთა მოსახლეობის პრინციპით თ-  
ვლმძღვანელოსო.<sup>22</sup>

სომხურმა პოლიტიკურმა წრეებმა  
განსაკუთრებული განგაში ატყეს,  
როგორც ადგილობრივ, ისე უცხოეთის  
პრესაში. საქართველოს მთავრობას იმ-  
პერიალისტობაში, დემოკრატიისა და  
სოციალიზმის დღეატში დებდნენ ბრალს,  
რაც, მათი აზრით, დიდი ცოდვა იყო  
სოციალ-დემოკრატიული ქართული  
მთავრობისათვის. საკითხი მუშათა სო-  
ციალისტურ ინტერნაციონალშიც კი  
დაისვა.

ივ. ჯავახიშვილი 1919 წ. გამოცემულ  
თავის ცნობილ ნაშრომში „საქართვე-  
ლის საზღვრები ისტორიულად და თან-  
ამდროვე თვალსაზრისით განხილული“,  
რომელიც გათვალისწინებული იყო  
პარიზის საზავო კონფერენციაზე სა-  
ქართველოს მთავრობის დელეგაციი-  
სათვის ხელშესაწყობად, ხაზგასმით აღნი-  
შნავდა, რომ საქართველოს საზღვრების  
საბოლოო მოხაზულობის გარკვევის  
დროს ქართველ ერსა და მის მთავრობას  
შეუძლია მხოლოდ სახელმწიფოებრივი  
თვალსაზრისით თვლმძღვანელოსო.<sup>23</sup>  
სომხთა პროტესტების პასუხად კი  
შენიშნავდა: მართალია, სომხთა ში-



რთველი წრეები და სომხეთის რესპუბლიკის მთავრობა ჩვენს ერსა და მთავრობას მხოლოდ ეთნოგრაფიული თვალსაზრისით ხელმძღვანელობას ურჩევნ, მაგრამ რამდენად მათი რჩევა გულწრფელია და გამოსადეგი, ის ვარუშობაც ცხადყოფს, რომ თვით მათ პირადად ამ თვალსაზრისით არას დროს თავიანთ პოლიტიკურ ვეგებში არ უხელმძღვანელოთ. მათ მიერ თავდაპირველი კონფერენციისათვის წარსადგენად დამზადებული დიდი სომხეთის სახელმწიფოებრივი საზღვრები შავი ზღვიოვან ხმელთაშუა ზღვამდე გადაჭიმული და თბილისის, ბათუმის და ტრაპიზონ-სინოპის შემცველი, ნათლად მოწმობს, რომ თვით მათ თავიანთი საზღვრების შემოხაზვის დროს არამცთუ თანამედროვე ეთნოგრაფიული მოსახლეობის პირობებით არ უხელმძღვანელოთ, არამედ ზოგან მეტისმეტად შორეულს ისტორიულ საბუთზე, უფრო კი მხოლოდ საკუთარ ნება-სურველზე დაუყარებოთ თავიანთი მიწა-წყლის მოხაზულობის რუკა. ამის შემდეგ სწორედ ვასათ-ცარია, როდესაც სომხეთა პოლიტიკური და გავლენიანი წრეები ჩვენი მთავრობის წევრებს ნ. ჟორდანიას და ე. გეგეჭკორს და საქართველოს საზავო დელეგაციის წარმომადგენლებს ნ. ჩხეიძეს და არ. წერეთელს სომხურ პრესაშიც კი პრინციპების ღალატსა და იმპერიალისტობას სწამებდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი საქართველოს რესპუბლიკის საზღვრების შემოხაზვის დროს სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით ხელმძღვანელობენ და არა მარტო ეთნოგრაფიულით. როცა საერთო ერთეულზე იყო ლაპარაკი, ამგვარი მოხაზრება ასე თუ ისე კიდევ ვასაგები იყო, სახელმწიფო საზღვრების შემოფარგლის დროს კი უმთავრესი საფუძველი სახელმწიფოებრივი თვალსაზრისი უნდა იყოს.

რატომ არის, რომ თვით სომხეთის პოლიტიკოსები, ვანაგრძელს აკადემიკ. ჯავახიშვილი, ყოველთვის და ყველგან სომხეთის რესპუბლიკის საზღვრების შემოსაზღვრის დროს ეთნოგრაფიულ პრინციპებს არ ემყარებიან? იმიტომ, რომ ყველაზე მეტად ეს პრინციპი თვით სომხეთისთვის არის საზარალო. თუ ამისა მოუხედავად, ისინი ჩვენს მთავრობასა და წარმომადგენლებს ამ პრინციპით ხელმძღვანელობას ურჩევნ, ისინი ალბათ ფიქრობენ, რომ ეს თვალსაზრისი მხოლოდ საქართველოსთვის არის საგაღდებული, სომხეთს კი უფლება აქვს ყოველგვარი თვალსაზრისით იხელმძღვანელოს და რომ მაშინაც კი, როცა ისინი სომხეთისათვის საფრანგეთზე უფრო დიდი მიწაწყლის დასაკუთრებას ლაშობდნენ და თავიანთი რესპუბლიკის საზღვრებში სომხებზე უფრო მრავალრიცხოვან უცხო ტომთა მოქცევაზე ოცნებობდნენ, ეს იმპერიალისტობა კი არ არის, არამედ უაღრესი დემოკრატობა<sup>24</sup>


ვითარებას განსაკუთრებით ძაბავდა ისიც, რომ „დაშნაკუთონი“ სომხეთის მმართველი პარტია ვახდა და „დიდი სომხეთის“ შექმნის ამბოციური იდეა, ესეა უკვე სახელმწიფოებრივი ზრუნვის პრაქტიკულ გეგმად იქცა. ამ გეგმის საერთაშორისო მხარდაჭერისათვის მაშინვე აქტიურად ამოქმედდა სომხური მხარე, მით უფრო, რომ უკვე ნოემბრისათვის მსოფლიო ომში ანტანტის სახელმწიფოების გამარჯვების შემდეგ, საქართველოს მხარდაჭერი გერმანიის ადგილის ამიერკავკასიაში ინგლისის იკავებს. 1918 წლის 30 ოქტომბერს მუდროსის ნახსადგურში ხელმოწერილი ბრიტანეთ-თურქეთის დროებითი ზავის კონვენციის ერთი მუხლიც, სადაც ნახსენებია იყო სომხეთი და თურქეთის ექვსი ვილაიეთი, სომხეთის მმართველ წრეს, ანტანტის მხარდაჭერის იმედს აძლევდა, კერ-



ძოდ, XXI თავში მრავალმნიშვნელოვნად, გაკვრით იყო ნათქვამი, რომ მოკავშირეებს უფლება ეძლევათ, უწესრიგობის შემთხვევაში, დაიკავონ ექვსი სომხური ვილაიეთის ნაწილები. ზურაბ ავალიშვილის დაკვირვებით, როცა თურქეთი წაშთიქებულია, ხოლო ყოვლისშემძლე გამარჯვებული ასე გადაკვრით ლაპარაკობს, უმრავლესობისათვის აშკარაა: სომხეთს ექვს ვილაიეთს დაბრუნენ. „განმარტვას“ ვინების მცირე ძალდატანება სჭირდება და დასკვნა ნათელია: „მოკავშირეებმა გადაწყვიტეს შექმნან დამოუკიდებელი სომხეთი და მააკუთონ მას თურქეთის ექვსი ვილაიეთი“, რაც შეესატყვისებოდა არა მართლ სომხეთის პოლიტიკური მოღვაწეების ტრადიციებს, არამედ სომხეთის მომხრე ვეროპის და ამერიკის მრავალი პირის წმინდა კაბინეტურ შეხედულებებსაც. ზურაბ ავალიშვილი 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მრჩეველი იყო და უშუალოდ მონაწილეობდა რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის შემუშავებაში. ამდენად მისი კომენტარები თვალწინ განვითარებულ პოლიტიკურ მოვლენებზე ერთობ საყურადღებოა. მისი დაკვირვებები დასავლეთის სახელმწიფოთა როლზე დაშნაკური სომხეთის აგრესიულ განწყობილებათა წახალისებაში არ არის დამაჯერებლობას მოკლებული. „სომხეთის აღდგენის“ ამ დროისათვის ერთობ უპასუხისმგებლო მანიშნებამ, ბუნებრივია, რომ სომხეთში ექსპანსიური ძალების გააქტიურება გამოიწვია, რაც თვით სომხეთისათვის შეიძლებოდა ხანანებელი გამსდარიყო. ჩანს, მოვლენების ამგვარ განვითარებასაც გულისხმობდა, როცა ზ. ავალიშვილი წერდა: აბა, როგორ არ გამსწევდებოდა ხულით ერეკნელი სომხები, რომლებიც ასე მოკუნტულნი იყვნენ თურქეთის დაწოლის ქვეშ 1918 წლის

ზაფხულში? დასრულდა თურქეთის ოკუპაცია; მის ნაცვლად ბრიტანული ოკუპაცია და „ექვსი ვილაიეთი“. მათ თავისი გაიტანეს... და ახლა მხრების გაშლაც შეუძლიათ; საქართველო თავის თავზე იგრძნობს ამ განწყობილების მთელ ენერჯას, როცა 1918 წლის დეკემბერში ერევნის მთავრობა უბრძანებს თავის ჯარებს, დაიკავონ ყოფილი თბილისის გუბერნიის ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრები. მაგრამ ეს შედარებით ნაკლებმნიშვნელოვანი ეპიზოდია. ბევრად უარესი ის ვახლდათ, რომ წმინდა სამხედრო დოკუმენტის ტექსტში გაუფრთხილებლად ჩაქოვილმა „ექვსი ვილაიეთის“ თეორიამ თურქებშიც შექმნა „სულიერი განწყობილება“ და არა ერთსა და ორ დანას ჩაეჭიდნენ ძარღვიანი ხელები.<sup>26</sup>

მეტად თუ ნაკლებად ოფიციალური, ყოველ შემთხვევაში, მეტად საბასუხისმგებლო განცხადებების კრებული, გაკეთებული 1918 წ. ასეთი სახელმწიფოების ხელმძღვანელების მიერ, როგორც არიან პრეზიდენტი ვილსონი, ლოიდ ჯორჯი, კლემანსო, ბალფური და სხვები, ამ თვალსაზრისით, რომ სომხეთის განთავისუფლება თმის ერთ-ერთი მიზანი იყო, მოიპოვება სომხური ორგანიზაციების გამოცემებში. მაგალითად, წიგნაკში „The Case of Armenia“, დაბეჭდილია 1919 წ. ამერიკის სომხური ეროვნული კავშირის მიერ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ცნობილი სენატორის ლაჯის მიერ 1918 წ. 10 დეკემბერს ამერიკის სენატში შეტანილი რეზოლუცია, რომლის მიხედვითაც, მომავალ დამოუკიდებელ სომხეთში უნდა შესულიყო თურქეთის სომხეთი (ექვსი ვილაიეთი და კილიკია), რუსეთის სომხეთი და სპარსეთის აზერბაიჯანის ჩრდილოეთი ნაწილი (სპარსეთის სომხეთი). ამ გამოცემაზე დართული მომავალი სომხეთის რუკის მხედვით, მისი ჩრდი-



ლო-ადმოსავლეთი საზღვარი მტკვარს მიჰყვება, დაახლოებით ელისავიტობოლო-  
 დან ზღვის შესართავამდე. სომხეთი ამ  
 რუკის მიხედვით სამ ზღვაზე გადის:  
 შავს, ხმელთაშუა და კასპიის ზღვაზე.  
 ეს რუკა სომხებმა რამდენჯერმე გა-  
 მოსცეს და მთელ მსოფლიოში გაავრ-  
 ცელეს. უწოდებდა რა ამ რუკას ფან-  
 ტასტიკურს, იგ. ფანტაზიური შენიშ-  
 ნავდა: „ცხადია, რომ ახალი სომხეთის  
 სახელმწიფოსათვის ასეთი საზღვრები  
 ეთნოგრაფიული პრინციპის მიხედვით  
 არ არის შემოფარგლული. ეს გვემა-  
 არც ისტორიულ საფუძველზეა დამ-  
 ყარებული, რადგან არახდრის ასეთი  
 სომხეთი, რომელიც XI ს-ის შემდეგ  
 პოლიტიკურად აღარ არსებობდა, არ  
 ყოფილა. შეიძლება ითქვას, რომ მის შემდ-  
 გენელთ ოდნავი ლიტონი ხალი ვო-  
 ნიერებაც კი არ ატყვიან“.<sup>27</sup>

ამერიკის სენატში ლაჯის რე-  
 ზოლუციის წარდგენიდან რამდენიმე  
 დღეში, 13 დეკემბერს სომხურმა ჯარებ-  
 მა მოქმედება დაიწყეს ღორესა და  
 ბორჩალოს მაზრების დასაკავებლად.  
 სომხური გვემის მიზანი იყო თბილისის  
 ხელში ჩაგდება და შესხეთის დაკავება,  
 რის შემდეგ სომხეთი ზღვასთან იქნე-  
 ბოდა შეერთებული ბათუმით. სომხეთის  
 მმართველმა წრეებმა ომი ვაბედეს იმ  
 იმედით, რომ კავკასიაში მომავალი ინ-  
 გლისი მათ მხარს დაუჭერდა, და თუ  
 სომხეთი ინგლისელებს ფაქტის წინაშე  
 დააყენებდა, მას ხელში შერჩებოდა  
 ყველა მის მიერ დაკავებული ტერი-  
 ტორია.<sup>28</sup>


სომხთა ვაბედულობას სითამამეს  
 მატებდა, აგრეთვე, საქართველოში ქარ-  
 ბი სომხური მოსახლეობის ფაქტორიც,  
 რომელიც წამოწყებულ ომში ეტყობა,  
 „მესუთე კოლონად“ ესახებოდათ. სომხ-  
 ეთის სამხედრო-პოლიტიკურ წრეებს  
 მსგავსი ვარაუდებისათვის განსაზღვრუ-  
 ლი საფუძველი მართლაც გააჩნდათ.

1918 წ-ის 26 მაისს დამოუკიდებლობის  
 აქტის მიღებამ შოკის მოქმედებად იმ-  
 თქმდა საქართველოს სომხური მოსახ-  
 ლეობის მნიშვნელოვან ნაწილზე, გან-  
 საკუთრებით რუსეთის იმპერიის მონ-  
 ელეთა მიერ საქართველოში ვაბატონებ-  
 ულ სომხურ ბურჟუაზიაზე (სომხს  
 ვაჭარ-მრეწველებისათვის ხელის შეწყ-  
 თბა და მათთვის პრივილეგიების მინი-  
 ქება რუს მთხელეებს თანამდებობრივ  
 მოვალეობად მაინცდათ). მომხდარი მათ  
 სომხეთის და სომხეთა ინტერესების  
 გაწირვად ჩათვალეს, მიუხედავად იმისა,  
 რომ საქართველოს დემოკრატიული ხე-  
 ლისუფლებების შეთავრებით უფროდნა  
 მათ ტრადიციულ მფარველობას და  
 სრულფასოვანი მოქალაქის პირობებს  
 სთავაზობდა. 1918 წ-ის 26 მაისს  
 საქართველოს ერთგულ საბჭოში წარ-  
 მთითქმულ სიტყვაში ნ. უფროდნა ვან-  
 მარტავდა: „გვსურს ვიქონიოთ მეგო-  
 ბრული ურთიერთობა ჩვენს გარეთ და  
 ჩვენს შორის მყოფ ერებთან. განსაკურე-  
 ბულ ყურადღებას მივაქცევთ იმ ერის  
 დიდ ტრაგედიას, რომელთა ერთი ნაწ-  
 ილი ჩვენს ტერიტორიაზე ცხოვრობს,  
 ხოლო მეორე ნაწილი — ჩვენს გარეთ.  
 ეს არის სომხობა. ძველ ანდრეშს დღევან-  
 დელი ქართველობაც ვაიხსენებს და  
 სომხები ერი იმავე მფარველობას პოვებს  
 ჩვენში, რომელსაც პოვებდა იგი ქართვე-  
 ლ შეფეთა შორის“.<sup>29</sup> საქმე ის იყო,  
 რომ ესლა, როცა საქართველოს თავისი  
 კანონიერი პატრონი გამოუნდა (საკუ-  
 თარი ერთგული მთავრობა) სოციალ-  
 ურ-პოლიტიკურად ქართველებთან ვა-  
 თანაბრება სომხურ ბურჟუაზიასა და  
 მის მომხრე პოლიტიკურ წრეებს აღარ  
 აწყობდათ. ისინი ძველი მონოპოლი-  
 ური მდგომარეობის შენარჩუნებას ცდი-  
 ლობდნენ და სხვადასხვა ხერხებითა და  
 საშუალებებით ამიერკავკასიის ეკო-  
 ნომიკურ და პოლიტიკურ ცენტრს,  
 საქართველოს ძველ დედაქალაქს თბი-

ლის კვლავაც ებოტინებოდნენ. რუსი გენერლების მიერ შექმნილად აღებული ლტოლვილი სომხური მოსახლეობა კი დროებით სამოსახლო ტერიტორიების სამუდამოდ მისაკუთრებას ცდილობდა, რის გარანტიაც მხოლოდ იმპერიული რუსეთი შეიძლება ყოფილიყო. ამიტომაც იყო, რომ საქართველოში გამოძახებული სომხური ვაზუები ხელ იძახდნენ, ჩვენ ურუსეთად ვზარალებით და არ უნდა დავთანხმდებით ამიურკაკის და მოსკოვიზების და მერე მის დაშლასთან და მისტროდნენ რუსეთთან კავშირის გაწყვეტას.<sup>30</sup> ცხადი იყო: თბილისელი სომხები აშკარად საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგნი იყვნენ და რადგანაც სომხეთი და სომხები განურყვლად რუსულ ორიენტაციას ადგნენ, ბუნებრივია, ქართული პრესის კრიტიკაც იმისაკენ მიმართული იყო. ვახტანგ კოტეტიშვილის წერილში „წმინდა ქალაქი“ ლაპარაკი იყო იმ რუს და სომხ პრივილეგიებზე, რომლებიც თბილისში მოღვაწეობდნენ, ოცნებობდნენ რუსეთის იმპერიის აღდგენაზე და საქართველოს ხელახლა შეყვანაზე მის შემადგენლობაში. პუბლიცისტი აკრიტიკებდა ვაზუთ „ზნაშია ტრუდაში“ გამოქვეყნებულ ხუდადოვის წერილს, სადაც თბილისი საქართველოს დედაქალაქად კი არა, ინტერნაციონალურ ქალაქად იყო გამოცხადებული. „ზნაშია ტრუდას“ სხვა რუსული ვაზუთებიც – „რეი“ და „კომუნისტი“ უჭერდნენ მხარს, რაც კოტეტიშვილს აღაშფოთებდა: „სომხები თავს ელაღებულნი პოლიტიკოსები თბილისის გვერდებთან, რუსი შავრაზმელები კი მათ ეხმარებიან დრომდე, შემდეგ კი, თუ შეძლეს, სომხეთსაც და საქართველოსაც კვლავ რუსეთის გუბერნიად გადააქცევენ“.<sup>31</sup>

საქართველოს სომხური მოსახლეობის დიდი ნაწილის ანტიქართული გან-

წყობილებას დამოუკიდებელი საქართველოს შექმნის გამო ადასტურებდათ თხოვენი ყორდანაც. თავის მოვთხებებში იგი წერდა: სომხები იყვნენ დიდად უკმაყოფილო თბილისის გაქართველებით, საქართველოს დედაქალაქად გადაქცევით. მათ ეს ქალაქი თავის უდავო ქალაქად მიანდათ დიდი ხანია, მეცხრამეტე საუკუნის დაწყებდანა, სადაც მართლა სომხების მოსახლეობა სჭარბობდა ქართველებისას. რუსი ბატონობა პოლიტიკურად, სომხები ეკონომიკურად. რუსი წავიდა, ქალაქი სომხებს უნდა დარჩენოდათ. მათი აზრით ნამდვილი საქართველოა დასავლეთ საქართველო, ხოლო აღმოსავლეთში არეულია სხვადასხვა ერები და აქ ქართული, წმინდა ნაციონალური ხელისუფლება არ უნდა ყოფილიყო. მთავრობა უნდა გადავიდეს ქუთაისში, თბილისში კი უნდა შეიქმნას შერეული ხელისუფლება სხვადასხვა ერებისაგან. ამას ისინი ქადაგებდნენ სომხებში. ამას სწერდნენ თავის ორგანოებში. ამიტომ არავითარ მოლაპარაკებაზე არ მოდიოდნენ და რაღაცას უცდიდნენ. უცდიდნენ თურმე ინგლისის მოხელას“. შემდეგ საუბრობდა რა სომხური მოქმედებების განვითარებაზე, განაგრძობდა: როგორც კი მივიდეთ შულავერიდან ცნობა სომხეთის ჯარების უეცარი თავდასხმების შესახებ, რეინის გზის დაკავების, ჩვენი ჯავშნისების დაქერის და სხვ. ჩემთვის ცხადი იყო რაში იყო საქმე. მთი უეცარი შემოტევის მიზანი იყო სწრაფად თბილისთან მისვლა, ქალაქში აჯანყების აფეთქება (მზად იყვნენ ამისთვის) და ქალაქის ხელში ჩაგდება. ნ. ყორდანის თქმით, მისი ბრძანებით გვარდამ სომხურ ჯარს თბილისისაკენ მოძახული უმოკლესი ვზა ბოლნის-ზაინთან გადაუქრა, რამაც ომის მსვლელობა საბრძანებროდ შეცვალა.<sup>32</sup> საქართველოს ტერიტორიაზე ღრმად შემოქრულია (მდ.



ხრამამდე) სომხურმა ჯარმა, გენერალ გ. მაზნიაშვილის მიერ ორგანიზებული კონტრშეტევის შედეგად, უკან დაიხია და დაიფანტა.<sup>33</sup> სომხები დამარცხდნენ. როგორც ნ. უორდანიას ამის გამო მისწრებულად შენიშნავდა: „სომხები კი ვერ უახლოვდებოდნენ თბილისს, პირიქით, ქართველები უახლოვდებოდნენ ერევანს“.<sup>34</sup> ინგლისური პიკეტები ლორესთან მეზობელ ჯარებს შუა ჩადგა, რითიც სომხეთი სრულ კრახს გადაურჩა. 31 დეკემბერს ღამის 12 საათზე სომხეთ-საქართველოს ომი შეწყდა.

4. ლორეს ნიბრალური ზონა და სომხეთის მხედრობის ბრძოლა საბრძოლო საზღვრების დაცვის მიზნით XX ს-ის 20-იან წლებში

1919 წ-ის 1 იანვარს ინგლისის ჯარებმა დაიკავეს ლორესა და ბორჩალოს რაიონების ტერიტორიის ნაწილი სადგურ აირუმიდან სადგურ შაგალამდე და საქართველოს ტერიტორიის ეს ნაწილი „ნეიტრალურ ზონად“ გამოაცხადეს. 10 იანვრისათვის ქართული არმიის შტაბი თბილისში დაბრუნდა<sup>35</sup> ომის შეწყვეტამ და საქართველოს ისტორიული ტერიტორიის ნაწილის „ნეიტრალურ ზონად“ გამოცხადებამ ქართული საზოგადოებისა და პოლიტიკური წრეების უმეტესობის უკმაყოფილება და აღშფოთება გამოიწვია. პარლამენტის სხდომაზე 1919 წლის 3 იანვარს ს. კუდია აღნიშნავდა: მთავრობამ არ დაიცვა ჩვენი ერის ღირსება და გამარჯვებულის კი არა, დამარცხებულის მშვიდობა მოგვცა.

პროტესტს გამოთქვამდა ს. კედია საგაზეთო წერილშიც „გერაგული აქტი“, სადაც ნათქვამი იყო, რომ მთავრობამ ამ ნაბიჯით დაამარცხა საკუთარი, ომში გამარჯვებული ხალხი. მისი აზრით,

„ხალხი დაგმობდა ასეთ მთავრობას“.<sup>37</sup> ომის შედეგებს აკრიტიკებდნენ სამხედროებიც. გენერალი კვინიტაძე თავის „მოვლენებში“ წერდა: „მერეღა რა მივიღეთ ამ უქველად მოგებული ომით (შულავერის ბრძოლის შემდეგ აშკარა ვახდა, რომ გამარჯვება ჩვენს ხელთ იყო)? – წერილმანზე თუ არ შევწერდებით, უნდა ვაღიაროთ, რომ დავთმეთ ის, რაც ომამდე ჩვენი საკუთრება ვახლდათ, ის, რაც ჩვენს განუყოფელ ტერიტორიად მიგვანჩნდა, სადავოდ ვაგზადეთ მაშინ, როცა აარაღით ვაიძულეთ მოწინააღმდეგე უარი ეთქვა თავის მთხოვნებზე, საკუთარი ტერიტორიის დათმობა, ან „სადავოდ“ ქცევა უთმრადაც შეიძლებოდა დიპლომატიური გზით, რისთვის ღა ვიღებდით აირაღს, რისთვის ვღვრიდით სისხლს?“<sup>38</sup> იგივე საპროტესტო განწყობილება პქონდა გიორგი მაზნიაშვილისაც. მთავრობა კი ირწმუნებოდა, რომ კომპრომისები აუცილებელი იყო, თუკი ქვეყანას სურდა დემოკრატიული გზით ეგლო და ევროპულ თანამეგობრობაში შესულიყო. დებატები პარლამენტში 5 იანვრამდე გაგრძელდა და მთავრობის წინადადება პოლიტიკური გზით მოგვარებულიყო პრობლემა, ხმის უმრავლესობით მიიღეს.

1919 წ. 9 იანვარს თბილისში გაიმხნა და 22 იანვრამდე გაგრძელდა საქართველო-სომხეთის სამშვიდობო კონფერენცია. დაპირისპირებულ მხარეებს გარდაკონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენლები პოლკოვნიკ რ. სტუარტის თავმჯდომარეობით. სომხური დელეგაციისაგან განსხვავებით, რომელიც ღია თუ შენობიერი ფორმით თავის ტერიტორიულ პრეტენზიებს არ ეშვებოდა, საქართველოს დელეგაცია მოქმედებდა საყოველთაოდ მიღებული საერთაშორისო ნორმების მიხედვით და საკვანძო საკითხებზე მისი წი-



ნადავლები ზომიერი და შექმნილი რთული ვითარების გათვალისწინებით იყო წამოყენებული. ამიტომ მათ მოკავშირეთა მხარდაჭერა ჰპოვეს, ახალქალაქის ადმინისტრაციული მოწყობის სომხური პროექტი კი, რომელიც საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევის ელემენტებს შეიცავდა, საერთოდ მოიხსნა დღის წესრიგიდან.

1919 წლის 22 იანვარს საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკებს შორის დროებითი საშვიდობო ხელშეკრულებას ხელი მოეწერა, რითაც თურქულად გაფორმდა მათ შორის ომის შეწყვეტა და ღორეს ნეიტრალური ზონის შექმნა. ყველა ძირითად საკითხში მოკავშირე სარდლობის წარმომადგენლებმა ქართველთა მხარე დაიჭირეს. ქართული ჯარები რჩებოდნენ ფონტის იმ ხაზზე, რომელიც მათ 31 დეკემბრის 12 საათისათვის დაიკავეს. ამით ინგლისელებმა და ფრანგებმა სომხების მიერ სადავოდ ქცეული ტერიტორია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კუთვნილებად მიიჩნიეს. ო. ქაჩაჩხუნიანის მთავრობის მისწრაფება ამჯერად უკვე მშვიდობიანი საშუალებით მიეღწია სომხეთის ტერიტორიის გაფართოება, ასევე ჩინალა. მიუხედავად ამისა, უკვეკვლად მოგებული ომის ამგვარი შედეგი არ შეიძლებოდა მისაღები ყოფილიყო საქართველოსათვის. რადგანაც ის, თითქმის, ვერცერთ პრობლემას ვერ ხსნიდა. საკუთარი ტერიტორიის „ნეიტრალურ ზონად“ გამოცხადებით მშვიდობა რეგიონში მაინც არ იყო გარანტირებული. ასე რომ საქართველოს მთავრობისათვის სამხეთთან სამშვიდობო ხელშეკრულების დადება, ფაქტობრივად, გარემოებებით განპირობებულ იძულებას ნიშნავდა. სომხეთისათვის კი, პირიქით, ხელმოწერის შემდეგ წაგებული ომი კეთილშედეგიანი აღმოჩნდა: საქართველოს ჩამოსცილდა მისი ტერ-

იტორიის ერთი ნაწილი, რამდენიმე ქართალია, სომხეთს არ მიერთებია. მაგრამ ეს მაინც საკმაო კონპენსაცია იყო წაგებული ომისათვის. დაშნაკური პარტიის ცნობილი ლიდერი ო. ქაჩაჩხუნი ასეთ შეფასებას აძლევდა სომხ-ქართველთა ომის შედეგებს: „ღორე გამოცხადდა „ნეიტრალურ ზონად“, ქართული ხელისუფლება კი იქ სომხურ-ქართულმა შესცვალა ინგლისელი კომისრის კონტროლით. ამდენად, ომის დასასრული ჩვენთვის რამდენადმე ხელსაყრელი აღმოჩნდა. ჩვენ ნაწილობრივ მივალწვიეთ მიზანს“.<sup>39</sup>

1919 წ-ის თებერვალში ხერგერბუგის აჯანყებამ ახალციხესა და ახალქალაქის რაიონებს საქართველოდან ჩამოცილების საშიშროება შეუქმნა, რის გამოც საქმრო ვახდა იქ მყოფი ქართული სამხედრო ძალების მნიშვნელოვანი გაზრდა. გამოცხადდა მობილიზაცია და საომარი მოქმედებების რაიონში ქართული სამხედრო ნაწილების რიცხვი მოკლე ხანში 5 ათასამდე გაიზარდა.<sup>40</sup> ეს ზრდა დაშნაკებმა იანვრის სამშვიდობო ხელშეკრულების დარღვევად აღიქვეს და მამისევე ატეხეს ვანგაში. სომხეთის ხელშეკრულებობამ ბრიტანეთის სამხედრო წარმომადგენელს ნოტიო მიმართა, სადაც ქართულ მხარეს ადანაშაულებდნენ ახალქალაქის თავიდანვე იარაღის ძალით დაკავებაში, რომელიც, თითქოს, სადავო ტერიტორია იყო სომხეთსა და საქართველოს შორის და დეკემბრის ომის ერთ-ერთი მიზეზი. ესლა კი ქართული სამხედრო ძალების გაზრდა საშიშროებას უქმნის საზღვრებსო. სომხური დიპლომატია ამჯერადაც დემაგოგიურ ხერხებს მიმართავდა. საქმე ის იყო, რომ ოსმალეთის ჯარების კავკასიიდან წასვლის შემდეგ, 1918 წლის 6 დეკემბერს საქართველომ თავისი ჯარები მესხეთში შეიყვანა და დაიკავა ახალქალაქი. ამავე დღეს სომხეთმა მოით-



თვა, რომ საქართველოს არ შეეყვანა თავისი ჯარები ახალქალაქში, რომელიც უკვე დიდის 10 საათზე დაკავებული იყო. ამის პასუხად საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი წერდა სომხეთის მთავრობას: საქართველოს მთავრობის მიერ ახალქალაქის მანრის დაკავება არც ისტორიულად, არც პოლიტიკურად, არც მორალურად სადავო არ არისო. 1918 წ. 17 დეკემბერს საქართველოს პარლამენტში ნიკო ფორდანიას განმარტავდა: - ჩვენ თავის დროზე განვაცხადეთ, რომ საქართველოს ფარგლებში ჩვენ ვოვლით მთელ თბილისის გუბერნიას და რომ ამ ტერიტორიას დავიკავებთ... ჩვენ დავიკავებთ ჯაფახეთი. ჩვენ დიდი ხანია ვაგვზავნეთ იქ ჯარები და დავაწესეთ განსაკუთრებული გენერალ-გუბერნატორობა ახალციხისა და ახალქალაქის მანრებში. ჩვენ ამის გამო მიწერ-მოწერას ვაწარმოებდით ოსმალეთთან. ოსმალები წაყიდნენ, და ჩვენ დავიკავებთ ეს ადგილები, და ეს არაგვისთვის არ იყო საიდუმლო, არც მოულოდნელი ყოფილა.<sup>41</sup>

მართალია, ახალქალაქის მანრამი ქართული შეიარაღებული ძალების ოდენობა იანვრის სამშვიდობო ხელშეკრულებით განსაზღვრული იყო, მაგრამ, როცა ტერიტორიების დაკარგვის რეალური საშიშროება შეიქმნა, მოკავშირეთა სარდლობის წარმომადგენლები, როგორც თბილისში, ისე ერევანში გაგებით შესვდნენ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებას ახალქალაქის რაიონში ქართული სამხედრო კონტინგენტის თაობაზე. ატყენილმა ხმაურმა ქართულ-სომხური მოლაპარაკებების მეორე რაუნდის გასსნა გამოიწვია 1919 წ. 28 თებერვალს თბილისში. მაგრამ ვერც ამ კონფერენციამ შეძლო მათ შორის არსებული ტერიტორიული პრობლემების მოგვარება და საზღვრების საკითხის გადაწყვეტა ისევ პარიზ-

ის სამშვიდობო კონფერენციას შენდო. ქართულ-სომხური თებერვლის კონფერენციის ერთადერთი პოზიტიური შედეგი იყო ამ ქვეყნების მთავრობათა მიერ 1919 წ. 8 მარტს საქართველოსა და სომხეთის დამოუკიდებლობის იურიდიული ცნობა.

1919 წლის აპრილში უკვე იფრხობოდა ინგლისელთა სამზადისი ამიერკავკასიიდან თავიანთი ჯარების გასაყვანად, რის გამოც სომეხი პოლიტიკოსები კიდევ უფრო გააქტიურდნენ და შეეცადნენ ინგლისელთა წასვლაში, ინგლისის სამხედრო სარდლობასთან შეთანხმებით, ქართველთა მონაწილეობის გარეშე მოეგვარებინათ სასაზღვრო საკითხი. სომხეთის მთავრობის მიერ შემუშავებული საკითხის გადაწყვეტის ვარიანტები თვით მოკავშირეთა სამხედრო სარდლობისთვისაც კი მიუღებელი აღმოჩნდა.

მავე ხანებში კავკასიის დამოუკიდებელი სახელმწიფოების არსებობას დენიკინის მოხალისეთა არმია უქმნიდა საფრთხეს, რის გამოც საქართველოს მთავრობის ინიციატივით თბილისში 1919 წლის 25 აპრილს მოწვეული იყო საერთო კავკასიური კონფერენცია. ევგ. გეგეჭკორმა კონფერენციას მიმართა წინადადებით, კავკასიის რესპუბლიკებს გაეერთინებინათ თავისი სამხედრო ძალები საერთო მტრის წინააღმდეგ, ხოლო ნ. რამიშვილმა საერთო დადგენილების მიღება მოითხოვა, რადგან ის ყველას ერთნაირად ესებოდა.<sup>42</sup> კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც ითვალისწინებდა ამიერკავკასიის სამხედრო-დამლომატიური ძალების გაერთიანებას საკუთარი ქვეყნების დამოუკიდებლობისა და თავისუფლების დასაცავად. ამ რეზოლუციის საფუძველზე საქართველომ და აზერბაიჯანმა 1919 წ. 16 ივნისს ხელი მოაწერეს სამხედრო-პოლიტიკურ ხელშეკრულებას.<sup>43</sup> ერთადერთი

სომხეთი აღმოჩნდა რუსოლუციის წინააღმდეგ, რომელიც ჯერ კიდევ არ კარგავდა იმედს მისი მფარველი ერთიანი და განუყოფელი რუსეთის აღდგენისა. დაშნაკებმა საიდუმლო კავშირი გააფორმეს დენიკინთან,<sup>44</sup> რომელიც, ბუნებრივია, მიმართული იყო საქართველოსა და აზერბაიჯანის წინააღმდეგ. საერთო კავკასიურ კონფერენციას არც ამჯერად ჰქონდა, თუნდაც, რამდენადმე რეალური შედეგი.<sup>45</sup> ინტერესთა სფეროება ამიერკავკასიის რუსიზაციის შესახებ ერთობ მნიშვნელოვანი იყო. სომხეთს ტერიტორიული პრეტენზიები გააჩნდა, როგორც საქართველოს, ისე აზერბაიჯანის მიმართ. რუსოლუციის მიღების შემთხვევაში უარი უნდა ეთქვა ამ პრეტენზიებზე, რაც ეწინააღმდეგებოდა ზღვიდან ზღვამდე გადაჭიმული „დიდი სომხეთის“ აღდგენის საოცნებო გეგმას, რასაც ჯერ კიდევ დრმად ჰქონდა ფესვები გადგმული სომეხთა პოლიტიკურ ცნობიერებაში. ამის მოწმობაა 1919 წლის 28 მაისს, დამოუკიდებლობის წლისთავზე, სომხეთის პარლამენტის — ხორხურდის მიერ გაცხადებული არარსებული „გაერთიანებული“ დამოუკიდებელი სომხეთი, რომლის შემადგენლობაში იგულისხმებოდა ქართველების, აზერბაიჯანელების, ქურთებისა და თურქებისაგან გასათავისუფლებელი ტერიტორიებიც.<sup>46</sup>

სომხებს მიერ სათავისოდ მიჩნეულ საქართველოს ტერიტორიაზე 1919 წლის აგვისტო-სექტემბერში მთავრობამ დამფუძნებელი კრებისათვის არჩევნები ჩაატარა. ამ არჩევნების მნიშვნელობა ჩვეულებრივ მინაპოლიტიკურ ამოცანებს ამკარად სცილდებოდა და უფრო ფართო პლემბისციტის ხასიათს იქნდა. მას უნდა გადაეწყვიტა, გაიმარჯვებდა თუ არა ქართული ორიენტაცია მრავალჭირგამოვლილ ძირძველ ქართულ მხარეში. ახალციხის მაზრაში არჩევნებში

მონაწილეობა მიიღო 35 ათასმა ამომრჩევლიდან 30 ათასმა კაცმა. ამ რიცხვიდან ქართულმა პარტიებმა მიიღეს 26 500 ხმა. დაშნაკთა სომხურმა პარტიამ კი მხოლოდ 3 ათასი ხმა. ახალქალაქის მაზრაში არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 21687 კაცმა. აქედან ქართველებს ერგოთ 13000 ხმა, სომხებს კი 8000. ამ არჩევნებმაც დაუმტკიცა ქვეყნის, წერდა ვიქტორ ნოზაძე, რომ ეს მხარე სადავო არ იყო და იგი არჩევნების მიხედვითაც საქართველოს ეკუთვნოდა.<sup>47</sup>

ინგლისელთა ჯარების გაყვანის შემდეგ სომხეთის მდგომარეობა სერიოზულად გართულდა. აზერბაიჯანმა დაიბრუნა თავისი პოზიციები ყარაბაღში, ამასთანე სომხები შიშობდნენ, რომ „ნეიტრალური ზონა“ შეიძლება მთლიანად საქართველოს დაბრუნებოდა, დენიკინს კი ჯერ სომხების დახმარების თავი არ ჰქონდა. ასე რომ, სომხეთმა მისაღიღნელი დახმარება ინგლისისაგან ვერ მიიღო. სამაგიეროდ გაჩნდა იმედი, რომ მათ საქინო დახმარებას ამერიკის შეერთებული შტატები აღმოუჩენდა. ვილისონის მთავრობა, თითქოს, გამოდიოდა სომეხი ხალხის ერთგული ინტერესების დამცველად. სომხეთზე მანდატის საკითხმა პარიზის კონფერენციაზე მწვავე დებატები გამოიწვია. თვით ამერიკის სენატშიც სომხეთის მანდატზე არ იყო ერთგვაროვანი აზრი. ერთი მომენტში აშშ მზად იყო, მიეღო მთელი მანდატი სომხეთზე და გაეფართოებინა მისი საზღვრები. ამის გამო ლოიდ ჯორჯი ხანრემოს კონფერენციის ერთ-ერთ სხდომაზე შენიშნავდა, რომ პრეზიდენტ ვილისონს მართლაც სურდა სომხეთის გაფართოება, მაგრამ ის თვლიდა, რომ გაფართოება ხაშრეთის მიმართულებით უნდა მომხდარიყო.<sup>48</sup> შეცვლილი ხაერთაშორისო ვითარებისა და საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით, 1920



წლის 1 ივლისს აშშ-ის კონგრესმა საბოლოოდ უარყო ბრეზიდენტ ვილსონის წინადადება სომხეთზე მანდატის მიღების თაობაზე.

ამრიგად, დაშნაკური მთავრობის მოღვაწეთა ცდებში, დასავლეთის ქვეყნების დახმარებით მიეტაცა მეზობელთა ტერიტორიები, ამჯერადაც ჩაიშალა. თუმცა 1920 წ-ის 10 აგვისტოს სულთანის მთავრობა იძულებით თანხმობას აცხადებს და ხელს აწერს სევრის ხელშეკრულებაზე, რომლის ძალითაც თურქეთის სომხეთი თავისუფალი და დამოუკიდებელი ხდებოდა ერზერუმის, ბთლიოსის, ვანის და ტრაპიზონის ვილაეთებით. ანტანტის ქვეყნებმა სომხეთს ყარსის ოლქიც გადასცეს. ამით გათამამებული დაშნაკები ანტანტისაგან ყარაბაღისა და „ნეიტრალური ზონის“ გადაცემასაც ელოდნენ. „დიდი სომხეთის“ საოცნებო გეგმას დაშნაკთა წარმოდგენაში ფრთები ესხმებოდა. მაგრამ ოსმალეთის ნამდვილმა პატრონმა მუსტაფა ქემალ ფაშამ, რომელიც სათავეში ედგა საერთო ეროვნულ ბრძოლას თურქეთის დანაწილების წინააღმდეგ, კატეგორიულად უარყო სევრის ხელშეკრულება. ნიშნდობლივია, რომ სევრის ხელშეკრულების ხელმძღვანელმა არცერთმა სახელმწიფომ ხელშეკრულების რატიფიკაცია არ მოახდინა, თურქეთის ეროვნული განთავისუფლებისათვის ანატოლიაში დაწყებული მოძრაობის წარმატებით დასრულების შემდეგ კი, ის აღარ შეესაბამებოდა ახალ საერთაშორისო პირობებს, რის გამოც სევრის „ვადამწყვეტილები“ ხელახლა იქნა განხილული, ამჯერად უკვე ლოზანაში გამართულ კონფერენციაზე. მაგრამ განხილვას რასმე კონკრეტული შედეგი აღარ მოჰყოლია. კერზონის გამოთქმით, „დავალებული სომხური საკითხი ჩუმიად ვარდაიცვალა“.<sup>49</sup>

1920 წლის გაზაფხულზე ანტანტის

წინააღმდეგ ბრძოლის ინტერესებმა ბოლშევიკური რუსეთი და ანანლი ქვემალისტური თურქეთი ერთმანეთს დაახლოვა. მოსკოვმა სცნო თურქეთის დიდი ეროვნული ყრილობის მიერ გაცხადებული პრინციპები საგარეო პოლიტიკურ დარგში და შეუდგა იარაღით მის მთმარაგებას.<sup>50</sup> 1920 წ-ის 24 აგვისტოს კი მოსკოვში ორ ქვეყანას შორის შევლობობის ხელშეკრულება გაფორმდა, რომელიც ანტანტის წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლას ისახავდა მიზნად. ამით მახლობელ აღმოსავლეთში ანტანტის გეგმებს სერიოზული საშიშროება ექმნებოდა, მასთან ერთად კი სომხეთის გაფართოებასაც. საბჭოთა რუსეთისა და ქემალ ფაშას თურქეთს შორის პირდაპირ კავშირს ეღობებოდა ამიერკავკასიის სამი რესპუბლიკის ტერიტორია, რომლის გადაღახვა ამ მოკავშირეთა უახლეს ამოცანად იქცა. 1920 წ-ის აპრილში აზერბაიჯანის მთავრობამ ქემალ ფაშას რჩევით, თუ კარნახით, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა ამ ქვეყანაზე, ადგილად გაუღო კარი წითელ ჯარებს, რის შემდეგ ის უშუალოდ საქართველოს, შემდეგ კი სომხეთის რესპუბლიკას უნდა შეეჯახებოდა. საქართველოსთან პირველი შეტაკება წითლების მარცხით დასრულდა. ამის შემდეგ ბოლშევიკური რუსეთის მთავრობამ ერევანს „მეგობრულად“ მიმართა: ნება დაერთო სომხური გზებით გადაეხიდა სამხედრო მასალა ქემალის ჯარების დასახმარებლად. სომხეთის მთავრობამ, რომელიც სევრის ხელშეკრულების განადგობის იმედს არ კარგავდა, უარით უპასუხა მოსკოვის წინადადებას, რაც მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა. სომხეთი ორ ცეცხლს შუა აღმოჩნდა მოქცეული. 24 სექტემბერს სომხეთ-თურქეთის ომი დაიწყო. თურქები ითხოვდნენ, დაშნაკებს უარი ეთქვათ სევრის ხელშეკრულებაზე. საომარი

მოქმედების, თითქმის, დაწყებისთანავე თურქეთის სარდლობამ სომხებს შესთავაზა მოლაპარაკება და საკითხის მშვიდობიანი გადაწყვეტა, მაგრამ უარი მიიღო. ამის შესახებ ო. ქაჩაზნუნი მოგვითხრობდა: ჩვენ თმის არ გვაშინოდა. გვეყვოდა ინგლისური იარაღით კარგად აღჭურვილი და ჩაცმული არმია... და ჩვენ ყველა დაბრმავებული ვიყავით სევრის ხელშეკრულებით.<sup>51</sup> 30 თქტომბერს თურქებმა აიღეს ყარსი, ამავე დროს წითელი ჯარებიც შეიჭრნენ სომხეთის ტერიტორიაზე და შეტევა დაიწყეს. შეჭირვებულ მდგომარეობაში მყოფმა დაშნაკთა მთავრობამ დროებით დაივიწყა საქართველოს მიმართ თავისი ამბიციები და დათანხმდა ნეიტრალურ ზონაში დროებით ქართული ჯარების შეყვანას, რამაც საშუალება მისცა მას იქ მდგომი სომხური ნაწილები თურქეთის ფრონტზე გადაესროლა. მიუხედავად ამისა, თურქეთის ჯარის ნაწილები განაგრძობდნენ წინსვლას, სომხური ნაწილები კი უკან დახევას. ნოემბრის მეორე ნახევარში ყარაბაქერ ფაშა ქ. ალექსანდროპოლის იღებს. ორმხრივ შეტევაში მოქცეული სომხეთის მთავრობა ისწრაფვის თურქეთთან ზავის დადებას, რომ რუსეთთან ბრძოლა შეძლოს. ასეთ ვითარებაში სომხეთში ახალი მთავრობა ყალიბდება ს. ვრაცაიანის მეთაურობით და დაშნაკებისა და ესერების შემადგენლობით. პრემიერი რუსული ორიენტაციის იყო, ესერებს კი პირადი კონტაქტები აკავშირებდათ სომხურ ბოლშევიკურ წრეებთან. ასეთ შემადგენლობას რუს ბოლშევიკებთან საერთო ენის გამოიხატვა, თუ ისინი გამოიხატებოდნენ, არ უნდა ვაჭრებოდა. მთ უფრო, რომ ანტანტის ქვეყნები, ესლა უკვე, გულგრილობას იჩენდნენ სომხეთის ბედის მიმართ.

1920 წლის 26 ნოემბერს დაშნაკები ხელს აწერენ დეკლარაციას, რომლი-

თაც უარს ამბობენ სევრის ხელშეკრულებაზე და, ამდენად, ხელს იღებენ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტერიტორიებზეც. რამდენიმე დღეში, 29 ნოემბერს სომხეთი სოციალისტურად ცხადდება, მიუხედავად ამისა, რომ წითელი არმია ერევანში მხოლოდ 4 დეკემბერს შევიდა. სომხეთ-თურქეთის ომი ოფიციალურად 2 დეკემბერს დასრულდა, როცა ხელი მოეწერა ალექსანდროპოლის სამშვიდობო ხელშეკრულებას, რომლის თანახმადაც სომხეთს რჩებოდა მხოლოდ 13 ათასი კუადრატული კილომეტრი ანუ ერევანისა და სევანის ტბის რაიონები. ო. ქაჩაზნუნი თავის მოგონებებში წერდა: ჩვენ როგორც პარტიამ და მთავრობამ ყველა შესაძლებლობა ამოვწურეთ და ჩინში მოვექცით და ბოლშევიკებს რომ დავევიანათ, ისინი ჩვენ უნდა მოგვეწვია, რადგან სწრაფად ქვეყანაში, რომელიც შეგვეცვლიდა, აღარ არსებობდა.<sup>52</sup>

სომხეთის ვასაბჭოებისთანავე ტერიტორიული პრეტენზიები საქართველოს მიმართ კვლავ განახლდა, ამჯერად უკვე ბოლშევიკური რუსეთის იმედით, რომელიც რუსეთის ტრადიციულ პოლიტიკას კავკასიაში ჩვეული გზით აგრძელებდა. 10 და 30 დეკემბერს სომხეთის მთავრობა ნოტას აგზავნის საქართველოში და ხელისუფლებისაგან მოითხოვს ლორეს რაიონის განთავისუფლებას, რაზეც კატეგორიულ უარს იღებს. დიპლომატიური ბაქერობა საქართველოსა და სომხეთს შორის მალე კარგავს თავის მნიშვნელობას. მოსკოვში საქართველოს ოკუპაციისა და მისი ვასაბჭოების გადაწყვეტილებას იღებენ. რუსული ტრადიციის მხედველად ამ გადაწყვეტილების რეალიზაციას კომუნისტური მოსკოვიც საქართველოს სომხური მოსახლეობის გამოყენებით იწყებს.

ნოე ფორდანი 1921 წ. თებერვალში საქართველო-სომხეთის საზღვრისპირა

რაიონში შექმნილ ვითარებაზე მოგვიანებით იფიქრებდა: გვერდით ცნობა, რომ ბრწყინვალე შეტევა დაიწყება ბორჩალოს საზღვრებთან და მას გამოაცხადებენ აჯანყებად; ამნაირად, მთელ ომს მსოფლიო ევროპაში გამოიტანს შინაურ ამბოხებად და მით ხელს დაიბანს... ომი გაჩაღდა: მსოფლიო ამცნო ქვეყნებს რადიკალური საქართველოში აჯანყება დაიწყებოდა, ხოლო კავკასიაში კი აცხადებდა - საბჭოთა სომხეთი თავს დაესხა მენშევიკებს და ითხოვს ბორჩალოს სომხეთისათვის შემოერთებას.<sup>53</sup> და ა.შ. 1921 წლის 11-12 თებერვალს დაიწყო საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ ამხედრება მხოლოდ ლორეს რაიონის სომხური მოსახლეობის ნაწილი - ორასამდე კაცი. თავიდანვე ამ აჯანყებაში მონაწილეობდნენ სომხეთიდან შემოსული რუსი და ძირითადად სომხური წარმოშობის წითელარმიელები, რის გამოც თავდაპირველად საქართველოს მთავრობის მხრიდან კონფლიქტი შეფასებული იყო როგორც სომხეთ-საქართველოს ომი. მაგრამ, როცა საომარ ოპერაციებში ჩაებნენ აზერბაიჯანიდან შემოსული ჯარები და მალე სოჭიდან, მამისონისა და დარიალის უღელტეხილებიდანაც შემოუტყეს საქართველოს, მთელი მსოფლიოსათვის ცხადი გახდა, რომ დაწყებული იყო საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია.<sup>54</sup>

კავკასიაში ბოლშევიკების ვაბატონებისთანავე დამოკიდებულება საზღვრების მიმართ არსებითად შეიცვალა. დაპარაკი აღარ იყო სახელმწიფოებრივ საზღვრებზე. რესპუბლიკებს შორის სახელმწიფო საზღვრები შეგნებულად წამოაღია, რაც საბაჟოების, პიკეტების და სხვა ტექნიკური ფორმების გაუქმებით გამოიხატა. ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ტერიტორიული გამიჯვნის საკითხების მოგვარების მიზნით რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენ-

ტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს 1921 წლის 2 მაისის პლენუმმა შექმნა სპეციალური კომისია ს. კიროვის თავმჯდომარეობით. ამ კომისიის ერთ-ერთ სხდომაზე სიტყვით გამოხატული სომხეთის წარმომადგენელი ბეკზადიანი სხდომის მონაწილეებს მოუწოდებდა, მხედველობაში მიეღოთ სომხეთის განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა, რომელსაც არც საკმარისი ტერიტორია აქვს და არც ტყვია და სხვა ფონდები - ხანელმწიფო სახსრების უმთავრესი წყარო, ამიტომაც იგი როგორც პოლიტიკურად დამოუკიდებელი ერთეული ვერ შეძლებს არსებობას. ამიტომ ის საჭიროდ მიიჩნევდა შეზობელი აზერბაიჯანისა და საქართველოს რესპუბლიკებისათვის ჩამოქრათ ტერიტორიები სომხეთის სასარგებლოდ. ბეკზადიანი სთხოვდა ქართველებს და თათრებს, საერთო სოლიდარობის გულისათვის, ერთხელ და სამუდამოდ გულწრფელი მეგობრული ურთიერთდამოკიდებულების დამყარებისათვის გადასცენ სომხური მოსახლეობით დასახლებული რაიონები.<sup>55</sup> იმდენად ფორმალური და არასერიოზული იყო წამოყენებული არგუმენტი, რომ საქართველოსა და სომხეთს შორის საზღვრების დადგენის საფუძვლად მისი მიღება იმ დროს, როცა საბჭოთა საქართველოსა და აზერბაიჯანის წარმომადგენლები დაუსვენებლად მიიხედავდნენ ტერიტორიების ნებისმიერი ფორმით ჩამოჭრას, 1921 წლის 7 ივლისს კავბიუროს ხელით ლორეს ყოფილი ნეიტრალური ზონის სომხეთისათვის გადაცემა, არ არის გამორიცხული, საზოგადოების ერთ ნაწილში მაინც, აღქმულიყო როგორც სომხეთა მიერ რუსეთისათვის გაწეული სამხაზურის ფასი, რაც „ლორეს აჯანყების“ პროვოცირებით ისაზღვრებოდა. სომხეთის პოლიტიკური წრეები რუსეთის წინაშე ვალდამოხდელად ვრძნობდნენ თავს, იმითაც გამოიხატა,



რომ ეს სასაზღვრო გამიჯვნის შემდეგაც მათს ტერიტორიულ პრეტენზიებს საქართველოსა და აზერბაიჯანის მიმართ ბოლო არ უჩანდა.

ლორეს ყოფილი ნეიტრალური ზონის მიღებიდან სულ მოკლე ხანში, 1922 წ. ცენტრალურ მთავრობას წარუდგინეს პროექტი, რომლის მიხედვით ჯავახეთი ანუ ახალქალაქის მაზრის უდიდესი ნაწილი, ბორჩალოს მაზრას უნდა შეერთებოდა, რათა შექმნილიყო ერთიანი სომხური ადმინისტრაციული ერთეული. ივ. ჯავახიშვილის თქმით, „ეს გეგმაც ამ ორი მაზრის საქართველოს სსრ საზღვრებიდან გამოყოფის და სომხეთთან შეერთებისათვის ოსტატურად მოგონილი პირველი საფეხურის პროექტი იყო, რომელსაც აუცილებლად შეიარევეთ მოყვებოდა. საკმარისია ადამიანი დაშაყველთა რუკებს თვალი გადაავლოს, რომ მისთვის ნათელი გახდეს, რომ აქაც ბრძოლა იმავე წინანდელი მიზნის სხვა გზით განხორციელებისათვის სწარმოებდა“.<sup>56</sup> როცა ამ პროექტზე უარი ეთქვათ, დაშნაკთა იდეების მიმდევარმა პოლიტიკოსებმა ყარაი-შირაქის ველის სომხებით დასახლების გეგმა წამოაყენეს. მუბაშეობის მოწყობის საბაბით, რაც თითქოს რუსეთის საფეოქრო მრეწველობის ინტერესებით იყო განპირობებული. ბოლოს კი სომხურმა მხარემ 1925 წ. სრულიად ღიად და შეუნიღბავად პრეტენზია წამოაყენა ახალქალაქის რაიონზე, მოითხოვა რა ჯავახეთისათვის ავტონომიის მინიჭება და საქართველოსაგან მისი გამოყოფა, რაც ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით ნიშნავდა

მეცხვარეობის სრულიად მოსპობას საქართველოში და შესაქმნელობის მიმდევარი ქართული მოსახლეობისათვის პირიდან ლუკმის გამოცლას.<sup>57</sup>

ამრიგად, როგორც ვხედავთ, სომხეთის კავკასიური პოლიტიკა 1918-1920 წლებში საცესებით და სრულიად ეწერება სომხური ნაციონალიზტური წრეების ტრადიციებში, რომელიც სომხეთის „ყველა მიმართულებით გაფართოებას“, ძირითადად, დიდ და ძლიერ სახელმწიფოთა ინტერესების სამსახურის ხანაცვლოდ მიღებული დახმარებით ცდილობდა, რისთვისაც არანაირ მეთოდსა და საშუალებას არ ერიდებოდა.

P.S. ამიერკავკასიის რესპუბლიკების მიმართ ტერიტორიული პრეტენზიებით დღესაც არაერთი სომეხი ისტორიკოსი და პოლიტოლოგი გამოდის და სომხეთშიც და საქართველოს სომხურ მოსახლეობაშიც „დიდ სომხეთზე“ მეოცნებე არც იმდენად მცირე ნაწილი სხვადასხვა ფორმით საზოგადოების ყურადღებას იქცევს, მიუხედავად იმისა, რომ ამ გამოსვლებსა და ოცნებებს, თანამედროვე შიოფლიოს წესრიგის პირობებში, რეალისტურ პოლიტიკასთან არანაირი კავშირი არ შეიძლება ჰქონდეს. ამიტომაც იყო, ალბათ, თბილისში ვიზიტად ყოფნისას სომხეთის პრეზიდენტმა, ბატონმა ლ. კონარიანმა სატელეფონო საუბრისას რომ განაცხადა – ჯავახეთის სომხური მოსახლეობის მომავლის ქართულ საზოგადოებასთან ინტეგრაციაში ვხედავთ.



დამონებელი წყაროები და ლიბრაბრა:

1. მოესეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, თბ., 1984, გვ. 73-
2. იქვე, გვ. 75-77.
3. იქვე, გვ. 88-89.
4. იქვე, გვ. 67.
5. ეროვნული ხელისუფლება დასავლეთ სომხეთში 391 წ. გააუქმეს რომაელებმა, აღმოსავლეთში კი სპარსელებმა 428 წ.
6. მოესეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, თბ., 1984, გვ. 240.
7. Манук Абебян, История древнеармянской литературы, Ереван, 1975, с. 155.
8. პაატა გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში, ტ.6, თბილისი, 1979, გვ. 339.
9. А. Марков, Закавказье в торговом отношении, журнал «Русский Вестник», 1884, с. 176-178.
10. კახეთის 1812 წ-ის აჯანყების ჩაქრობაში სომხთა როლზე კავკასიის ქარების მთავარსარდალი, ინფანტერიის გენერალი ნ.თ. რტიშვიე იმპერატორ ალექსანდრე I-ს სწერდა: „მთელ საქართველოში კაცი არ დარჩა ჩვენი ერთგული. მარტო სომხებმა არა თუ არ მიიღეს მონაწილეობა ამბოხებაში, არამედ სიცოცხლესა და ქონებასაც არ ზოგადდნენ... ჩვენ ქარებთან იბრძოდნენ მშფოთვარეთა გასაწყვეტად... მთავრობა სომხებს უნდა უმადლოდეს, რომ დროზე და წინასწარ იტყობდა, რას აპირებდნენ შეამბოხენი და სად ჰქონდათ ბინა“ (AKAK V, გვ. 221-222). სომხთა ერთგულების განსამტყიცებლად 1813 წ. 13 მაისს გენერალი რტიშვიე იმპერატორს სთხოვდა საქართველოს სომხთა დაწილოებას (იქვე). იმავე წლის 15 სექტემბერს კი თბილისში იღებენ ალექსანდრე I-ის წერილს, რომლითაც საქართველოს სომხურ მოსახლეობას რუსეთის წინაშე დამსახურებისათვის იმპერატორი მადლობას უცხადებდა.
11. История армянского народа, Ереван, 1964, с. 168.
12. ვ. ჯაოშვილი, საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX საუკუნეებში, თბ., 1984, გვ. 228.
13. შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი, თბ., 1975, გვ. 359-361.
14. Л. Загурский, Поездка в Ахалцихский уезд в 1872 г., с. 65.
15. სცია, ფ. 2080, საქ. 6, ფურც. 82-111.
16. იქვე, ფურც. 4.
17. Бакинский армянско-национальный совет, Армяно-Грузинский вооруженный конфликт, 1919, с. 1-5.
18. ილია ქავთავაძე, რჩეული ნაწარმოებები, ტ. V, თბ., 1987, გვ. 31-32.
19. იქვე, გვ. 77.
20. ზ. ჭიჭინაძე, ქართველი გრიგორიანები, ისტორიული მიმოხილვა შავშეთისა, თბ., 1904, გვ. 34.
21. ვ. ნოზაძე, საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, თბ., 1989, გვ. 13-14.
22. იქვე, გვ. 14.
23. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. XII, თბ., 1998, გვ. 495.
24. იქვე, გვ. 495-496.
25. ზ. ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლებში საერთაშორისო პოლიტიკაში, I, მოგონებანი, ნარკვევები, თბ., 1990, გვ. 188.
26. იქვე, გვ. 188-189.
27. სცია, ფ. 471, საქ. №6, გვ. 82-90.
28. ვ. ნოზაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 45.
29. სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, ს. 43, ფურც. 1-3.
30. დ. ქუმბურიძე, ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა XX ს-ის დასაწყისში, 1918-1921 წლები, თბ., 2003, გვ. 226.
31. იქვე, გვ. 233.
32. ნოე ჟორდანი, ჩემი წარსული, თბ., 1990, გვ. 92-93.
33. გიორგი მაზნიაშვილი, მოგონებები, ბათუმი, 1990, გვ. 115-132.
34. ნოე ჟორდანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 93.
35. გ. მაზნიაშვილი, მოგონებანი, გვ. 132.
36. სცსია, ფ. 1864, აღწ. 1, საქმე № 31, ფურც. 160.

37. გაზეთი „საქართველო“, №2, 1919.
38. გიორგი კენიკაძე, მოგონებები, თბ., 1998, გვ. 93-94.
39. О. Качазнуни, Дашнакцутюн больше нечего делать, Тифлис, 1927, с. 32.
40. გიორგი კენიკაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 89.
41. ვ. ნოზაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 44-45.
42. იბ. გაზეთი „ერთობა“ 1919 წლის 6 მაისის №97 და 12 ივნისის №127.
43. Г.Р. Мархулия, Из истории возникновения армянской наци-оналистической партии «Дашнакцутюн» и ее политика в отношении Грузии в 1918-1920 гг. «Исторические разыскания», т. II, Тбилиси, 1999. с.193.
44. А. Раевский, Английская интервенция и мусаватское правительство, Баку, 1927, с. 115.
45. კავკასიური კონფერენციების შედეგების მიმართ უნდობლობას გამოთქვამდა მოვლენების შუაგულში მყოფი ნოე ჟორდანიაც. თავის მოგონებებში იგი წერს: სომხები იწვეოდნენ რუსეთისაკენ, მოვა ის და გვიხსნის თურქებისაგანო. დენიკინელთა შორის იყო მრავალი სომხური ნაწილი. ასეთ ატმოსფეროში რა საკვირველია, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკათა კონფერენციები არაფრით გათავებულყო. ერთი ალთას, მეორე ბალთას. ბაქო ოსმალეთისკენ, ერევანი რუსეთისკენ, დაგრჩით შუაში მხოლოდ ჩვენ, რომელსაც გვინდოდა დამოუკიდებლობა ნამდვილი და მკვიდრი. იბ. ნოე ჟორდანი, ჩემი წარსული, გვ. 114.
46. სომხეთის ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი (სცსია), ფ. 276, აღწ. №1, საქმე №119, ფურც. 55. ვი მოწმებ გ. მარხულიას ნაშრომის «Армяно-Грузинская конференция и создание Лорийской нейтральной зоны»-ის მიხედვით.
47. ვ. ნოზაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 60.
48. Д. Ллонд Джордж, Правда о мирных договорах, т. II., М., 1949, с. 425.
49. Армянский вопрос на Лозаннской конференции, Тифлис, 1926, с. 1.
50. Документы внешней политики СССР. т. III. М., 1959, с. 369.
51. О. Качазнуни, Дашнакцутюн больше нечего делать, Тифлис, 1927, с. 37-38.
52. იქვე, გვ. 57, 60.
53. ნ. ჟორდანი, ჩემი წარსული, გვ. 120-121.
54. ალ. ბენდიანიშვილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა, თბ., 2001, გვ. 322.
55. ნ. მირიანაშვილი, საქართველოს ტერიტორიული ცვლილებანი ამიერკავკასიის რესპუბლიკებთან 1918-1938 წწ-ში. ავტორაფერატი, თბ., 2001, გვ. 14-15.
- 56-57. ივ. ჭავჭავაძის მოხსენება საქართველოს შთაფრობას 1926 წ. სცსსა, ფ. 476, ს. №6, ფურც. 82-111.



## ზმრავ მკაპაძე

### რეინკარნაცია და ძრისტიანობა

თანამედროვე ოკულტური სისტემების (თეოსოფია, შტანდერიზმი, ასტროლოგია და სხვ.) ერთ-ერთ ცენტრალურ ცნებას რეინკარნაცია, ანუ სულთა გარდასხეულების (მეტემფსიქოზის, სულთა ტრანსმიგრაციის) თეორია წარმოადგენს, რომელიც თავის დასაბამს ინდურ რელიგიებში (ინდუიზმი, ბუდიზმი; ჯაინიზმი) იღებს. სწორედ რეინკარნაცია და მასთან დაკავშირებული კარმული კანონია ის ძირითადი იდეა, რაც საერთოა ამ სამი რელიგიისათვის და თავიდან ბოლომდე განმსჭვალავს სამივე მათგანს. მიუხედავად ამისა, რომ თავისი თეოლოგიური და კოსმოლოგიური შეხედულებებით ეს სამი რელიგია ფრიად განსხვავდება ერთმანეთისაგან, კერძოდ ინდუიზმი ბანთეისტური იდეალიზმია, ბუდიზმი — რელიგიური აგნოსტიციზმი, ჯაინიზმი კი — ათეიზმი.

თავის შხრივ, ინდუიზმი და ბუდიზმი უხვად ასაზრდოებენ თანამედროვე ოკულტურ სწავლებებს და ამიტომაც ვასაკვირი არაა, რომ მეტემფსიქოზის თეორია აგრერიგად პოპულარულია ოკულტიზმის ადჟუტთა შორის. მათი მტკიცებით, რეინკარნაცია დამახასიათებელია უძველესი დროიდან მოყოლებული ყველა რელიგიისათვის და იგი თვით ქრისტიანობისთვისაც არ არის უცხო. ე. რერისის აზრით, ადრეული ქრისტიანობა აღიარებდა მეტემფსიქოზს და იგი თურმე მხოლოდ VI საუკუნეში

აუკრძალავთ კონსტანტინოპოლის მსოფლიო საეკლესიო კრებაზე 553 წელს.

უძველეს ხალხთა მითოლოგიისა და რელიგიის გაცნობას საპირისპირო დასკვნამდე მივყავართ. რეინკარნაციას არ იცნობს არც შუმერთა, არც ძველ ეგვიპტელთა და არც ძველი აღთქმის თანატოლოგია. რეინკარნაციის მომხრეთა აზრით, სხეული მხოლოდ სამოსია, რომელიც სულმა მრავალგზის უნდა გამოიცვალოს. სხეულზე ამგვარი წარმოდგენა კი სრულიად უცხოა ძველი ეგვიპტური მენტალიტეტისათვის. მართლაც ძველ ეგვიპტეში უდიდესი კრძალვით ეპყრობოდნენ გარდაცვლილთს სხეულს, მის ურთულეს მუშიფიკაციას ახდენდნენ და შემდეგ ვრანდიოზულ საცავს — პირამიდას უშენებდნენ. საყურადღებოა, რომ მეფეთა და დიდგვაროვანთა პატივით დაკრძალვა, როდესაც მიცვალებულს თან ათავგვარ სიმდიდრესა და მსახურებსაც კი ატანდნენ, მრავალი ძველი ხალხის ყოფისათვის იყო დამახასიათებელი. შუმერებაც, ებრაელებიც და ძველი ბერძნებაც გარდაცვლილ სულთა სამკვიდროდ საიქიო ქვეყანას მიიწვევდნენ, რომელსაც შუმერულად „ქური“ ეწოდება, ებრაულად „შეოლი“, ხოლო ბერძნულად „ჰადესი“ და რომელიდანაც უკან არავინ ბრუნდება. ეს სულები თავიანთი ცხოვრებით ცხოვრობენ. ცხადია, რომ გარდაცვლილთა სულებზე ამგვარი წარმოდგენები სავსებით ეწინააღმდეგება



რეინკარნაციის შესახებ სწავლებას. ეს უკანასკნელი არც ძველ ჩინურ რელიგიებში (კონფუციანელობა, დაოსიზმი) ჩანს, პირიქით, ჩინურ ტრადიციაში დიდი ადგილი ეთმობა წინაპართა სულებზე ზრუნვას, რომელიც შკაცრი, რიგორისტული წესებით აღესრულება. მეტიც, მეტემფისიქოზის თეორიას ვერ ნახავთ თვით ინდოელთა უძველეს რელიგიაში — ვედიზმში. ვედური ტექსტები (XIV ს. ჩვ. წ. აღ-მდე), ამის შესახებ არაფერს ამბობენ. რეინკარნაციის შესახებ ცნობა პირველად უპანიშადებში გვხვდება (VI ს. ჩვ. წ. აღ-მდე). სულთა გადასახლების არ იცნობს არც ზორიასტრიზმი, უცხოა იგი ისლამისთვისაც, თვით გნოსტიკოსთა შორისაც მას მხოლოდ ვახლიდუ და კარპოკრატე იზიარებდნენ.

გვიბტურ გარემოში მეტემფისიქოზზე სწავლება პირველად ე.წ. „პერმეტიკულ კორპუსში“ ჩნდება, მაგრამ პერმეტიზმი სულაც არაა ძველგვიბტური წარმოშობის. იგი ახ. წ. III ს-შია დაწერილი ბერძნულად და სტოიციზმისა და პლატონიზმის კვალი ატყვია. ბერძნულ სინამდვილეში მეტემფისიქოზზე ცნობები შემონახეს ორფიკულმა ტექსტებმა, სულთა გადასახლებას აღიარებდა პითაგორაც, რომლის მოძღვრებაც არ იყო წმინდა ბერძნული მოვლენა. პითაგორას მისტიკური ფილოსოფია მკვეთრ დისონანსს ქმნის საერთო ბერძნული ფილოსოფიის რაციონალიზტურ ხაზთან. ის ფაქტი, რომ პითაგორა თავს ტროას ომის მონაწილე ევფორბის განსხეულებად თვლიდა, შემდგომში მახვილგონიერულად გააკრიტიკა ტერტულლიანემ. მეტემფისიქოზის შესახებ სწავლების დაამკვიდრებას ანტიკურ წამართობაში ხელი შეუწყო პლატონის მოძღვრებამ, რომელმაც დასრულებული სახე ნეოპლატონიზმში მიიღო. რაც შეეხება თედურ ტრადი-

ციას, მისთვის რეინკარნაციის ცნებებზე რწებოდა თვით ქრისტიანობის გავრცელების შემდგომაც და მხოლოდ VIII საუკუნეში მიიღო იგი კაბალამ, რომელმაც სრულიად გაითავსა და ჩამოყალიბებული სახე მისცა სულთა ტრანსმგრაციის შესახებ სწავლებას (სხვათა შორის სულთა გადასახლებას აღიარებენ თანამედროვე ტოტალიტარული სექტის — „საინტოლოგიის“ მოძღვრებაც).

როგორც ვხედავთ, მოუხედავად თეოსოფოსთა დაყენებული მტკიცებისა, რეინკარნაცია არ არის არც უძველესი და არც საყოველთაო-რელიგიური სწავლება. იგი ბევრად უფრო გვიანდელია და მხოლოდ გარკვეული რელიგიებისა და ფილოსოფიური სისტემებისთვისაა დამახასიათებელი. რაც შეეხება ქრისტიანობას, მისთვის, როგორც ქვემოთ ვნახავთ, მეტემფისიქოზი თავისი არსით სრულიად უცხო და მიუღებელ სწავლებას წარმოადგენს და პრინციპულად ეწინააღმდეგება ქრისტიანულ მოძღვრებას, რის გამოც რეინკარნაციის დოქტრინას მკვეთრად დაუპირისპირდნენ ქრისტიანობის პირველი აპოლოგეტები: იუსტინე ფილოსოფოსი, თეოფილე ანტიოქელი, ტატიანე სირიელი, ტერტულიანე, ირინეოს ლიონელი, იპოლიტე რომაელი, მუნციუს ფელიქსი და სხვები, რომლებიც დაუზოგავად ამხელდნენ პლატონისა და პითაგორას სწავლებას სულთა მარადიული არსებობისა და მეტემფისიქოზის შესახებ. რეინკარნაციის თეორიას აკრიტიკებს აგრეთვე ანტიკური ფილოსოფიისადმი თვით ყველაზე ლიბერალურად განწყობილი ლეონტიუსეელი კლიმენტი ალექსანდრიელი.

ამკარად და ერთმნიშვნელოვნად ვაძობს მეტემფისიქოზს მთელი IV-V საუკუნეების პატრისტიკა (კაბადოკიელი მამები, იოანე



ოქრობანი, ებიფანე კვიციანი, მეთოდე ოლიმპიელი, კირილე ალექსანდრიელი, იერონიმე სტრიდონელი, ნეტარი ავეუსტინე და სხვ.). რეინკარნაციის თანამედროვე მომხრენი ვახსაკუთრებით ხშირად ორიგენეს ბერსონით სპეკულირებენ. ამის თაობაზე უნდა აღინიშნოს, რომ ორიგენე სულაც არ იზიარებდა რეინკარნაციის თეორიას, ის მხოლოდ სულთა წინასწარ არსებობას აღიარებდა და ამტკიცებდა, რომ სულის სხეულთან დაკავშირება მათი (სულების) დაცემის შედეგია და რომ მეორედ მოსვლისას აღდგება და ცხონდება ყველა სული თვით ცოდვილითა და დემონთა ჩათვლით (ე.წ. აპოკატასტასისის თეორია). სწორედ ეს გაუკუღმართებული სწავლება დაიგმო ეკლესიის მიერ და თანაც მრავალგზის და ბევრად უფრო ადრე, ვიდრე V მსოფლიო საეკლესიო კრება შედგებოდა. ამ კრებაში უბრალოდ კიდევ ერთხელ დაადასტურა ორიგენეს სწავლებათა სიმცდარე, რადგან, როგორც ჩანს, იყო მათი ხელახლა აღორძინებისა და ეკლესიურ სწავლებაში შემოტანის მცდელობა. კრების ოქმებში კი სიტყვა მეტემფსიქოზი საერთოდ არაა ნახმარი. სხვათა შორის, ეკლესიამ ასევე დაგმო XI საუკუნეში იოანე იტალიოსის რეინკარნაციული იდეები, რაც იმაზე მეტით თვით, რომ ეკლესია სწორედ მაშინ რეაგირებდა მწვავედ ქრისტიანობისათვის უცხო, მწვალებელურ სწავლებებზე, როცა ამის საჭიროება დგებოდა. ასე რომ, საფუძველშივე მცდარია ის აზრი, თითქოს ეკლესია VI საუკუნემდე იწყნარებდა სულთა ვადასახლების თეორიას და შემდეგ რაღაც ახირების გამო უარყო იგი. თეოსოფოსთა მტკიცებას უარყოფს ის ფაქტიც, რომ მონოფიზიტი ქრისტიანები (სომხები, კოხტები, ეთიოპიელები), რომლებიც ქალკედონის IV მსოფლიო საეკლესიო კრების

შემდეგ (451 წ.) ჩამოსცილდნენ ერთიან ეკლესიას და მათთვის V საეკლესიო კრება არავითარ ავტორიტეტს არ წარმოადგენს, სულაც არ იზიარებენ რეინკარნაციის თეორიას. ანალოგიური მდგომარეობაა ნესტორიანელებშიც, რომლებიც დედა ეკლესიას კიდევ უფრო ადრე, ეფესოს III მსოფლიო საეკლესიო კრების შემდგომ (431 წ.) დაშორდნენ. ეს რაც შეეხება საკითხის ისტორიულ მხარეს; ახლა განვიხილოთ, თუ რატომ ეწინააღმდეგება რეინკარნაციის თეორია მისგან გამომავალი ყველა შედეგითურთ ქრისტიანობას.

უმთავრესი ისაა, რომ მეტემფსიქოზის აღიარება ამახინჯებს ადამიანის ზნეობრივ ცხოვრებას. ქრისტიანული მოძღვრების მიხედვით, ცოდვა ყველაზე დიდი უბედურებაა, რომელიც თუ სინანულით არ წარმოცა, მარად რჩება ადამიანის სულში. ცოდვა დემონიზაციის გზაა და დემონთან საიდუმლო კავშირია. რეინკარნაციის მომხრენი საბირსბირსო ამტკიცებენ. მათი აზრით, ცოდვა სულის შეფერხებაა სულის მოგზაურობის გზაზე, რომელსაც სასჯელად გარდასხეულება მოსდევს. ამდენად, სწორედ ცოდვაა ის ძალა, რომელიც „რეინკარნაციის ბორბალს“ ატრიალებს. აქედან გამომდინარე, ცოდვა ადამიანის მიერ ქვეცნობიერად აღიქმება არა როგორც დაღუპვა და ქაოსი, არამედ როგორც ერთგვარი შემოქმედებითი ძალა, რომელიც ახანგრძლივებს ჩვენს კოსმურ მყოფობას და უმთავრესი მნიშვნელობის მქონეა „ჩვენი“ ახალი სხეულების ფორმირებისას, ე.ი. ცოდვაა ის დემორეგია, რომელიც ქმნის და ინახავს ადამიანურ ინდივიდუალობას.

მეტემფსიქოზის თეორიის მიხედვით, ადამიანს წინარე ცხოვრებაში ჩადენილი ცოდვა მოძღვრებით ცხოვრებისას თავად დაატყდა თავს. პლოტინი წერდა, რომ „ის,



ვინც მოკლავს საკუთარ დედას, შემდგომში თვითონაც საკუთარი შვილის ხელით მოკვდებაო“ (ენქადები III. 2), ხოლო თანამედროვე დანიელი ბუდისტი ოლე ნიუდალი ამბობს: „ჩვენ არ უნდა გვეცოდებოდეს ბატარა ვოგონა, რომელიც საკუთარმა ბიძამ გააუბატურა, რადგან წინა ცხოვრებაში თვით იგიც (ვოგონა) ანალოგიურად მოიქცაო“. კარმის შესახებ ამგვარად ფორმულირებული სწავლება „ბოროტების შენახვის კანონის“ სახეს იღებს, ე.ა. გამოდის, რომ ჩემს მიერ (და სხვათა მიერ) ჩადენილი ცოდვა აღარასოდეს გაქრება. კარმული კანონისათვის უცხოა ბბბბბბის სიტყვები: „შენ ხარ ღმერთი შემნობი, მისივეგარულე და გულმოწყალე“ (ნექშია 9.17).

ბოროტება არ ისპობა, ბირიქით, სულ უფრო და უფრო მრავლდება, აქედან კი ლოგიკურად გამომდინარეობს ბუდისმის უმთავრესი დასკვნა, რომლის თანახმადაც ამგვარი მდგომარეობიდან საუკეთესო გამოსავალი სამყაროდან გაქცევა, სიცოცხლის სურვილის მოსპობა — ნირვანაა. რენკარნაციის აღიარება გულისხმობს, როგორც სულის არსებობის მაღალი ფორმებიდან დაღმასვლის შესაძლებლობას, ისე მის ბერეკე პროცესსაც. ეს კი სიკეთისა და ბოროტების განმასხვავებელი კრიტერიუმის არარსებობას მოასწავებს, მართლაც, თუ სულის მაღალ, ზეცურ რანგში მყოფობა არ შეიცავს სხარულის სისრულეს, რამეთუ იქაც შესაძლებელი და შეტაც, გარდუვალა ცოდვა, ხოლო ამავე დროს ხეს, თავს, მაიმუნს, ღირს, შეიძლება რაიმე სათნოება გაანდეთ, რაც მათ უკეთესი გარდასხეულებისაკენ მიიყვანს. თუ ვაღიარებთ, რომ სული, რომელიც ზეცაში იმყოფება, ცოდვაში ჩავარდნის გამო სხეულებრივ ცხოვრებას იწყებს და შემდეგ

კვლავ ზეცად ბრუნდება, გამოდის, რომ სხეულებრივი სიცოცხლე ზეცის მოწყობის ცოდვისაგან განწმენდას, ხოლო სულიერი ცხოვრება ზეცაში ბოროტების საწყისად გვევლინება. როგორც ვხედავთ, შეტემფსიქოზის თეორია შინაგან წინააღმდეგობას შეიცავს: თვლის რა სხეულებრივ ბუნებას ვნებისადმი დაქვემდებარებულად, იგი იმავედროულად ამტკიცებს, რომ ვნებიან გარემოცვაში შესაძლებელია ვნებათაგან განწმენდა, ხოლო მიწნევის რა ზეცის უვნებო ყოფიერების სფეროდ, მანაც უშეგებს, რომ სწორედ იქ იწყება ყოველგვარი ვნება და შესაბამისად ცოდვაც. ამ შემთხვევაში საქმეს არ შევლის ის ფაქტი, რომ რენკარნაციის ზოგიერთი მიმდევარი უარყოფდა ადამიანის სულის ცხოველისა და მცენარეში ჩასახლების შესაძლებლობას და მხოლოდ სულის ერთი ადამიანიდან მეორეში გადასახლებას აღიარებდა. მაგ., ბლოტიმის მოწაფე პორფირიუსს სამარცხვინოდ მიანდა იმის წარმოდგენა, რომ ქალს, რომლის სულაც ცხენის სხეულში ჩასახლდებოდა, შესაძლებელი იყო ზურგიო ეტარებინა საკუთარი შვილი, მაგრამ, როგორც ნეტარი ავუსტინე აღნიშნავს: „ვანა ნაკლებ საშინელი და სამარცხვინოა იმის წარმოდგენა, რომ იგივე ქალი, რომელიც შემდგომში ქალწულის სხეულით იქნება შემოსილი, შესაძლებელია საკუთარ ვაჟს გააყვეს ცოლადო“ (ღვთის ქალაქი X.30).

შეტემფსიქოზის თეორია პლატონური სბრიტუალიზმიდან გამომდინარეობს, რომლისთვისაც სხეული, როგორც მატერიალური საწყისი სულის დილვეცია, პლატონი „კრატილისში“ სხეულს (ბერმნ. სომბ) და საფლავს (სუმა) აიგივებს, ხოლო ბლოტიმს რცხვნიდა, რომ სხეული გაანდდა. ინდუიზმის მიხედვით, კი რეალურად არსებობს მხოლოდ ერთი უპიროვნო



აბსოლუტი — ბრაჰმანი, რომელიც ადამიანში ატმანის სახით ვლინდება (ოგი აბსოლუტის ოგივუობრივია). ცხოვრება ბოროტებაა (მარა), სამყარო — ილუზია (მაია). ასევე შირაჟია ადამიანური სხეულიც, რომელსაც ტანისამოსზე შეტიღირება არ გააჩნია. ოგი უფრო უცხოა სულისათვის, ვიდრე ხამოსი. ინდუიზმი და ბუდიზმი არ იცნობს ბიროვნებას, როგორც სულიერ-ფიზიკურ მონადას. რეინკარნაციის თეორია ადამიანს არწმუნებს, რომ ცოდვა ადამიანის არსებას არ ქება, რომ ოგი რაღაც უცხო რამ არის, ხოლო ადამიანის არსება — ატმანი სიკეთისა და ბოროტების მიღმა იყოფება. ბიროვნების უარყოფით მუტემფსიქოზის მომხრენი სიყვარულის ადგილს აღარ ტოვებენ, რადგან სიყვარულის ობიექტი მხოლოდ ბიროვნება შეიძლება იყოს. მიყვასის სიყვარული — ილუზიაა, რადგან მალე ისინი სხვა სხეულებში გადასახლდებიან და საშარადისოდ გაგვშორდებიან. ავადმყოფი ბავშვის სარეცელთან მწუნარედ დახრილი დედა, ან მომაკვდვი დედისაგან კურთხევის მომლოდინე შეილება — მხოლოდ ნიდაბია, წარმოდგენაა, ამიტომაც ამბობდა სვამი ვივეკანანდა: „იცინეთ ვანშორების ჟამს“. ქრისტიანობა კი ბიროვნულ უკვდავებას გვასწავლის. ოგი შოგვიწოდებს სიყვარულისკენ, რომელიც იქვეყნადაც მიგვევება, ქრისტიანული ეკლესია აერთიანებს ამქვეყნად მყოფთაც და გარდაცვლილთაც. ქრისტიანობა ოჯახს პატარა კელესიად მიიწევს, რეინკარნაციის თეორია ოჯახის ცნების პროფანაციას

ახდენს. უბიწოება უფრო სულის მდგომარეობაა, ვიდრე სხეულისა; მაგრამ სადაა ოგი, რა ფასი აქვს ქალწულობას, თუკი პატარა გოგონას სულმა წარსულ ცხოვრებაში უკვე ყველა სახის ცოდვა იტმა? სადაა შეუღლეთა ერთგულება, თუკი თითოეულმა მათგანმა უწინ უკვე მრავალგზის იქორწინა სხვებთან და მომავალშიც სხვაზე იქორწინებს? რა ფასი აქვს ამგვარ ცოლ-ქმრულ ერთობას, თუკი ოგი მხოლოდ ეტაპია მომავალი განსხეულების გზაზე? როგორც ცნობილი არგენტინელი მწერალი, ლუის ბორჩესი გადმოგვცემს, შაჰაომა განდი საავადმყოფოების მშენებლობის წინააღმდეგი იყო, რადგან ისინი თურმე ხელს უშლიან კარმის კანონის ბოლომდე მოქმედებას.

პლატონურ პიდეუობაას და ინდუისტურ აკოსმიზმს ქრისტიანობა უბრისინებს მოძღვრებას ადამიანის მატერიული სხეულის, როგორც სულის ხოცარი ინსტრუმენტის შესახებ. ქრისტიანული ანთროპოლოგიის ცენტრალური ცნება ბიროვნებაა, რომელიც სულისა და სხეულის ერთიანობაა. სული და სხეული ერთდროულად წარმოიშობან და ერთდროულად თანაარსებობენ სიკვდილამდესიკვდილი მათი დროებითი ვანშორებაა, რომელიც საყოველთაო აღდგომამდე გრძელდება, რომლის დროსაც მოხდება ადამიანის ერთადერთი ქეშმარიტი რეინკარნაცია, ანუ მისი სული კვლავ შეიშისავს ახალ, უხრწნელ, ვასულიერებულ და ფერნაცვალებ სხეულს შარადიული სიცოცხლისათვის.





„მ, ენაჲ ჩემო...“

აი, შეუმჩნეველად გაიარა ოთხწლიანმა ციკლმა და კვლავ ფეხბურთში მორიგი მსოფლიო ჩემპიონატი მოგვაგადა კარს. მის მოახლოვებასთან ერთად იმპლავრა იმის შიშმაც, რომ ქართულ შეტყვევლებაში ახალი „მარგალიტები“ შემოიჭრება, ნიაღვარივით მოზღვაგდება ქართული ენის მორიგი დამახინჯებები. ამაში კი ღომის წილი სპორტულ კომენტატორებზე მოდის, რომელთა შეტყვევებასაც, შეიძლება ითქვას, ქართულთან ცოტა რამ თუ აქვს საერთო. ქართულისათვის მიუღებელი და შეუფერებელი გამოთქმები თანდათან ფეხს იკიდებს ჩვეს შეტყვევლებაში და ქართულ ლექსიკაში მკვიდრდება. მაგრამ საფრთხე კიდევ უფრო დიდია, ვიდრე ერთი შეხედვით მოჩანს — ირლევია ჩვენი აზროვნების ეროვნული კონსტრუქცია — სინტაქსი, რის რლევასაც პიროვნების რლევვა მოსდევს. შეიძლება ითქვას, რაც უფრო დიდ სიამოვნებას ვიღებთ ტელეკრანიდან, მით უფრო იზრდება ჩვენი სულიერი დამახინჯების საფრთხეც.

მაგალითებისათვის შორს წასვლა არ დაგვიჭირდება. ამისთვის საკმარისია მოვუსმინოთ ნებისმიერი სპორტული ასპარეზობის რეპორტაჟს. მოვიყვან რამდენიმე მაგალითს:

— ფარერის კუნძულების საფეხბურთო გუნდთან შერჩევითი მატჩის წინ ეთერში გაისმა: „ჩვენი გუნდი ამ შესვედრის წინ უკანასკნელ მატჩს გამართავს“. გასაკებია, რომ იგულისხმებოდა ბოლო საწვრთნელი მატჩი და არა გუნდის ისტორიაში უკანასკნელი შესვედრა.

— „ბრაზილიელი რომარის გრძელი თმები სულაც არ უშლის მას ხელს თამაშში“. კრებითი სახელების (მაგ. თმა, წვერი, უღვაში, ხალხი და სხვ.) მრავლობით რიცხვში ხმარება ბოლო დროს სრულიად უმართებულოდ დამკვიდრდა ქართულ ენაში.

— საკმარისია ფეხბურთელმა მსაჯისაგან მიიღოს სასტიკი სასჯელი — წითელი ბარათი, რომ ამას მყისვე მოყვება დიქტორის კომენტარი: „ეს მოთამაშე მორიგ თამაშში ვეღარ დაესმარება თავის გუნდს“. უნდა ვიცოდეთ, რომ ფეხბურთელი გამოდის საფეხბურთო მოედანზე არა ვინმეს დასახმარებლად, არამედ სათამაშოდ. ამგვარი „ხატოვანი“ შეტყვევება ხშირ შემთხვევაში ლოგიკასაა მოკლებული.

არის სიტყვების მთელი წყება, რომელიც რატომღაც არ იყენებენ რეპორტაჟებში. ასე მაგალითად, არ იხმარება ზმნა „დამთავრება“ და მის ნაცვლად ფეხს მოიკიდა გამოთქმამ: „მატჩი სრულდება“ (და არა „მთავრდება“ ან „დასასრულს უახლოვდება“).

— ხშირად გაიგონებთ „ბურთი მოხვდა ბოძს“, ოღონდ, როცა ბურთი კარის ზედა ნაწილს ანუ პორიზონტალურ ძელს ხვდება, უმჯობესია გავისხნოთ სიტყვა „ხარხა“.

— არაერთხელ გვსმენია უცნაური გამოთქმა: „მაყანმა ფეხბურთელმა სინქარე აკრიფა“, რაც რუსული გამოთქმის („набрал скорость“) პირდაპირი კალკია და ქართულად საკმაოდ უაზროდ ვლერს, რადგანაც სინქარე უმატებენ, ან უკლებენ და არა „აკრფენ“.

— არაერთი სრულიად მიუღებელი გამოთქმა ვადადის რეპორტაჟიდან რეპორტაჟში და თითქოს დაკანონდა კიდევ ასეთებია: „მოთამაშე გოლს იტანს“ (ნაცვლად „მოთამაშეს გოლი გააქვს“), „შეასრულა ბურთის გადაცემა“, „მოახდინა დარტყმა“, „მოახდინა ბურთის ნაწოდება“ (ნაცვლად „გადასცა ბურთი“, „დაარტყა ბურთს“, „გადაწოდა ბურთი“) და ა.შ.

— გუნდის თამაშის გააქტიურებას მოსდევს კომენტატორის შენიშვნა: „გუნდი მახიურ შეტევაზე გადავიდა“. ავიწყდებათ, რომ სიტყვას „მახიური“ სულ სხვა აზრობრივი მნიშვნელო-



ბა აქვს. თამაში არ შეიძლება იყოს „მასიური“, რადგან ეს სიტყვა მასალის ხასიათს, მის ხიმტკიცეს აღნიშნავს. ის, რაც ფეხბურთის მოედანზე ხდება მაშინ, როდესაც მოელი გუნდი აქტიურადაა ჩართული, თამაშში, უფოდ სიტყვა „მასობრივის“ ხმარებას საჭიროებს.

ეთერში ხშირად გაისმის უცნაური „ნეოლოგიზმები“, როგორცაა, მაგალითად, „მეორე ადგილოსანი“, „მეოთხე ადგილოსანი“ და ა.შ. არა მგონია, რომ ამგვარი სიახლეები ამდიდრუბდეს ჩვენს მეტყველებას.

გავისხნოთ მივსწავებული ქართული სიტყვა „მრბოლი“, რომელიც რატომღაც შეცვალა ტერმინმა „მრბოლელი“. არც თუ იშვიათად მოცურავთა ახსარეზობის ადგილი მოიხსენიება „ბასკინად“ და არა „აუზად“. საკითხავია, რამდენად მისაღებია ქართული სიტყვის „შედევს“ ნაცვლად „რეზულტატის“ ხმარება. საფეხბურთო მატჩის ანონსის გამოცხადებისას ეთერში ხშირად გაისმის ფრაზა: „მატჩის ბილეთები გაყიდვაში იქნება სტადიონის ხალა-როებში“ (რატომ არა „გაიყიდება“), რაც აგრეთვე რუსულის შემორჩენილი ნაშთია („будут в продаже“). გავრცელდა აგრეთვე ზოგიერთი სიტყვის არასწორი ხმარება. მაგალითად, „გუნდს ტრავმების გამო გამოაკლდა რამოდენიმე მოთამაშე“. უნდა ითქვას „რამდენიმე“. ამას არა მხოლოდ სპორტული გადაცემები სცოდავენ, სიტყვა „რამოდენიმე“ უსწორო, ყურისმოქრულმა ხმარებამ ფართოდ მოიკიდა ფეხი დღევანდელ ჩვენს მეტყველებაში.

ეს შენიშვნები, რასაკვირველია, მეტად უმცირესი ნაწილია დამახინჯებების იმ ნიაღვრისა, რომელიც ჩვენი სპორტული კომენტატორების მეტყველებიდან მოედინება, შეიძლება ვინმემ ახინჯულად ან პრეტენზიულადაც კი მიინიოს, მაგრამ, სპორტის, განსაკუთრებით კი

ფეხბურთის უდიდესი პოპულარობის და გულშემატკივართა რაოდენობის გათვალისწინებით, უნდა ვაღიაროთ მატჩების რეპორტაჟების დიდი ზემოქმედების ძალა. ამიტომაც მეტი პასუხისმგებლობით უნდა მოვეკიდოთ ჩვენი უდიდესი საგანძურის, მშობლიური ენის ხიწმინდის დაცვას. ეს მით უფრო საშური საქმეა, რომ საქართველო განვითარებული იყო უმაღლესი კლასის კომენტატორების მართლაც რომ ვირტუოზული რეპორტაჟებით. მართალია, სპორტული სანახაობის დინამიკა კომენტატორებს ვარკვეულ სირთულეებს უქმნის, მაგრამ უნდა შევახსენოთ, რომ ბრწყინვალე კომენტატორები ეროსი მანჯგალაძე და კოტე მახარაძე მაღალ პროფესიონალიზმს ქართული მეტყველების მაღალ კულტურას უთავსებდნენ. ამგვარი სინთეზი მხოლოდ მათი ნიჭის წყალობა კი არ იყო, არამედ დიდ შრომითა და საკუთარი თავისადმი უდიდესი მოთხოვნელობით იყო გაპირობებული.

დღეს, როდესაც საქართველოში ახალგაზრდობა, არასწორი სწავლების გამო, ფაქტობრივად მოწყვეტილია კლასიკურ ქართულ ლიტერატურას, სატელევიზიო სპორტულ რეპორტაჟებს, მათი უდიდესი პოპულარობის ვათვალისწინებით, ენობრივი თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს. ამიტომაც, სპორტულ კომენტატორთა პროფესიონალიზმს და ერუდიციას უსათუოდ სითანადო დონის ქართული მეტყველება უნდა ახლდეს.

ჩვენ ყურადღება შევანერეთ მხოლოდ სპორტული რეპორტაჟების ზოგიერთ ენობრივ ხარვეზზე, მაგრამ არა იმიტომ, რომ ამ დარგში რაიმე განსაკუთრებული ხდება. ქართული მეტყველების კულტურა ჩვენი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში ერთნაირად მოითხოვს დიდ ყურადღებას...





## ავსტრია

ავსტრიის კინოთეატრებში ახალი და საინტერესო ნამოწყება გაჩნდა. ამ მშვენივრად მოწყობილმა დარბაზებმა მრავალფუნქციური ფორმა შეიძინეს. ახლა კინოთეატრში მოსულ მაყურებელს არა მხოლოდ ფილმის ნახვა, არამედ კონცერტებისა და თვით საოპერო სპექტაკლების მოსმენის საშუალება ექნებათ. მაგალითად, დეკემბრის შუა რიცხვებში, ექვს კინოთეატრში, ჰაიდნის ოპერას, „რომეო და ჯულიეტას“ წარმოდგენენ პლასიდო დომინგოს დირიჟორობით, რომელიც პირდაპირ „მეტროპოლიტენ-ოპერადან“ იქნება ტრანსლირებული. სარეკლამო პროსპექტებში ისიც აღნიშნულია, რომ ამ წარმოდგენაზე, კინოთეატრებისთვის ჩვეულებრივ პოპ-კორნისა და გამაგრილებელი სასმელის ნაცვლად, მხოლოდ შამპანურს შესთავაზებენ. ბილეთის ფასი — 30 ევრო — საკმაოდ სოლიდური თანხაა, მაგრამ „მეტროპოლიტენ-ოპერაში“ გამგზავრება გაცილებით უფრო ძვირი ღირს, ამიტ-

ომ ახალ ნამოწყებას დიდი გამოხმაურება მოჰყვა.

## ამერიკის შაერთებული შტატები

ჰოლივუდში სცენარისტების საყოველთაო გაფიცვა მიმდინარეობს. კინოლიტერატორები ჰონორარის და გაყიდული დისკების საპროცენტო განაკვეთის გაზრდის მოთხოვნით გამოდიან და პოზიციების დათმობას არ აპირებენ. პროდიუსერებს კი მიაჩნიათ, რომ მათი ანაზღაურება ისედაც საკმაოდ მაღალია. გარდა ამისა, მოლაპარაკებები ამის თაობაზე უკვე მიმდინარეობდა, ამ გაფიცვით კი ლიტერატორებმა ეს მოლაპარაკება ფაქტობრივად ჩიხში შეიყვანეს და ჩაშალეს. ამ გაფიცვის გამო, უამრავი სერიალისა და პოპულარული ტელეგადაცემის შემდგომი განვითარება საფრთხის ქვეშ მოექცა, როგორც გაირკვა, სერიالების ლიტერატურული პირველწყაროს მარაგი პროდიუსერებს არც ისე ბევრი აღმოაჩნდათ და აქციის დამთავრებამდე უამრავი ისეთი პროექტი შეჩერდება,

რომელსაც მთელი ამერიკა უყურებს. ჰოლივუდის სცენარისტებს მხარი კოლეგებმა სხვა ქალაქებიდანაც აუბეს. ნიუ-იორკისა და ლოს-ანჯელესის ტელესტუდიების წინ ხალხმრავალი პიკეტები გაიმართა. მოთხოვნებს ინტერნეტით და მობილური ტელეფონებით გადაცემულ ნაწარმოებთა ანაზღაურებაც დაემატა. უკანასკნელი ასეთი გაფიცვა ამერიკის სცენარისტებმა 1988 წელს მოაწყვეს. იგი ხუთი თვე გაგრძელდა და შოუ-ინდუსტრიას 500 მილიონი ზარალი მოუტანა.

## ბრაზილია

რიო-დე-ჟანეიროში ლეგენდარული ამერიკელი კინომსახიობი ქალის, მერლინ მონროს ფოტოგამოფენა იმ მიზეზით არ გაიხსნა, რომ მებაჟეებმა ფოტოების შემოტანაში საბაჟო გადასახადი მოითხოვეს. ლეგენდარული მსახიობის ფოტოები აეროპორტის მებაჟეებმა ხელოვნების ნიმუშად არ ჩათვალეს და ჩვეულებრივი საბაჟო გადასახადის სიაში გაამწყვეს. ეს ფოტოები, რომელიც



რიო-დე-ჟანეიროს თან-ამედროვე ხელოვნების მუზეუმში უნდა გამოეფინათ, 1962 წელს, მერლინ მონროს სიკვდილამდე ათი დღით ადრე, ნიუ-იორკის ფეშენებელურ სასტუმროში, ამერიკელმა ფოტოგრაფმა, ბერტ სტირგმა გადაიღო. მსახიობი ქალი ფოტოებზე თითქმის შიშველია და სხეულს მხოლოდ გამჭვირვალე აბრეშუმის ქსოვილი უფარავს.

„საბაჟოს ასეთი საქციელი ძალიან სახიფათო ვეღურება!“ — განაცხადა ექსპოზიციის კურატორმა და დახმარებისთვის იუსტიციის სამინისტროს მიმართა. საბოლოოდ, მრავალტანჯული გამოეფინა, ერთი დღის დაგვიანებით, მაგრამ მაინც გაიხსნა.

## დიდი

### ბრიტანეთი


ბრიტანეთის მოსახლეობამ გაერთიანებული სამეფოს ყველაზე გონებასახვილ ადამიანად ირლანდიელი მწერალი, დრამატურგი და პოეტი, ოსკარ უაილდი დაასახელა. ბრიტანეთის ტელევიზიამ იუმორისტთა თავისებური

პიტ-აღლუმი მოანყო, სამი ათას მაყურებელს დაუკავშირდა და შედეგების მიხედვით პირველი ადგილი მიანიჭა უაილდის ცნობილ აფორიზმს: „ყოველთვის მიუტყვევებ მტრებს. ამაზე მეტად ნონას-ნორობას ვერაფრით დააკარგვინებ“. გამარჯვებულთა პირველ ათეულში მოხვდა აგრეთვე ცნობილი მსახიობი და მწერალი სტივენ ფრაი, მაგრამ მან ეს პატივი სწორედ ოსკარ უაილდის როლის შესრულების წყალობით დაიმსახურა. გონებასახვილთა სიაში ულიამ შექსპირი და თქვენ წარმოიდგინეთ, უინსტონ ჩერჩილიც მოხვდნენ. ქალებს შორის ეს პატივი ყოფილ პრემიერ-მინისტრს, „რკინის ლედის“, მარგარეტ ტეტჩერს ერგო ფრაზისათვის: „იყო ძლიერი — ეს იგივეა, რომ იყო ლედი. თუ სხვებისთვის ამის დამტკიცება გჭირდება, ესე იგი, არ ყოფილხარ“.

### ინგლისი

ზღვის ფსკერის მკვლევართა ფონდის ინგლისელმა სპეციალისტებმა, ლა-მანშის ფსკერზე

ქვის ხანის პერიოდის უძველესი დასახლება აღმოაჩინეს. ათიოდე წლის წინ, კუნძულ უაიტის მიმდებარე ტერიტორიაზე, თევზსაჭერი გემები წყლიდან დროდადრო უძველეს ადამიანთა იარაღებს იღებდნენ. ამან არქეოლოგთა ყურადღება მიიქცია და ამ ადგილას წყალქვეშა გათხრები დაიწყო. შედეგად საკმაოდ დიდი დასახლების კონტურები გამოიკვეთა. დღესდღეობით მხოლოდ პატარა ნაწილია გათხრილი, თუმცა ორი კერია და ამოტვიფრული ხის ფრაგმენტები უკვე მოიძებნა. სპეციალისტთა აზრით ეს ნივთები რვა ათასი წლისაა და იმ პერიოდს ეკუთვნის, როცა ევროპასა და ბრიტანეთს ხმელეთი აერთიანებდა. გამყინვარების ეპოქის დასასრულს, ლა-მანშის ტერიტორია გამდნარი ყინულის წყლით დაიფარა და უძველესი ადამიანები იძულებულები გახდნენ, საცხოვრებლად სხვა ადგილი მოეძებნათ. სწავლულთა აზრით ლა-მანშის ფსკერი კაცობრიობას კიდევ მრავალ ახალ აღმოჩენას უშზადებს.



**ინდოეთი**

ინდოეთის დედაქალაქი დელი უჩვეულო ტერორის მსხვერპლი გახდა. აგრესიულად განწყობილი მაიმუნების მრავალათასიანი ურდო ქალაქში დაუსჯელად დათარეშობს. ინდუისტური რელიგიის მიხედვით მაიმუნი წმინდა ცხოველად ითვლება და მისი მოკვლა დაუშვებელია. შესაბამისად მაიმუნები იმდენად გამრავლდნენ, რომ რამდენიმე წლის წინ ხელისუფლებამ სპეციალური ფორუმიც კი მოიწვია და მთელი რიგი ზომები დასახა. მაიმუნის მოკვლა არავის შეეძლო, ამიტომ ყოველი დაჭერილი ცხოველისთვის სპეციალური ჯილდო დანესდა. შემდეგ კი, დაჭერილი მაიმუნები ქვეყნის სხვა რეგიონებში გაყავდათ. მიღებული ზომები უშედეგოდ დასრულდა და წელს ლამის ეროვნული კატასტროფის სახე მიიღო. ცოტა ხნის წინ ქალაქის მერის თანაშემწე დაიღუპა. იგი აივნისგან გადმოვარდა, როცა თავხედი მაკაკას გაძევებას ცდილობდა. ცოტა მოგვიანებით მაიმუნები სონი განდის სახლში შეჭრენ

და მთელი ბინა დაარბიეს. ნამდვილი სკანდალი კი მაშინ ატყდა, როცა მამალმა მაკაკამ თავდაცვის მინისტრის კაბინეტში შეაღწია და სახელმწიფო მნიშვნელობის დოკუმენტები შესანსლა. ინდოეთი მრავალრელიგიური ქვეყანაა, შესაბამისად საზოგადოებას ამ საკითხთან განსხვავებული დამოკიდებულება აქვს. რაც შეეხება ნატურალისტებს, ისინი თავის პოზიციას მოკლედ აყალიბებენ: „ტყეები გაუწივით, პოდა, ქალაქს შემოესიენ და აქ ცხოვრება ისწავლეს“.

**ინდონეზია**

ინდონეზიელმა ინჟინერმა, საკმავატო სიურია-მანმა, მუსულმანი ბავშვებისთვის, ცნობილი თოჯინა ბარბის ისლამური ვერსია შექმნა და ამით დასავლეთის ცივილიზაციას ნიშანი მოუგო. თოჯინას, რომელსაც სახელად სელმა დაარქვეს, ტრადიციულად გრძელ სახელოებიანი, მაგრამ მაქმანებითა და მძივებით მორთული გრძელი კაბა აცვია.

„როცა ვხედავდი, ჩემი დიშვილი თოჯინა ბარბით

როგორ თამაშობდა, ყველთვის მიხდოდა მისთვის ჩვენს ტრადიციულ სამოსში გამოწყობილი თოჯინა მეყიდა. ბავშვები ხომ საყვარელი სათამაშოს გავლენის ქვეშ ძალიან იოლად ექცევიან“, - განაცხადა ინჟინერმა და თოჯინას გადაკეთება გადაწყვიტა. მისმა გამოგონებამ ინდონეზიაში სენსაცია გამოიწვია და კოლოსალური სისწრაფით გაიყიდა.

სელმას გარდერობი ბარბისას არაფრით ჩამოუვარდება. მას ოცამდე სხვადასხვაგვარი, მათ შორის თეთრი, ლოცვისთვის განკუთვნილი კაბა აქვს.

**ირანი**

ირანის ხელისუფლებამ ქვეყნიდან შევდეთის ელჩი გააძევა. მიზეზი გაზეთ „ნერიკეს ალექანდრაში“ გამოქვეყნებული კარიკატურა გახდა, სადაც მუჰამედი ძაღლის სახითაა გამოხატული. მხატვარ ლარს ვილქსის კარიკატურა შევდურ გაზეთში რწმენის თავისუფლებისადმი მიძღვნილი სარედაქტორო სტატიის ილუსტრაცია იყო. თითქმის



მაშინვე, მუსულმანთა სამოცაკაციანმა ჯგუფმა გაზეთის რედაქციის წინ საპროტესტო აქცია გამართა, ირანის ხელისუფლებამ კი შვედ დიპლომატს საპროტესტო ნოტა გადასცა. პასუხად დიპლომატმა განაცხადა, შვედური გაზეთები თავისუფალია და მასალას ხელისუფლებას არ უთანხმებენო.

შვედეთის კულტურულ-მხატვრულმა ორგანიზაციებმა მხოლოდ წელს უკვე ორჯერ მოხსნეს ვილსის კარიკატურების დაგვემილი ექსპოზიციები, ეს ზომა „შემოქმედთა უსაფრთხოებით“ გაამართლეს და ამით საზოგადოებაში დიდი მითქმამოთქმა გამოიწვიეს. მოულოდნელი მხარდაჭერა მხატვარმა „შვედეთის საერო მუსულმანთა“ კავშირისგან მიიღო, მაგრამ დიდხანს არც ეს გაგრძელებულა. როგორც კი მხატვარმა „ანტისემიტური კარიკატურა“ გამოაქვეყნა, ორგანიზაციამ დახმარება მაშინვე შეუწყვიტა.

## ლივანი


ლივანის ტელევიზიის გადაცემა, სადაც მოლა

ახალგაზრდა კაცებს ასწავლის ცოლები როგორ უნდა გალახონ, ვიდეოჩანაწერის სახით მთელ მსოფლიოში გავრცელდა. დოქტორი მუჰამედ აღარიფი საერთოდ რადიკალურად მოაზროვნე მოღვაწედ ითვლება. მუსულმანებს სწორედ ის დაპირდა ვატიკანს დავიპყრობთ და ისლამს დავამკვიდრებთო. ამჯერად გადაცემაზე შესაბამისი იარაღით აღჭურვილი მობრძანდა. ეს იარაღი კი ჩვეულებრივი კბილის ჯაგრისი აღმოჩნდა, რომლითაც თურმე, წმინდა წერილის მიხედვით, ცოლის გალახვა შეიძლება. მისი აზრით ქალი არც სახედარია და არც აქლემი და იმისთვის რომ რაიმე შეაგნებინო, ნიხლებით ცემა სულაც არ ჭირდება. თანაც ჯაგრისი თურმე რბილად და დელიკატურად უნდა მოსცხო და არავითარ შემთხვევაში სახეზე, რათა მახინჯი კვალი არ დატოვოს. დოქტორი ახალგაზრდებს ურჩევს, ცოლები ჯერ გააფრთხილონ, რომ უკმაყოფილოები არიან, თუ არ გაჭრის, მათთან ერთად აღარ დაიძინონ. ხოლო,

თუ ესეც არ გაჭრის, სხვა რაღა დარჩენილია? კბილის ჯაგრისებით უნდა შეიარაღდნენ.

## საზრანგაში

პარიზში, დორსეს მუზეუმში, უცნობმა მავნებლებმა კლოდ მონეს ცნობილი ტილო „არენტეილის ხიდი“ გამიზნულად დააზიანეს. „ოთხი ან ხუთი იყვნენ. გოგონაც ახლდათ. შუალამისას კარები შეამტვრიეს და მუზეუმში შევიდნენ. როგორც ჩანს მთვრალეები დარბოდნენ“, — განაცხადა კულტურის მინისტრმა კრისტინ აღბანელმა, რომელიც ემოციებს ვერ ფარავდა. სიგნალიზაციის ამუშავების შემდეგ, მავნებლები მუზეუმიდან გაიქცნენ. მანამდე კი ცნობილ ტილოს, ზუსტად შუაში მოზრდილი ნახვრეტი დაუტოვეს. საყოველთაო საზოგადოებრივი აღშფოთება ცოტა მოგვიანებით ისევ კულტურის მინისტრმა დააწყნარა, როცა რადიოინტერვიუთი სურათის აღდგენა შესაძლებელიაო, განაცხადა. დორსეს მუზეუმში იმპრესიონისტთა შედეგების ყველაზე დიდი კოლექცია



ინახება. მსგავსი ვან-დალური ფაქტები კი, საფრანგეთის მუზეუმებში ბოლო წლების მანძილზე ძალიან გახშირდა.

### შვედეთი

2007 წლის ნობელის პრემია ინგლისელ მწერალ ქალს, დორის ლესინგს მიანიჭეს. წლევანდელი პრემიები ნობელის კომიტეტმა, როგორც ჩანს, დაბადების დღეების საჩუქრებად გამოაცხადა, რადგან ლიტერატურის დარგში ლესინგს 88 წლის იუბილემდე ათი დღით ადრე, ქიმიის დარგში, გერჰარდ ეტელს კი, 71-ე წლისთა-

ვზე მიართვეს.

ინგლისელი მწერალი ქალი პრეტენდენტების სიაში მრავალი წლის მანძილზე ხვდებოდა, თუმცა წლევანდელ ფავორიტებს შორის არ მოიხსენიებოდა. ბუკმეკერთა კანტორები, რომლებიც კანდიდატებზე ფსონებს აგროვებენ, გამარჯვების ყველაზე რეალურ კანდიდატად, ამერიკელ ფილიპ როტს მიიჩნევდნენ. თუმცა შვედეთის აკადემიისთვის მოულოდნელობა და სკანდალი უცხო ხილი არც ამჯერად აღმოჩნდა. კენჭისყრა იქ მოგეხსენებათ, მთლიანად ფარულია და ანგარიშებს არაეინ აქვეყ-

ნებს.

დორის ლესინგი სასპარეზო 1949 წელს გამოჩნდა. თავისი გახმაურებული რომანი „ოქროს დღიური“ 1962 წელს გამოაქვეყნა და ეს წიგნი დღესაც ფემინისტური ლიტერატურის კლასიკად ითვლება. მწერალი ქალი არაერთი სალიტერატურო პრემიის მფლობელია. მათ შორისაა ესპანეთის, პრინც ასტურიელის სახელობის პრემია და ბრიტანეთის, სომერსეტ მოემის სახელობის პრემია. დაჯილდოების ტრადიციული ცერემონია ამა წლის 10 დეკემბერს შედგება.

მასალა მოამზადა  
მანანა მიქელაძემ



მთავარი რედაქტორი  
თამაზ ჭილაძე

პასუხისმგებელი მდივანი  
დინარა ჩაქვატაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა  
შორენა ფარქოსაძე

ქარელი გამომცემის ორი თვეში ერთხელ  
იზაქტაბა მსოფლიო რედაქციის მიერ შეკრებილი მასალაზე

გამომცემლობა „სანთელი“

198/25



ფანი ორი წარი